# მ ა ტ ი ა ნ ე

ჟურნალი გამოდის 1989 წლიდან, 6 დეკემბერი, 2020 წ. 3-4 (33-34)

მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება
„საქართველოს ჰელსინკის კავშირი -
- ეროვნული აღორძინების"
თავისუფალი საზოგადოებრივ-პოლიტიკური
ჟურნალი




## ჩუ, ქართველო!

*ჩუ, ქართველო! ბედნიერო,
ნუ ამბობ მამული მიყვარს,
როგორ უნდა დაგიჯერო,
რომ ძმის სისხლით ხელი
გიყარს.
მეორედ ჩუ! შენ, ძმის მტერო,
„ქრისტიანი ვარ" ნუ ამბობ.
როგორ უნდა დაგიჯერო,
როცა ჭეშმარიტებას ჰგმობ?
მაშ, ისევ ჩუ, რჯულის მტერო!
ნუ ამბობ, რომ ჭკვიანი ხარ!
როგორ უნდა დაგიჯერო,
როს ყელამდე სისხლში ზიხარ?*

*კიდევ გეტყვი: ჩუ, ოხერო,
„მამაცი ვარ"! ნუ იძახი:
როგორ უნდა დაგიჯერო,
როცა ტყავს გაძრობს მათრახი.
ჩუ, ჩუ და ჩუ, მშვენიერო,
ნუ ამბობ: „ვარ მე ლამაზი!"
როგორ უნდა დაგიჯერო:
სახეზედ გაქვს შურის ხაზი!!!
ეჰ, ქართველო, კაცის ჩერო,
ქართლი შენგან არას ელის,
და მაშ როგორ დაგიჯერო,
რომ შვილი ხარ შენ ქართველის.*

**აკაკი**



## 1990 წ. 28 ოქტომბრის საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს არჩევნები . . .

## 30 წელი გავიდა . . .

## დროა! . . .

## დროა აღორძინების! . . .

## გილოცავთ 1990 წლის 28 ოქტომბრის თარიღს!

## მრავალს დაესწარით!

## კიდევ მოგვასწროს უფალმა ასეთ არჩევნებს!



**1990 წ. 28** ოქტომბერს საბჭოთა კავშირის მიერ დაპყრობილ იმპერიულ სივრცეში – საქართველოში ჩატარდა პირველი მრავალპარტიული და დემოკრატიული არჩევნები. საქართველოს ეროვნულ-განმანთავისუფლებელმა მოძრაობამ ბატონ ზვიად გამსახურდიას მეთაურობით შესძლო ქართველი ერის საუკუნოვანი მისწრაფების განხორციელება. საქართველოს ეროვნულ-განმანთავისუფლებელი მოძრაობა გაერთიანდა „მრგვალი მაგიდა – თავისუფალი საქართველოს“ გარშემო.

ქართველი ერის გაერთიანებას საფუძველი შეუქმნა ქართულმა დისიდენტურმა მოძრაობამ, რომლის სათავეშიც იყვნენ ქართველი ერისათვის წამებული გმირები – ზვიად გამსახურდია და მერაბ კოსტავა.

**1989 წ. 9** აპრილის მოვლენების შედეგად ნათლად გამოჩნდა ქართველი ერის მზადყოფნა თავისუფლებისათვის ბრძოლის რთულ და ეკლიან გზაზე გასასვლელად.

**1990 წ. 28** ოქტომბრის არჩევნებს ერქვა „საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს არჩევნები“, რაც მიღწეულ იქნა ეროვნული ძალების მიერ მრავალდღიანი აქციების შედეგად. ყველა პარტია დარეგისტრირდა პარიტეტულ საწყისებზე არჩეულ ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში (ესეც ეროვნული ძალების ზეწოლის შედეგად მოხერხდა). საქართველოს უზენაესი საბჭოს **1990 წ. 28** ოქტომბრის არჩევნები იყო საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე ჩატარებული პირველი დემოკრატიული, მრავალპარტიული, თავისუფალი არჩევნები, რომლის მონიტორინგს ეწეოდა მსოფლიოს მრავალი სახელმწიფოს ასობით მეთვალყურე.

არჩევნების შედეგებმა გადააჭარბა ყოველგვარ მოლოდინს: დამაჯერებელი გამარჯვება მოიპოვეს საარჩევნო ბლოკის „მრგვალი მაგიდა – თავისუფალი საქართველოს” პოლიტიკურმა ორგანიზაციებმა.

**1990 წ. 14** ნოემბერს ჩატარდა საქართველოს ახლადარჩეული უზენაესი საბჭოს პირველი სესია, რომელმაც უზენაესი საბჭოს თავმჯდომარედ ერთხმად აირჩია საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის აღიარებული ლიდერი ზვიად გამსახურდია.

**1991** წლის **22** დეკემბერს დაიწყო **1991-1993** წლების სახელმწიფო გადატრიალება და საქართველო დღემდე იმკის მის შედეგებს.

ქვეყნის გადარჩენის გზა, მხოლოდ საქართველოს ეროვნულ-სახელმწიფოებრივი სამართალმემკვიდრეობისა და კანონიერების აღდგენაშია.

მხოლოდ უფლის გზით მიმავალი ერი მიიღებს ჭეშმარიტ დამოუკიდებლობას და თავისუფლებას!

# გარდასულ დღეთა სამართლებრივი აქტები

## საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის

## მიმართვა

## ქართველი ერისადმი

ძვირფასო თანამემამულენო!

იმპერიული ძალების მიერ ინსპირირებულმა პუტჩმა უდიდესი უბედურება დაატეხა საქართველოს. პუტჩისტები ცდილობენ ხელისუფლების უზურპირებას, მთავრობის ჩამოყალიბებას, თუმცა მათი ყოველგვარი ქმედება უკანონოა და ანტიკონსტიტუციური.

ა. წ. 6 იანვარს მე, საქართველოს კანონიერმა პრეზიდენტმა და ხელისუფლების სხვა წარმომადგენლებმა დავტოვეთ უზენაესი საბჭოს შენობა, რათა აღარ გაგრძელებულიყო ნგრევა და სისხლისღვრა. თუმცა ადგილის გამოცვლა ჩვენს მიერ არ ნიშნავს პოზიციის დათმობას. ჩვენ კვლავ წარმოვადგენთ საქართველოს კანონიერ ხელისუფლებას, მე არ გამიკეთებია განცხადება გადადგომის შესახებ.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში შექმნილმა ხუნტამ „შეაჩერა“ კონსტიტუცია და „დაითხოვა“ უზენაესი საბჭო, ამჟამად იგი ცდილობს დეპუტატების შეკრებას და სესიის მოწვევას, რათა მიაღებინოს მას უკანონო გადაწყვეტილებანი. უზენაესი საბჭოს მუშაობას შექმნილ სიტუაციაში არ ექნება არავითარი აზრი.

მოვუწოდებ უზენაესი საბჭოს დეპუტატებს: არ დაექვემდებარონ ხუნტის შანტაჟს, არ გამოცხადდნენ სესიაზე, თუ შეკრებაზე, არ შეირცხვინონ თავი ერის წინაშე და თუ, ხუნტამ მაინც მოახერხა მათი ნაწილის შეკრება, ეს იქნება ცრუ სესია, რომლის არც ერთ გადაწყვეტილებას არ ექნება ძალა. ქართველი ერი არ უნდა დაემორჩილოს სისხლიან კრიმინალურ ხუნტას, უნდა ვამხილოთ მისი ყოველგვარი დანაშაული კრებებზე, მიტინგებზე, თავყრილობებზე. შევქმნათ წინააღმდეგობის შტაბი, საგაფიცვო კომიტეტები, სახალხო რაზმები.

პუტჩისტების რეჟიმს - ბოიკოტი და დაუმორჩილებლობა!

საქართველო გაიმარჯვებს!

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი
ზვიად გამსახურდია
14 იანვარი, 1992 წ.

გაზეთი „ქართული აზრი“, №1, 26 იანვარი, 1992 წ.

# საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დადგენილებები

„საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციის“ 108-ე და 113,1 მუხლზე დაყრდნობით, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის 1992 წ. 9 მარტის დადგენილებით, 1992 წ. 12-13 მარტს გაიმართა საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პირველი მოწვევის მე-2 სესიის მორიგი სხდომა ჩეჩნეთის რესპუბლიკის დედაქალაქ გროზნოში.

## საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დადგენილება 1991 წლის 22 დეკემბერს რესპუბლიკაში მომხდარი მოვლენების პოლიტიკური შეფასების შესახებ

იმის გამო, რომ საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტს არ უთქვამს ხელისუფლებაზე უარი, ხოლო უზენაეს საბჭოს არ მიუღია არანაირი გადაწყვეტილება თვითდაშლაზე და არც ახალი არჩევნების დანიშვნაზე, პრეზიდენტი, ისევე როგორც საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო და მინისტრთა კაბინეტი წარმოადგენს ერთადერთ ლეგიტიმურ ხელისუფლებას რესპუბლიკაში.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო ადგენს:

1) 1991 წლის დეკემბრისა და 1992 წლის იანვრის მოვლენები, რომლებიც მოხდა საქართველოში, კვალიფიცირებულ იქნას, როგორც სამხედრო სახელმწიფო გადატრიალება;

2) არაკანონიერი ხელისუფლების („სამხედრო საბჭო“, „დროებითი მთავრობა“, „სახელმწიფო საბჭო“ და ა.შ.) შექმნა კვალიფიცირებულ იქნეს როგორც ხელისუფლების უზურპაცია;

3) ყველა აქტი, რომელიც მიღებულია საქართველოს არაკანონიერი ხელისუფლების მიერ, მათ შორის პარლამენტის არჩევნების დანიშვნის აქტი, გამოცხადდეს იურიდიულ ძალის არმქონედ;

4) სახელმწიფო გადატრიალების ორგანიზატორების მოქმედება კვალიფიცირებულ იქნას როგორც სამშობლოს ღალატი!“.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს
დროებითი თავმჯდომარე
მ. კიკნაძე
1992 წ 13 მარტი

გაზ. „ქართული აზრი“, №14, 10 აპრილი, 1992 წ.

ამავე დღეს, ანუ 1992 წ. 13 მარტს, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს მიერ მიღებულ დოკუმენტში - „აქტების თაობაზე, რომლებიც მიიღო ეგრეთ წოდებულმა სამხედრო საბჭომ, დროებითმა მთავრობამ და სახელმწიფო საბჭომ“, კერძოდ ვკითხულობთ:

„...სახელმწიფო გადატრიალების შემდეგ, რომელსაც ადგილი ჰქონდა საქართველოს რესპუბლიკაში, ხუნტის ე. წ. სამხედრო საბჭოს მიერ შექმნილი არაკანონიერი ორგანოები... უხეში ძალისა და მუქარის გამოყენებით ცდილობენ მართონ სახელმწიფო.

ამასთანავე, ისინი იღებენ გარკვეულ გადაწყვეტილებებს, რომლებიც, მათი აზრით, სახელმწიფო კანონიერი ხელისუფლების აქტებისა და მართვის იურიდიული და ფაქტობრივი ძალის იგივეობას წარმოადგენს.

ხუნტის ასეთი ქმედება არაკანონიერი და მიუღებელია როგორც საქართველოს რესპუბლიკის მოქმედი კანონმდებლობის, ასევე საერთაშორისო სამართლის აქტების თვალსაზრისით.

ხუნტა მიზნად ისახავს მისცეს ლეგიტიმური ხასიათი სახელმწიფო ხელისუფლების უზურპაციას. ამისათვის ხუნტა ცდილობს შეიმუშაოს კანონი არჩევნების შესახებ და დანიშნოს ე. წ. პარლამენტის ე. წ. არჩევნები.

მოქმედი კანონმდებლობისა და მსოფლიო პრაქტიკის თვალსაზრისით, არჩევნების შესახებ კანონის (ისევე როგორც ნებისმიერი სხვა კანონის) მიღების და არჩევნების თარიღის დანიშვნის უფლება აქვს მხოლოდ ხალხის მიერ არჩეულსაკანონმდებლო ხელისუფლების უმაღლეს ორგანოს, ანუ საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს საბჭოს, რომელიც არჩეულია1990 წლის 28 ოქტომბრის საყოველთაო, მრავალპარტიული არჩევნებით.

ზემოთქმულიდან გამომდინარე

## საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო ადგენს:

1. ე.წ. სამხედრო საბჭოს, დროებითი მთავრობის, სახელმწიფო საბჭოსა და მისი სამართალმემკვიდრე უკანონო სახელმწიფო სტრუქტურების მიერ მიღებული აქტები ანულირებულია, ანუ ჩათვლილია გაუქმებულად და საქართველოს მოქალაქეებისათვის არ გააჩნიათ აუცილებელი იურიდიული ძალა.

2. საქართველოს რესპუბლიკაში მოქმედებს - საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუცია, საქართველოს რესპუბლიკის კანონები და სახელმწიფო ხელისუფლების და მართვის კანონიერი ორგანოს ის აქტები, რომლებიც დემოკრატიული წესითაა მიღებული, საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციის და კანონების მოთხოვნების შესაბამისად.

**ამავდროულად წარმოგიდგენთ შემდგომ პერიოდში გამოქვეყნებულ საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს ზემოთწარმოდგენილი დადგენილების თითქმის მსგავს დადგენილებებს, რომლებიც თავისთავად, შინაარსობრივად ერთნაირია, მაგრამ განსხვავდება ხელმოწერის უცნაური ფორმით:**

# საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს

## 1992 წლის 13 მარტის

# დადგენილება

1991 წლის 22 დეკემბერს საქართველოს რესპუბლიკაში მომხდარი მოვლენების პოლიტიკური შეფასების შესახებ.

**საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო ადგენს:**

1. 1991 წლის დეკემბრისა და 1992 წლის იანვრის მოვლენები, რომლებიც მოხდა საქართველოში, კვალიფიცირებულ იქნეს როგორც სახელმწიფო გადატრიალება;
2. არაკანონიერი ხელისუფლების სტრუქტურების – „სამხედრო საბჭო“ და ა. შ. შექმნა კვალიფიცირებულ იქნეს, როგორც ხელისუფლების უზურპაცია;
3. ყველა აქტი, რომელიც მიღებულია საქართველოს არაკანონიერი ხელისუფლების მიერ, მათ შორის, პარლამენტის არჩევნების დანიშვნის აქტი, გამოცხადდეს იურიდიული ძალის არმქონედ;
4. სახელმწიფო გადატრიალების ორგანიზატორების მოქმედება კვალიფიცირებულ იქნეს როგორც სამშობლოს ღალატი;
5. საქართველოს მოსახლეობას მოვუწოდებთ უკანონო ხელისუფლების დაუმორჩილებლობას.

**საქართველოს რესპუბლიკის უზანესი საბჭო.**

# საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს

## 1992 წლის 13 მარტის

# დადგენილება

1991 წლის 22 დეკემბერს საქართველოს რესპუბლიკაში მომხდარი მოვლენების პოლიტიკური შეფასების შესახებ.

**საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო ადგენს:**

1. 1991 წლის დეკემბრისა და 1992 წლის იანვრის მოვლენები, რომლებიც მოხდა საქართველოში, კვალიფიცირებულ იქნეს როგორც სახელმწიფო გადატრიალება;
2. არაკანონიერი ხელისუფლების სტრუქტურების — „სამხედრო საბჭო“ და ა. შ. შექმნა კვალიფიცირებულ იქნეს, როგორც ხელისუფლების უზურპაცია;
3. ყველა აქტი, რომელიც მიღებულია საქართველოს არაკანონიერი ხელისუფლების მიერ, მათ შორის, პარლამენტის არჩევნების დანიშვნის აქტი, გამოცხადდეს იურიდიული ძალის არმქონედ;
4. სახელმწიფო გადატრიალების ორგანიზატორების მოქმედება კვალიფიცირებულ იქნეს როგორც სამშობლოს ღალატი;
5. საქართველოს მოსახლეობას მოვუწოდებთ უკანონო ხელისუფლების დაუმორჩილებლობას.

**საქართველოს რესპუბლიკის უზანესი საბჭო.**

გაზეთი "საქართველოს რესპუბლიკა" №2. 6 იანვარი2007წელი

# უმნიშვნელოვანესია

## მიმართვა

## გვარდიისა და შინაგანი ჯარებისადმი

უკვე მე-4 თვეა, რაც საქართველოში იმპერიულმა ძალებმა შექმნეს ანტიხალხური და ანტიეროვნული კრიმინალური ხუნტა, რომელიც ებრძვის კანონიერ ხელისუფლებას საოკუპაციო ჯარის დახმარებით. ის, რაც ხუნტამ ჩაიდინა, არის ეროვნული ღალატი, რომელშიც იგი ცდილობს ჩაითრიოს, უწინარეს ყოვლისა, გვარდიისა და შინაგანი ჯარის ნაწილები. ხუნტის დავალებით თქვენ აწარმოებთ ომს საკუთარი ხალხის წინააღმდეგ. თქვენ ხართ იმპერიის დამსჯელი ძალა, რომელიც ცდილობს თქვენი მეშვეობით მიაღწიოს თავის მიზნებს საქართველოში. დაამხოს კანონიერი ხელისუფლება და საქართველო დააბრუნოს სამუდამო კოლონიურ მონობაში.

ამჟამად თქვენ ხართ უკანონო შეიარაღებული ფორმირებები და ემორჩილებით კრიმინალებს, მძარცველებსა და მკვლელებს. საკუთარი ხალხის მოსისხლე მტრებს, იმპერიის აგენტებს. ამის გამო, სანამ დროა, მოეგეთ გონს, გადმოდით კანონიერი ხელისუფლებისა და მისი შეიარაღებული ძალების მხარეზე, იბრძოლეთ საქართველოსათვის, მისი დამოუკიდებლობისა და აღორძინებისათვის.

საქართველოს კანონიერი ხელისუფლება თქვენ არ მოგთხოვთ პასუხს იმისათვის, რაც დღემდე ჩაგიდენიათ. მთავარია ახლა დადექით სწორ პოზიციაზე და უერთგულეთ სამშობლოს. შემოუერთდით პრეზიდენტის ერთგულ გვარდიას და სახალხო ლაშქარს, რათა ერთიანი ძალით ვიხსნათ საქართველო დამპყრობლებისა და მოღალატეებისაგან.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი

ზვიად გამსახურდია

1992 წლის აპრილი

გაზ. „აღდგომა“, №2, 10 მაისი, 1992 წ.

# საქართველოს პარლამენტის დადგენილება

## 1991-1992 წლებში დაწყებული სამოქალაქო დაპირისპირების შედეგების აღმოფხვრისა და ეროვნული თანხმობის მიღწევის შესახებ

საქართველოს პარლამენტი მიესალმება და მხარს უჭერს საქართველოს პრეზიდენტის ძალისხმევას სამოქალაქო დაპირისპირების დასრულების, მისი შედეგების აღმოფხვრის, ეროვნული თანხმობის პროცესის დაწყებისა და იმ პირთა სასჯელის მოხდისაგან გათავისუფლების შესახებ, რომლებიც მსჯავრდებულნი არიან 1991-1992 წლების ტრაგიკული მოვლენების შედეგად გამოწვეული კონფრონტაციის პერიოდში ჩადენილი ქმედებების გამო.

1991 წელს საქართველოში დაიწყო დაპირისპირება, რასაც მოჰყვა კანონიერი ხელისუფლების დამხობა და სამოქალაქო კონფლიქტი. მიუხედავად იმისა, რომ შემდგომ პერიოდში საქართველოს მოსახლეობამ მრავალჯერ გამოხატა თავისი ნება დემოკრატიული და თავისუფალი არჩევნების გზით, 1991-1992 წლებში საქართველოში დაწყებული სამოქალაქო დაპირისპირების პოლიტიკური შედეგები დღემდე არ არის აღმოფხვრილი, რაც ხელს უშლის ქვეყნის სულიერ ერთიანობას და სახელმწიფოს აღმშენებლობის პროცესს.

საქართველოს პარლამენტი 1991-1992 წლებში დაწყებულ სამოქალაქო დაპირისპირებას განიხილავს როგორც საქართველოს ისტორიის ტრაგიკულ პერიოდს, როცა ერთმანეთს გადაეჯაჭვა ურთულესი და ურთიერთსაწინააღმდეგო პოლიტიკურ-სამართლებრივი პრობლემები. საქართველოს პარლამენტი პატივს მიაგებს ძმათა შორის შეიარაღებული დაპირისპირებისას დაღუპულთა ხსოვნას, რომლებიც სამშობლოსათვის იბრძოდნენ, მიუხედავად პოლიტიკური მრწამსისა, და მოუწოდებს საქართველოს ყველა მოქალაქეს, ერთხელ და სამუდამოდ წერტილი დაესვას სამოქალაქო კონფრონტაციას.

საქართველოს პარლამენტი ადგენს:

1. დაგმობილ იქნეს სახელმწიფოში პოლიტიკური პრობლემების ძალადობის გზით გადაჭრა და ლეგიტიმური ხელისუფლების დამხობის ყოველგვარი მცდელობა;

2. ეთხოვოს საქართველოს გენერალურ პროკურორს:

ა) ვითარების შეცვლასთან დაკავშირებით საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესით 2000 წლის 1 ივლისამდე განიხილოს და გადაწყვიტოს განსასჯელთა და საქართველოში თუ მის გარეთ მყოფი ყველა იმ პირის სისხლისსამართლებრივი დევნის საკითხები, რომლებიც პასუხისგებაში არიან მიცემულნი 1991-1992 წლებიდან დღემდე განვითარებულ მოვლენებთან დაკავშირებით;

ბ) 2000 წლის 10 ივლისამდე უზრუნველყოს იმ პირთა სიის გამოქვეყნება, რომელთა მიმართაც მიღებული იქნება გადაწყვეტილება სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტისა და სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტაზე უარის თქმის შესახებ.

3. საქართველოს პარლამენტმა 2000 წლის 20 მაისამდე შექმნას ეროვნული თანხმობის დროებითი საპარლამენტო კომისია, რომელიც უზრუნველყოს ეროვნული თანხმობის პროცესის გაგრძელებას და სამოქალაქო დაპირისპირების დასრულებას ამ დადგენილებაში ასახული მოთხოვნების, პრინციპებისა და სულისკვეთების გათვალისწინებით;

4. ეს დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პარლამენტის
თავმჯდომარე ზ. ჟვანია
თბილისი,
2000 წლის 20 აპრილი
№262–IIს

# საქართველოს პარლამენტის დადგენილება

## 1991-92 წლების დეკემბერ-იანვრის მოვლენების სამართლებრივი შეფასების შესახებ

საქართველოს პარლამენტი მიესალმება საქართველოში მიმდინარე ეროვნული თანხმობის პროცესს და მიიჩნევს, რომ უახლესი ისტორიის სწორი და პირუთვნელი სამართლებრივი შეფასება აუცილებელია ახალი ქართული სახელმწიფოს მშენებლობისათვის.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს პარლამენტი ადგენს:

1. საქართველოს პარლამენტი კვლავ ადასტურებს 1990 წლის 28 ოქტომბერს არჩეული საქართველოს უზენაესი საბჭოსა და 1991 წლის 26 მაისს არჩეული საქართველოს პრეზიდენტის, აგრეთვე მათდამი დაქვემდებარებული სტრუქტურების (შეიარაღებული ძალების ჩათვლით) და ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოების ლეგიტიმურობას სათანადო კანონმდებლობით დადგენილ ვადებში.

შესაბამისად გადაისინჯოს სისხლის სამართლის საქმეები იმ პირთა მიმართ, რომელთა ბრალდება ემყარებოდა მითითებულ სახელისუფლებო სტრუქტურებში მათ მონაწილეობას და მათ პოლიტიკურ მრწამსს.

2. დაიგმოს 1991-92 წლების დეკემბერ-იანვრის ანტიკონსტიტუციური შეიარაღებული სახელმწიფო გადატრიალება.

3. ეს დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პარლამენტის
თავმჯდომარის მოადგილე მ. მაჭავარიანი
თბილისი,
2005 წლის 11 მარტი.
№1104–Iს

... და ბოლოს გთავაზობთ ბოლო სამართლებრივ აქტს, რომელიც ძალაშია დღესაც:

# საქართველოს რესპუბლიკის დევნილი, ემიგრაციული მთავრობისა

# და

# „საქართველოს ჰელსინკის კავშირი - ეროვნული აღორძინების“

# 2014 წლის 26 მაისის

# ერთობლივი დადგენილება

## 1991-1993 წლების სახელმწიფო გადატრიალებისა და დღემდე შემდგომი პერიოდის სამართლებრივი, იურიდიულ-პოლიტიკური შეფასების შესახებ

2014 წლის 26 მაისის საქართველოს დევნილი, ემიგრაციული მთავრობისა და „საქართველოს ჰელსინკის კავშირი - ეროვნული აღორძინების“ ერთობლივ სხდომაზე მიღებულ იქნა დადგენილება 1991-1993 წლების სახელმწიფო გადატრიალებისა და დღემდე შემდგომი პერიოდის სამართლებრივი, იურიდიულ-პოლიტიკური შეფასების შესახებ:

1. ერთობლივი დადგენილების საფუძვლად ცნობილ იქნას 1992 წლის 13 მარტის საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დადგენილება, რომლის თანახმადაც:

1) 1991 წლის დეკემბრისა და 1992 წლის იანვრის მოვლენები, რომლებიც მოხდა საქართველოში, კვალიფიცირებულ იქნას, როგორც სამხედრო სახელმწიფო გადატრიალება;

2) არაკანონიერი ხელისუფლების („სამხედრო საბჭო“, „დროებითი მთავრობა“, „სახელმწიფო საბჭო“ და ა. შ.) შექმნა კვალიფიცირებულ იქნეს როგორც ხელისუფლების უზურპაცია;

3) ყველა აქტი, რომელიც მიღებულია საქართველოს არაკანონიერი ხელისუფლების მიერ, მათ შორის პარლამენტის არჩევნების დანიშვნის აქტი, გამოცხადდეს იურიდიულ ძალის არმქონედ;

4) სახელმწიფო გადატრიალების ორგანიზატორების მოქმედება კვალიფიცირებულ იქნას როგორც სამშობლოს ღალატი.“;

2. გაფართოვდეს სახელმწიფო გადატრიალების დროითი არეალის განსაზღვრა და სამართლებრივად, პოლიტიკურად და იურიდიულად კვალიფიცირებულ იქნას იგი, როგორც 1991-1993 წლების სახელმწიფო გადატრიალება. ასევე, სახელმწიფო გადატრიალებიდან გამომდინარე დღემდე განვითარებული შემდგომი პროცესები, როგორიცაა სახელმწიფო გადატრიალების შედეგად სახელმწიფო მმართველობაში ძალადობის გზით მოსული არაკანონიერი ხელისუფლების სტრუქტურების - ,,სამხედრო საბჭოს", ,,სახელმწიფო საბჭოსა და შემდგომ არალიგიტიმური არჩევნებით მოსული საკანონმდებლო, ასევე აღმასრულებელი, სასამართლო სახელისუფლო შტოთა და არაკანონიერად არჩეული და დანიშნული თვითმმართველობით ორგანოების შექმნა კვალიფიცირებულ იქნეს, როგორც ხელისუფლების უზურპაცია და სახელმწიფოებრივად დანაშაულებრივი აქტები, რათა მომავალში გამორიცხული იქნას ამ გზით ხელისუფლების შეცვლა.

ასევე, საყოველთაოდ აღიარებულ უნდა იქნას, რომ საქართველოში, შინაგანმა და გარეგანმა ანტიეროვნულმა და ანტისახელმწიფოებრივმა ძალებმა, რუსეთის სახელისუფლებო წრეების წარმომადგენლების უშუალო ხელმძღვანელობითა და დასავლეთის ქვეყანათა ჩუმი თანხმობითა და მხარდაჭერით მოაწყვეს შეთქმულება, აგრესია და განახორციელეს პუტჩი. 1991 წლის შუა წელიდან მოყოლებული, 1991-1992 წლების დეკემბერ-იანვრის, ცნობილი, სისხლიანი პუტჩით გაგრძელებული მოვლენებით, რომლის შედეგადაც 1992 წლის დამდეგს განდევნილი ეროვნული მთავრობა იძულებული გახდა დაეტოვებინა დედაქალაქი თბილისი (სადაც გრძელდებოდა მისი მხარდამჭერების მასსობრივი უმძაფრესი საპროტესტო მოძრაობა) და ბრძოლა განეგრძო უმთავრესად ჯერ დასავლეთ საქართველოში, შემდგომ მთელს ქვეყანაში, რაც, 1993 წლის შუახანებში, გადაიზარდა ეროვნული, ლეგიტიმური ხელისუფლების კონსტიტუციური წესრიგის აღდგენის მასობრივ, ძირითადად მშვიდობიან, შეუიარაღებელ მოძრაობაში. მაგრამ, სსრკ-ის სამართალმემკვიდრე რუსეთისა და ე. წ. ,,დასავლეთის" საქართველოს შინაურ საქმეებში უხეში ჩარევით, ამ მოვლენათა კულმინაცია გახდა მასშტაბური ერთობლივი შეიარაღებული ინტერვენცია დასავლეთ საქართველოში. საბოლოოდ კი, ეს პროცესი შეწყდა მას შემდეგ, რაც საინტერვენციო ძალების შეტევის შედეგად საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი - ზვიად გამსახურდია თავის პოსტზე თავგანწირულად დაიღუპა, ხოლო ეროვნული, ლეგიტიმური მთავრობა იძულებული გახდა დევნილობაში წასულიყო;

3. 1991-1993 წლების შეიარაღებულმა სამხედრო-კრიმინალურმა, სახელმწიფო გადატრიალებამ საფუძველი დაუდო ტოტალურ უკანონობას, ქვეყნის დამოუკიდებლობისა და ტერიტორიული მთლიანობის ხელყოფას, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა მასობრივ დარღვევებს, დაამკვიდრა რა ძალმომრეობის კულტი, მოსახლეობის ნაწილში დაამდაბლა სამართალშეგნება, ან სულაც უარი ათქმევინა მას კანონის უზენაესობის პრინციპზე. ამან კი თავისთავად დააბრკოლა საქართველოში სამართლიანობის, დემოკრატიისა და თავისუფლების განმტკიცება, ქართული დამოუკიდებელი სახელმწიფოს გაძლიერება და, ამასთან, ქვეყნის საკაცობრიო განვითარებაც. ცხადია, შექმნილმა ვითარებამ განსაზღვრა თავისუფლებისა და დემოკრატიის საფუძვლად ძალადობის მიჩნევა, რამაც მრავალ უკიდურესობას მისცა გასაქანი.

უდაოა, სწორედ, რომ 1991-93 წლების შეიარაღებული, სისხლიანი, სახელმწიფო, სამხედრო გადატრიალების გზით დაამხეს საქართველოს რესპუბლიკის კანონიერი ეროვნული, სახალხო ხელისუფლების ყველა შტო და შესაძლებლობა მოუსპეს კანონიერ ხელისუფლებას ეწარმოებინა აქტიური პოლიტიკა სახელმწიფოებრიობის აღორძინებისა და განვითარების მიმართულებით, დაამკვიდრეს ანტიქართული და ანტისახალხო კრიმინალური, ნომენკლატურული რეჟიმი.

ძალადობის გზით მოსულმა ხუნტის ხელისუფლებამ, ასევე უკანონოდ, რუსეთის საოკუპაციო ჯარს მიანიჭა მეგობარი ქვეყნის ჯარის სტატუსი და გამოაცხადა საქართველოს შეყვანა რუსეთის ნეოიმპერიაში – დსთ-ში.

ასევე, აღსანიშნავია, რომ 1992-2014 წლებში (უდაოა, ასე იქნება მისი მმართველობის შემსგომ წლებშიც) უკანონო რეჟიმების მიერ დაიდო საქართველოსათვის წამგებიანი ბევრი ხელშეკრულება. საქართველოს სახელმწიფოს სახელით მილიარდობით სესხი აიღეს ხელისუფლებაში უკანონო გზით მოსულმა კრიმინალურმა კლანებმა. არაკანონიერი ხელისუფლების მიერ უცხოური ბანკებიდან ნასესხები თანხა გამოყენებულ იქნა კრიმინალთა კერძო ინტერესების შესაბამისად, არადა, მათი გადახდის ვალდებულება დაკისრებულია საქართველოს სახელმწიფოსათვის.

ამრიგად, ყველა აქტი, რომელიც მიღებულია 1992-2014 წლებში (შესაძლოდ, ფაქტობრივი, უკანონო მმართველობის შემდგომ წლებშიც) საქართველოს არაკანონიერი ხელისუფლებათა მიერ, მათ შორის, არალეგიტიმური საკანონმდებლო (პარლამენტების), აღმასრულებელი, თუ ადგილობრივი თვითმმართველობითი ორგანოების არჩევითი, თუ დანიშვნითი და სხვადასხვა, სახელმწიფოსათვის მავნე აქტები, გამოცხადდეს იურიდიული ძალის არმქონედ. ამიტომაც, საქართველომ, სხვა მნიშვნელოვან პრობლემათა შორის, უნდა გადაჭრას უპირველესი პრობლემა: უნდა აღსდგეს და მოწესრიგდეს საქართველოს სახელმწიფოებრივი კანონიერების, სამართალმემკვიდრეობისა და ტერიტორიული მთლიანობის სამართლებრივი საფუძველი, რაც ქვეყნის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ მოწყობასა და, მასთან

ერთად, ქვეყნის ხელისუფლების შიდა ადმინისტრაციულ ერთეულებთან ურთიერთობებს დაარეგულირებს.

ამრიგად, დემოკრატიის პრინციპების შესაბამისად, გადასინჯულ იქნას ყველა ის კანონი, რომელმაც განსაზღვრული დაბრკოლებები შექმნა დამოუკიდებელი საქართველოს განვითარების სფეროებში. უნდა შემუშავდეს, მომზადდეს და სამომავლოდ, რეფერენდუმის გზით, მიღებულ იქნას ახალი ეროვნული კონსტიტუცია და სამართლებრივი აქტები, სადაც ასევე აღნიშნული იქნება სახელისუფლო კანონიერებისა და მისი სამართლებრივი უწყვეტობის საკითხი, რითაც ერთხელ და სამუდამოდ უნდა გადაიჭრას ქვეყნის სამართლებრივი, პოლიტიკური და იურიდიული მოწყობის სამართლიანობისა და კანონის უზენაესობის საკითხი;

4. 1991-1993 წლების სახელმწიფო გადატრიალების ორგანიზატორებმა და მხარდამჭერებმა, და შემდგომმა უკანონო მთავრობებმა, 1993 წლის მიწურულიდან ძალაუფლება მთელ საქართველოში ჩაიგდეს ხელთ. ანტიქართულმა, ანტიეროვნულმა ძალებმა, რომლებიც არსებითად დამპყრობლებად მოგვევლინენ, უმკაცრესი ზომებით, მასობრივი რეპრესიებით დათრგუნეს საერთო-სახალხო ეროვნული მოძრაობა, ეროვნული მოძრაობის ორგანიზაციები. 1992 წლიდან მოყოლებული, საქართველოს დამპყრობლურმა, ანტიეროვნულმა რეჟიმებმა არაერთი არალეგიტიმური საერთა-შორისო აქტებით არსებითად დაამკვიდრეს საქართველოს გაყოფა რუსეთისა და დასავლეთის გავლენის სფეროებად. საქართველოში მძაფრდება და ღრმავდება ინსპირირებული დემოგრაფიული კატასტროფა, ეკონომიკური დამონება, მთელი ქართველი ერის პროლეტარიზება, კულტურული დეგრადაცია.

აღსანიშნავია, რომ სახელმწიფო გადატრიალებამ, პუტჩისტთა და მათ მემკვიდრეთა უკანონო გადაწყვეტილებებმა, საქართველოს რესპუბლიკის სამართლებრივი კონსტიტუციის შეჩერებამ, საქართველოს ტერიტორიულ დანაწევრების მიმართულებით, ასევე, გზა მისცა, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ძირითადი სამართლებრივი ბაზის გამოსაცლელად. 1991-1993 წლების სახელმწიფო გადატრიალებამ თავიდანვე დაარღვია სახელმწიფოებრივად მოწესრიგებული მდგომარეობა, გააუქმა და არარსებული გახადა კანონი, რომელიც არეგულირებდა დამოკიდებულობას საქართველოს ცენტრალურ ხელისუფლებას, აფხაზეთისა და პუტჩისტთა მიერ შემოღებული ტერმინოლოგიით დამკვიდრებული, უკანონო, ე. წ. ,,სამხრეთ ოსეთის'' ე. წ. ხელისუფლებას შორის, რისი ერთ-ერთი ძირითადი შედეგიც არის ის, რომ სეპარატისტული ხელისუფლებების ჩამოყალიბებით, საფუძველი დაედო საქართველოს ტერიტორიის „სამართლებრივ“ დანაწევრებას, რასაც მოჰყვა 1992-1993 წლების, აფხაზეთისა და შიდა ქართლისა და ასევე, 2008 წლის აგვისტოს, ,,დასავლეთის" წაყრუებით, ჩუმი მხარდაჭერითა და ინერტულობით, რუსეთ-საქართველოს ომით გამოწვეული ტერიტორიების შემდგომი ფაქტობრივი დაკარგვა და მსოფლიო ცივილიზებული ქვეყნების აზრის საწინააღმდეგოდ რუსეთის მიერ ცალმხრივად აფხაზეთისა და ე. წ. ,,სამხრეთ ოსეთის" ,,რესპუბლიკების'' დამოუკი-დებლობის ცნობა.

საგანგებოდ აღსანიშნავია, რომ არალეგიტიმური ხელისუფლების რეორგანიზების დაწყებიდან დღემდე:

ა) ფაქტობრივმა ძალაუფლების მქონე მმართველობამ და მათ უკან მდგარმა ძალებმა ცალსახად არ განაცხადეს მათი დამოკიდებულება 1991-1992 წლების პუტჩისა და შემდგომ - 1993 წელს რუსეთის არმიის ინტერვენციის გზით კანონიერი ხელისუფლების ხელახალი განდევნის გამო;

ბ) მათ არ მიიღეს არავითარი ზომები პოლიტპატიმრების, პოლიტრეპრესირებულთა და პოლიტიკური დევნილების დაუყოვნებლივი სრული რეაბილიტაციისათვის;

გ) არ დაწყებულა რეჟიმის მიერ ჩადენილ დანაშაულებათა რაიმე გამოძიება ან შესწავლა;

დ) 1992 წლიდან დღემდე, ფაქტობრივმა რეჟიმმა გააყალბა, მათ მიერ ისედაც უკანონოდ დანიშნული, საპრეზიდენტო, საპარლამენტო და ადგილობრივი თვითმმართველობითი არჩევნები;

ე) მიიტაცა აღმასრულებელი, საკანონმდებლო და სასამართლო ხელისუფლება;

ვ) ქვეყანაში მოკლა პოლიტიკური პროცესი და ოპონენტებს დაუტოვა მხოლოდ ქუჩის პოლიტიკის არეალი, ციხეები გაავსო პოლიტპატიმრებით, დაიმორჩილა მედიის დიდი ნაწილი და აწარმოებს საზოგადოების ცნობიერებაზე მავნე ზემოქმედებას;

ზ) ეკონომიკის ,,პრიორიტეტად” აქცია წართმევა, სოციალური დაცვის პოლიტიკა შემოფარგლა უკანონოდ დევნილთა ბანაკების მშენებლობით, გააღატაკა მოსახლეობა, მიზანმიმართულად გაანადგურა პროფესიონალი კადრები, სამარცხვინოდ დაკარგა სამაჩაბლო და აფხაზეთი.

თ) დღემდე არსებული, არალეგიტიმური საქართველოს ფაქტობრივი ხელისუფლებები პირადი ანგარების მიზნით ნერგავენ ქართველთა შორის ცრუ იმედებს, დეზინფორმაციას და ამით უსინდისოდ მანიპულირებენ ხალხის აზრით. პარალელურად მიმდინარეობს ყველაფერ ეროვნულზე სასტიკი შეტევა და ყოველგვარი ეროვნული ფასეულობის განადგურება, ხდებოდა და ხდება ეროვნული დოვლათისა და სიმდიდრის არნახული დატაცება-პრივატიზება მმართველი კასტის მიერ. ქართველობა „ერი-პროლეტარი” გახდა, ხოლო მთელ მწარმოებლურ კაპიტალს უცხოელები დააპატრონეს, საშუალო ფენა კი პრაქტიკულად აკვანშივე ჩაკლეს;

ი) საქართველოში მოშლილია პოლიტიკური პერსპექტივებისა და პროცესების დემოკრატიული, საზოგადოებრივი ანალიზისა და თავისუფალ პაექრობაში საუკეთესო გზების მოძიების მექანიზმი. იმ პირობებში, როდესაც მასმედიის მთელი სიმძლავრეები მმართველი კასტის პროპაგანდისტული მანქანის როლს ასრულებს, პრაქტიკულად დამყარებულია ტოტალიტარული დიქტატურის სისტემა;

კ) დასავლეთი, რომელსაც საკუთარი ანგარებითი ინტერესები გააჩნია რუსეთის მიმართ, ბოროტად იყენებს რა ქართველობის ბუნებრივ მისწრაფებას, დაიბრუნოს გაყიდული აფხაზეთი და სამაჩაბლო, აიძულებს საქართველოს უკიდურესობამდე და სერიოზული დადებითი პერსპექტივის გარეშე გაამწვავოს ურთიერთობა რუსეთთან. ამავე დროს, თვალნათლივ გამოჩნდა, რომ დასავლეთს არ აქვს რაიმე დასტური ან შეთანხმება რუსეთის მხრივ აფხაზეთისა და სამაჩაბლოს საქართველოს პოლიტიკურ სივრცეში კვლავ რეალური გაერთიანების შესახებ (გარდა ლიტონი დეკლარაციებისა, რომ ცნობენ საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას) და საქართველოს ყოველგვარი რეალური გარანტიების გარეშე უბიძგებს რუსეთს ხისტად, მწვავედ, სარისკოდ დაუპირისპირდეს;

ლ) ევროკავშირსა და ,,ნატოში'' გაურკვეველ მომავალში და სათუო, ცრუ გაწევრიანების პერსპექტივებით, ისტერიული პოლიტიკური სპეკულაციების შედეგად, რეალურად და ამჟამადაც საქართველოს აქვს ამ სპეკულაციებით პროვოცირებული რუსეთული სადამსჯელო-დრაკონული მეთოდების გამოყენება საქართველოს მიმართ, არსებითად სრული ბლოკადა, ქართველობის რუსეთიდან დეპორტაცია, შესაბამისად, საქართველოს მოსახლეობისათვის და ეკონომიკისათვის ხელოვნურად პროვოცირებული სირთულეები;

,,ნატოში'' ვითომდა გაწევრიანების პერსპექტივებზე საუბრობდა, ჯერ კიდევ 1991 წელს, საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია, რომლის პასუხი კორესპონდენტის კითხვაზე - ,,ამბობენ, რომ საქართველო ნატოში შესვლას აპირებსო. მართალია ეს?", პასუხობს - ,,ეს სასაცილოა".

პუტჩისტთა სამართალმემკვიდრენი არიან დღემდე არსებული ფაქტობრივი ხელისუფალნიც, რომელნიც იძულებულნი იყვნენ, სრულად თუ არა, ნაწილობრივ მაინც, ეღიარებინათ 1991-1993 წლებში მომხდარი შეიარაღებული სახელმწიფო გადატრიალება: ,,საქართველოს პარლამენტის" 2000 წლის 20 აპრილის დადგენილებით, შეფასებულია, როგორც კანონიერი ხელისუფლების დამხობა და სამოქალაქო კონფრონტაცია, ეს იყო კომუნისტურ-ნომენკლატურული რევანში, ხოლო 2005 წლის 11 მარტის ,,საქართველოს პარლამენტის" დადგენილებით არაკონსტიტუციურად იქნა ცნობილი: „საქართველოს პარლამენტი კვლავ ადასტურებს 1990 წლის 28 ოქტომბერს არჩეული საქართველოს უზენაესი საბჭოსა და 1991 წლის 26 მაისს არჩეული საქართველოს პრეზიდენტის, აგრეთვე მათდამი დაქვემდებარებული სტრუქტურების (შეიარაღებული ძალების ჩათვლით) და ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოების ლეგიტიმურობას სათანადო კანონმდებლობით დადგენილ ვადებში. დაიგმოს 1991-1992 წლების დეკემბერ-იანვრის ანტიკონსტიტუციური შეიარაღებული სახელმწიფო გადატრიალება”.

უშედეგოდ დამთავრდა და მთავრდება ყოველი მათი არათანმიმდევრული ცდა ეროვნული შერიგებისა და თანხმობის ნიშნით შენიღბვისა – ეროვნული თანხმობის

დეკლარაციებისა და სხვადასხვა პოლიტიკური მაქინაციების სახით. ყველა უბედურება, რაც საქართველოს დაატყდა თავს 1992 წლიდან, ლეგიტიმურობის დარღვევითაა გამოწვეული და 3 მავანთ, არ სურთ და არ ძალუძთ ლეგიტიმურობაზე დაბრუნება. ყველაფერ ამაზე პასუხისმგებლობა კი, ეკისრებათ იმათაც, ვისაც, ეხლაც, კვლავ ,,საერთო-სახალხო ჯანყითა'', თუ ე. წ. ,,კოჰაბიტაციური" მოჩვენებითი პოლიტიკური გზებით სურთ ისარგებლონ და სახელმწიფო ხელისუფლებაზე აცხადებს პრეტენზიებს, ვინც რეჟიმთან კოლაბორაციონისტობდა და ლეგიტიმიზების მორიგ მცდელობაშია არალეგიტიმური საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნების გზით;

შედეგად, სახელმწიფო გადატრიალების ორგანიზატორების, მხარდამჭერებისა და შემდგომ, უკანონო მთავრობების, ანტიქართული, ანტიეროვნული ანტისახელმწიფოებრივი ძალების მოქმედება კვალიფიცირებულ იქნეს, როგორც სამშობლოს ღალატი;

5. საყოველთაოდ ცნობილია, რომ ტრადიციული, ანუ რელიგიაზე, სარწმუნოებაზე, შესაბამისად, ზნეობასა და სულიერებაზე დაფუძნებული სახელმწიფოები ოდითგანვე იმართებოდა სიტყვის ავტორიტეტზე, თაყვანისცემაზე დაყდნობით, ანუ ხალხს აერთიანებდა სიტყვა და არა მატერიალური რამ.

არსებითწილად სახელმწიფოების წარმოქმნა და განსახელმწიფოებრივებული ხალხების არსებობისა და ორგანიზაციის საყოველთაო წესად, ხერხად და მეთოდად გადაქცევა უმჭიდროესადაა დაკავშირებული „სახელმწიფო რელიგიაზე“, „სახელმწიფო სარწმუნოებაზე“, „სახელმწიფო სიტყვაზე“, ანუ ისევ და ისევ სიტყვის (არამატერიალურის) ავტორიტეტსა და თაყვანისცემაზე დაფუძნებულ სისტემაზე. უფალთან დაახლოებამ ყოველ ცალკეულ ადამიანს, ცოდვათა მიტევების, სამუდამო სასუფევლის, უფლის მადლის მოპოვების საშუალება მისცა, რათა გათითოკაცებული ადამიანები კვლავ და უფრო ძლიერად გაერთიანებულიყვნენ ღვთის სიყვარულში და ურთიერთისადმი ღვთიურ სიყვარულში. ამდენად გათითოკაცებული ადამიანების გაერთიანების საფუძველი გახდა უფლის ავტორიტეტი და თაყვანისცემა. მართალი და შეურყვნელი ღვთიური სიტყვა კი, პირველ რიგში, მოციქულთა და წმინდა ღვთისმეტყველთა საშუალებით მიჰქონდათ მიწიერ და ცოდვილ ადამიანებთან. მართალია, დროდადრო ქრისტიანული ქვეყნები ყოველმხრივ დაწინაურდნენ და თანამედროვე ცივილიზაციის მამოძრავებლები გახდნენ, მაგრამ ეკონომიკურმა განვითარებამ, მატერიალური სიმდიდრის უზარმაზარმა დაგროვებამ, სიყვარულის სიტყვის მადლის მეოხებით განვითარებულ და დაწინაურებულ ხალხებშიც გააჩინა მატერიალურის, სიმდიდრის გაკერპების ტენდენციები. სიმდიდრის, მატერიალურის კერპი თანდათანობით სულ უფრო და უფრო ძლიერი გახდა და დაუპირისპირდა ღვთიური სიყვარულის სიტყვას. სამწუხაროდ, მანამდე ასკეტიზმით გამორჩეულ ეკლესიაშიც დაიწყო სიმდიდრის კერპმა გავლენის მოპოვება.

საქართველოში, სამწუხაროდ, ეკლესიის პოზიცია მიუხედავად რთული პოლიტიკური დაპირისპირებების ფონისა, ყოველთვის როდია მოზომილი და კონკრეტულ შედეგებზე გათვლილი, იგი ხშირად მმართველი პოლიტიკური რეჟიმის მიმართ დამთმობი და უუნაროა, არადა, ამ დროს, ეკლესია აუცილებელია იყოს ეროვნულ-სარწმუნოებრივი იდეოლოგიის ყველაზე მნიშვნელოვანი ქვაკუთხედი.

სამწუხაროდ, იმ ავბედით წლებში, როცა მოხდა 1991-1993 წლების სახელმწიფო გადატრიალება და მისგან გამომდინარე, დღემდე განვითარებულ შემდგომ პროცესებშიც ვერ აღმოჩნდა სათანადო ეროვნულ-სარწმუნოებრივ დონეზე ვერც საქართველოს სამოციქულო ეკლესია და მისი მესვეურნიც. პირიქით, სამწუხაროდ, ბევრი მათგანი უშუალო მონაწილეც კი შეიქმნა იმ მოღალატური პროცესებისა, რის გამოც კვალიფიცირდებიან, როგორც სახელმწიფო გადატრიალების თანამონაწილენი და სამშობლოს მოღალატენი.

ფუძემდებლური მომენტია: ქართული მართლმადიდებელი ეკლესია აუცილებლად უნდა დადგეს ერის გვერდით. მან მთელი თავისი სულიერ-ზნეობრივი ძლიერებით უშუალო მონაწილეობა უნდა მიიღოს საერთო-ეროვნული აღორძინების პროცესში, რითაც უნდა გამოიკვეთოს ჩვენს ეპოქაში შექმნილი სულიერი ვაკუუმის ქრისტიანული რწმენით შევსების ტენდენცია.

,,იბერია – საქართველო გაბრწყინდება!" – ქართული სახელმწიფოებრიობის ფაქტობრივად ერთადერთი ,,პოლიტიკური დოქტრინაა'', რომელიც პოლიტიკური მართლმადიდებლობისა და ქართული ეროვნულობის ჰიბრიდმა წარმოშვა და უკანასკნელი ოცი წლის განმავლობაში ქართულ პოლიტიკურ ცნობიერებაში დომინირებს.

რადგანაც ამ ხნის მანძილზე საქართველოში მოქმედ არცერთ ფაქტობრივ სახელისუფლებო, თუ ოპოზიციურ პოლიტიკურ ძალას რეალობასთან მიახლოებული ქართული სახელმწიფოებრიობის არანაირი კონცეფცია არ შეუქმნია, ეს ფორმულა ერთადერთი პოლიტიკური რეალობის განსახიერებად იქცა.

აუცილებელია განმტკიცდეს ქრისტიანული მართლმადიდებლური ქართული ტრადიციული რელიგია. ერისა და ქვეყნის სულიერი, ზნეობრივი ამაღლებისათვის აღიარებული უნდა იქნეს რწმენისა და სინდისის თავისუფლება. ერთა თანაარსებობის ზემოთ მითითებულ ტრადიციებზე დაყრდნობით სახელმწიფოს მიერ ხელი უნდა შეეწყოს რელიგიური თვითმყოფადობის დაცვას. თავსებადობის ამ პრინციპთა ცხოვრებაში გატარება ქართული სახელმწიფოებრიობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მახასიათებელი უნდა გახდეს (მით უფრო, რომ ეროვნულ უმცირესობათა ეთნიკურ, კულტურულ, ენობრივ და რელიგიურ თვითმყოფადობის დაცვის პრინციპებს კონსტიტუციური კანონის ძალა აქვს), რაც მისი საერთაშორისო ავტორიტეტის გარანტადაც იქცევა. საქართველოს სახელმწიფოებრივი აღორძინება, მისი დამოუკიდებლობის აღდგენა ვერ მოხერხდება ეროვნულ-სარწმუნოებრივი, ზნეობრივი აღორძინების გარეშე და ყოველივე ამას ადასტურებს საქართველოს წარსულიცა და აწმყოც.

აქვე, ნიშანდობლივია იმის აღნიშვნა, რომ დღევანდელი საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი – ეროვნულ-სარწმუნოებრივი მოძრაობა, ეს არა სხვადასხვა, განსხვავებული, არამედ ერთიანი, თავისი შინაგანი არსით ეროვნულ-რელიგიური მოძრაობაა, რამდენადაც იგი არ გულისხმობს მხოლოდ ეროვნულ-პოლიტიკური მიზნების განხორციელებას, არამედ უპირველესყოვლისა ითვალისწინებს ზნეობრივ აღორძინებას ქრისტიანულ რწმენასა და ცნობიერებაზე დაყრდნობით. ქართული მართლმადიდებელი ეკლესია და მისი მრევლი დღეს შეურაცხყოფილია.

აქედან გამომდინარე, ლეგიტიმურმა, საქართველოს რესპუბლიკის ეროვნულმა მთავრობამ (ხელისუფლებამ) უნდა იღვაწოს კიდეც ეკლესიასა და სახელმწიფოს შორის ტრადიციული ერთობის აღსადგენად, რათა ეროვნული სახელმწიფოს ავტორიტეტი დაეფუძნოს, არა მარტო ხელისუფლების სოციალურ-პოლიტიკურ განსაზღვრულობას, არამედ უმეტესწილად ქრისტიანულ ზნეობრივ საწყისებს. სამართლებრივი ეროვნული სახელმწიფოს დამოკიდებულება ეკლესიისადმი უნდა დაეფუძნოს ეროვნული ეკლესიის რელიგიურ-ზნეობრივი ავტორიტეტის უზენაესობისა და განსაკუთრებული სოციალური ფუნქციის აღიარებას.

ეკლესიის სამოციქულო მოღვაწეობის სულიერი ბუნება თავისთავად გამორიცხავს მის უშუალო მონაწილეობას ქვეყნის პოლიტიკურ სისტემაში, მაგრამ პოლიტიკური სისტემიდან ეკლესიის გამოყოფა არ უნდა ნიშნავდეს სახელმწიფოსა და ეკლესიის ურთიერთგათიშვას. სახელმწიფო და ეკლესია არ უნდა ერეოდნენ ურთიერთის საქმიანობაში, მათ ერთობლივად უნდა უზრუნველყონ საერო და საეკლესიო ცხოვრების მთლიანობა, რომელიც იმავდროულად პოლიტიკური სისტემისა და ეკლესიის ურთიერთდამოკიდებულებას დაემყარება. აუცილებელია, ხალხისა და მრევლის საწინააღმდეგო არასახელმწიფოებრივი ნაბიჯების გადადგმისას, დროზე მოეგონ გონს ერისა და ბერის მამამთავარნი, რათა თავიდან იქნეს აცილებული შესაბამისი პრობლემები. ერშიც და ბერშიც საღმა აზრმა უნდა გაიმარჯვოს, რათა განიწმინდონ უკეთურნი. შესაბამისად ამ საკითხთან მიმართებაში კი, უპირველეს ყოვლისა, ეკლესიამ, მრევლის მოთხოვნით, უნდა თქვას თავისი ეროვნულ-სარწმუნოებრივი სიტყვა.

უმნიშვნელოვანესია, რომ დღესაც, არსებული მძიმე სიტუაციიდან ერთადერთი სწორი გამოსავალი იქნებოდა, ჩვენი დიდი წინაპრების მაგალითზე, მოწვეულ იქნას მნიშვნელობით ,,რუის-ურბნისის" სადარი საეკლესიო კრება. აღსანიშნავია, რომ ,,ახალი რუის-ურბნისის" საეკლესიო კრება უნდა დაეყრდნოს მართლმადიდებელი ეკლესიის სამართლებრივ კანონმდებლობას, დიდი რჯულის კანონს. ,,ახალი რუის-ურბნისის" საეკლესიო კრება არ შეიძლება მივაკუთვნოთ რიგით ადგლობრივ კრებათა რიცხვს, იგი უნდა იყოს საგანგებოდ მოწვეული განსაკუთრებული კრება, რომელიც გადაწყვეტს საქართველოს ეკლესიის წინაშე მდგარ ყველა საჭირბოროტო საკითხს.

და საბოლოოდ, დღესაც უნდა ,,...დღეთა მრავალთა ფრიადთა გამოწულილვითა კეთილად გამოიძიონ და ყოველი ცთომა განმარტონ, კეთილი და სათნო ღმთისა წესი ყოველი დაამტკიცონ".

იმედია, დღესაც ინებებს უფალი და ,,რუის-ურბნისის" საეკლესიო კრება საფუძვლად დაედება ჩვენი ქვეყნის ეროვნულ-სარწმუნოებრივ გაერთიანება-გაძლიერებას. ერისა და ბერის ურთიერთთანადგომა ხომ ყოველთვის საქართველოს ძლიერების ქვაკუთხედია. ჩვენც, ამდაგვარად, წმიდა კანონთა დაცვით ჩვენს დიდ წინაპართა იმ გზას უნდა გავყვეთ, რომელმაც საქართველო სულიერ და მატერიალურ აღორძინებამდე მიიყვანა. დროა კვლავ დავეპატრონოთ, მაღლა ავსწიოთ, ავიტაცოთ ეროვნულ-სარწმუნოებრივი ცნობიერების მამულიშვილთა სისხლით შეღებილი კეთილშობილი დროშა და ეროვნულ-სარწმუნოებრივი ცნობიერებით გავაგრძელოთ ,,მამულისა ჩვეულებისამებრ სლვაჲ” ერის ხსნის გზაზე.
ჭეშმარიტად მორწმუნე სულისა და სიკეთის მსახურთ კი, მუდამ გვფარავდეს სიკეთითა და სათნოებით სავსე უფალი ჩვენი;

6. დღესაც, მნიშვნელოვანი და აქტუალურია საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის - ზვიად გამსახურდიას გამაფრთხილებელი გამოსვლა უზენაესი საბჭოს საგანგებო სესიის სხდომაზე 1991 წლის 8 ოქტომბერს: ,, . . . აი მაგალითად, იყო წამოყენებული მოთხოვნა ჩემი გადადგომის შესახებ, ყველამ კარგად იცით, რომ მე არ ვეჭიდები ამ თანამდებობას და უკიდურესად მძიმეა და რთულია ჩემთვის ამ მოვალეობის შესრულება, ძალზე მძიმეა და ვინც არ უნდა იყოს ჩემს ადგილას, ყველასთვის ეს იქნება უკიდურესად მძიმე ჯვარი. ამას მე სრულის პასუხისმგებლობით ვაცხადებ. ამავე დროს პირდაპირ გეუბნებით, მიუხედავად იმისა, რომ (პიროვნულად) არა ვარ მე მოსურნე ამ პოსტზე დარჩენისა, ამას მე გულწრფელად ვაღიარებ, ჩემი ამ პოსტიდან წასვლა გამოიწვევს საქართველოში სულ მცირე რამდენიმე ათეული პარალელური მთავრობის შექმნას და რამდენიმე ათეული პრეზიდენტის აღმოცენებას. უფრო მეტიც, გამოიწვევს საქართველოს ადგილზე რამდენიმე სახელმწიფოს ჩამოყალიბებას, აბსოლუტური გადაჭარბების გარეშე გეუბნებით, ფრჩხილებს არ ვხსნი, ყველანი მიხვდით. . . . საქართველოში დაიწყება იგივე ლიბანიზაცია, რასაც ჩვენ დავინახავთ თბილისის ტერიტორიაზე. ამას შედეგად ის არ მოყვება, რაც ეგონათ, რაც გონია ზოგიერთს, რომ შემოვა რუსეთი, მოსკოვი და იქ დაამყარებს სამხედრო დიქტატურას. ვერ დაამყარებს, ფიზიკურად ვერ დაამყარებს საქართველოში ამას. საქართველო გახდება მსხვერპლი ტოტალური ანარქიისა და საერთოდ საქართველოს არსებობა დადგება კითხვის ნიშნის ქვეშ. . . . რა უნდა მოხდეს იმისათვის, რომ ეს ყოველივე ავირიდოთ თავიდან? . . . აი, ამაში ჩვენ უნდა ვიყოთ ერთნი, საქართველოს ხსნაში, წესრიგის აღდგენაში და სამოქალაქო მშვიდობის დამყარებაში, თუ ჩვენ ამაში არ შევერთდით, ამ პარლამენტის არსებობას არავითარი აზრი არა აქვს. მაშინ მე პირადად და პირუთვნელად მოგახსენებთ, იძულებული გავხდები დავითხოვო ეს პარლამენტი და თვითონაც გადავდგე, თუ თქვენ მე არ ამომიდგებით მხარში, რომ საქართველოში დავამყარო წესრიგი, რომ ვიხსნათ საქართველო ამ საშინელი ანარქიისაგან. . . . ჩვენთან პარლამენტური რესპუბლიკა ეს არის დაღუპვა ერისა და დაღუპვა იმ პარლამენტისაც, აი ეს დაიმახსოვრეთ. ხოლო საპრეზიდენტო ხელისუფლება არის ერთადერთი ხსნა ჩვენი ერისა. უნდა იყოს ძლიერი პრეზიდენტი და ძლიერი საპრეზიდენტო ხელისუფლება. გახსოვდეთ, ამის გარეშე საქართველოს ხსნა არ არსებობს. ამის გარეშე იქნება ყველაფერი ის, რაც მე თქვენ წეღან მოგახსენეთ.. . . მოდით, დღეს მივცეთ სათანადო შეფასება ყველაფერს, გამოვიტანოთ სათანადო დადგენილებები და აღვადგინოთ საქართველოში სამოქალაქო მშვიდობა და წესრიგი".

ეროვნული, ანუ კანონიერი ხელისუფლების სამართალმემკვიდრეობის აღდგენა, პირველ რიგში და საფუძველში, გულისხმობს მის აღდგენას, როგორც ეროვნულ-სარწმუნოებრივი მოძრაობის ინსტიტუციისას, ინსტრუმენტისას და არა რაღაც განყენებული აბსტრაქციისას, ანუ ლეგიტიმურობის აღდგენა პირველ რიგში გულისხმობს საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობიდან გარდასახული ეროვნულ-სარწმუნოებრივი მოძრაობის, ზოგადად, ქართველი ერის ეროვნულ-სახელმწიფოებრივი მიზნების განმახორციელებელი ხელისუფლების აღდგენას. ლეგიტიმურობა და კანონიერება ეროვნულ-სარწმუნოებრივ მსოფლმხედველობასა და იდეოლოგიაზეა აგებული და არა შემონერგილ, რაღაც ტრანს-ნაციონალურ-ინტერნაციონალურ აბსტრაქტულობებზე. ამავე დროს, აუცილებელია და უნდა მოხდეს სრული, ჭეშმარიტი ეროვნული თანხმობა და შერიგება საქართველოს სახელმწიფოებრივი აღდგენა-აღორძინებისა და განვითარების ძირითად პრინციპებზე დაყრდნობით, რათა მშვიდობიანი პოლიტიკური ბრძოლის, დაშვებულ შეცდომათა აღიარება-მონანიებისა და მიტევების გზით შეიქმნას პირობები, საფუძველი და გარანტი სამართალმემკვიდრეობისა და კანონიერების აღდგენის,

ოკუპაცია-ანექსიის შედეგების ლიკვიდაციისა და საქართველოს ჭეშმარიტი ეროვნულ-სახელმწიფოებრივი აღორძინებისათვის.

დამოუკიდებლობის შენარჩუნებას საქართველო შესძლებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ თავისუფლებას მოიპოვებს და შეინარჩუნებს. დღეს ბრძოლით ხელახლა უნდა მოვიპოვოთ თავისუფლებაცა და კეთილდღეობაც. ბრძოლის გარეშე კი, ვერავინ ვერაფერს მოიპოვებს.

შესაძლოა, ისტორიის ამ ფაზაზეც, როცა კვლავ არსებობს და საგრძნობლად გაღრმავდა მმართველი რეჟიმის დელეგიტიმაციის პროცესი, საქართველოში კვლავ დღის წესრიგში დადგეს სამართალმემკვიდრეობისა და კანონიერების აღდგენისათვის შესაბამისი თავისებური სიტუაციის წარმოშობა.

საქართველოს ეროვნულ–სარწმუნოებრივ მოძრაობაში ინტეგრირებულმა ძალებმა იმპერიულ ცენტრებთან და მის ადგილობრივ ადმინისტრაციებთან ბრძოლის თავისებური, ფრთხილი სინთეზური ტაქტიკა უნდა აირჩიოს ასევე ტაქტიკური ბრძოლის ორიენტირად. ამ ტაქტიკაში ერთმანეთს უნდა შეერწყას, როგორც სამოქალაქო და ეროვნული დაუმორჩილებლობის კურსი, ისე წმინდა პოლიტიკურ-პრაგმატული თვალსაზრისით აუცილებელი მოლაპარაკებებისა და იძულებითი კონტაქტების (მაგრამ არა კაპიტულაციებისა და კომპრომისების) კურსი, რის საფუძველზეც რეჟიმის მიერ თავისივე განვლილი პერიოდის უკანონობა უნდა დაფიქსირდეს თავიანთივე გადაწყვეტილებით. შემდგომ კი ერთობლივი შეთანხმებით, უნდა აღსდგეს კანონიერი საკონსტიტუციო წესრიგი, შესაბამისი სამართლებრივი საკანონმდებლო ბაზის ამოქმედებით და უშუალოდ კანონიერი ხელისუფლების მიერ უნდა დაინიშნოს და ჩატარდეს საყოველთაო, ლეგიტიმური, მრავალპარტიული, დემოკრატიული და თავისუფალი არჩევნები.

ცხადია, რომ ამას ხელი უნდა შეუწყოს საერთაშორისო დონეზე გლობალურმა პროცესებმაც, რისი იურიდიულ ბაზა საჭიროებისამებრ უნდა შექმნას თუნდაც გაეროს გენერალურმა ასამბლეამ სპეციალური დეკლარაციით, რითაც ბოლო მოეღება ე. წ. თალასოკრატიული იმპერიების არსებობას. ამ იმპერიების ტერიტორიულ-სახელმწიფოებრივ სტრუქტურას მეტროპოლია-კოლონიის სუბორდინაციის სისტემაზე აგებული იურიდიული ხასიათი უნდა ჰქონდეს.

საქართველოს რესპუბლიკის დევნილმა, ემიგრაციულმა მთავრობამ, რეალურად ეროვნული ოპოზიციური სტრუქტურების კოორდინაციის გზით, უნდა აიღოს პოლიტიკური ინიციატივა ეროვნულ-სარწმუნოებრივი იდეისა და ლეგიტიმიზაციის ფაზის წარმატებით განხორციელებისათვის,

ამ ახალ ეტაპზე, საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის - ეროვნულ-სარწმუნოებრივი მოძრაობის თავისებურებები, კი, ისაა, რომ იგი ამიერიდან სათავეში უნდა ჩაუდგეს ბრძოლას დამოუკიდებლობიდან თავისუფლებისაკენ ბრძოლაში, რამდენადაც მას ენიჭება დუალისტური ფუნქცია – ის, თავის კანონიერ და სამართლებრივ სტრუქტურებთან (ინსტიტუციებთან) ერთად, წარმოადგენს, როგორც ლეგიტიმურ ხელისუფლებას, ასევე საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის წარმმართველ ცენტრსაც, ფაქტობრივ არალეგიტიმურ გარემოში ეროვნული დაუმორჩილებლობის მთავარ იურიდიულ ინსტიტუტს.

სამართლებრივი და კანონიერი არჩევნების გზით მოსული ლეგიტიმური ხელისუფლება უნდა გახდეს სამართლებრივად წარმომადგენლობითი დემოკრატიის პირმშო, საერთო-ეროვნული სუვერენიტეტის განსახიერება და არა – სახელმწიფო გადატრიალების პროდუქტი.

საქართველოს მოსახლეობის ფართო ფენების მიზიდულობის ცენტრი უდავოდ სამართლებრივი, კანონიერი და ეროვნული სუვერენიტეტის აღდგენის იდეა უნდა იყოს და ეროვნულ-სახელმწიფოებრივი აღორძინების კონტექსტში უნდა გავიაზროთ. ეროვნულ-პოლიტიკური თვითიდენტიფიკაციაში უნდა დავინახოთ ამ მოვლენის არსი და იმპერიალისტურმა ნომენკლატურულმა ფაქტობრივმა რეჟიმმა სწორედ რომ ვერ უნდა გაუწიოს რეალური წინააღმდეგობა სამართლებრივი, კანონიერი, ეროვნული ძალების ხელისუფლების სათავეში დაბრუნების პროცესს, რამეთუ პოლიტიკური ტრანსფორმაციის შეფასება კომპლექსურ-ინდუქციური პოლიტიკური ანალიზის საფუძველზე გაცილებით მართებული, ობიექტური იქნება და უნდა შეფასდეს შემდგომ მნიშვნელოვან მოვლენებთან ერთიან სისტემაში და არა – მათგან იზოლირებულად და განყენებულად.

საქართველოს ეროვნულ–სარწმუნოებრივი მოძრაობის შინაგანი დინამიკა უნდა იყოს ე. წ. ,,ახალი მსოფლიო წესრიგის" არქიტექტონიკაში კავკასიის გეოპოლიტიკური

სივრცისა და მისი ღერძული სახელმწიფოს – საქართველოს სუვერენობის საკითხის უცილობელი ჩასმა და აღდგენა და იმ ბარბაროსული კოსმოპოლიტური ოკეანედან გამოსვლა, სადაც პოსტინდუსტრიული ცივილიზაციის გენეზისის ეპოქაში ქართული ეროვნულობა შთაინთქა იმპერიალისტური ძალების დროებითი გარიგებებით.

თუ ჩვენ ერთ მთლიანობაში გავიაზრებთ ისტორიულ, ეროვნულ და მართლმადიდებელ-ქრისტიანულ ტრადიციებს, მხოლოდ მაშინ აღმოვაჩენთ ეროვნული ღირებულებების ჭეშმარიტ ფასეულობათა სამართლებრივ სისტემას.

ამასთანავე, დავსძენთ, რომ ჩვენ არ გვამოძრავებს შურისძიების გრძნობა, თუ არა ქვეყნის გადარჩენის წმიდათაწმიდა იდეა, რაც გვავალებს, მოვთხოვოთ გზააბნეულთ – ზურგი შეაქციონ მორიგ პოლიტიკურ ავანტიურას, საქართველოს განადგურებით რომ ემუქრება და აღიარონ საჯაროდ, ქართველი ერის წინაშე ჩადენილი შეცდომები. მათ, ვინც გაითავისებს კანონიერი ხელისუფლების აღდგენის მოთხოვნის აუცილებლობას, მიეცემა შანსი საქმით გამოისყიდონ შეცდომები იმ ადამიანების გვერდით, ვისთვისაც თავისუფალი საქართველოს იდეა პირველადია და შეუცვლელი!

ღვთისმშობლის წილხვედრ საქართველოს, ქართველი ერის მოკავშირე, მფარველი და მხსნელი უფალია და არა – რომელიმე ზესახელმწიფო. საქართველოში არსებულ ყველა ეროვნულ ძალას მოვუწოდებთ გაერთიანებას გულწრფელი, გაუსვრელი ეროვნული მოღვაწეების გარშემო, ვუსურვებთ ეროვნული მოძრაობის თანდათანობით აღორძინებას ტყვეობის ურთულეს გარემოში, რამდენადაც მხოლოდ საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას შეუძლია, იხსნას ქართველი ერი, მთელი ქართველი ხალხი ტყვეობისაგან და კვლავ შექმნას ეროვნული, ლეგიტიმური ხელისუფლება – ქართველების, მთელი ქართველი ხალხის უფლებებისა და თავისუფლებების დამცველი ხელისუფლება.

ღმერთმა დალოცოს ქართველობა!

გაუმარჯოს თავისუფალ საქართველოს!

7. ქართველი ერის ნების წინააღმდეგ დაამხეს საქართველოს მეორე, სამართლებრივად, კანონიერად, საყოველთაოდ, დემოკრატიულად არჩეული ლეგიტიმური ხელისუფლება და საქართველოს წინააღმდეგ ,,შეთქმულმა ძალებმა" სისხლიანი რეჟიმის მეშვეობით ფეხქვეშ გათელეს ადამიანთა უფლებებისა და თავისუფლებების საერთაშორისო დეკლარაცია, როდესაც ქართველ ხალხს განუცხადეს, რომ სისხლიანი აჯანყების უფლებას ამ დეკლარაციის პრეამბულა უტოვებს ყველა ხალხსო. იცრუეს და ცრუობენ კაცობრიობისა და თითოეული კეთილი ნების ადამიანის მტრები, რადგან ეს დეკლარაცია სწორედ მსგავსი ვანდალიზმების პრევენციისათვის იქნა შექმნილი და იგი გვაუწყებს, რომ უკანასკნელი მეთოდი – სამოქალაქო და ეროვნული დაუმორჩილებლობა მხოლოდ ტირანიის წინააღმდეგ საბრძოლველად არის და არა – დემოკრატიულად, საყოველთაოდ არჩეული ხელისუფლების დასამხობად, რომელიც დამოუკიდებლობის გამოცხადებიდანვე დემოკრატიულად, ქართველი ერის ნებითა და საერთაშორისო სამართლის, ისტორიული სამართლიანობის პრინციპებიდან გამომდინარე იბრძოდა ქვეყნის სრული თავისუფლებისათვის.

რამდენადაც საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს საბჭოს, მინისტრთა კაბინეტს, ადგილობრივი თვითმართველობისა და მმართველობის ორგანოებს, მათ ხელმძღვანელ პირებსა და წარმომადგენლობას, ანუ მთლიანობაში დევნილ კანონიერ ხელისუფლებას დღემდე არ გამოუცხადებია თვითლიკვიდაცია, არ დაუნიშნავს ახალი არჩევნები და თავისი სამართალმემკვიდრეობა არ გადაუცია არცერთი მომდევნო ხელისუფლებისათვის;

რამდენადაც დღესაც არსებობს სამართალმემკვიდრე, კანონიერი ხელისუფლების, საქართველოს რესპუბლიკის დევნილი ხელისუფლების ეროვნული ინსტიტუციები და კანონიერი სახელისუფლებო წარმომადგენლობა ლეგიტიმური საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის სახით, დღესაც და იმედია უახლოეს მომავალშიც, რეალურად შესაძლებელია მისი, ერთიანი, კანონიერი საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლების ბაზის კანონიერი, ფაქტობრივი მოქმედება.

კანონიერი ხელისუფლების სამართალ-მემკვიდრეობის ლეგალიზაცია და აღდგენა გარდამტეხ როლს შეასრულებს ქვეყანაში სამართლიანობისა და ამომრჩეველთა ღირსების აღდგენის, ზოგადად, საქართველოს სახელმწიფოს მოწყობის თვალსაზრისითაც.

ზოგადად, ლეგიტიმურობა კანონიერებას, სამართლებრივი საფუძვლების არსებობას ნიშნავს, ეს ცნობილია. ცნობილია ასევე, დევნილი ხელისუფლების – მთავრობის საკუთრივ სამშობლოში, თუ სხვა ქვეყანაში დევნილობაში მოქმედება, სამართლებრივი, თუ პოლიტიკური თვალსაზრისით მისი პრეცედენტულობა.

ლეგიტიმურობა არ არის ზოგადი ცნება. ლეგიტიმური ხელისუფლება, მთავრობა კონკრეტულად არის ნამდვილი (ერის ნების გამომხატველი) რეალური ხელისუფლება და მთავრობა. ნებისმიერი ერი მხოლოდ მაშინაა თავისუფალი ერი საკუთარ მიწაზე, როცა მას ჰყავს საკუთარი ინტერესების გამომხატველი და მსახური ხელისუფლება, წინააღმდეგ შემთხვევაში ერი თავად ხდება მსახური, ნიჰილისტური ფსიქო-ინტოქსიკაციითა და ტერორით იქცევა ვიტალისტურ მასად, რომელსაც არ გააჩნია ეროვნება და, აქედან გამომდინარე, არც – სამშობლო.

ლეგიტიმური ხელისუფლების მიერ შექმნილი სამართლებრივ-პოლიტიკური ბაზა არის ნამდვილი საშუალება და გასაღები საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღსადგენადაც. ეს მომენტი უაღრესად მნიშვნელოვანია სოციალური ფსიქოლოგიის თვალსაზრისითაც, რადგან ამ ,,გასაღების", პირობითად, მოსკოვში, ვაშინგტონსა თუ პეკინში ძებნა მიუთითებს ნიჰილისტურ მარაზმს სრული ამნეზიით, რეალობის აღქმის სრული დაკარგვითა და თვინიერობით რომ აღიწერება.

ლეგიტიმურობის ,,გასაღები" – დამხობილი და დევნილი ლეგიტიმური ხელისუფლების მიერ შექმნილი კოსტიტუციური და სამართლებრივ-პოლიტიკური ბაზის ამოქმედება, ერთადერთია ასევე აფხაზეთისა და შიდა ქართლის დასაბრუნებლადაც. ის საქართველოშია, მის უდიდებულესობა ხალხშია და მის ნება-გადაწყვეტილებაშია.

ლეგიტიმური წყვეტის აღდგენის აუცილებელი ნიშანია არა მხოლოდ კანონიერი არჩევნების დანიშვნა, არამედ ლეგიტიმური სამართლებრივი ბაზის ამოქმედება საქართველოს გადასარჩენად.

ამდაგვარად, კანონიერი ლეგიტიმური ხელისუფლების სამართლებლივი აღდგენის ზოგადი ფორმულირებიდან ვკითხულობთ:

ა) პირველადია სამართლებლივად კომსტიტუციური საქართველოს ეროვნულ-განმანთავისუფლებელი მოძრაობისა და მისი პოლიტიკური ორგანიზაციების აღდგენა;

ბ) უნდა აღდგეს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო, საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა, სასამართლო, ადგილობრივი თვითმართველობითი და მმართველობითი ორგანოები და სხვა სახელმწიფო სტრუქტურები, ანუ შეძლებისდაგვარად სრულად ამოქმედდეს ფაქტობრივად არსებული საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა, რაც ნიშნავს კანონიერი ხელისუფლების აღდგენას, ამით კი, რეალობაში ფაქტობრივ გარემოსა და სივრცეში დქფიქსირდება ორ ხელისუფლებიანობა;

გ) კანონიერი და ხელისუფლების თანხმობის შემთხვევაში, ან საქართველოს ეროვნულ-განმანთავისუფლებელი მოძრაობის, მშვიდობიანი პოლიტიკური ზეწოლით, ფაქტობრივი ხელისუფლების საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ, სახელმწიფო გადატრიალების დღიდან დღემდე პერიოდი ცხადდება უკანონოდ, კანონიერი ხელისუფლების მიერ ინიშნება მრავალპარტიული, დემოკრატიული ცენტრალური საარჩევნო კომისია, შეთანხმებული საარჩევნო კანონის მიხედვით. ყოველივე ეს სასურველია გაკეთდეს საერთაშორისო თანამეგობრობის სახელმწიფოებისა და შესაბიმისი საერთაშორისო ორგანიზაციების კეთილი ნებისა და თანხმობის პირობებში.

აქედან, ნათლად სჩანს, რომ აუცილებელია, მოხდეს სამართლებრივი, კანონიერი და კონსტიტუციური წესრიგის აღდგენა და შემდგომ ქვეყანამ უნდა აირჩიოს ახალი ლეგიტიმური ხელისუფლება. სწორედაც, კანონიერმა ხელისუფლებამ - საქართველოს რესპუბლიკის მთავრობამ უნდა დანიშნოს და ჩაატაროს არჩევნები. მხოლოდ ამ არჩვენების შედეგად მოსული ხელისუფლება იქნება სამართლებრივი, კანონიერი, ლეგიტიმური, ასევე უფლებამოსილი და ვალდებულიც, რომ იხელმძღვანელებს ლეგიტიმური, სამართლებრივი ბაზით.

ამ მხრივ კი, აუცილებელია საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის აქტივიზაცია, რათა აღსდგეს ეროვნული ცნობიერება, ქრისტიანული რწმენისა და ქართული ეროვნულ-სარწმუნოებრივი იდეოლოგიის აღორძინება, ქართული სახელმწიფოებრიობისა და ეროვნული ხელისუფლების აღდგენა.

ეს კი ჩვენი ბრძოლის უმთავრესი მიზანი უნდა იყოს. ღვთისა და მამულისათვის თავგანწირვა დღეს ერთადერთი გზაა გადარჩენისა, თორემ, წინააღმდეგ შემთხვევაში, მოგველის ეროვნული გადაგვარება და კატასტროფა.

ამრიგად, ლეგიტიმურობა აუცილებელია იყოს სამართლებრივ-კანონიერი, ანუ რაციონალური. მთავარი ამოცანაა სამართლებრივი, კანონიერი და დემოკრატიული სახელმწიფოს მშენებლობა, რომელიც, თავის მხრივ, უპირისპირდება ტოტალიტარულ, ავტორიტარულ სახელმწიფოებს.

უკანონობას შეიძლება მოვერით მხოლოდ კანონით!
უსამართლობას შეიძლება მოვერიოთ მხოლოდ სამართლით!
სიცრუეს კი შეიძლება მოვერიოთ მხოლოდ სიმართლით!

საქართველოს რესპუბლიკის დევნილი,

ემიგრაციული მთავრობის

თავმჯდომარე

„საქართველოს ჰელსინკის კავშირი -

- ეროვნული აღორძინების“
თავმჯდომარე

ჟურნალი „მატიანე“, N1-2 (31-32),

2014 წლის 26 მაისი





# ეროვნულ-სარწმუნოებრივი საკითხის სამართლებრივი გაგებისათვის

...ცივილიზაციათა გასაყარზე, ეთნოსოციალური მეხსიერების ფორმირების საკითხისათვის, წარმართულ ცივილიზაციაში ქრისტიანობის გავრცელებამ ძირეული გადატრიალება მოახდინა კაცობრიობის მსოფლმხედველობაში, კულტურაში, ეთიკაში, პოლიტიკაში, მაგრამ ამ ყველაფერს წინ უძღოდა კაცობრიობის ცნობიერების შემოტრიალება ახალი სარწმუნოებრივი იდეალებისკენ. ამათგან ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორი და შესაბამისად ადამიანის ეროვნულ-სარწმუნოებრივი მსოფლმხედველობის განმსაზღვრელი არის ერის ენა და რელიგია, რომელიც ყველაზე უფრო მეტად ახდენს აკუმულირებას ერის ეთნოსოციალურ მეხსიერებაში. ფრიად მნიშვნელოვანია ეთნოსოციალური მეხსიერების რელიგიური დატვირთვა. იგი ეროვნული თვითშეგნებისა და იდენტიფიკაციის ჩამომყალიბებელია, რადგან ერი არის ერთი ეთნიკური წარმოშობის მატერიალური და სულიერი კავშირის მქონე მკვიდრი მოსახლეობა, რომლის წევრებიც, გარდა ხორციელ-სულიერი ერთობისა, აგრეთვე ერთმანეთთან შედუღაბებულ-შეკავშირებულნი არიან ისტორიით. საქართველოს სახელმწიფოებრივი აღორძინება, მისი დამოუკიდებლობის აღდგენა ვერ მოხერხდება ეროვნულ–სარწმუნოებრივი, ზნეობრივი აღორძინების გარეშე და ყოველივე ამას ადასტურებს საქართველოს წარსულიცა და აწმყოც.

საქართველოში, როგორც მართლმადიდებელ ქრისტიანულ ქვეყანაში, ტრადიციული იყო კავშირი ეკლესიასა და სახელმწიფოს შორის. ქართველთა ცხოველი მორწმუნეობა განსაზღვრავდა მტრულ გარემოცვაში საქართველოს სახელმწიფოს მრავალსაუკუნოვან არსებობას. სახელმწიფო კი, თავის მხრივ, ხელს უწყობდა ეკლესიის სამოციქულო მოღვაწეობას.

სწორედ ამიტომაც, ქართველი ერი მჭიდროდ იყო და არის დაკავშირებული რელიგიურ ცნობიერებასთან, ეკლესიის წიაღთან. აქვე, ნიშანდობლივია იმის აღნიშვნა, რომ დღევანდელი საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი – ეროვნულ-სარწმუნოებრივი მოძრაობა, ეს არა სხვადასხვა, განსხვავებული, არამედ ერთიანი, თავისი შინაგანი არსით ეროვნულ-რელიგიური მოძრაობაა, რამდენადაც იგი არ გულისხმობს მხოლოდ ეროვნულ-პოლიტიკური მიზნების განხორციელებას, არამედ უპირველესყოვლისა ითვალისწინებს ზნეობრივ აღორძინებას ქრისტიანულ რწმენასა და ცნობიერებაზე დაყრდნობით. აქედან გამომდინარე, ლეგიტიმურმა საქართველოს რესპუბლიკის ეროვნულმა მთავრობამ (ხელისუფლებამ) უნდა იღვაწოს კიდეც ეკლესიასა და სახელმწიფოს შორის ტრადიციული ერთობის აღსადგენად, რათა ეროვნული სახელმწიფოს ავტორიტეტი დაემყაროს, არა მარტო ხელისუფლების სოციალურ-პოლიტიკურ განსაზღვრულობას, არამედ უმეტესწილად ქრისტიანულ ზნეობრივ საწყისებს.

სამართლებრივი ეროვნული სახელმწიფოს დამოკიდებულება ეკლესიისადმი უნდა დაეფუძნოს ეროვნული ეკლესიის რელიგიურ-ზნეობრივი ავტორიტეტის უზენაესობისა და განსაკუთრებული სოციალური ფუნქციის აღიარებას. აუცილებელია დავუბრუნდეთ მამა-პაპეულ გზას, ავაღორძინოთ დამოუკიდებელი და თავისუფალი სახელმწიფო და საქართველოს დაუბრუნდეს ღირსეული ადგილი მსოფლიოს ერთა თანამეგობრობაში.

დიადი მიზნები კი მხოლოდ ღვთაებრივი სიყვარულით აღსრულდებიან.

ჩვენი ერი ვერასოდეს გახდება დამოუკიდებელი და თავისუფალი, თუ ის ზნეობრივად, რელიგიურად და სარწმუნოებრივად არ ამაღლდა.

ასეთ ვითარებაში, აუცილებელია, კიდევ ერთხელ გამახვილდეს მამულიშვილთა ყურადღება, ქართული ეროვნული იდეოლოგიისა და მოძრაობის, ეროვნული ცნობიერების დაცვის, აპოლოგიის აუცილებლობაზე.

რაც შეეხება საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიას, მას მე–9 ადგილი უკავია მართლმადიდებელ ეკლესიათა დიფტიქში. იგი შეიქმნა ქართლში (იბერიაში) ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად მიღებისთანავე (დაახლოებით 326-იანი წლები) მცხეთის საეპისკოპოსოს სახით.სასურველი და აუცილებელიცაა წავიკითხოთ და ვიცოდეთ, თუ რა წერია საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ავტოკეფალიის აღიარების ტომოსში?!

# კონსტანტინოპოლის მართლმადიდებელი ეკლესიის მიერ ავტოკეფალიის აღდგენის სიგელი 1990 წელი



# ... და მაინც, რა წერია საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ავტოკეფალიის აღიარების ტომოსში?!

# კიდევ ოდესმე ვინ სცნო და აღიარა საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ავტოკეფალია და არის თუ არა 1990 წლის ეს ტომოსი ბოლო და დღესაც მომქმედი ერთადერთი სამართლებრივი აქტი?!

**1917 წლის 12 მარტს, მცხეთაში,
სვეტიცხოვლის საკათედრო ტაძარში შეკრებილმა ქართველმა სამღვდელოებამ
საგანგებო საეკლესიო კრებაზე მიიღო გადაწყვეტილება
საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის თაობაზე.**

**მსოფლიოს საპატრიარქომ 1990 წელს
ოფიციალურად ცნო და აღიარა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალურობა.
ამავე წლის 4 მარტს, მართლმადიდებლობის დღესასწაულის დღეს,
კონსტანტინეპოლის მთავარეპისკოპოსმა და მსოფლიო პატრიარქმა
ყოვლადუწმინდესმა დიმიტრიოსმა
საზეიმო ვითარებაში გადასცა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს
საქართველოს უწმიდესი მართლმადიდებელი ეკლესიის მეთაურის
საპატრიარქო ტიტულის ცნობისა და ბოძების სიგელები.**

## მსოფლიო საპატრიარქოს მიერ საქართველოს უწმინდესი მართლმადიდებელი ავტოკეფალიის ცნობისა და მტკიცების სიგელი ტომოსი

*დიმიტრიოსი
წყალობითა ღმრთისათა მთავარეპისკოპოსი
კონსტანტინეპოლისა და ახლისა რომისა დამსოფლიო პატრიარქი
სახელითა მამისათა და სულისა წმინდისათა!*

„ჭეშმარიტ ვიყვნეთ სიყვარულსა ზედა და აღვაღორძინებდეთ მისა მიმართ ყოველსა, რომელ არს თავ მისა ქრისტე, რომლისაგან ყოველი გვამი შენაწევრებულ და შემტკიცებულ არს ყოვლითა შეახლებითა უხუებისაითა შეწევნისაებრ საზომისა თვითეულისა ასოისა; სიორძილსა მას გვამისასა ჰყოფდით აღსაშენებლად თავისა თქვენისა სიყვარულით.” /ეფეს.4, 15-16/.

ამბობს მოციქული ერთა პავლე, და მართლაც ერთი სამწყსოა და ქრისტეს ერთი სხეულია, და ასევე იწოდება ღვთისმიერი ქვეყანასა ზედა ეკლესია მისი სული ერთიანობის გამო და არანაირი, რა თქმა უნდა, გზით არ შეუშლია ხელი ამას, არც პირველ და არც მის შემდგომ საუკუნეებში. სტრუქტურისათვის ადგილობრივი და სხვადასხვა ქვეყნების ეკლესიებისა, რომელნიც ერთმანეთისაგან დამოუკიდებელნი, შინაგანად თვითმმართველნი, თავიანთივე მწყემს-მთავართაგან და მოძღვართაგან ქრისტეს სახარების მსახურთაგან მართულნი არიან და შეადგენენ ერთ წმინდა და სამოციქულო ეკლესიას.

ასეთივეა კავკასიის კურთხეულ მიწაზე, ამჟამად საქართველოს რესპუბლიკის საზღვრებში შემავალი წმინდა და მართლმადიდებელი ეკლესია, რომელმაც უძველესი დროიდან მიიღო თვითმმართველი და თავისუფალი გამგებლობა და შესაბამისად საეკლესიო მმართველობითი ორგანიზაციაც. რწმენაში, სიმტკიცისა და ეკლესიური ცხოვრებით მრავალი და შესანიშნავი მაგალითის მაჩვენებელი. იგი დღესაც შეუნელებლად და უცვლელად იცავდა და იცავს ჩვენი მართლმადიდებელი ქვეყნის მოძღვრებებს

და მის მიერ აღიარებულ ჭეშმარიტებებს. ამჟამად კი, თავის გამგებლობაში კანონიერების მსურველი, ყველა წმიდა მსგავსი აღმსარებლობის ეკლესიებთან მეგობრულ და სიყვარულით სავსე ურთიერთობაში და სამსახურში მყოფი მიმართავს, ყოველი ხელსაყრელი შემთხვევისას, ჩვენს ეკუმენურ საპატრიარქო ტახტს და ითხოვს კურთხევასა და მტკიცებას თავისი თვითმმართველობითი სტრუქტურისა. რამეთუ ასე შეთანხმებულმა, ვითარცა ვაზმა განუყოფელი ღვთისა ვენახისა, ადგილობრივ მართლმადიდებელ ეკლესიათა კანონიერ პლეადაში მყოფმა, განაგრძოს აყვავება ქრისტეს სხეულისა.

ეს ღირსებით სავსე მიმართვა და თხოვნა სიყვარულით მივიღეთ ჩვენ და ჩვენმა წმიდა და კურთხეულმა სინოდმა, ვინაიდან ჩვენი ეკუმენური ტახტი ვალდებულია დახმარება აღმოუჩინოს სამართლიანი უფლებებისა და სტატუსის მომთხოვნ წმიდა მართლმადიდებელ ეკლესიებს; ხელი ჩასჭიდოს მათ და დაეხმაროს დროის აუცილებლობით გამოწვეული ცხოვრებისეული პრობლემების გადაჭრაში, რამეთუ, თანახმად მრავალსაუკუნოვანი საეკლესიო ცხოვრებისა და წესისა, ღირსეულად მოპოვებულმა მისმა ავტორიტეტმა აღავსო ავტოკეფალური მმართველობის მინიჭების უფლების უპრატესობით და ჩამოუყალიბა გარკვეული ადმინისტრაციული უფლებები. ამდენად, ჩვენი უმდაბლესობა და ჩვენი კურთხეული მიტროპოლიტები, ყოვლადპატივდებულთა თანა სულიწმიდის მიერ ჩვენს ძმებთან და თანამწირველებთან ერთად განიმსჭვალა აზრით და სიამოვნებით იწონებს, რომ პატაკად მომავალი წმიდა და დიდი მსოფლიო კრებისა, ჩვენმა უპირველესმა ტახტმა, კონსტანტინეპოლის ეკლესიამ აკურთხოს, ცნოს და დაამტკიცოს საქართველოს წმინდა ეკლესიის ავტოკეფალია და დამოუკიდებელი სტრუქტურა. იგი მუდამ გარანტირებული და ხელშეუხებელი იქნება ჩვენი წმინდა რწმენისა და საეკლესიო კანონიკური წესის თანახმად, მართლმადიდებელი ეკლესიის ერთობაში.

სინოდის გადაწყვეტილებითა და სულიწმინდით განათლებული ვაცხადებთ საქართველოს უწმინდეს ეკლესიას იმავე თვითმმართველი სტრუქტურითა და ორგანიზებით რაც უძველესი დროიდან გაჩნდა, რაც დამოწმებულია, აგრეთვე, ბალსამონის მიერ, რომელიც წერს: „ამბობენ, რომ დღეთა მათ შინა უწმინდესისა პატრიარქისა ღვთაებრივი ქალაქისა დიდისა ანტიოქიისა უფალი პეტრესი გამოტანილ იქნა სინოდური დადგენილება, რომ იქნეს თავისუფალი და ავტოკეფალური ეკლესია იბერიისა.”

მივიჩნევთ, რომ იგი ჩართული არის ძმურ მართლმადიდებელი ეკლესიათა პლეადაში და ვადასტურებთ, ამასთანავე, იმას, რომ, იგი სახელდებულია, როგორც „წმინდა ავტოკეფალური მართლმადიდებლური ეკლესია სრულიად საქართველოისა”. ვცნობთ მას როგორც ჩვენს სულიერ დას, რომელიც უფლებამოსილია მართოს და აწარმოოს საქმენი დამოუკიდებლად და ავტოკეფალურად, თანახმად წესისა. სხვა ადგილობრივ წმინდა მართლმადიდებელ ეკლესიათა შორის კანონიერი უფლებებით მოქმედს მეთაურად ჰყავს უფალი ღმერთი და მაცხოვარი ჩვენი იესო ქრისტე და კანონიკური და საეკლესიო წესის თანახმად აღიარებს და პატივს სცემს ჩვენი მსოფლიო საპატრიარქო ტახტის პირველადობას, და ვითარცა თავის უმაღლეს მმართველობით ორგანოს, სცნობს საქართველოს ეკლესიის მღვდელმთავართაგან შემდგარ სინოდს, რომლის თავმჯდომარეც არის ყოველი მთავარეპისკოპოსი მცხეთა-თბილისისა და კათოლიკოსი სრულიად საქართველოისა.

ჩვენს უწმინდეს და სამოციქულო და მსოფლიო საპატრიარქო ტახტთან ასევე ყოველ მართლმადიდებელ ავტოკეფალურ ეკლესიასთან სულიერი და კანონიკური ერთიანობის დაცვის მიზნით, მართლმადიდებელი ეკლესიის კანონიკური წესის თანახმად, ყოველი მთავარეპისკოპოსი მცხეთა-თბილისისა და კათოლიკოსი სრულიად საქართველოისა მოვალეა მათ მეთაურებს აცნობოს მისი რჩევა და აღსაყდრება სამშვიდობო საინტრონიზაციო ეპისტოლეებით, წარმოაჩინოს ამასთანავე, აღმასრულებლობა და დასტური მისი და მისდამი რწმუნებული წმინდა მართლმადიდებელი ეკლესიისა, რომ შეუბღალავად დაიცავს მართლმადიდებლურ სარწმუნოებასა და

ღვთისმოსაობასა და ამასთანავე მართლმადიდებელი ეკლესიის საღმრთო და და წმინდა კანონებსა და წესებს; რიგის მიხედვით მოიხსენიებს წმინდა დიპტიხს, სახელს ყოველი მსოფლიო პატრიარქისა და სხვა უწმინდეს პატრიარქთა და წმიდა მართლმადიდებელი ავტოკეფალური ეკლესიების უნეტარეს გამგებელთა, რაც შეეხება წმიდა მირონის საკითხს, დაცულ იქნება ამასთან დაკავშირებით დადგენილი საეკლესიო წესი, რათა ხილულად და უხილავად შედგეს და განცხადდეს შინაგანი და გარეგანი განუყოფელი ერთიანობა მართლმადიდებელი ეკლესიისა.

ამასთანავე, ვურჩევთ, რომ ზოგადი ხასიათის საეკლესიო პრობლემებისა თუ დაბრკოლებათა დროს, რომელნიც ავტოკეფალური ეკლესიების საგანმგებლო საზღვრებში იჩენენ თავს, ხოლო საყოველთაო განსჯასა და კენჭისყრას ექვემდებარებიან, მთავარეპისკოპოსმა მცხეთა-თბილისისა და კათოლიკოსმა სრულიად საქართველოისა მიმართოს ჩვენს უწმინდეს საპატრიარქო ტახტს, რომლის მიერაც დაუკავშირდება ყოველ მართლმადიდებელ საეპისკოპოსოს, ჭეშმარიტი სიტყვის მართლმკვეთელთ და თავისივე თხოვნის შესაბამისად, მიიღებს მისგან სარწმუნე აზრსა და შეხედულებას მისას და ძმური ეკლესიებისას.

ამრიგად, ჩვენს მუდმივ სრული შემადგენლობის წმიდა და კურთხეული სინოდის 1990 წლის 23 იანვრის სხდომაზე ნაფიქრს, განსჯილს და სინოდურად ჩვენს მიერ დამტკიცებულს, რომ მტკიცედ დავიცავთ, ვადასტურებთ ამ საპატრიარქო და სინოდური სიგელით, რომელიც შედგენილი და ხელმოწერილია ჩვენი წმინდა და ქრისტეს დიდი ეკლესიის წესდების თანახმად, ზუსტად და უცვლელად ვაუწყებთ და ვუგზავნით მთავარეპისკოპოსს მცხეთა-თბილისისა და სრულიად საქართველოისა, ქრისტეს მიერ ჩვენს საყვარელ ძმათა და თანამწირველთა უფალ ილიას, სრულიად საქართველოს წმიდა მართლმადიდებელი ავტოკეფალური ეკლესიის კურთხეული სინოდის თავმჯდომარეს და როგორც წესია, აგრეთვე ეკლესიური კანონიკის მიხედვით მოქმედ და გამოცხადებულ მოძმე მართლმადიდებელ ავტოკეფალურ ეკლესიებს დასაცავად და განსამტკიცებლად სრულიად მართლმადიდებელი ეკლესიის ერთიანობის.

უფალი ღმერთი ჩვენი მადლითა და წყალობითა პირველსა, დიდისა და უმაღლესისა მღვდელმთავრისა ქრისტე ღმერთისა ჩვენისა მეოხებითა ყოვლადუხრწნელისა დედისა მისისა, მარადქალწულისა ღვთისმშობლისა მარიამისა. პატიოსნისა დიდებულისა წინასწარმეტყველისა და ნათლისმცემლისა იოანეს, წმიდათა და დიდებულთა და ყოვლადქებულთა მოციქულთა წმინდა მოციქულთასწორის ნინოსი და ღირსთა და ღვთივდაცულ მამათა ჩვენთა განამტკიცებს და დაიცავს წიაღსა ერთი წმინდა და კათოლიკე ეკლესიისასა ძმურ ავტოკეფალურ ეკლესიასა სრულიად საქართველოისა და წარუძღვება და ააყვავებს მას სადიდებლად წმიდისა სახელისა თვისისა ნუგეშად მორწმუნე მრევლისა მისისა და სიხარულად მსოფლიო ტახტისა და ყოველთა მოძმე მართლმადიდებელ ავტოკეფალურ ეკლესიათა.

მაცხოვრისმიერსა წელსა 1990. თვესა იანვარსა 25
მსოფლიო საპატრიარქოს მიერ
საქართველოს სამოციქულო ეკლესიის
ავტოკეფალიის აღიარების ტომოსი

# მოგონებები გარდასულ დღეთა ...

**„გარდასულ დღეთა მოგონებანი,**
**განაახლებენ გულის იარას,**
**სულ სხვა თვალებით შეხედავ უკვე,**
**დღეებს სულზე რომ გადაგიარა....“**





**1977 წელს, დაპატიმრებამდე ცოტა ხნით ადრე ზვიად გამსახურდია გარიცხეს მწერალთა კავშირიდან. მაშინ ანა კალანდაძეს მოუწია ამ საშინელ ოქმზე ხელის მოწერა...**

**... ზვიად გამსახურდია 1979 წლის მიწურულს დაბრუნდა თბილისში კოჩუბეის გადასახლებიდან.**

**ანა კალანდაძის მოგონებაში ვკითხულობთ:**

**იმ უბედური დღის მერე აღარც მინახავს ეს ბიჭი. მერე გადაასახლეს ... დრო ხომ იცი, როგორ გარბის ... ერთხელ მივდივარ რუსთაველზე. ძეგლები რომ იდგა მთავრობის სახლის წინ, ზუსტად იმ ადგილზე, და ვხედავ მოდის ზვიადი პირდაპირ ჩემსკე ... რომც გინდოდეს, გვერდს ვერ აუქცევ ... ვფიქრობ, რა ვქნა, რით დავიწყო ... მომიახლოვდა ...**

**იცი, ზვიად, არ ვიცი რა უნდა ვთქვა, როგორ უნდა გამოვხატო ჩემი მაშინდელი, თუ ამწუთიერი განცდები ... და არ მაცლის. ჩამიხუტა, მიმიკრა მკერდზე, მომიჭირა ხელები და მეუბნება:**

**– ქალბატონო ანა, რკინის მკვნეტელ კაცებს ტეხდნენ კომუნისტებ ... არ იფიქროთ მაგაზე, არ ყოფილა, ეგ არაფერია, არ იფიქროთ მაგაზე.**

**... მე ასე იოლად არ ვტირი, მასთან მაინც შევიკავე თავი, მოვედი სახლში და ვიტირე ...**

# და მაინც, რა მოხდა იმ დღეს?!

## (სტენოგრაფული ანგარიში საქართველოს მწერალთა კავშირის პრეზიდიუმის სხდომისა, 1977 წლის 1 აპრილი)

სტენოგრაფიული ანგარიში საქართველოს მწერალთა კავშირის პრეზიდიუმის სხდომისა, 1977 წლის 1 აპრილი, თავმჯდომარეობს გრიგოლ აბაშიძე.

თავმჯდომარე: – ამხანაგებო, დღეს ჩვენ შევიკრიბეთ ერთი ისეთი საკითხის განსახილველად, რომელზედაც, ალბათ, ეს დღეები ყველა თქვენთაგანი ფიქრობს.

თქვენ ყველა გაეცანით თქვენს პრესაში გამოქვეყნებულ მასალებს ჩვენი კავშირის წევრის ზვიად გამსახურდიას გარშემო.

ჩვენ, ყველანი, ბევრის მომსწრე ვართ, ბევრის შემთხვევა არა გვქონია. მას შემდეგ, რაც სოციალიზმმა გაიმარჯვა ჩვენს ქვეეანაში, მას შემდეგ, რაც საბჭოთა ხალხმა სამამულო ომში ასეთი ძლევამოსილი გამარჯვება მოიპოვა და ასეთი წარმატება აქვს საბჭოთა ქვეყანას, მთელი საბჭოთა მწერლობა დარაზმულია ჩვენი პარტიის ირგვლივ და არ ეოთილა რაიმე ფაქტი რომელიმე ქართველი მწერლის ანტისაბჭოთა მოღვაწეობის შესახებ. უფრო მეტი კიდევ, ისეთი დიდი მწერალი ჩვენი დროისა, როგორიც კონსტანტინე გამსახურდია გახლდათ, რომელმაც ასეთი რთული გზა გაიარა, სრულიად დადგა საბჭოთა პლატფორმაზე, დაწერა ჩვენი დროისათვის სრულიად მოსაწონი ნაწარმოებები, დაწერა რომანი „მთვარის მოტაცება”, მისი პუბლიცისტური ნაწარმოებები, რომლებიც იდგა საბჭოთა პოზიციებზე და ის მთელი თავისი შემოქმედებით ემსახურებოდა ჩვენი ქვეყნის საქმეს, მოგეხსენებათ, ბოლოს კონსტანტინე გამსახურდია ლენინური ორდენის კავალერიც გახლდათ და მრავალი ჯილდოსა და სახელმწიფო პრემიის მფლობელი.

ეს იმიტომ გავიხსენეთ, რომ დღევანდელი ჩვენი სხდომა ეხება ზვიად გამსახურდიას, ჩვენი კავშირის წევრს თქვენ იცნობთ გაზეთის მასალას. დღესაც ბლომად არის გამოქვეყნებული მასალა. ეს დღეები პრესა უთმობდა ადგილს იმ მასალებს, რომელიც ეხებოდა ზვიად გამსახურდიას მოღვაწეობას. ჩვენ მოგვმართა რესპუბლიკის პროკურატურამ ,,სათანადო რეაგირებისათვის გეგზავნებათ ... (კითხულობს) „... ეს მასალა მივიღეთ. პრეზიდიუმის წევრებმა გაიცნეს.

როგორც თქვენ ნახეთ და როგორც გაზეთები ადასტურებენ, ეს არის ანტისაბჭოთა პროპაგანდა. თქვენ მოგეხსენებათ მწერალთა კავშირის წესდება, რომლის მიხედვითაც მწერალთა კავშირის წევრად ითვლებიან ისინი, ვინც მთლიანად დგანან საბჭოთა პოზიციებზე და ღებულობენ აქტიურ მონაწილეობას კომუნიზმის მშენებლობაში. თუ კაცი ეწევა ანტისაბჭოთა პროპაგანდას, ანტისაბჭოთა მოღვაწეობას, ის თავის თავს აყენებს ამ ორგანიზაციის გარეშე, თუ ჩვენ გვაერთიანებს კომუნიზმის მშენებლობა და მისი აქტიური მშენებლები ვართ, ეს არის ჩვენ სულის, ჩვენი მოწოდების ნაკარნახევი, და თუ კაცი იბრძვის მის წინააღმდეგ, ის თვითონ აყენებს თავის თავს ამ ორგანიზაციის გარეშე, ალბათ, ის თვითონ არ სთვლის თავს ჩვენი კავშირის წევრად. აქ ბევრი მასალაა, მაგრამ მარტო ორს დავასახელებ ამ მასალიდან, ერთი გახლავთ „საქართველოს მოამბეში” გამოქვეყნებული პროკლამაცია, ანტისაბჭოთა პროკლამაცია, რომელიც მოსკოვში გაავრცელეს ფრანგმა და ნორვეგიელმა ტურისტებმა, რომლებიც ამის გამო დაპატიმრებული იყვნენ. ეს პროკლამაცია გადმობეჭდილია ამ „მოამბეში”. მეორე, რამაც გული ატკინა ჩვენ ხალხს, ეს გახლავთ ფაშისტი გენერლის მაღლაკელიძის გარდაცვალების გამო გამოქვეყნებული მასალა, სადაც ქება-დიდებაა იმ კაცისა, რომელიც მოუძღოდა ფაშისტურ ლეგიონს და რომელიც ვითომ საქართველოს სრული განთავისუფლებისათვის იბრძოდა.

აი, მოკლედ რაც მინდოდა მეთქვა. ამხანაგები გამოთქვამენ თავიანთ აზრს და შემდეგ მოვუსმინოთ ზვიადს. როგორ გაიმართლებს თავს .

ძალიან სამწუხაროა ეს შემთხვევა, რადგან ჩვენ ასეთი შემთხვევა არასოდეს არ გვქონია. განსაკუთრებით ახლა, როცა რესპუბლიკას წარმატებები აქვს და როდესაც ედუარდი მოვიდა ხელმძღვანელობაში, კონსტანტინე ერთი პირველთაგანი მიესალმა მას, და კიდევ უფრო გასაკვირი და სამწუხაროა ეს შემთხვევა.

ზვიად გამსახურდია – რა იურიდიული საფუძველი აქვს ყველაფერ ამას, რით მტკიცდება?

თავმჯდომარე – პრესისა და პროკურატურის მასალით.

ზვიად გამსახურდია – იმ პროკურატურას რა იურიდიული საფუძველი აქვს? თქვენ საბუთებს არ გაცნობდნენ?

თავმჯდომარე – გამოიგზავნა ეს მასალა, პროკურატურა სთვლის, რომ მასალა არის საკმარისი. აი რას იწერება... „რომლებიც დაბეჭდილია და გავრცელებულია მწერალთა კავშირის წევრის ზვიად გამსახურდიას მიერ არაოფიციალურ ჟურნალში „საქართველოს მოამბეში”.

ზვიად გამსახურდია – ის მთვლის მე რედაქტორად? მე ხომ ხელს არ ვაწერ. მე არა ვარ რედაქტორი.

თავმჯდომარე – მაგაზე თქვენ მიმართეთ პროკურატურას, ჩვენ უნდა დავეყრდნოთ იმ მასალას, რომელიც გაზეთშია.

ზვიად გამსახურდია – გაზეთში ყველაფერი სიმართლეა?

თავმჯდომარე – ჩვენ ვფიქრობთ, რომ სიმართლეა, ზვიად! – არავის არ აინტერესებდა თქვენი გალანძღვა. გთხოვთ ამხანაგებო, გამოთქვით აზრი.

თავმჯდომარე – ნოდარ, ხომ არ დაიწყებთ?!

ნოდარ დუმბაძე – ჩვენ გავეცანით მასალას, რომელიც დაბეჭდილია არალეგალურ ჟურნალ „ქართველოს მოამბეში”. კიდევ გავეცანით ჟურნალების წესდებას, რომელსაც „ოქროს საწმისი“ ჰქვია პირადად მე, როდესაც წავიკითხე ,,ოქროს საწმისი”, ის არ მომეჩვენა სერიოზულ ჟურნალად, რადგან მასში ფრიად სუსტი და დაბალი გემოვნების ნაწარმოებები ქვეყნდება და როდესაც გავეცანი იმ მასალას, რომელიც მოგვაწოდა ჩვენ პროკურატურამ, სადაც გამოქვეყნებულია ანტისაბჭოთა პროკლამაცია, რომელიც მოუწოდებს ჩვენს ხალხს საბჭოთა ხელისუფლების დამხობისაკენ, როდესაც წავიკითხე გენერალ მაღლაკელიძის ბიოგრაფია, რომელიც თურმე თანამშრომლობდა ჰიტლერთან, რომლის შთამომავალმა, რომლის შვილიშვილმა ისახელა თავი ვიეტნამის ომში იმით, რომ ჟლეტდა ვიეტნამში ხალხს და ამ ბიოგრაფიაში სწერია, ქართველი ხალხის სახელით ვიღაც პირდება, რომ დიდი სამსახურისათვის ქართველი ხალხი მას არ დაივიწყებს, – მე მიმაჩნია, რომ ამ ჟურნალის ხელმძღვანელი, ან ავტორი ამ მასალისა არ არის ღირსი მწერალთა კავშირის წევრობისა და პირადად ჩემთვის, როგორც მწერლისათვის და კომუნისტისათვის მიუღებელია.

თავმჯდომარე – გიორგი!

გიორგი ციციშვილი – მე ჩემი მეგობრებისათვის არ მითქვამს, საერთოდ არ ვლაპარაკობდი, რომ ძალიან მძიმე წლები გავიარე ომში და არა იმიტომ, რომ დაჭრილი ვიყავი და ბრმა, არამედ ვნახე საშინელებანი, რომლებიც ჩემს თვალწინ ტრიალებდა. ჩვენი პროპაგანდა თავის დროზე კი არ აჭარბებდა, არამედ სუსტი იყო, რომ არ აჩვენა მთელი ის საშინელება, რაც ფაშიზმს მოჰყვებოდა.

მე ვნახე ხალხი დახოცილი „დუშეგუბებში“ მანქანებით დატვირთული რომ გამოყავდათ, მე ვნახე ორი შერყეული კაცი ნარვასთან, რომელთაც ტვინში რაღაცას უშხაპუნებდნენ და რამდენი საშინელება. და მე ეს საშინელებანი რომ ვნახე და გავიცანი ფაშიზმის არსი, ჩემთვის შეურაცხმყოფელია ყველაფერი ის, რასაც შეუძლია ფაშიზმის რეაბილიტირება.

მე საშინლად ამაღელვა იმან, მაღლაკელიძე აქციეთ ეროვნულ გმირად, მე არა ერთი პროკლამაცია ჩამვარდნია ხელში, მე შტაბში ვმუშაობდი და ბევრი მოჰქონდათ ასეთი პროკლამაციები, ის პროკლამაციები ბევრი მინახავს შტაბში, მაგრამ ამ პროკლამაციამ, რომელიც ამ არალეგალურ ჟურნალშია დაბეჭდილი, საშინლად ამაღელვა იმიტომ, რომ ქართველ ახალგაზრდობაში აღძრავს ეჭვს, ქართველ ახალგაზრდებს ეჭვს უღვივებს და ამ პროკლამაციამ შეიძლება მოწამლოს ქართველი ახალგაზრდობა. ზვიადმა ბრძანა, რომ ამისი რედაქტორი არა ვარო და ჩვენ ყველამ ვიცით, და ისეთი ავტორიტეტული ორგანო წერს, როგორიც არის პროკურატურა.

ჩვენ წავიკითხეთ ეს მასალა, თმები ყალყზე დაგვიდგა, განსაკუთრებით ეს პროკლამაცია. წარმოუდგენელია 1977 წელს ასეთი პროკლამაცია ვინმემ შეთხზას ან გადმობეჭდოს.

მან ამრიგად შეურაცხყო ქართველი მწერლის სახელი, რამდენადაც ის დაკავშირებულია ამ დოკუმენტთან, ყველამ ვიცით, რომ, ეს ამასთან არის დაკავშირებული, მე მიმაჩნია, რომ, რა თქმა უნდა, ზვიადი არ შეიძლება იყოს კავშირის წევრი.

თავმჯდომარე – იოსებ!

იოსებ ნონეშვილი – მე სამამულო ომის მონაწილე გახლავართ, იმ თაობას ვეკუთვნი და არა მარტო ჩემი თაობისათვის, არამედ ყველა თაობისათვის ცნობილია რა

საშინელებაა ფაშიზმი. კაცობრიობის ყველა გონიერ ადამიანს ფაშიზმი ძაგს და ახლა ფაშიზმზე ლაპარაკი, ფაშისტი გენერლის ეროვნულ გმირად გამოყვანა ჩემთვის წარმოუდგენელია.

მე მიჭირს როცა ამას ვლაპარაკობ, როცა ამ საკითხზე ვლაპარაკობ იმიტომ, რომ ვამაყობ კონსტანტინე გამსახურდიათი, მაგრამ მე ვხედავ, რომ ფაქტია ეს პროკლამაცია, ამ ფაშისტი გენერლის ასე ეროვნულ გმირად გამოცხადება. მაგრამ, რაც მთავარია, ზვიადი ბრძანებს, რომ ჩემი დაწერილი არ არისო და ჩვენი პრეზიდიუმის წევრებს სხვა წყარო არ გაგვაჩნია გარდა იმისა, რასაც პროკურატურა გვწერს, რაც პრესაშია, ის, რაც დღეს „ლიტერატურულ საქართველოშია” დაბეჭდილი. მე ამაღელვა საქართველოს პატრიარქის წერილმა, რომელიც „ლიტერატურულ საქართველოშია“ დაბეჭდილი. ეკლესიასაც უნდა ვერწმუნოთ და პროკურატურასაც, რომ მათ შეისწავლეს და გვწერენ და თუ კი ის შემდეგ დაადასტურებს, დაარწმუნებს პროკურატურას, ჩვენ ყველანი გახარებული ვიქნებით და ამოვისუნთქავთ, რომ ამ საქმეში მას მონაწილეობა არ მიუღია – არც ფაშისტი გენერლის ქებასა და არც ამ პროკლამაციის შედგენაში.

მაგრამ ჯერჯერობით ეკლესია, პროკურატურა გვიმტკიცებს და როგორც წესდებაშია მწერალთა კავშირის წევრი არ შეიძლება იყოს ის, ვინც არ დგას ჩვენს, საბჭოთა პოზიციაზე.

ამიტომ, მე, როგორც სხვებმა ბრძანეს, მიმაჩნია, რომ მწერალთა კავშირის წევრი არ უნდა იყოს ის, ვინც პროკლამაციას ავრცელებს და ფაშისტ გენერალს აქებს.

თავმჯდომარე – მორის!

მორის ფოცხიშვილი – შეიძლება გამეორება მომიხდეს იმისა, რაც უკვე ითქვა. ვერ წარმომედგინა, რომ ჩვენს წრეში, მწერალთა რიგებში და საერთოდ ჩვენს ქვეყანაში აღმოჩნდებოდა ადამიანი, რომელიც ასეთ მიმართულებას მოუწონებდა ფაშისტი გენერლის მოქმედებას. ამიტომ შეშფოთებული ვარ, და თუკი ეს დადასტურდება, რომ როგორმე ვინმე მხარს უჭერდა ამ წერილებს, – ასეთი კაცი არ შეიძლება იყოს მწერალთა კავშირის წევრი, თუ ეს მისი ხელიდან არის გამოსული, ის არ შეიძლება იყოს მწერალთა კავშირის წევრი.

თავმჯდომარე – კარლო!

კარლო კალაძე – მინდა განვაცხადო, რომ სხვებთან ერთად უახლოესი, უერთგულესი და უსაყვარლესი ადამიანი იყო ჩემთვის კონსტანტინე გამსახურდია და არის.

ახლა, დღეს მე ძალიან ძნელ მდგომარეობაში ვარ მძიმე მდგომარეობაში ჩაგვაყენა ჩვენ ზვიადმა. არა მარტო თავისი თავი ჩააყენა მძიმე მდგომარეობაში, უპირველეს ყოვლისა თავისი თავი, მაგრამ უკიდურესად ძნელ მდგომარეობაში ჩამაყენა მე და ყველა მწერალი, რომლებიც ამ ხნის განმავლობაში, თითქმის 40 წლის განმავლობაში როგორც კონსტანტინესთან, ისე ამ ოჯახთან ახლოს ვიდექით.

რასაკვირველია, მე ვეკუთვნი იმ ამხანაგებს, რომლებმაც (ჩვენ) კონსტანტინე გამსახურდიას ვაჟიშვილი მივიღეთ მწერალთა კავშირში. მეც მივეცი ხმა.

ახლა, ვინაიდან მწერალთა კავშირში ყოფნა ეს ნიშნავს, რომ იზიარებდე შენ იმ შეხედულებას, იმ მდგომარეობას, იდეურად იდგე იმათ გვერდით, ვინც ამ მწერალთა კავშირშია გაერთიანებული, და როცა ადამიანი თავისი საქციელით უპირისპირდება მწერალთა კავშირს, მწერლობას, რა თქმა უნდა, ჩვენ ვალდებული ვართ ჩვენი დამოკიდებულება გამოვხატოთ, გარდა იმისა, რაც ჩვენ ამ დღეებში პრესაში წავიკითხეთ, მე მეტი არაფერი ვიცი. თუ კიდევ არის რამე, უნდა ვიცოდე ისიც. რაც პრეზიდიუმშია, ისიც უნდა ვიცოდე, მაგრამ რაც ოფიციალურად რაც ჩვენს თვალწინ არის, მე ამისიც მჯერა.

რასაკვირველია, ჩვენ ბედნიერი ვიქნებოდით... ჩვენ იმიტომ, რომ მწერალთა კავშირის ხმა – ეს არის ისტორიული სიტყვა ადამიანზე და მით უფრო ისეთ ადამიანზე, რომელიც შვილია კონსტანტინე გამსახურდიასი. – და, რასაკვირველია, ჩვენ ვიქნებოდით ბედნიერები, რომ ამ ამბავში დასაწეისშივე მიგვეღო მონაწილეობა. ეს მოხდა ჩვენს გარეშე. ჩვენ ახლა ვიხილავთ.

მე წავიკითხე, რაც ზვიადს უთქვამს, დაუწერია, თუ მანქანაზე დაუბეჭდია, ამისი წინააღმდეგი ვარ და არასოდეს არ გვქონია ამის შესახებ ჩვენ საუბარი. მე ათასჯერ შევხვედრივარ და ჩვენ არ გვქონია ამის შესახებ საუბარი, მაგრამ ეს მისი თვისებაა – აფეთქებული ხასიათის კაცია.

ამიტომ მწერალთა კავშირის უმრავლესობის აზრს ვიზიარებ, რომ ჩვენი ერთად ყოფნა არ შეიძლება, ის სცილდება ყოველგვარ საკითხს, ეს არის სამშობლოს საკითხი,

ეს არის პატრიოტული სინდისის საკითხი, ეს არის თვით კონსტანტინესთან დამოკიდებულების საკითხი, რაც არ უნდა მძიმე იყოს, პასუხი უნდა აგოს ზვიადმა თავისთავის მაგივრად, ზვიადმა პასუხი უნდა აგოს კონსტანტინეს მაგივრადაც. ის უნდა ყოფილიყო ჩვენს გვერდით და რადგან არ ისურვა, მან უნდა მკაცრი პასუხი აგოს, და ის ამას შეურიგდა. მე მგონია, ჩვენთან ერთად მისი ყოფნა ძნელია და წარმოუდგენელი.

თავმჯდომარე – კიდევ ვის სურს გამოთქვას აზრი?

ალექსი გომიაშვილი – ვიდრე ჩემს მოსაზრებას გამოვთქვამდე, მინდა შევეკითხო ზვიადს. ზვიადმა რეპლიკა ისროლა, ის არის მწერალთა კავშირის წევრი.

თქვენ განაცხადეთ – ამისი არც რედაქტორი ვარ და არც ავტორიო. თუ თქვენ რედაქტორი არა

ხართ და არც ავტორი, როგორც მწერალთა კავშირის წევრი როგორ უყურებთ ამ ორგანოს პოზიციას? რა პოზიცია გაქვთ ამ ორგანოსთან? – და თუ თქვენ მონაწილე ხართ ამ ყველაფრისა, და იმის შესახებ, რაც გაზეთში იყო გამოქვეყნებული, იმ სიტყვების შემდეგ, რაც მწერალთა კავშირის პრეზიდიუმის სხდომის პროცესში მოისმინეთ – რა აზრი დაგებადათ და რა მოსაზრება გაქვთ?

ზვიად გამსახურდია – მოკლედ მოგახსენებთ. სოლჟენიცინი რომ გარიცხეს კავშირიდან, საკუთარი ნაწარმოებებისათვის გარიცხეს. თქვენ მაგდებთ იმისთვის, რაც ჩემი არ არის, უმთავრესად ანტიფაშისტური პროკლამაციის და მაღლაკელიძის ბიოგრაფიისათვის, რომლებიც ჩემი არ არის, ჩემი დაწერილი არ არის. მე არ ვაწერ ხელს. მე ვაგებ პასუხს მხოლოდ იმაზე, რასაც მე ვწერ და ხელს ვაწერ. ეს რომ იყოს ჩემი ჟურნალი, მაშინ მოვაწერდი ხელს. შეიძლება ბევრ რამეს მე არ ვიზიარებ, ის პროკლამაცია ჩემთვის უცხოა. თუ არის იმ ჟურნალში რაიმე დოკუმენტური მასალა, ამას ვიზიარებ. აქ ცდილობენ გაცილებით მეტი დამაბრალონ მე, ვიდრე ეს სინამდვილეშია. პრესაც ამას ცდილობს. პოზიცია? ამაზე მე თავს ვიკავებ, ამას ბოლოს ვიტყვი.

ალექსი გომიაშვილი – მე მგონია ბევრი ლაპარაკი ზედმეტია. ჩვენი წესდება, რასაც გვეუბნება, ჩვენი ვალდებულებაა, მწერალთა კავშირის წევრები უნდა ვიყოთ საბჭოთა პოზიციაზე და ვამართლებდეთ წესდებას, ვინც ამ წესდებას არ იზიარებს, ვინც ამ პოზიციაზე არ არის ის მწერალთა კავშირის წევრი არ უნდა იყოს.

თავმჯდომარე – ვის სურს გამოთქვას აზრი?

ვანო თარბა – უხერხულ მდგომარეობაში ვარ, როგორც ყველა. მინდა დავიწყო კარლო კალაძის სიტყვით. კონსტანტინე გამსახურდია ჩემთვის იყო ღმერთი, უდიდესი ქართველი კაცი და ჩვენი ხალხის დიდი მეგობარი და ძმა. როცა მამაჩემი მოკვდა, სპეციალურად ჩამოვიდა ოჩამჩირეში, ჩემს სახლში იყო და ძალიან ახლობელი კაცი იყო ჩემთვის და დღეს ჩემთვის ეს საკითხი ძალიან მძიმეა, მძიმე მდგომარეობაში ვარ, ისე როგორც ყველა თქვენ, სადღაც მე უფრო მეტადაც.

არ ვიცი, თუ ზვიადი დაამტკიცებს, რომ არაფერ შუაშია... ხდება განა, რომ ჩვენს პრესაში ასეთი მასალა იყოს მოთავსებული და არ იყოს სწორი? იმ მასალების მიხედვით ზვიადს გაუჭირდება ჩვენს რიგებში, მწერალთა კავშირის რიგებში დარჩენა.

თავმჯდომარე – გიორგი!

გიორგი ნატროშვილი – ვანომ თქვა, რაც ყველა ჩვენგანის საწუხარია. გარდა ამისა, ჩვენი პრესა, ეს უცხოური გადმოცემები, ეს მასალა, ესენი ყველაფერი – როგორ შეიძლება?! ვუერთდები აქ გამოსულ ამხანაგებს.

თავმჯდომარე – ელგუჯა!

ელგუჯა მაღრაძე – ამხანაგებმა თქვეს უკვე გარკვევით, ჩემთვისაც ბატონი კონსტანტინე იყო ვაჟკაცობის, დიდი მწერლობის და ყველაფრის იდეალი, ყველა იმის, რომელმაც ქართველ ერს შეუქმნა სიტყვაკაზმული მწერლობა, შეაყვარა სამშობლო, თავისი ხალხი, – ვისაც მისი წიგნები წაკითხული აქვს და სხვა ერის შვილებსაც კი შეაყვარა საქართველო. ჩემთვის დღევანდელი გამოსვლაც, ეს ლაპარაკიც ძალიან ძნელია, ეს კაცი ჩვენს ხელში გაიზარდა.

მე მიმაჩნია, რომ ზვიად გამსახურდია არის მსხვერპლი იმ განუკითხავობისა, რაც 20 წლის განმავლობაში გრძელდებოდა ჩვენს რესპუბლიკაში, რასაც 20 წლის განმავლობაში ვერ ვებრძოდით და როცა მან პირველი ნაბიჯი გადადგა ამ მხრივ, ჩვენ პასუხისმგებლები ვართ და დამნაშავე ვართ, რომ თავის დროზე არ მივუთითეთ და არ ვუთხარით, რომ ეს მცდარი გზაა. ამ ორგანიზაციას რომ უფრო მეტი ფხა, უფრო მეტი ვაჟკაცობა, შორსმჭვრეტელობა გამოეჩინა, მიეთითებინა მისთვის (თითქმის ყველას შვილეულ ასაკად გვეკუთვნის), ჩვენ შეგვეძლო მისი მობრუნება, აღზრდა, გვეთქვა, რომ ის არის მცდარი გზა, მაგრამ ჩვენს მწერალთა კავშირში იმ 20 წლის მანძილზე იყო დანერგილი ის, რომ ექსცესებითა და ჩხუბით ვინც გადიოდა, ჩვენ ამას ვუწყობდით ხელს, ვაქეზებდით ამანაც

თავისი დაღი დაასვა. ჩვენ რომ თავის დროზე აგველაგმა ის, ვინც ექსცესებით იკაფავდა გზას, საქმე აქამდე არ მივიდოდა.

ახლა ის დაპირისპირებული აღმოჩნდა ჩვენთან, ყველა ჩვენთაგანთან და წესდებასთან. მისი საქციელი და მოქმედება დასაგმობია და ამდენად მწერალთა კავშირის რიგებში რომ დარჩეს, ძნელია.

თავმჯდომარე – ხუტა!

ხუტა ბერულავა – მწერალთა კავშირი – ეს არის თანამოაზრეთა კავშირი, როგორც ამას ჩვენი წესდება ითვალისწინებს. რა თქმა უნდა, ეს მოქმედებაც შეუთავსებელია საბჭოთა მწერლების სახელთან.

მე მინდა დავეთანხმო ზოგიერთი ამხანაგის წინადადებას. რადგან ზვიად გამსახურდია აცხადებს, რომ ეს მას არ ეკუთვნის, რომ ეს მისი ხელმძღვანელობით, თუ მონაწილეობით არ გაკეთებულა (გვითხრას ვისია) და თუ ეს ასეა, ერთხელ კიდევ შევეცადოთ იქნებ აღმოვაჩინოთ...

თავმჯდომარე – ამაზე რომ არ იყოს ლაპარაკი, მოგახსენებთ: ის, რაც პრესაშია დაბეჭდილი და რაც აქ მოტანილია, ეს დადასტურებულია და არავის არ უნდოდა ამის გამოგონება და შეთხზვა. ეს არის დადასტურებული და დამტკიცებული და იმიტომ არის გამოტანილი. ვიდრე ბოლომდე არ იყო დამტკიცებული, არ გამოუტანიათ. ზვიადს შეუძლია გამოთქვას თავისი აზრი. ის, რაც არის – დამტკიცებულია და ამას არ გავხდით სადავოდ. ვიმსჯელოთ იმაზე, რომ ფაქტიური მასალაა. ხომ არ შეიძლება გაზეთი „კომუნისტი“ , „თბილისი“, „ახალგაზრდა კომუნისტი“, „ლიტერატურული გაზეთი“ ტყუილს სწერდეს?!

ხუტა ბერულავა – ყველაზე მთავარი ის არის, რომ ჩვენ არავის არ უნდა მივცეთ უფლება სული აუმღვრიოს ჩვენს ახალგაზრდობას, რომელიც ჩვენ, შემოქმედებითმა მუშაკებმა უნდა აღვზარდოთ კომუნისტურ იდეალებზე და კომუნისტური სულისკვეთებით და ამ შემთხვევაში, როდესაც ლაპარაკია ძალიან მაღალ და წმინდა საქმეებზე, აქ დათმობა არ შეიძლება.

მე ვუერთდები ამხანაგების აზრს – საქართველოს მწერალთა კავშირის რიგებში არ შეიძლება, რომ ასეთი კაცი იყოს.

თავმჯდომარე – კიდევ?

ვახტანგ ჭელიძე – ჩემთვის ცოტა ძნელია ლაპარაკი იმიტომ, რომ თვითონ ზვიადთან არ მქონდა კეთილი ურთიერთობა, მაგრამ უნდა გამოვთქვა აზრი, იმის შემდეგ რა საბუთებსაც ჩვენ გავეცანით – იმ პროკლამაციას, ფაშიზმის რეაბილიტაციის ცდას, – წესდება არ გვაძლევს უფლებას, რომ ჩვენს რიგებში იყოს და ვუერთდები საერთო აზრს – ასეთი ადამიანი არ უნდა იყოს მწერალთა კავშირის რიგებში.

თავმჯდომარე – სერგი!

სერგი ჭილაძე – მე სხვა მასალას არ ვიცნობ, რაც გაზეთშია, იმას ვიცნობ და მე მიმაჩნია – საბჭოთა პრესაში მოყვანილი ფაქტები და მასალა ისეთ შეუვალ სურათს ქმნის, რომ აქ ორი აზრი არსებობდეს, შეუძლებელია.

ჩემთვის ყველაზე უფრო სამძიმოა ეს იმიტომ, რომ თვითონ კონსტანტინე გამსახურდიას აქვს – „თუ არა საბჭოთა ხელისუფლება, ჩემთვის დიდ მწერლობასთან წილნაყრობა არ შეიძლებოდა“. ესა აქვს ნათქვამი მას და ასე არის ნამდვილად დიდ ოსტატად ის ჩვენმა სინამდვილემ აქცია და ამიტომაც ჩვენი სინამდვილის გულწრფელი მომღერალი იყო.

მით უფრო სამწუხაროა ამ დიდი ქართველი კაცის, ამ დიდი ოსტატის, ჩვენი ამ დიდ ლიტერატურულ ბრძოლებში ჩვენი მეგობრის შვილის საკითხს რომ ვიხილავთ – იყოს თუ არა ის ჩვენს რიგებში. დიდად გული მტკივა მიმძიმს ამის წარმოდგენა იმიტომ, რომ თვითონ კონსტანტინე გამსახურდიამ რაღაც საოცრად რთული გზა გაიარა და ეს განაცხადა. ამის დამადასტურებელია მისი ნათელი შემოქმედება, რომელიც მისი ხელიდან არის გამოსული.

ამიტომ მე ვიმეორებ და ვეთანხმები ამხანაგების აზრს, მაგრამ აქ ჩვენმა პარტორგანიზაციის მდივანმა განაცხადა „,თუ ეს ასეა“ და როგორღაც ეჭვქვეშ დააყენა საკითხი, მე ვფიქრობ, საკითხი ისე უნდა გამოგვეტანათ, რომ არ ყოფილიყო ეს „თუ ეს, ასეა“. ეს იმ ტკივილებს კიდევ ერთ ტკივილს უმატებს. მე მომეწონა ბატონმა ალექსიმ რომ პირდაპირ მიმართა კითხვით. ზვიადმა არ უპასუხა; უპასუხეთ ბოლომდე, რომ ჩვენ შეგვეძლოს ნათელი დამოკიდებულება გვქონდეს საკითხთან. ვიმეორებ, მე მხოლოდ იმ მასალას ვიცნობ, რაც პრესაშია და აქ ისეთი ფაქტებია, რომ ამიტომ ამხანაგების იმ წინადადებას ვუერთდები, მაგრამ მაინც მოვითხოვ „თუ ეს ასეა“ და სხვა – ამ კითხვებზე პასუხი იყოს.

მორის ფოცხიშვილი – ბატონო სერგი, ზვიადმა რომ სთქვა მე ხელს არ ვაწერ, მე არ ვარ ავტორი, ამან დაბადა ეს აზრი. ისე, თქვენ თუ არ წაგიკითხავთ მასალა, აქ არის და წაიკითხეთ.

თავმჯდომარე – კიდევ?

რევაზ მარგიანი – ძალიან რთულ მდგომარეობაში აღმოჩნდა ქართული მწერლობა. მე გავეცანი ამ მასალებს. თავისთავად ზვიადის საქციელი მეტყველებს, რომ ის არ იზიარებს ქართული საბჭოთა მწერლობის პოზიციებს და თვითონ ლაპარაკობს – არ არის საჭირო იყოს წევრი ამ კავშირისა.

თავმჯდომარე – ირაკლი, ხომ არ იტყოდით რამეს?

ირაკლი აბაშიძე – რამდენი ხანია, რაც მივიღეთ ზვიადი მწერალთა კავშირში?

ზვიად გამსახურდია – 1966 წლიდან.

თავმჯდომარე – 1968 წლიდან. აქ არის მასალა, ზვიად!

ირაკლი აბაშიძე – 1968 წლიდან მე არ მახსოვს რომელიმე კაცის შესახებ გველაპარაკა და მათ შორის პირველ რიგში, რასაკვირველია, უმძიმესია ვილაპარაკო კონსტანტინე გამსახურდიას ოჯახის წევრების შესახებ.

თავმჯდომარე – უკაცრავად, 1965 წელს მიგვიღია წევრად.

ირაკლი აბაშიძე – რა მძიმეც არ უნდა იყოს ამის თქმა, ამხანაგებო, უნდა ვთქვათ – საბჭოთა მწერალს არ შეიძლება სხვა რაიმე აზრი ჰქონდეს. საბჭოთა კავშირის მწერალთა კავშირის წევრი ჩვენს წესდებას იცნობს, მათ შორის რასაკვირველია, ზვიადიც იცნობს. რასაკვირველია, არ შეიძლება, თუ ეს ყველაფერი ვიცით, რაც ვიცით ჩვენ... (მე ახლა ავად ვიყავი და ყველაფერი ვერ წავიკითხე). თქვენ აქ დაგიძახეს იმიტომ, რომ სთქვათ...

ზვიად გამსახურდია – ბოლოს ვიტყვი

ირაკლი აბაშიძე – სხვათა შორის, ბოლოს ჩვენ უნდა ვთქვათ. ჩვენ რას ვლაპარაკობთ?

ზვიად გამსახურდია – სასამართლოზე ჯერ ეკითხებიან ბრალდებულს და შემდეგ გამოაქვთ განაჩენი.

ირაკლი აბაშიძე – თუ საჭიროა კენჭი ვუყაროთ, კენჭი იმიტომ, რომ თქვენთვის გადაწყვეტილია, საკითხი ნათელია და მე მომხრე ვარ საბჭოთა კავშირის მწერალთა კავშირიდან ზვიად გამსახურდია გაირიცხოს, მაგრამ ჩვენ ალბათ, იმიტომ დავუძახეთ, რომ მას მოვუსმინოთ. ახლა ჩვენ ვლაპარაკობთ და მერე მოვუსმენთ?

11 წელია მწერალთა კავშირში გვყავს კაცი, ჩვენი დიდებისა და სიამაყის შვილი, ჩვენი ყველა ოჯახის შვილი. რა ვქენით, რა გავაკეთეთ?! ჩვენს თავზეც უნდა ვთქვათ და პირადად ჩემს თავზედაც – ვუთხარით მას რაიმე, გავაფრთხილეთ, დავუძახეთ? აი, მე რომ ირაკლი აბაშიძე ვარ – რა გავაკეთე. 1966 წელს მიგვიღია წევრად. ეგ დაჭერილი იყო ერთხელ, მეც მოვეხმარე. ჩემს თვალწინ უთხრა კონსტანტინე გამსახურდიამ, მოგკლავო, თუ კი გაიმეორებო. მერე რა მოხდა, დავუძახეთ, ველაპარაკეთ, თუ რა ვქენით?! ასე არ არის სულ, ჩვენ ხომ გვთხოვენ პასუხს და მოგვკითხავენ და სავსებით მართალი იქნება. ასე კი არ არის – აუწევთ ხელს. იმხელა დიდი მოვლენაა, რომ არც ერთ რესპუბლიკაში არ მომხდარა. თქვენ ამას ანგარიში უნდა გაუწიოთ. ეს კაცი ამბობს – მე არა ვარ რედაქტორი, ჩემი ხელმოწერა არ არის. ვკითხოთ რაშია საქმე რა არის, დაგვეძახებინა, ერთხელ გაგვეფრთხილებინა, მეორედაც, უნდა გვემუშავა. მე ცოტა მკაცრად გამოვდივარ, ავად ვარ – მე ჩემს შესახებაც ვლაპარაკობ იმიტომ, რომ ძმად მიმაჩნდა კონსტანტინე და მეგობრად მისი ოჯახი. ამ ბოლო ხანებში ხუთჯერ ვიყავით და დღე არ იყო, რომ არ დაერეკა ჩემთვის და გიორგი ნატროშვილისათვის. ჩვენ დამნაშავეები ვართ და ჩვენ მოგვთხოვენ პასუხს.

ხმები – სთქვას.

ზვიად გამსახურდია – საერთოდ რა უნდა მოგახსენოთ. სასამართლო რომ სასამართლოა, მას თავისი წესი აქვს – საბჭოთა კავშირსა თუ უცხოეთში, არსებობს იურისპრუდენცია, არსებობს კანონი. თუ ყველაფერი მოთავებულია, უნდა გავჩუმდე და თქვენ რაც გინდათ ის გამოიტანეთ, ის დაადგინეთ. არ შეიძლება, სანამ სასამართლო არ დაადგენს დანაშაულს, კაცი დაისაჯოს და იმის თქმა, რომ ეს სიმართლეა იმიტომ რომ პრესაშია. პრესას შეიძლება შეეშალოს. ვერც პრესა გასწევს სასამართლოობას და ვერც პროკურატურა. ეს რომ ასე იყოს, მაშინ სასამართლო აღარ იქნებოდა. პროკურატურა გამოთქვამს თავის აზრს და მას რომ შეეძლოს გადაწყვეტა, მაშინ სასამართლოც არ იქნებოდა საჭირო. მარტო პროკურატურის აზრი რომ იყოს კომპეტენტური, სასამართლო აღარ იარსებებდა. სასამართლო იმიტომ არსებობს, რომ დაადგინოს სიმართლე, ის სიმართლე, რომელსაც ვერ ადგენს პროკურატურა.

რატომ არსებობს სასამართლო და შეიძლება თუ არა ასე სროლა ადამიანის მიმართ ინსინუაციების და ყველაფერი ის, რასაც პრესა აკეთებს? ყველაფერი, რაც ენაზე მოადგება „სოვეტსკაია კულტურის“ კორესპონდენტს, გადმოიგზავნება აქ და იბეჭდება ან თუნდაც ის, რომ მე რადიო „სვობოდას“ ვუგზანი მასალებს. როგორ შეიძლება ასე დაბრალება? და რამდენი უნდა ჩამოვთვალო?

აი, თვით აქ რაც წამძღვარებულია. მე არ ვიცი, სად გამოდის ეს ჟურნალი, ვის მიერ. მე ვწერ და ვაძლევ მეგობრებს. მე ვწერ და რასაც ხელს ვაწერ, სამწუხაროდ არ იბეჭდება, ცენზურა მკაცრია, ამიტომ გადავცემ ნაცნობ-მეგობრებს. მაგალითად, ძეგლთა დაცვის მდგომარეობაზე დავწერე, პრესის ყველა ორგანოს მივმართე. არ დამიბეჭდეს და შემდეგ გადავწყვიტე მიმეწოდებინა ხალხისათვის.

რაც შეეხება პროკლამაციას, არ მინახია, არც მითარგმნია და საერთოდ მე არ ვარ საბჭოთა წყობილების მტერი, არც მისი დამხობის მომხრე და არც არავის მოვუწოდებ ამისკენ, თუ მე რაიმეს ვწერ, ვაკრიტიკებ რომელიმე დაწესებულებას, ეს არ ნიშნავს, რომ მე ვარ მტერი. ნუ აიღებთ თქვენს თავზე სასამართლოს ფუნქციას. მე ვიცი თქვენ ეს დაგეგმილი გაქვთ და, რაც არ უნდა ვთქვა, თქვენ ვერაფერს შესცვლით. ეს გადაწყვეტილია, მაგრამ თქვენ სასამართლო არ ბრძანდებით, თქვენა ხართ მწერალთა წრე.

არავითარი მაღლაკელიძის შესახებ წერილის ავტორი მე არა ვარ. გადახედეთ და ნახავთ – არც ერთი სიტყვა ჩემი არ არის. და სხვათა შორის, მაღლაკელიძის შესახებ უნდა მოგახსენოთ, – ის თქვენი „მერნის“ კონსულტანტი იყო, თუ ის ფაშისტი გახლდათ, რატომ არ მოხვდა ნიურნბერგის პროცესში? იმიტომ, რომ სწორედ ის იყო ანტიჰიტლერელი, ანტიფაშისტი, უბრალო სამხედრო. ის გახლდათ შელენბერგის დაჯგუფების წევრი, ანტიფაშისტი და არც ვიცნობდი და არც ვმეგობრობდი მაღლაკელიძეს, ის თქვენი გამომცემლობა „მერნის“ თანამშრომელი იყო წლების განმავლობაში და ყველა თქვენთაგანს მასთან პური უჭამია და კარგი სიტყვა უთქვამს.

გიორგი ჟორჟოლიანი – მე არ ვარ მაგ წერილის ავტორიო...

ზვიად გამხახურდია – თუ სასამართლო დაამტკიცებს, რომ მე ვარ მაგ წერილის ავტორი, ან ეს პროკლამაციაც ჩემი თარგმნილია... მე არ ვაწერ ხელს ჟურნალს, იმიტომ კი არა, რომ მეშინია, არა, მე არა ვარ მშიშარა. მე არ ვიცი სად გამოდის ეს ჟურნალი. ამ ჟურნალში ყველაფერი – რაც ფაქტიური მასალაა – სიმართლეა და მე ამაზე ვაწერ ხელს.

გიორგი ციციშვილი – თქვენ ამბობთ, რომ არ იცით, სად გამოდის, ვინ არის რედაქტორი და ხელმძღვანელი. გაქვთ თუ არა უფლება მწერალთა კავშირის წევრს ბეჭდოთ, გაუშვათ თუნდაც უწყინარი კორესპონდენცია იმ ჟურნალში, რომლის არც რედაქტორი იცით, არც შემდგენელი, არც ინიციატორი, არც ფასი აწერია და ის კი ნამდვილად იცით, რომ არალეგალური ჟურნალია. მე პირადად არც მინახია ეს ჟურნალი. ეს რომ ყოფილიყო დაბეჭდილი „ცისკარში“, „მნათობში“, გამოვიდოდი, შევათასებდი. რანაირად შეფასდება ეს თქვენი საქციელი ამ შემთხვევაში, როცა თქვენ ბეჭდავთ იმ ჟურნალში?

ზვიად გამსახურდია – ბატონო გიორგი, ეს ისეთი ჟურნალია, სადაც შეიძლება ხვალ თქვენი ნაწარმოებიც მოხვდეს. მე ჩემს ნაწარმოებებს ვუშვებ ჩემს ნაცნობ-მეგობრებში, ისეთებს, რომლებსაც არ მიბეჭდავს პრესა. იქ რედაქციაა და კანტორა კი არ არის, როგორც წერენ, არავითარი კანტორა არ არის. ეს გეშლებათ. ეს ყველაფერი დასადგენია და რაც განზრახული გაქვთ უკვე, შეგიძლიათ გადაწყვიტოთ.

თავმჯდომარე – ბატონო გიორგი!

გიორგი მერკვილაძე – ზვიადის გამოსვლამ ჩვენ მაინც ვერ დაგვარწმუნა, რომ მას არავითარი კავშირი არა აქვს. მაინც ფაქტებს თავისი ლოგიკა აქვს და არა მგონია, რომ თქვენ არ იცოდეთ ამ ჟურნალის ასავალ-დასავალი. ბოლოსა და ბოლოს თქვენი ნების გარეშე როგორ იბეჭდება? თქვენ სრული უფლება გქონდათ პროტესტი გაგეცხადებინათ ოფიციალურად, როგორც ეს მოხდა მოსკოვის გაზეთებში და რაკი ეს ასე არ არის, თქვენ თანამშრომლობთ ამ ჟურნალში და თანაუგრძნობთ ამ ჟურნალის პოზიციას.

კავშირის წევრად ყოფნა იმას ნიშნავს, რაც ევალება, უნდა დაიცვას, თქვენი პოზიცია ამას ეწინააღმდეგება ბუნებრივად ისმება საკითხი, – თქვენი საქმიანობის შეფასება იმ მოვლენების გარეშე არ შეიძლება.

თქვენ თქვენი ნიჭით, თქვენი ოჯახის ტრადიციებით, რასაკვირველია, კავშირში უნდა იყოთ ჩვენთან და თქვენი პრაქტიკული საქმიანობა საწინააღმდეგოა ამისა, ამიტომ მეც მხარს ვუჭერ წინადადებას, რომ თქვენი კავშირში ყოფნა შეუთავსებელია კავშირის წევრის მოვალეობასთან.

თავმჯდომარე – გურამ!

გურამ ფანჯიკიძე – მე ვარ ძალიან ცუდ დღეში და ძალიან მიჭირს დღეს გამოსვლა, ვინაიდან ორი წელია მე და ზვიადი ერთმანეთს არ ველაპარაკებით, რადგან გვქონდა ძალიან დიდი ჩხუბი – ახლა არ მინდა ამ გაჭირვებულ დროს ბრალმდებელი გამოვიდე, ვინაიდან არ დავემსგავსო ჩასაფრებულ მტერს. მიუხედავად ამისა მე ვიზიარებ პრეზიდიუმის აზრს

ისე კი არსებობს წესდება. მაგალითად, პარტიიდან რიცხავენ კაცს, თუ სამი თვის საწევრო არ გადაიხადა, ვინაიდან ზვიადი არ ემორჩილება მწერალთა კავშირის წესდებას, არ იზიარებს მის პროგრამას, თვითონვე უნდა გასულიყო ამ კავშირიდან.

რასაკვირველია, მე ვიზიარებ პრეზიდიუმის აზრს, მაგრამ ძალიან ცუდ დღეში ვარ

თავმჯდომარე – ხომ არ სურს ვინმეს კიდევ გამოთქვას აზრი?

ხმები – ყველამ გამოთქვას თავისი აზრი, ყველამ!

თავჯდომარე – არჩილ!

არჩილ სულაკაური – მეც იგივე მინდა ვთქვა, რაც გურამმა. მე და ზვიადს არა გვაქვს კარგი ურთიერთობა დიდი ხანია. მე, როგორც თქვენ, პირველად გავიგე პრესიდან ეს ამბები. მე პრინციპულად არ ვკითხულობდი რასაც ეგ წერდა, მაგრამ ახლა რაღაცნაირად, ბატონი ირაკლის გამოსვლის შემდეგ, არ შეიძლება ანგარიში არ გაუწიო იმას, რომ პიროვნება უარყოფს, იმას ამბობს, რომ არავითარი კავშირი არ ჰქონია...

ზვიად გამსახურდია – კავშირი კი მქონდა, ჩემი მასალა დაბეჭდილია, ამას ყველა ხედავს, სად და როდის გამოდის, მე არ ვიცი.

არჩილ სულაკაური – ისიც მართალია, რომ სასამართლომ უნდა დაადგინოს. ზვიადი ისე უნდა მოსულიყო, რომ სასამართლოს დაემტკიცებინა ეს. ისე ვიზიარებ საერთო აზრს.

თამაზ ჭილაძე – ვიზიარებ პრეზიდიუმის აზრს.

თავმჯდომარე – გურამ!

გურამ ასათიანი – ყველამ თქვა და მეც უნდა ვთქვა – ძალიან მტკივნეული საკითხია. ძალიან მძიმე მდგომარეობაში ვართ. მე არა მგონია, რომ დარბაზში იყოს მწერალი, რომელიც პირად მტრად თვლიდეს ზვიად გამსახურდიას. მე ესეც მაწუხებს, მე მინდა ზვიადს მივმართო და თუ ის ობიექტურად შეაფასებს, ძნელია ასე დასცილდეს პირად განცდას.

მე მგონია ყველა, ვინც აქ არის, აბსოლუტური უმრავლესობა ისაა, რომელთაც ყველაზემეტად იციან კონსტანტინე გამსახურდიას ფასი. უფრო მეტი, ეს ის ადამიანები არიან, არამარტო უფროსები არამედ შუა თაობა, რომლებიც ზვიადის ოჯახს იცნობენ, მის ღვთისნიერ დედას, შესანიშნავ დას და გასაგები უნდა იყოს ჩვენი გრძნობები.

აქვე ითქვა და კიდევ მინდა გავიმეორო, რომ, რასაკვირველია, ჩვენი დღევანდელი საუბარი ნაგვიანევია. უნდა გვეცადა ყოველ ჩვენგანს (ჩემგან დავიწყებ), რომ ეს დღე არ დამდგარიყო. იმის მიხედვით, რაც მე მსმენია, რასაც გავეცანი გუშინ, მე შემექმნა ასეთი შთაბეჭდილება – მე ვფიქრობ, ის გზა რომელიც ზვიადმა აირჩია, მცდარია და სარისკო. ეს ის საქმიანობაა, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს ძალიან მწარე შედეგები, ისეთი სავალალო შედეგები, რომელსაც ერთი ადამიანის ცხოვრებაც კი ვერ გამოისყიდის. მე ასე მჯერა, ამის თქმის უფლებას მაძლევს გამოცდილება, რომელიც შეუძენია უფროსი თაობის მწერლებს, კონსტანტინე გამსახურდიასა და მისი თაობის მწერლებს. საბოლოოდ გავიმეორებ, ის, რაც აქ ითქვა, – ყველა ორგანიზაციას აქვს თავისი პრინციპები, თავისი წესდება და თუ რომელიმე უპირისპირდება ამ პრინციპებს, ის აყენებს თავს ამ ორგანიზაციის გარეშე.

ზვიად გამსახურდიას ადგილზე მე პირადად უფრო ადრე დავწერდი განცხადებას იმის შესახებ, რომ გამოგვეყვანა კავშირიდან.

თავმჯდომარე – შემდეგ კიდევ ვის სურს გამოსთქვას აზრი?

კოსტა მარგიევი – მე მასალებს არ ვიცნობ. ვიცნობ მხოლოდ გაზეთებში დაბეჭდილ მასალას. დღეს ვხედავ პირადად ამ შესანიშნავ ახალგაზრდას, მაგრამ მე თანახმა ვარ პრეზიდიუმის აზრისა.

თავმჯდომარე – ფრიდონ!

ფრიდონ ხალვაში – ამხანაგები გამოვიდნენ. მე ვეთანხმები ამხანაგების აზრს. სხვა მხრივ საქმის კურსში მე არ ვარ, გარდა იმისა, რაც პრესაში იყო და უმრავლესობის აზრს ვუჭერ მხარს.

თავმჯდომარე – რომან, თქვენ თქვენ ხომ არ გნებავთ რამე?

რომან მიმინოშვილი – ძალიან ძნელია ლაპარაკი. გვიან შემოვედი. აქ რაზე იყო საუბარი, მე არ ვიცი, მაგრამ რამდენადაც ვატყობ პატივცემული ზვიადი უარყოფს იმას,

რომ ეს გამოცემები მისი ინიციატივით ხდებოდა. პრესაში რაც გამოქვეყნდა მასალა, ეს მხოლოდ ნაწილია, რის საქმის კურსში შეიძლება იყოს განყოფილება.

აქ რომ მოვდიოდი, მე ზოგიერთი რამ მოვიტანე (გადასცემს გრიგოლ აბაშიძეს) და ზოგი რამ გამგეს აქვს. ეს არის „თავისუფლების ტრიბუნა“, სადაც დაბეჭდილია ზვიად გამსახურდიას სიტყვა და აგრეთვე კონსტანტინე გამსახურდიას გამოუქვეყნებელი ნოველა და რამდენადაც მე ვიცი კონსტანტინე გამსახურდიას არქივზე არავის არ მიუწვდება ხელი.

თავმჯდომარე – ეს არის ემიგრანტული ჟურნალი?

რომან მიმინოშვილი – დიახ, ეს არის ემიგრანტული ჟურნალი, რომლის სარედაქციო კოლეგიაში შედიან გ. წერეთელი, მ. ნოზაძე და... ზვიად გამსახურდიას ღია წერილი პროფესორ ლენგს.

ზვიად გამხახურდია – ეს ჩემია, მე ვაწერ ამას ხელს. ეს წერილი მე გავუგგავნე დევიდ ლენგს. ასევე ხვდება „თავისუფალ ხმაში“ ყველაფერი. ვის მიაქვს, მე არ ვიცი.

რომან მიმინოშვილი – აი ეს ერთგვერდიანი ამონაწერი „საქართველოს მოამბიდან“. აქ არის ჩამოთვლილი ის პირები, რომლებიც მოსკოვში ხელმძღვანელობენ ე. წ. ადამიანთა უფლებათა დაცვას და მათი წერილია, რომელსაც ხელს აწერენ აკადემიკოსი სახაროვი, ტვერდოკრედოვი და ჭელიძე და იტყობინებიან „საბჭოთა კავშირში ადამიანთა უფლებათა დაცვის ჯგუფი...“ (კითხულობს)... შემდეგ ამას მოსდევს ადამიანთა უფლებათა დაცვის საინფორმაციო ჯგუფი საქართველოში – „ადამიანის უფლებათა ჯგუფი ჩამოყალიბდა საქართველოში 1974 წელს – ჯგუფი მიზნად ისახავს შეისწავლოს... (კითხულობს)... ჯგუფის წევრები: ზვიად გამსახურდია, მერაბ კოსტავა, ვიქტორ რცხილაძე და სხვანი. „ოქროს საწმისის“ შესახებაც იგივე მდგომარეობაა.

ზვიად გამსახურდია – რასაც მე ვაწერ ხელს, ის არის ჩემი, რაც შეეხება მაგ ჯგუფს, საბჭოთა კავშირმა მოაწერა პირველმა ხელი.

რომან მიმინოშვილი – ამ „ოქროს საწმისთან“ დაკავშირებით მინდა მოგახსენოთ, „ოქროს საწმისში“ არის კონსტანტინე გამსახურდიას გამოუქვეყნებელი ნაწარმოები. საიდან ღებულობს რედაქცია?

ზვიად გამსახურდია – მთელს ქალაქში დადის ეს.

რომან მიმინოშვილი – აი ეს არის ჩემი ინფორმაცია.

თავმჯდომარე – რეზო!

რევაზ ჯაფარიძე – მეგობრებო, ალბათ თვითეული ჩვენგანი დათმობდა თავისი სიცოცხლის რამდენიმე წელს, რომ ეს ამბავი არ მოსწრებოდა. მე დავთმობდი რამდენიმე წელს, რომ არ მჭირდებოდეს აქ გამოსვლა. მე არ ვიტყვი რატომ, რა ურთიერთობა მქონდა კონსტანტინე გამსახურდიასთან, როგორ მიყვარს ზვიადი, მაგრამ აქ რომ ბრძანდებოდეს, ჩვენს პრეზიდიუმზე, ბატონი კონსტანტინე ისიც ასე იტყოდა.

არსებობს წესდება და ფორმალური ლოგიკა მოითხოვს, როცა არ ეთანხმები ამ წესდებას, შენ თვითონ დასწერო განცხადება და არ ჩაგვაყენო ჩვენ უხერხულ მდგომარეობაში.

კარგი იყო, რომ ზვიადს ასე გაეკეთებინა და ძალიან ვწუხვარ, და იძულებული ვარ ყველა იმის გამო, რაც ჩვენთან არის აქ, მხარი დავუჭირო ამ წინადადებას.

თავმჯდომარე – მურმან!

მურმან ლებანიძე – გაოცებული ვარ იმ მდგომარეობით და გაკვირვებას იწვევს ის ფაქტი, რომ ჯერ კიდევ ბოლომდე არ არის გარკვეული და სამტკიცებელი ხდება ჩვენს სხდომაზე, როგორც ბატონი ზვიადი აცხადებს, არის თუ არა ის ყველა ამ მასალის ორგანიზატორი, რედაქტორი და რედაქტორ-გამომცემელი.

თავმჯდომარე – ამხანაგებო, მე ოფიციალურად ვაცხადებ – როცა ეს საკითხი დაისვა, ჩვენ გვითხრეს, რომ ყველაფერი დოკუმენტირებულია და ნუ გავხდით სადაოს, და თუ კი ზვიადი დაამტკიცებს, ჩვენ არ გაგვიჭირდება სხვანაირად ვიმსჯელოთ.

მურმან ლებანიძე – მაინც ნუთუ ზვიადს არ დაუძახეს და დღეს სალაპარაკო ხდება – არის თუ არა რედაქტორი. დღეს ზვიადი აქ უნდა მოსულიყო აბსოლუტურად განიარაღებული, აბსოლუტურად შემზადებული, რომ ეთქვა – კი ბატონო! ამის შემდეგ უნდა მოხდეს ზვიადის აღსარება და სად? – სხვაგან, ისე რომ ჩვენ არ გვეცოდინება.

თუ ის მარტო გურამ რჩეულიშვილის კეთილი მოსაგონარის ავტორია, მაშინ ულოგიკოა მისი გარიცხვა. მაგრამ თუ ის იმ ჟურნალის რედაქტორია, სადაც პროკლამაცია და მაღლაკელიძის მოსაგონარია დაბეჭდილი, მაშინ მისთვისაც და ჩვენთვისაც ნათელია, რომ ის გაირიცხება.

თავმჯდომარე – კიდევ თუ დარჩა ვინმე?

შოთა ნიშნიანიძე – ორი აზრი არ შეიძლება არსებობდეს იმის შესახებ, რაც აქ ითქვა, თუ ეს ბრალდებები დოკუმენტირებულია, კარგია, თუ კი ზვიადი მოახერხებს თავის მართლებას, მაგრამ თუ ეს ვერ მოახერხა, მაშინ საჯაროდ, პრესაში აღიაროს შეცდომები, ეს ბევრ რამეს ნიშნავს. მას ისეთი აღზრდა აქვს, ისეთ გარემოშია აღზრდილი, რომ არ შეიძლება ერისათვის სასარგებლო არ იყოს განათლების გამო, წიგნიერების გამო, ხომ შეუძლია ისე ითანამშრომლოს, რომ ერისათვის სასარგებლო იყოს. მე მგონია მთელი ქართველი მწერლობისათვის ეს კარგი იქნება, თუ გამართლება და თავის თავის რეაბილიტაცია ვერ მოახერხა, ამ შეცდომის აღიარება ნიშნავს მისი სინდისის წინაშე ერთგვარ გამარჯვებას და პერსპექტივაში ჩვენთან იქნება ეს კაცი.

თავმჯდომარე – ვინ დარჩა კიდევ?

ანა კალანდაძე – ბატონი მურმანისა არ იყოს, რა უნდა ვილაპარაკო, პირველი განცდა ის არის, რომ ბატონი კონსტანტინეს აჩრდილის წინაშე ვართ ყველანი უმძიმეს მდგომარეობაში და განსაკუთრებით მე. ზვიადი ნათლიმამაა ჩემი, ნათელმირონი მაკავშირებს. და რაც აქ ითქვა, იმან მე ცოტა იმედი მომცა. პირველი სამსჯავრო – ეს არის მწერალთა კავშირის პრეზიდიუმი. ნუთუ არავინ დაიბარა, მარტო ჩვენ ვართ პირველები?... შეიძლება მოხდეს სასწაული და ზვიადმა თავი გაიმართლოს და ამოვისუნთქოთ. შეიძლება მოხდეს ასეთი სასწაული და მე ამ სასწაულისა მჯერა.

თავმჯდომარე – ბატონო დემნა!

დემნა შენგელაია – ამხანაგებო, ძნელია იმ ყმაწვილის მდგომარეობა და მისი გათვალისწინება ჩემთვის, რომლის ხელშიც ის გაიზარდა. სულ პატარა იყო, როდესაც კონსტანტინე მას თავს ევლებოდა და დღეს სულ სხვანაირად წარმოსდგა. საკმარისია ჩემთვის ის, რაც პრესაშია, არ შეიძლება ასე, პირადი მორალის საკითხი საეჭვოა ძალიან, ანონიმურ წერილებს რომ კაცი წერს სამღვდელოებაზე, 170 წერილი გაუგზავნია ანონიმური, და ზვიადმა ამაზე ნაკლები წერილები კი არ გაგზავნაო. გაუფრთხილდეთ ქართულ ენასო, ეს ისეთ ეჭვებს აღძრავს, აქ არავითარი სასამართლო დადასტურება არ გვჭირდება, ყველაფერი ნათელია. ეს ყველაფერი ახდენს ძალიან ცუდ შთაბეჭდილებას, როგორც მოქალაქის და აქ ინტელექტის მდგომარეობაა კიდევ საფიქრებელი. ჭკუათმყოფელი კაცი ამას არ იზამს და მით უმეტეს შენ, სამშობლოს შვილი ხარ და ამღვრევ წყალს.

მე ვწუხვარ ჩვენი ოჯახის წევრი აქამდე რომ მივიდა და თუ ზვიადი მოახერხებს იმას, რომ გაიმართლებს თავს, არ ვიცი, ეს არის ცილისწამება. თუ ის გაიმართლებს თავს, ეს იქნება ბედნიერება, ეს იქნება მისი გადარჩენა და კონსტანტინეს გადარჩენა და გადარჩენა ჩვენი პრეზიდიუმის სახელის გატეხისა, ეს საკითხი ძალიან რთულია. რთულია ჩემთვის პირადად ბიოგრაფიულად მისი წარმოდგენა, ეს „სამიზდატი“, ეს ყველაფერი, არაფერი სისაძაგლე რომ არ აკლია ამ საქმეს. ეს სამწუხარო მდგომარეობაა. არ აკლია არც ანტიპატრიოტიზმი, არც ამხანაგების დასმენა და გაწირვა. აბა რა არის ანონიმური წერილები. მე ძალიან მენიშნა ერთი სიტყვა, რომელსაც ამბობს სამღვდელოება „პარანოიკები“.

მე ვფიქრობ, ეს საქმე გარკვეული იქნება და, თუ თქვენ გაიმართლებთ თავს, ამაზე ბედნიერება რა იქნება, მაგრამ არა მგონია აქედან გამოსავალი იყოს თავმჯდომარე – ამხანაგებო, ყველამ გამოთქვა აზრი და ყველამ აღნიშნა ეს მძიმე ამბავი და, თუ ვინმე არის მძიმე მდგომარეობაში, ჩემთვის ეს არის ყველაზე მძიმე, რადგან ჩემს დროს ხდება.

რა თქმა უნდა, თქვენ კარგად იცით, რომ ჩვენს ქვეყანას იმდენი მტერი ჰყავს, რომ მტრის გამოგონება კიდევ არავის არ სჭირდება და ვიდრე ამ საკითხს აქ მოვიტანდით, გვითხრეს, რომ ეს ფიქსირებულია. მაგრამ რაკი ზვიადმა ეს განაცხადა, ბევრი სიკეთე გვაკავშირებს მასთან, თუ კი ის იმ აზრისაა, რომ არ იზიარებს, რაც აქ არის და გაიმართლებს თავს ან დასწერს ეხლავე, რომ გმობს ყველაფერს...

ზვიად გამსახურდია – ყველაფერს არ ვგმობ. რაც მე დამიწერია, იმას არ ვგმობ. არავითარი ანტისაბჭოთა მე არ დამიწერია, მთავრობის წინააღმდეგ მე არაფერი დამიწერია. რაც შეეხება პროკლამაციას, ის მე არ მეხებოდა, არ ვიცი.

თავმჯდომარე – თუ თქვენ ცნობთ, რომ ეს არის ანტისაბჭოთა მოღვაწეობა, გმობთ და არ იზიარებთ; არ იზიარებთ იმ რადიოადაცემებს და წინააღმდეგი ხართ ამ მოქმედების...

ზვიად გამსახურდია – ყველაფერს როგორ ვგმობ, ჩემი თავის წინააღმდეგი ხომ არ ვიქნები? დამიწერია დავით გარეჯის ძეგლის მდგომარეობის შესახებ და სხვა ძეგლების შესახებაც და ამას ყველაფერს მე არ ვგმობ.

ვგმობ იმ პროკლამაციას, რაც არის ანტისაბჭოთა, ანტისაბჭოთა მე არაფერი დამიწერია.

გიორგი ჟორჟოლიანი – თქვენ განაცხადეთ, – არ იცით ამ ჟურნალის გამოცემა, სად იცემა და ვინ განაგებს და არც მოგწონთ. მაშ როგორ ბეჭდავთ?

შოთა ნიშნიანიძე – დაწეროს ახსნა-განმარტებითი ბარათი, აი ის, რაც მოგვახსენა. ეს კარგი იქნება.

თავმჯდომარე – ზვიად, როცა თქვენ იყავით სირაძესთან, განა არ იყო ამაზე ლაპარაკი?

ზვიად გამსახურდია – სირაძესთან მე ვიყავი მკვიდრეობის საკითხთან დაკავშირებით და ეს ვუთხარი.

გიორგი ჟორჟოლიანი – „ოქროს საწმისი“ იხსნება თქვენი წეილით და ლექსით.

ზვიად გამსახურდია – ლექსი ჩემია, წერილი კი არა

გიორგი ჟორჟოლიანი – ხელმოწერა არის ბატონი ზვიადის.

სერგი ჭილაია – ბევრ რამეზე ამბობს უარს და ეგებ დაწეროს.

თავმჯდომარე – მე ნუ ჩამაყენებთ ბრალმდებლისა და მოსამართლის როლში. ჩვენ მოვუსმინეთ აქ გამოთქმულ აზრებს. თუ მართლა ზვიადი დაამტკიცებს, რომ არავითარი ურთიერთობა არა აქვს, ჩვენ გვეტყვიან და აღვადგენთ ისე, რომ წასული არ იქ მისი გარიცხვა, ეს იქნება ჩვენთვის დიდად სასახელო და ჩვენი ყველას რეაბილიტაცია. განა მარტო ზვიადი, არამედ მთელი ორგანიზაციაა უხერხულ მდგომარეობაში. ვის გაეხარდება ეს. ხვალვე დავარღვევთ ამდადგენილებას, ოღონდ დაამტკიცეთ. როგორ გეკადრებათ?!

ჩვენ ვთქვით, რომ ჩვენი კავშირის წევრისათვის ეს შეუთავსებელია და შენ თვითონ უნდა დაასაბუთო შენი სიმართლე. შენ არაფერი სთქვი.

კენჭისყრა მაინც უნდა მოხდეს, ფორმალურად ხომ უნდა ვუყაროთ კენჭი იმას, რაც აქ ითქვა.

რევაზ ჯაფარიძე – არ უნდა კენჭისყრა.

თავჯდომარე – ვინ არის მომხრე იმ აზრისა, რომელიც თქვენ სთქვით?.. არ არის კენჭისყრა საჭირო?! ვინ არის მომხრე იმ წინადადებისა, რომელსაც ყველა აწერს ხელს?

ირაკლი აბაშიძე – რომ გაირიცხოს?!

თავმჯდომარე – ვინ არის მომხრე გაირიცხოს, გთხოვთ ასწიოთ ხელი, გთხოვთ დაუშვათ, ვინ არის წინააღმდეგი? არავინ. თავი ვინ შეიკავა? არავინ. მაშასადამე წინადადება მიღებულია ერთხმად.

მე კიდევ ვიმეორებ, თუ ზვიადი დღესვე დაამტკიცებს იმას, რაც მან განაცხადა – არა აქვს კავშირი ამ საქმიანობასთან, ჩვენ პირველები ვიშუამდგომლებთ, რომ გააუქმონ დადგენილება.

ალექსი გომიაშვილი – მოდით ორშაბათამდე მივცეთ ვადა, ორშაბათს თუ წარმოადგენს, ხელახლა შევიკრიბოთ და გადავხედოთ.

თავმჯდომარე – ჩვენ კენჭი ვუყარეთ და გავათავეთ და მე ვამბობ – თუ კი ზვიადი გამართლდება, რომ მას არავითარი დამოკიდებულება არა აქვს და არ იზიარებს იმ პროკლამაციის დაბეჭდვას და ანტისაბჭოთა პროპაგანდას, ჩვენ ყველანი დავუჭერთ მხარს მის კავშირში დაბრუნებას.

ამით ჩვენი ეს დღევანდელი სხდომა დამთავრებულია...



## ვახტანგ ბახტაძე

ჟურნალისტი, პუბლიცისტი

საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის თავკაცის ზვიად გამსახურდიას პრეს-სპიკერი, საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის აქტიური წევრი




# ნაზი შამანაურის ცხოვრება

## „ის წამებულია, მას თან ახლავს ეკლის გვირგვინი“

***(ვახტანგ ბახტაძის ახალი წიგნიდან)***

**1983 წლის 6 მაისის გაზეთ „კომუნისტში“ გამოქვეყნდა წერილი „იყო კი წამებული?“, რომელიც შეეხებოდა აწ განსვენებულ ჟურნალისტს, ნაზი შამანაურს.**

**გაზეთი ათასგვარი ცილისწამებით ცდილობდა დისკრედიტაციას იმ ადამიანისას, რომელიც თავის მართალი, სუფთა ბუნებისა და პრინციპების მსხვერპლი გახდა. გაზეთი ჟურნალისტ ნაზი შამანაურს ფსიქიურად დაავადებულად აცხადებდა, თანაც იმ ფსიქიატრთა სიტყვებით ასაბუთებდა, რომელთა უშუალო მითითებითაც ამოჰხადეს სული ნაზი შამანაურს, უნიჭიერეს ჟურნალისტს, უმშვენიერეს ქართველ ქალს, ვინაიდან მან არ ისურვა დუმილი ყოველივე იმ სიბილწესა და უმსგავსობაზე, რასაც იგი ხედავდა თავის გარშემო.**

**ზვიად გამსახურდია საქინფორმის პასუხად წერდა: „დიახ, წამებულია! წამებულია სიმართლისათვის, სინდისისათვის, სიწმინდისა და პატიოსნებისათვის, ყოველივე იმისთვის, რაც ესოდენ უღვთოდაა გათელილი და მივიწყებული ჩვენში. წამებულია, რადგან თავს ადგას ეკლის გვირგვინი, წამებულია, რამეთუ დაიმკვიდრა ადგილი სიმართლისათვის დევნილთა პანთეონში, რომელთაც იხსნეს წარსულში ჩვენი საქართველო და მომავალში კვლავ იხსნიან მას. 1983 წ.“**

**1987 წელს, საბჭოთა საკონცენტრაციო სიკვდილის ბანაკებად წოდებულ და გადასახლებიდან ათწლიანი პატიმრობიდან დაბრუნებულმა მერაბ კოსტავამ და მისმა ერთგულმა თანამებრძოლმა, ზვიად გამსახურდიამ (ქართული ჰელსინკის ჯგუფის დამაარსებლებმა) პრესაში გაჩაღებულ ცილისმწამებლურ კამპანიას (ახალგაზრდა გაბედული ქართველი ჟურნალისტის წინააღმდეგ) სასარჩელო განცხადებით უპასუხეს. მოსარჩელენი უჩიოდნენ გაზეთ „კომუნისტს“ და სასამართლოსაგან მოითხოვდნენ: „აღნიშნულ სიცრუეთა გამო, გთხოვთ დაიცვათ ჩვენი პატივი და ღირსება, რასაც მოითხოვს კანონი სამოქალაქო სამართლის მე-7 მუხლით და გთხოვთ:**

1. დაავალოთ გაზეთ „კომუნისტს“ გამოაქვეყნოს ჩვენს მიერ მომზადებული პასუხი ყველა აღნიშნულ სიცრუესა და სიყალბეზე; 2. სარედაქციო მინაწერებზე იგივე რედაქციას დაევალოს მათი დასაბუთებული უარყოფა. მოსარჩელეები: ზვიად გამსახურდია, მერაბ კოსტავა, 1988 წლის 9 მარტი“.

ნაზი შამანაურის ტრაგიკულ ბედზე საქინფორმის ურცხვი პასკვილის პასუხად მაშინ მეც დავწერე წერილი, რომელიც მე და ჩემმა მეგობრებმა (1983 წლის გაზაფხულზე) სტუდენტთა და პროფესორ-მასწავლებელთა შორის გავავრცელეთ (პროკლამაციასთან ერთად) თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პირველი კორპუსის ბაღში.

ნაზი შამანაურისგარდაცვალების შემზარავი ამბავი 1983 წლის იანვარში სიონის საკათედრო ტაძარში გავიგე, სადაც ტრადიციულად შაბათ-კვირას იკრიბებოდნენ იმდროინდელი საბჭოთა საქართველოში მოღვაწე ქართველი დისიდენტები და პატრიოტულად განწყობილი სტუდენტები. ამ დღეს გარკვეული მიზეზის გამო ბატონი ზვიად გამსახურდია ტაძარში არ იყო. გვიან საღამოს, წირვის შემდეგ, დამატებითი ამბების დასადგენად მასთან საუბრისას გავიგე, რომ ბ-ნ ზვიადს დისიდენტური არხების საშუალებით, მოსკოვში აკრედიტებულ დასავლეთის ჟურნალ-გაზეთების სააგენტოებისათვის ეს შემაძრწუნებელი ამბავი უკვე გადაცემული ჰქონდა. იგი ძალიან აღელვებული იყო და ძლიერ განიცდიდა მომხდარ ფაქტს.

ამის შემდეგ რამოდენიმე ხანში ქართველი დისიდენტებისა და პატრიოტულად განწყობილი ახალგაზრდების აქტიური ჩარევით ნაზის დედა ქ-ნი სარა ინაშვილი ფსიქიატრული საავადმყოფოდან გაწერეს და იგი დუშეთის სახლს დაუბრუნდა, გარეთ თითქმის აღარ გადიოდა. შემდეგ ჩვენ ქ-ნი სარა რამონიმეჯერ ვინახულეთ (სარა ინაშვილი-შამანაურისა 1996 წელს გარდაიცვალა).

ამ პატარა ჯგუფის რიცხვი თანდათან იზრდებოდა. ისინი სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის პერსონალის (მათი ხელმძღვანელობის დიდი „მონდომების“ შედეგად და სუკ-ის ხელშეწყობით) ჯანმრთელი ადამიანის გიჟად გამოცხადებასა და სკვდილში ადანაშაულებდნენ.

შემდეგ, გვიან საღამოს, ბატონ ზვიად გამსახურდიას სახლში, „კოლხურ კოშკში“ მივედი ყველაფრის დასაზუსტებლად. კარგად მახსოვს, იმავე ღამით მივუჯექი საწერ მაგიდას და აღშფოთებულმა სახელდახელოდ დავწერე ეს წერილი...

რადგან წერილს იმჟამინდელი დროის სურნელი ახლავს, გადავწყვიტე, იგი შემეტანა ჩემს ახალ წიგნში„ნაზი შამანაურის ცხოვრება („...ის წამებულია, მას თან ახლავს ეკლის გვირგვინი“), რომელიც ახლო მომავალში გამოვა, შემეტანა, რათა მკითხველისათვის მიმეწოდებინა იმდროინდელ საბჭოთა საქართველოში მოღვაწე ახალგაზრდა ქართველ დისიდენტთა, პატრიოტულად განწყობილი ახალგაზრდების ჰუმანისტური და პოლიტიკურ-პროტესტანტული სულისკვეთება. ესაა მიზეზი აღნიშნული წერილის წიგნში შეტანისა.

**„ამქვეყნად არსებობს დიდი ზნეობრივი ფასეულობანი -**
**ეს არის მშობელი ხალხის და მამულის, ჩვენი სამშობლოს სიყვარული,**
**რასაც ვერც ერთ შემთხვევაში არ ეღალატების.“**

***ნაზი შამანაური***

# დიახ, იყო წამებული!

## (საქინფორმის მორიგი ანტიქართული პასკვილის გამო)

1983 წლის 6 მაისს გაზეთებმა „კომუნისტმა“, „ზარია ვასტოკამ“ და „თბილისმა“ გამოაქვეყნეს წერილი სათაურით: „იყო კი წამებული?! ანუ ანტისაბჭოელთა მორიგი მონაჭორის შესახებ“.

საბედნიეროდ, მკითხველთა დიდმა უმრავლესობამ, რომლებიც დიდი ხანია შეჩვეულნი არიან საბჭოთა პრესის ყალბ ინფორმაციებს, წაკითხვისთანავე ეჭვი შეიტანა საქინფორმის მიერ მოწოდებულ „ჭეშმარიტებებში“.

„სამართლიანობა ჭეშმარიტების აღდგენას მოითხოვს“ - აცხადებს საქინფორმი.

ჭეშმარიტად!

ჭეშმარიტება კი, აი, რაში მდგომარეობდა:

1982 წლის 15 აგვისტოს ჩარგალში „ვაჟაობის“ დღესასწაულზე სიტყვით გამოვიდა ჟურნალისტი ნაზი შამანაური, რომელიც უკანასკნელ წლამდე სხვადასხვა ინტენსივობით თანამშრომლობდა გაზეთ „სამშობლოში“, „სოფლის ცხოვრებასა“ და „ახალგაზრდა კომუნისტში“.

ნაზიმ გაბედულად ამხილა დუშეთის რაიონის თანამდებობის პირთა თვითნებობანი. მან ტრიბუნიდან ასე მიმართა ხალხს: „რა დაგემართათ, ხალნო, გამოფხიზლდით! შეიძლება ყველაფერზე ტაშის დაკვრა? რაიკომის მდივნის ლაპარაკი გეგმებზე, სოფლების ახალ სიცოცხლეზე, სიცრუეა! სოფლებში ასანთი არ არის, სკოლებში სწავლება მოშლილია, გზები უმძიმეს მდგომარეობაშია. ლაპარაკით საქმეს ვერ ვუშველით...“ აი, ამ სიტყვების გამო ჩამოაგდეს ტრიბუნიდან მილიციის მუშაკებმა იგი ირაკლი აბაშიძის, ლევან სანიკიძის, გიორგი ციციშვილის და სხვა ცნობილ საბჭოთა მწერალთა თვალწინ! ჩირგვნარებზე თრევით გადაატარეს და დასისხლიანებული მკლავებით, კაბადაფხრეწილი მანქანაში შეაგდეს.

დუშეთის რაიონის სახელმწიფო უშიშროების სამსახურის განყოფილების გამგემ თ. გელაშვილმა იქვე წაართვა მას მხილების ტექსტი (77 გვერდი). მასთან ერთად დაკავებულ იქნა დედამისი სარა შამანაურ-ინაშვილიც. დუშეთის რაიონის სასამართლომ მირიან ფხალაძის თავმჯდომარეობით ნ. შამანაურს და ს. ინაშვილს იძულებითი მკურნალობა მიუსაჯა თბილისის ასათიანის სახელობის რესპუბლიკურ ფსიქიატრიულ საავადმყოფოში, სადაც ნ. შამანაურმა შიმშილობა გამოაცხადა. მიუხედავად ამისა, მას მაინც აწამებდნენ ინსულინური შოკებით და ნეიროლეპტიკების ინექციებით, რითაც მძიმედ დააავადეს. 1983 წლის იანვარში იგი სასიკვდილოდ სცემა სანიტარმა ვალიდა აბუსერიძემ (ყოფილმა ბარიგამ, რომელიც მორფით ვაჭრობდა). დაუზოგავად ცემის შედეგად ნ. შამანაურმა მიიღო თავის ქალის ტრავმა და პერიტონიტი, რის გამოც იგი გადაყვანილ იქნა თბილისის მეცხრე კლინიკურ საავადმყოფოში, სადაც იგი 20 იანვარს, რეანიმაციის განყოფილებაში გონს მოუსვლელად გარდაიცვალა.

ქირურგმა ოპერატორმა და პათანატომმა დაადასტურეს, რომ ნაზი შამანაური ცემით არის მოკლული, თუმცა ექსპერტიზა დღემდე მალავს ამ ფაქტს (საავადმყოფოს დღესაც არა აქვს მიღებული ექსპერტის დასკვნა გვამის აღწერილობის შესახებ). გაირკვა, რომ ავადმყოფობის ისტორია ქირურგებამდე არ მისულა, სუკ-ის თანამშრომლებმა იგი წაიღეს. ნაზის დედა ქ-ნი სარა ინაშვილი ქალიშვილის გარდაცვალებას და დაკრძალვას არ დასწრებია - ის ფსიქიატრიული საავადმყოფოს პაციენტი იყო. ნაზი შამანაურის მკვლელობაში პირდაპირი პასუხისმგებლობა ეკისრება მის „ექიმს“ მზია გოგიჩაიშვილს (ქალთა პირველი განყოფილება) და რესპუბლიკური ფსიქიატრული საავადმყოფოს მთავარ ექიმს აბელ მამარდაშვილს.

ამჟამად ფსიქიატრების მიზანია გარდაცვლილის დედის, სარა ინაშვილის ფიზიკურად მოსპობა, როგორც ამ არნახული ჯალათობის საშიში მოწმისა. ამ ბოროტმოქმედების განხორციელება დავალებული აქვს ქალთა მეცხრე განყოფილების ექიმს ჭუმბურიძეს, რომლის მეთვალყურეობის ქვეშ არის ამჟამად ს.ინაშვილი. მას საავადმყოფოს პალატის კართან „მცველად“ დაყენებული ყავს მილიციის მუშაკი (?!).

1982 წლის 8 მარტს მეცხრე განყოფილების კარებზე გამოაკრეს ასეთ განცხადება: „ავადმყოფ ს. ინაშვილთან არ დაიშვებიან მნახველები, არც მისი და“ (კომენტარი ზედმეტია!). საინტერესოა, თუ ჰყოლია საავადმყოფოს ოდესმე ისეთი ავადმყოფი, რომელთანაც თვით მის უახლოეს ნათევსასაც კი არ უშვებდნენ?

ფსიქიატრები ამტკიცებენ, თითქოს ნ. შამანაური შიზოფრენიით იყო დაავადებული 1974 წლიდან, მაგრამ არც დუშეთის რ-ნის ჯანგანში და არც თბილისის ფსიქონერვოლოგიურ დისპანსერში არ ირიცხება ასეთი ავადმყოფი.

სარაინაშვილს არ მისცეს უფლება შვილის დატირებისა და მის მწუხარებას ფსიქიატრები ამჟამად ნემსებით „მკურნალობენ“.

ეს გახლავთ ახალგაზრდა ქართველი პატრიოტი ქალიშვილის „საქმის“ ნამდვილი არსი.

რა თქმა უნდა, დიდი გულუბრყვილობა იქნებოდა იმის ფიქრი, რომ საქინფორმი ყოველივე ამას პატიოსნად მოუთხრობდა მკითხველებს. გაზეთებმა ბევრი რამ დამალეს, და რაც თქვეს, ისიც არასწორად, ყალბად, დამახინჯებულად. საბედნიეროდ, ეს კარგად იგრძნო მკითხველთა დიდმა უმრავლესობამ.

გულწრფელი გულახდილობით ვიტყვი, რომ ამ საბჭოთა საინფორმაციო სააგენტოს (საქინფორმი) სამართლიანად უფრო ეთქმის - სააგენტო „დეზინფორმი“.

პირველ რიგში უნდა აღინიშნოს, რომ მკითხველმა არ დაიჯერა ნ. შამანაურის „სულით ავადმყოფობის“ ვერსია. მკითხველმა კარგად უწყის, რომ ამ სტანდარტულ ბრალდებას სიმართლის მთქმელთა მიმართ იყენებენ სიმართლის თქმით გაღიზიანებული საბჭოთა საქართველოს ოფიციოზი.

სხვათა შორის, საქინფორმმა მკითხველს დაუმალა ნაზი შამანაურთან ერთად მისი დედის ფსიქიატრიულ საავადმყოფოში მოთავსების ფაქტიც, ცხადია, იმის გამო, რომ მკითხველს უთუოდ დააეჭვებდა დედა-შვილის ერთდროულად დაავადების ვერსია.

ნაზი შამანაურმა 1958 წელს დაამთავრა დუშეთის პირველი საშუალო სკოლა და იმავე წელს ჩაირიცხა თბილისის უცხო ენათა პედაგოგიურ ინსტიტუტში ფრანგული ენის ფაკულტეტზე, რომლის დამთავრების შემდეგ მშობლიურ რაიონს დაუბრუნდა და პირმისაანთკარის სკოლა-ინტერნატში დაიწყო აღმზრდელად მუშაობა. 1966 წელს თსუ -ს ფილოლოგიის ფაკულტეტზე ჟურნალისტიკის განყოფილებაზე განაგრძო სწავლა, რომელიც 1971 წელს წარჩინებით დაამთავრა.

სკოლაში სოციალიზმის ჰუმანურობასა და სამართლიანობას შთააგონებდნენ. ოჯახში „სამშობლოს წინაშე ვალმოხდილი“, მეორე მსოფლიო ომში დაღუპული 19 წლის მამის პატრიოტულ წერილებს უკითხავდნენ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ფილოლოგიის ფაკულტეტის განყოფილებაზე ჟურნალისტის წმინდა მოვალეობას - მიუკერძოებლობას, უკომპრომისობას, ობიექტურობას - შეახსენებდნენ. სასწავლებლის კედლებს მიღმა კი ყალბი ლოზუნგები და საბჭოთა საქართველოში არსებული კორუფციის არნახული მასშტაბები დახვდა.

შემდგომში ნაზი შამანაური დაწერს: „...უნივერსიტეტის თეთრი ტაძრიდან პირდაპირ ტალახში მისროლეს“ (ნაზი შამანაურის „დღიურებიდან“).

ნაზი შამანაურის მთავარი არგუმენტები ციფრები, ფაქტები და ფოტოები იყო. წლების განმავლობაში ფურცელ-ფურცელ ნაგროვები დოკუმენტაცია 200 გვერდზე მეტს აღემატებოდა. ხელისუფლების მანკიერი მხარის მხილება გმირობის ტოლფასი ქმედება იყო.

თუმცა დროდადრო როგორც რესპუბლიკური, ისე რაიონული გაზეთების რედაქციათა კარები მისთვის უკვე დაკეტილი იყო.

„სულით ავადმყოფი“ ჟურნალისტი როგორღა სწერდა ნიჭიერ სტატიებს, როგორღა იღებდა ინტერვიუებს? (იხ. მისი სტატიები და ინტერვიუები ზემოთხსენებულ გაზეთებში 1972 წლიდან 1982 წლამდე).

მოვიყვანთ ნაწყვეტს მისი ბოლო წერილიდან. დაე, მკითხველმა თვითონ განსაჯოს, თუ რა მაღალადამიანური და მაღალმოქალაქეობრივი ტკივილები აწვალებდა ნაზი შამანაურის, ამ შესანიშნავი ჟურნალისტის და ჭეშმარიტი მოქალაქის სულს:

„...რამდენს ვითმენთ? მწარე, მტკივნეულმა ფიქრმა ღამე თეთრად გამათენებინა. შემძულდა ჩემი თავი. რამდენს ვითმენთ? როდემდე ყოველივე ეს? ამდენმა დუმილმა გონებაც დაახშო და სულიც დააკნინა.

მხოლოდ ოჯახის კეთილდღეობაზე ფიქრით და ზრუნვით ხომ არ ამოიწურება დღეს ადამიანობის ფართო ცნება? აგერ, შენს გვერდით, კლავენ, ქურდავენ, თავს ესხმიან უდანაშაულო ადამიანებს... სწვავენ, ძარცვავენ კულტურისა და ისტორიის უთვალსაჩინოეს ძეგლებს [...].

ცივი, ინდიფერენტული გონება კი ასე სჯის: „რა ჩემი საქმეა, რა ხდება. მე და ჩემი ოჯახის წევრები ხომ კარგად ვართ“, მაშინ, როცა გული უნდა გვეფლითებოდეს, უნდა გვწვავდეს სირცხვილი ყოველივე იმის ხილვაზე, რაც ჩვენ დაგვაკნინებს, დაგვამცირებს სხვა ერის თვალში.

სამშობლოსათვის ერთია ისტორიული ძეგლიც და ადამიანიც. თუ ისტორიის ძეგლები - ქვაში იქნება განსახიერებული, წიგნში, თუ ძვირფას ლითონებში, - ერის დიდების მატიანეა, თვით ხალხი სამშობლოს ცოცხალი მემატიანეა, თითოეული ჩვენთაგანის მორალური სახე, საერთო ჯამში, ერის თანამედროვე სახეა, რომელსაც ასეთივე მძიმე, მაგრამ საამაყო წარსული აქვს.

ამდენად დიდია, საპასუხისმგებლოა თითოეული ჩვენთაგანის ტვირთი - ტვირთი ადამიანობისა. დღეს უფრო მეტად, ვიდრე არასოდეს, მნიშვნელობა ენიჭება იმას, თუ რანი ვართ საქართველოსათვის, რამდენად ჭეშმარიტია ჩვენი ადამიანობის, ჩვენი კაცობის სიმაღლეები და რაოდენ სავალალოა, როცა აი ამ კაცური სიმაღლიდან ვერ შეირგო ვერც დედისა და ვერც სამშობლოს ძუძუ [...].

ვერ ვწერ იმას, რასაც ახლა აღშფოთებული გონება მკარნახობს. ხელები უღონოდ მივარდება, მინდა ვიღრიალო, ყველას გასაგონად ვიყვირო: რა ხდება ეს, ხალხნო, ჩვენთან, საქართველოში?!

[...] როგორ არ ვთქვა, რომ დღეს დუმილი საშინელი ღალატია, ღალატია საქართველოსი!..

რა ხდება ეს?

დროა, ყველამ ერთად ვთქვათ ეს დიდი სატკივარი, გულში რომ დაბუდებულა და ამოსუნთქვას გვიშლის. სათითაოდ თუ ვიტყვით, სათითაოდ გადაგვტეხავენ, მუმიად გვაქცევენ, საზოგადოებისაგან ცილისწამებების გზით მოგვკვეთავენ. საჭიროა ერთიანი ძალა სამშობლოს გადასარჩენად.(...) მართალია, გაზეთები გაშლილი ანშლაგით მოგვიწოდებენ დღეს - „დროა, სიტყვიდან საქმეზე გადავიდეთ, დროა, დროა!“ სადამდე ვიძახოთ ეს „დროა, დროა!“

საქმით ყოველ ნაბიჯზე სრული განუკითხაობაა, ქაოსია, უსამართლობაა, საშინელი გულქვაობა და ცინიზმია, - რომელ სიმართლეზე, რომელ კანონიერებაზე მოგვიწოდებენ მაღალი ტრიბუნებიდან, როცა ცხოვრებაში იგივე პირები ნაძირალების მფარველებად გვევლინებიან [...]

როდემდე დუმილი?

თუ ადრე საქართველოს ერთი ჯალალედინი შემოესია, ერთი თემურ-ლენგი, დღეს საქართველოს დასაღუპავად აღმართულა იმდენი ჯალალედინი, იმდენი თემურ-ლენგი, რომლის მსგავსი, ალბათ, ისტორიას არ ახსოვს.

გული გახეთქვასაა. ბოროტება უნდა დაისაჯოს, თუ გვინდა რწმენა შერჩეს გიორგის, ნინოს, დავითს, თამარს და სხვას და სხვას... რათა გადავარჩინოთ ჩვენი ხვალინდელი საქართველო!

დროა, ბოღმას აასკდეს სარქველი! ჩვენ ყველამ ერთად უნდა ვთქვათ სათქმელი, ჩვენ ყველამ ერთად!.. დროა!!! [...]

შუა საუკუნეების ინკვიზიტორებს მწამებლური ხერხებით აღემატებიან, დღევანდელი საუკუნის ინკვიზიტორები (დღვანდელი ეგრეთ წოდებული ფსიქიატრები)... ო, რამდენ ტკივილს და ტანჯვას იტანს ცრემლით გაჯერებული კედლები, მაგრამ სული, სული მაღალი, უკვდავია, როგორც მზის სხივი. აბა, სცადე და მზის სხივი დაიჭირე ბოქლომით, დაასაჭურისე?!“

საბჭოთა საქართველოს ფსიქიატრიული ჯოჯოხეთი, ხუთი თვე კლინიკაში, ხუთთვიანი ტანჯვა-წამება. საბჭოთა ფსიქიატრიის მკურნალობის მეთოდები. ნუთუ კიდევ უნდა დაისვას კითხვა: მოკლეს, თუ ავადმყოფობით გარდაიცვალა ნაზი შამანაური?

1983 წლის 20 იანვარს ნაზი შამანაური რეანიმაციის განყოფილებაში გონსმოუსვლელად გარდაიცვალა.

გარდაცვალების ოფიციალურ მიზეზად სეფსისი დასახელდა. ხოლო ნაზის „ავადმყოფობის ისტორია“ სუკ-ის თანამშრომლებმა წაიღეს.

ნაზის დედა სარა ინაშვილი ქალიშვილის დაკრძალვას არ დასწრებია. იგი ჯერაც ფსიქიატრიული კლინიკის პაციენტია. საფლავზე მისვლა გარდაცვლილის ახლობელ-მეგობრებს აუკრძალეს... ახლობლებმა ლამაზი ქალიშვილის ნაცვლად გაჭაღარავებული მოხუცის ნატანჯი სახე იხილეს.

ამ ნაწყვეტებიდან მკითხველი ადვილად მიხვდება, თუ რატომ სდევნიდნენ ნაზი შამანაურს. ნაზის დევნის მ ა ნ ი ა (?) კი არ სჭირდა, როგორც ამას საქინფორმი გვიმტკიცებს, არამედ მართლა დევნიდნენ საბჭოთა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მაღალი თანამდებობის პირები, სუკ-ის თანამშრომლები. იგი რაიონის მილიციის მუდმივი მეთვალყურეობის ქვეშ იყო. დათვლილი იყო მისი ყოველი ნაბიჯი.

მისი სიცოცხლის ბოლო დღეების ქრონიკა 1983 წლის 11 იანვარს წყდება. გარდაცვალებამდე ერთი კვირით ადრე ფსიქიატრიული საავადმყოფოს პალატაში, მუცლის მწვავე სპაზმებისაგან საწოლზე მოკუნტული, დაწყლულებული, კანგადაცლილი თითებით წერდა უკანასკნელ ბარათს, რომელიც, წესისამებრ, ლეიბქვეშ უნდა დაემალა. ღილებდაჭრილი, გახუნებული ხალათის ჯიბეებშიც უბის წიგნაკიდან ამოგლეჯილი ქაღალდის ნაკუწები ეწყო.

ნაზი შამანაურის „დღიურში“ შემდეგ ასევე ვკითხულობთ:

„რისთვის მტანჯავენ? მტკივა ნეკნები, თმის ძირები. 70 დღის შიმშილის შემდგომ ფილტვებს უჭირს სუნთქვა, სხეულს - მოძრაობა, ჯდომა, წოლაც კი. საშინლად გავხდი. ვიტამინების ნაკლებობით თითები დამიწყლულდა, კანი ცარიელ ძვლებზეა გადაკრული, პირში მძაფრი აცეტონის სუნი მაქვს. დღე და ღამე ფიქრი, წამება, დამცირება, დამდაბლება. ისმის ყვირილი და ღრიანცელი, ტირილი, ცემა-ტყეპა. 70 დღეზე მეტია ამ ყოფაში ვართ, ეს სიცოცხლის ყოველდღიური კვლაა... ო, ღმერთო ჩემო, მი-შვე-ლე!“

საქინფორმი ნ. შამანაურს მიაწერს ისეთ ხულიგნურ საქციელს, როგორიცაა რამდენიმე დაწესებულების მინების ჩამსხვრევა. ეს, ცხადია, მტკნარი სიცრუეა. ეს რომ მართლაც ასე ყოფილიყო, საკითხავია, განა მაშინვე არ დაიჭერდნენ? სამაგიეროდ იგი დაიჭირეს მაშინ, როცა, საქინფორმის სიტყვით, „კიდევ ერთი აშკარა ხულიგნური გამოხდომა ჩაიდინა, შეეცადა ჩაეშალა სახალხო დრესასწაული „ვაჟაობა“. რა იყო ეს „ხულიგნური გამოხდომა“, ამაზე საქინფორმი „მორცხვად“ დუმს. არცაა გასაკვირი. ეს „ხულიგნური გამოხდომა“ ხომ ტრიბუნიდან სიმართლის თქმა იყო!

„გამაშიშვლეს ყველას თვალწინ იატაკზე, თმით მათრიეს. ხელ-ფეხი შემიკრეს... მუცელში მცემდნენ... კბილები დამემსხვრა... ვიხრჩობოდი... იოგები, საყლაპავი მილი დამიზიანდა... რისთვის მტანჯავენ? მტკივა ნეკნები, ცუდად ვარ...

ერთი თვის განმავლობაში ნაზი სტაციონარული ექსპერტიზის პაციენტი იყო. ექსპერტიზამ სულით ავადმყოფად ცნო: „შიზოფრენია, ბოდვითი ფორმა.“ სამედიცინო დასკვნის საფუძველზე დუშეთის რაიონულმა სასამართლომ იძულებითი მკურნალობა შეუფარდა.

ფრიად ნიშანდობლივია, რომ სიმართლის დათრგუნვის ეს ფაქტი მოხდა დიდი ვაჟას სახელობის დღესასწაულზე, ვაჟასი, რომელიც სწორედ სიმართლის თქმისაკენ, სიფხიზლისაკენ, უზნეობის მიმართ შეურიგებლობისაკენ, ვაჟკაცური შემართებისაკენ მოუწოდებდა ერს:

რაც უნდა ჭირი მომკერძო,
ბილწთ არ შავეკვრი ზავითა,
მცნებას ვერ შემაცვლევინებ
მოზღვავებულის ავითა!..

ან კიდევ:

თქვენთან ძაღლურად სიცოცხლეს
სიკვდილი მიჯობს ცდაშია,
ვერ მააწონებთ კარგ ყმასა,
რაც არ უჯდება ჭკვაშია!

ნაზი შამანაურის მაგალითი მოწმობს, რომ ჯერ კიდევ არ გადაშენებულან საქართველოში გენიალური ვაჟას ანდერძის ჭეშმარიტი მიმდევარნი. ვაჟაობის დღესასწაულზე ნაზი შამანაურის მიმართ ასეთი ბარბაროსული საქციელი, ცხადია, ვაჟა-ფშაველას სახელის პირდაპირი შეურაცხყოფაა.

„ხალხო, რა გვეზეიმება? ვაჟა-ფშაველა რომ წამოახედოთ, სირცხვილით დაიწვებოდა...“ (ნაზი შამანაურის „დღიურებიდან).

და ამის მოწმენი იყვნენ ვაჟას სახელის პატივსაცემად ჩასული პატივცემული ქართველი მწერლები! და ხმა არ ამოიღეს! პირიქით, ნაზი შამანაურს დაესხნენ თავს!..

ნაზიმ სიტყვა ითხოვა. უარი უთხრეს. ძალით გაიკაფა გზა ტრიბუნისკენ. მიკროფონს ხელი დასტაცა და დაიყვირა: „ხალხო, გატყუბენ... ლამაზ-ლამაზ ფერებში ხატავენ ცხოვრებას.“

ეტყობა, მამის გამყიდველ პავკა მოროზოვის კომუნისტური მორალის მაგალითზეა აღზრდილი ნაზის ბიძა. და ახლა გასაგებია, თუ რატომ არ იკარებდა ნაზი მას, რატომ უარყო იგი.

ვის უხვევენ თვალს, ვის უმტკიცებენ, რომ არ ყოფილა არც საპატიმრო, არც დევნა. აკი მოჰკლეს!

მაშ, ნ. შამანაურს მძიმე წუთებში თავს ეხვივნენ პროფესორები, აკადემიკოსები, „როგორც ყველა ავადმყოფს“? ეს ხომ ისეთივე სიცრუეა, როგორც ყბადაღებული უფასო და, ამასთანავე, საუკეთესო მკურნალობა.

რატომ არის ასეთი სიძულვილით დაწერილი საქინფორმის ეს სტატია? ან ვინ სწერს ამას? რატომ იმალებიან მსგავსი პასკვილების ავტორები ხან „საქინფორმის“, ხან „ახკომელების“, და ხან ფსევდონიმების ზურგს უკან? რისი ეშინიათ? ძალა ხომ მათ მხარესაა, და, მით უმეტეს, თუ „სიმართლეც“... რას უფრთხიან? საზოგადოების ზიზღს ხომ არა?! მომავლის სასტიკ განაჩენს ხომ არა?!

როდის აქეთ გახდა საძრახისი მარტოხელა დედის სიბრალული და ქალაქიდან სოფელში დაბრუნება? ყველა, ვინც მას კარგად იცნობდა, ადასტურებს, რომ ნაზი კეთილშობილური მოსაზრებებით დაუბრუნდა მშობლიურ რაიონს, სოციალური სამართლიანობის დამკვიდრებისათვის იღვწოდა. მერედა, მისცეს მას იქ ამ კეთილი თესლის გახარების საშუალება?

მართლაც საკვირველია, ნუთუ არ რცხვენია სახელგანთქმულ საბჭოთა ფსიქიატრს, აკადემიკოს ავლიპ ზურაბაშვილს, რომ მაღალფარდოვნად, პათეტიკური ტონით აცხადებს: „...აღშფოთებული ვარ ამ ინსინუაციით და ამორალურად მიმაჩნია იგი განსვენებულის ხსოვნის მიმართ.“

დიახ, მას სჩვევია ილია ჭავჭავაძის სიტყვებით მაღალ პატრიოტიზმზე ქადაგება. ქადაგება ერის სიწმინდეზე, სიჯანსაღეზე, გამრავლებაზე...

რა უფლებით გადმომდგარა მაღალ ტრიბუნაზე, როცა მისივე ხელით, მისივე ყალბი დიაგნოზით, მისსავე საავადმყოფოში მოკლეს ჩვენი ერის უნიჭიერესი შვილი - ნაზი შამანაური? ეს ფაქტი არ მიაჩნია მას ამორალურად? ეს არ აღშფოთებს? სირცხვილი იმ ქართველ ფსიქიატრებს, ფსიქიატრიული საავადმყოფოს იმ თანამშრომლებს, ვის სინდისზეცაა ნაზი შამანაურის სიცოცხლე!..

სი-რცხვი-ლი!!!

თანაც კითხულობენ ურცხვად -

„იყო კი წამებულიო?“

დიახ, იყო წამებული! და იყვნენ მწამებლებიც, საუბედუროდ, ჩვენი სისხლი სისხლთაგანნი, ხორცი ხორცთაგანნი.

ეს უნდა იცოდეს ყველა ქართველმა:

მე მაინც ჩემს ურყევ რწმენას მოგახსენებთ:

სიმართლისათვის წამებულნი ყველანი ეროვნული გმირები არიან!

დიახ, მჯერა, რომ ნაზი შამანაურის სახელიც სწორედ ასე, როგორც მებრძოლი ქართველი ჟურნალისტიკის, ისე ქართველი ერის ისტორიაში.

ხოლო თუ მომავალში სამშობლოს დასჭირდება ზვარაკნი, კვლავაც გამოჩნდებიან: ნინო, გიორგი, ქეთევანი, თორნიკე, თამარი, დემეტრე, მარიამი, ცოტნე, მაია, თინათინი, თევდორე... და რომ დავიხოცოთ, არაგველები წამოდგებიან თითო სამასად!!!

ტყუილად არ უთქვამს ბრძენ ქართველ კაცს: „კიდევაც დაიზრდებიან ალგეთს ლეკვები მგლისანი, ისე არ ამოსწყდებიან, ჯავრი არ სჭამონ მტრისანი!“

ვახტანგ ბახტაძე

*(ჟურნალისტი)*

**1983 წლის 15 აპრილი, თბილისი**



# წელს ნაზი შამანაურს 80 წელი შეუსრულდებოდა

ა/წ, 27 სექტემბერს, ჯვართამაღლების დღესასწაულზე, „საქართველოს ჰელსინკის კავშირის" წარმომადგენლობა - ბატონები ნუკრი ბაღდავაძე, თორნიკე ამაშუკელი, თამაზ დარახველიძე, ჟურნალისტი და საზოგადო მოღვაწე ვახტანგ ბახტაძე, ასევე, დუშეთის რაიონის პრეფექტის მოადგილის - ბატონი თამაზ ბულაურის ვაჟი - ბატონი იოანე, იმყოფებოდნენ დუშეთში.

მათ მოინახულეს ლეგენდად ქცეული – სიმართლისთვის მებრძოლი და მოკლული ქართველი ჟურნალისტის - ქალბატონი ნაზი შამანაურის საფლავი და პატივი მიაგეს მის ხსოვნას!

ასევე, მოინახულეს დუშეთის რაიონის პრეფექტის მოადგილის - ბატონი თამაზ ბულაურის საფლავი და პატივი მიაგეს მის ხსოვნას!







# განახლებული ქრონიკული შეიარაღებული კონფლიქტი და საბრძოლო მოქმედებები აზერბაიჯანსა და სომხეთს შორის

აზერბაიჯანსა და სომხეთს შორის განახლებულმა შეიარაღებულმა კონფლიქტმა და საბრძოლო მოქმედებების განახლებამ ჩვენი სახელმწიფო საზღვრის სიახლოვეს, გაგვახსენა საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის ბატონ ზვიად გამსახურდიას მიმართვა აზერბაიჯანისა და სომხეთის რესპუბლიკის მაშინდელი ხელმძღვანელობისადმი.

ამ მიმართვის ტექსტში კიდევ ერთხელ ნათლად დაინახავს მკითხველი, თუ რა რიგ შორს მჭვრეტელი და სიღრმისეული ხედვის გახლდათ ბატონი ზვიადი.

დიახ მეგობრებო, მხოლოდ ერთიანი „კავკასიური სახლის“ მშენებლობით მიიღწევა მთელს ჩვენ რეგიონში მშვიდობა, სტაბილურობა და ის ყველა სხვა კეთილდღეობა რასაც ცალ ცალკე სხვადასხვა პოლიტიკურ ორბიტაზე ეძებენ.

სრულად გთავაზობთ მიმართვის ტექსტს:

## მის აღმატებულებას ბატონ აიაზ მუტალიბოვს აზერბაიჯანის რესპუბლიკის პრეზიდენტს, მის აღმატებულებას ბატონ ლევონ ტერ-პეტროსიანს სომხეთის რესპუბლიკის პრეზიდენტს

პატივცემულო ბატონებო,

ჩვენ ვიმყოფებით სრული პოლიტიკური დამოუკიდებლობის მიღწევის ზღურბლთან. ნებისმიერი კონფრონტაცია ჩვენს რეგიონში ართულებს ამ უმნიშვნელოვანესი ამოცანის გადაწყვეტას.

ამავე დროს, აშკარაა ტრაგიკულ გარემოებათა ურთიერთკავშირი, რომლებიც ართულებენ დღითიდღე მზარდი პრობლემების პოლიტიკურ გადაწყვეტას.

რეაქციული იმპერიული ძალები ცდილობენ გამოიწვიონ ურთიერთდაპირისპირება და დესტაბილიზაცია მთელს რეგიონში, გააღვივონ კონფლიქტები და ერთაშორის შუღლი და ამით დაუმტკიცონ მთელს მსოფლიოს ჩვენს მისწრაფებათა უსუსურობა და შეუძლებელი გახადონ სანუკვარი მიზნის - ჩვენი ქვეყნების მიერ თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის მიღწევა.

იმ ხალხებისთვის, რომლებიც ათასწლეულების განმავლობაში გვერდიგვერდ ცხოვრობენ, ერთად მიყვებიან ისტორიის რთულ გზას, რომელთაც ბედმა არგუნა მომავალში კვლავაც გვერდიგვერდ ცხოვრება, ყოველგვარი პრობლემის გადაწყვეტის ერთადერთ გზას წარმოადგენს მოლაპარაკებები, ურთიერთპატივისცემა და კეთილმეზობლური თანაარსებობის აუცილებლობის აღქმა.

აზერბაიჯანს, სომხეთს და საქართველოს ძალუძთ დადებითი გავლენა მოახდინონ არამარტო კავკასიის, არამედ წინა აზიის პოლიტიკურ კლიმატზე. აქედან გამომდინარე ყველა შედეგით.

სწორედ ამიტომ განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს დაძაბულობისა და სისხლისღვრის ყოველგვარი კერის ლიკვიდაცია.

პატივცემულო ბატონებო,

მოგიწოდებთ კონფრონტაციის შეწყვეტისაკენ და გიწვევთ თბილისში მოლაპარაკებების ჩასატარებლად არსებული პრობლემების პოლიტიკური გზით მოგვარების მიზნით. დარწმუნებული ვარ, რომ მხოლოდ ამგვარად არის შესაძლებელი ჩვენთვის სასურველი შედეგის მიღწევა. გთხოვთ, მაცნობოთ შეხვედრის თარიღი.

გულრწფელი პატივისცემით,
ზვიად გამსახურდია,
საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი
თბილისი, 1991 წლის 26 ნოემბერი

# საქართველოს იხსნიან მისი საუკეთესო, თავდადებული და თავგანწირული შვილები

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა და ,,საქართველოს ჰელსინკის კავშირი - ეროვნული აღორძინება" დაბადებისდღეს - 50 წლის იუბილეს ულოცავს საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობისა და ამჟამად, საქართველოში სამართლიანობისა და კანონიერების აღდგენისათვის ბრძოლის ერთ-ერთ უბადლო ჯარისკაცს, ,,საქართველოს ჰელსინკის კავშირი - ეროვნული აღორძინების" საპატიო წევრს, კავშირის პრეზიდიუმის წევრსა და სრულუფლებიან წარმომადგენელს საზღვარგარეთ, კავშირის სტრატეგიული, კონცეფტუალური დაგეგმარების აღმასრულებელ მდივანს, საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის წევრს სტრატეგიული და კონცეფტუალური დაგეგმარებისა და ეროვნულ-სახელმწიფოებრივი განვითარების საკითხებში, ჩვენს არაჩვეულებრივ მეგობარსა და თანამოაზრეს, უმშვენიერეს და მომხიბვლელ დიდებულ ქალბატონს

## ნონა ქევხიშვილს



ქალბატონო ნონა, გისურვებთ მშვიდობას, ჯანმრთელობას, ბედნიერებას, წარმატებებს, წინსვლას, ულევ სიხარულს, უსაზღვრო ბედნიერებასა და ყოველივე კარგს ცხოვრებაში თქვენს ლამაზ ოჯახთან, ახლობლებთან, თანამებრძოლებთან და მეგობრებთან ერთად!

ყოველთვის იყავით ის, ვისითაც ერი იამაყებს!

უფალი იყოს თქვენი მფარველი მუდამ!

# რაც მტრობას დაუნგრევია, სიყვარულს უშენებია . . .





სოციალურ ქსელში წავიკითხე ქალბატონი ნათია კიტოვანის პოსტი, სადაც იგი ულოცავს მამამის იუბილეს.

დავინტერესდი და შევედი მის პირად გვერდზე.

ზემოთთქმული პოსტი საშინელი ლანძღვა-წყევლის შემცველი კომენტარებით იყო სავსე ... გამეორებაც კი მიჭირს, ისე წყევლიდნენ ნათიას, რომ აღარაფერი ვთქვათ მამამისზე ....
ენით ვერ გადმოვცემ, ისეთი სასტიკი აგრესია დავინახე და იქვე კომენტარის სახით დავწერე ჩემი აზრი - შვილი არაა მამის, ან დედის ნებისმიერ ქმედებაზე პასუხი აგოს მეთქი ... რა გჭირთ ხალხო, შვილმა რა დაგიშავათ? შვილი როდია დამნაშავე ... თანაც მამას იუბილეს რომ ულოცავს, რატომ არის ამაში იგი მაწყევარი თქვენგან, რომ დაესიეთ წყევლა-კრულვით ... „ეს ღვთიურია?“ - ვიკითხე მე. დამესივნენ მეც ...

მანამდე, ფბ-ზე, მეც საკმაოდ მრავლად მქონდა ნათიასთან კამათი, 1991-1993 წლების სახელმწიფო გადატრიალების შესახებ, სადაც ჩვენც ბარიკადების სხვადასხვა მხარეს ვიდექით, მაგრამ არც მისგან და არც ჩემგანაც არანაირი პირადულ შეურაცხოფას ადგილი არ ჰქონია, რაც ყველაზე მეტად მიხარია, იმიტომ რომ ჩვენ არ გავცდით ადამიანური ურთიერთობის წითელ ხაზს ...

ამის შემდგომ გავიდა რამდენიმე დღე და ნათია ჩემს პირად გვერდზე პოსტად მიწერს: „- ნონა არ შევრიგდეთ?“ სიმართლე უნდა ვთქვა მესიამოვნა და ეს ყოველივე გულზე მალამოდ მომედო იმიტომ, რომ თანხმობა-შერიგება, ერთობა, მეგობრობა და სიყვარული ეს ქრისტიანულია ... ჩვენი ეროვნული გმირები - ზვიადიც და მერაბიც ასე გვმოძღვრავდნენ ... მე მათი იდეების მატარებელი და თანამებრძოლი ვიყავი და ვარ დღესაც, ხოლო ნათიას მამა ჯერ ბატონი ზვიადის თანამებრძოლი იყო, ხოლო შემდგომ მათი გზები მკვეთრად გაიყო ურთიერთსაპირისპიროდ და ერთ დროს მეგობრები ცხოვრებამ მტრებად აქცია.

ამის შემდგომ მე და ნათიამ, მიუხედავად პოლიტიკური სხვადასხვა შეხედულებისა, უბრალო, ადამიანური ურთიერთობების მეშვეობით, შევძელით გაგვეგო ერთმანეთისათვის, რომ წინაპართა და ჩვენი მტრობა ჩვენს მომავალს ვერასოდეს გაამრთელებდა, ამიტომაც დავმეგობრდით და ჩვენმა მეგობრობამ მნიშვნელოვანი შედეგიც გამოიღო ... იმდენად დავუახლოვდით ერთმანეთს, რომ გულის მესაიდუმლოებიც კი გავხდით.

მახსოვს, ბავშვობაში ჩვენც და ჩვენი მეგობრობის დღევანდელი მაწყევარნიც ერთად ვტიროდით მულტიფლიკაციურ ფილმზე „მტრობა“, რომელიც ბოლოს, მომავალი თაობისათვის, თანხმობა-შერიგებითა და სიკეთით მთავრდებოდა.

დიახ, მომავლის, მითუმეტეს, ჩვენი სამშობლოს ეროვნულ-სახელმწიფოებრივი მომავლისათვის უნდა გავიხსენოთ ქართული ანდაზები, სწავლებები, რათა ჩვენც შევძლოთ მოვატრიალოთ უკუღმართი ჩარხი წაღმად და თუ ამაში უახლოეს წინაპართა აღსარებისა და ცოდვათა მონანიების შესაძლებლობების გზით ჩართვა ვერ მოვახერხეთ, იქნებ ჩვენ თავად და ჩვენმა შვილებმა, სამართლიანობის აღდგენის გზით, ურთიერთპატიებით შევძლოთ თანხმობა-შერიგების გზით ქვეყნის აღორძინება-განვითარება ...

სწორედ, შეიძლება ჯერ მხოლოდ გულში თქმულმა კეთილმა აზრებმა შეგვაძლებინოს ამ ვექტორით სვლა?!

ვფიქრობთ, სამართლებრივი, მართალი შეფასებით, დროა ქარქაშებში ჩავაგოთ ერთმანეთისადმი აღმართული ხმლები, დავსხდეთ, ვიკამათოთ-ვისაუბროთ, სამართლებრივ-პოლიტიკური ანალიზი გავუკეთოთ ყოველივე განვლილს, სწორი და ერთადერთი ჭეშმარიტი შეფასება-დასკვნა გავაკეთოთ ჩვენი და ეროვნული სახელმწიფოს მომავლის გადასარჩენად! ...

**ნათია ძალიან მორწმუნე ადამიანია, თანაც ხელოვანი, მხატვარი (მისმა ნამუშევრებმა ძალზედ მომხიბვლა, იმდენად დიდი ადამიანობა და სიყვარული დავინახე მათში).**

**ორივე ვცდილობთ, ჩვენი მსოფლმხედველობები და ქმედებები ისე წარვმართოთ, რომ ჩვენს პირად მეგობრობასა და ქვეყნის მომავალს უფრო მეტი დადებითი შევმატოთ! ... ჩვენ ხომ ეხლა ვიწყებთ თანხმობისა და შერიგების პროცესს?! დღეს გვაქვს განსხვავებული პოზიციებიც, მაგალითად, ნათია ფიქრობს, რომ საბოლოო ჯამში ორივე მხარეა დამნაშავე და ორივე ვალდებულია მოინანიოს, რადგანაც ერი ასეთ ტრაგედიამდე მივიდა. ამ განსხვავებული პოზიციების მიუხედავად, რაც ბუნებრივია და რომ დღეს შესაძლებელი ყოფილა მშვიდად გვქონდეს განსხვავებული პოზიციები, ჩვენ მაინც ვახერხებთ მეგობრობას, სიყვარულს და საბოლოოდ მაინც მივალთ თანხმობაზე. ასევე მოვუწოდებთ ყველას ქვეყნის სასიკეთოდ შეხედონ ჩვენს ინიციატივას და სიყვარულთვე ამოგვიდგნენ გვერდში!**

**ნათიამ, ასევე, მართლაც გულთან მიიტანა, თუ როგორ სასტიკად მომექცა ზოგიერთი ვითომ ჩემი თანამოაზრე, მაგრამ სინამდვილეში ქვაბავაზაკნი მის თანამზრახველებთან ერთად, მეგობრულად დამიდგა გვერდში, მიერთგულა და დამიცვა მათგან. ვითომ ეროვნულნი, ურაპატრიოტები, ვითომ-ისტები მაწყევარად გადაიქცნენ და სოციალური ქსელიდან კი არ გვმოძღვრავენ, არამედ წყელვა-კრულვით აგენტებად გვნათლავენ ...**

**მაგრამ ჭეშმარიტება და სიმართლის გზა ერთია და ამ გზას არ უნდა ავცდეთ ...**

**მე და ნათიას მეგობრობა დიახაც, სუფთაა, ეროვნული და ღირსეულია! დიახ, ჩვენ გამოვძებნით მართალ გზას, ქვეყანას წავიყვანთ თანხმობა-შერიგებისაკენ და სამართლებრივი აღორძინებისაკენ!**

**ჩვენ ჩვენი წილი ცოდვა-მადლი ვზიდოთ და ჩვენი ვეცადოთ უნდა ...**

**ქართული სახელმწიფო და ხალხი უნდა მიესალმებოდეს და მხარს უჭერდეს სამოქალაქო დაპირისპირების დასრულების, მისი შედეგების აღმოფხვრისა და ეროვნული თანხმობის პროცესის დაწყების სამართლიან ძალისხმევას.**

**როგორც ვიცით, 1991-1993 წლებში საქართველოში განხორციელებული სახელმწიფო გადატრიალებიდან დაწყებული სამოქალაქო დაპირისპირების პოლიტიკური შედეგები დღემდე არ არის აღმოფხვრილი, რაც ხელს უშლის ქვეყნის სულიერ ერთიანობას და სახელმწიფოს აღმშენებლობის პროცესს. სწორედ აქედან იწყებს სათავეს სამოქალაქო დაპირისპირება და იგი უნდა განვიხილოთ როგორც საქართველოს ისტორიის ტრაგიკული პერიოდი, როცა ერთმანეთს გადაეჯაჭვა ურთულესი და ურთიერთსაწინააღმდეგო პოლიტიკურ-სამართლებრივი პრობლემები.**

**ჩვენ პატივს უნდა მივაგებდეთ ასევე, ძმათა შორის შეიარაღებული დაპირისპირებისას დაღუპულთა ხსოვნას, რომლებიც სამართლებრივად სამშობლოსათვის იბრძოდნენ და უნდა მოვუწოდოთ საქართველოს ყველა მოქალაქეს, ერთხელ და სამუდამოდ წერტილი დაესვას სამოქალაქო კონფრონტაციას.**

**დაგმობილ უნდა იქნეს სახელმწიფოში პოლიტიკური პრობლემების ძალადობის გზით გადაჭრა და ლეგიტიმური ხელისუფლების დამხობის ყოველგვარი მცდელობა.**

**უნდა შეიქმნეს ეროვნული თანხმობის ნიადაგი და მექანიზმები, რომელიც უზრუნველყოს ეროვნული თანხმობის პროცესის აღდგენა-გაგრძელებას და სამოქალაქო დაპირისპირების დასრულებას.**

**გავიხსენოთ საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს 1990 წლის 14 ნოემბრის მიმართვა სრულიად საქართველოსადმი: ,,ერისა და პიროვნების სრული თავისუფლების დამკვიდრება ყოველი ჩვენგანის სანუკვარ მიზანს წარმოადგენს, მაგრამ აღნიშნული მიზნის მიღწევა შეუძლებელია ეროვნული თანხმობის, ურთიერთანადგომისა და ურთიერთპატივისცემის გარეშე.**

**საქართველოს კეთილდღეობისათვის დღესაც ჰაერივით საჭიროა ერთიანობა და სიმტკიცე, შემწყნარებლობა და მიმტევებლობა, ნებისმიერ პარტიულზე მაღლა ეროვნული ინტერესების დაყენება“.**

**დღესაც ჩვენი ერის ყოფნა-არყოფნის საკითხი დგას, ასეთ დროს კი, დიდი დაფიქრება და პასუხისმგებლობა გვმართებს. მე და ნათიაც ვცდილობთ გამოვძებნოთ გზა არა იმისათვის, რომ გავაღვივოთ სამოქალაქო დაპირისპირება, არამედ ჩვენი, თუ გნებავთ როგორც დედათა, მიზანია ერის გამთლიანება, ეროვნული შერიგება და თუ მოწინააღმდეგე მხარე შეიგნებს თავის შეცდომებს, შეინანიებს თავის დანაშაულს ერის წინაშე, ჩვენ მზად ვართ მათაც გავუწოდოთ ხელი.**

***უნდა* გვეყოს ბატონებო, ჩვენის აწმყოსი და მომავალის ბედის სხვაზედ მიგდება. ჩვენი გაჭირვების, გულისტკივილისა და წადილის პატრონნი ჩვენვე უნდა ვიყოთ.**

მძიმეა მიტევების, თანხმობისა და შერიგების ეს უღელი, მაგრამ მით უფრო სახელოვანია მისი ერთგულად გაწევა. მძიმეა, მაგრამ უმაგისოდ ვერ მოხერხდება ამ ქვეყნიერებაზედ მშვიდობა, სიკეთე და ძალ-ღონე ხალხისა. სხვა გზა არ არის, ჩვენი ცხოვრების შარა-გზა ჩვენვე უნდა გავიკაფოთ და ამით სამართლებრივი სახელმწიფო შევქმნათ! ცხოვრების აზრიც ხომ იმაშია, რომ დროულად შეიტყო, შეიმცნო ჟამი რას ითხოვს: ტირილსა, თუ სიცილს, გაყრას, თუ შეკრებას, დუმილსა, თუ მეტყველებას, სიყვარულსა, თუ სიძულვილს, ბრძოლას, თუ მშვიდობას და სხვათა და სხვათა მსგავსთ.თუ ეროვნულ-სახელმწიფოებრივი აზროვნება არ დაეფუძვნა ღვთის ჭეშმარიტ რწმენას, ეროვნულ-სარწმუნოებრივი და ჰუმანისტური აზროვნების მსოფლმხედველობისა, თუ ტრადიციების აღორძინება-დამკვიდრების შეუვალ სურვილს, ზნეობრივ ფასეულობათა ერთგულებას, სამართლიანობისა და კანონის უზენაესობის პრიორიტეტს, შერიგებისა და თანხმობის აუცილებლობის პრინციპს, ვეჭვობთ მივაღწიოთ ერის დარღვეული შინაგანი წონასწორობის, სახელმწიფოებრივი ეროვნულ-სარწმუნოებრივი მსოფლმხედველობის, იდეოლოგიის, ტერიტორიული მთლიანობის, პოლიტიკურ-სოციალური სამართლიანობის დამკვიდრებას, კულტურისა და ეკონომიკის აღმავლობას!

საქართველოს ერთგულება, სიყვარული, სამართალი, სათნოება, შერიგება და ერთიანობა გადაარჩენს!

ალალად, სწორედ ესაა ჩემი და ნათიას კეთილშობილური კრედოც!

იქნებ, ეხლა მაინც გამოვფხიზლდე და გაიღვიძო ქართველო ერო!

გაიღვიძე და გაჰყევი გზას ჭეშმარიტებისას, სიკეთისას, თანხმობისა, სიყვარულისა და ღვთისას!

ამინ!

**ნონა ქევხიშვილი**



# მე ვარ ქართველი, სახელოვანი ერისა და კავკასიის შვილი

## კავკასია - მსოფლიოს მშვიდობიანი ერთობის გარანტი

**ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეაში ზურაბ ჟვანიას მიერ 1999 წლის 27 იანვარს წარმოთქმული სიტყვა: „მე ვარ ქართველი და მაშასადამე ვარ ევროპელი“ საკმაოდ აიტაცეს მაშინდელმა ქართველმა, თუ უცხოელმა საქართველოს ევროსაბჭოში გაწევრიანების მომხრეებმა და ატაცებული აქვთ ათეულ წელზე მეტია. ევროკავშირი კი, კომუნიზმივით კვლავ ჰორიზონტზეა და რაც უფრო ვცდილობთ დაახლოებას, მით უფრო შორს სჩანს და გვშორდება იგი!**

**მაშ, რა „ვირუსი“ დაემართა ზურა ჟვანიას, რომელიც 1990 წელს ამბობდა:**
**„კარგად უნდა გავიცნობიეროთ, რომ საქართველო ეს არ არის აზია, მაგრამ საქართველო არ არის არც ევროპა არსებითად, ის არის ნაწილი იმ უნიკალური საოცრად მრავალფეროვანი და თავისთავად სამყარო, რასაც კავკასია ეწოდება და სწორედაც, აი, ამ მოძრაობის წამოწყება გულისხმობს ამ იდეის გაბატონებას საქართველოში, რაც ნიშნავს, რომ ჩვენ უნდა დავუბრუნდეთ იმ ტრადიციულ ღირებულებებს, რომელიც ჰქონდათ ჩვენს წინაპრებს. ჩვენ დავიცავით ჩვენი ბუნებრივი ადგილი მსოფლიო ხალხთა თანასაზოგადოების სისტემაში. მომავალ ევროპელებს საერთო ევროპული სახლი წარმოუდგენიათ, როგორც ევროპის რეგიონების (ქვეყანათა) ერთობა. ასეთი ევროპა ეს იქნება არა კომუნალური სახლი, სადაც ყველა ევროპელი ერები აითქვიფებიან, მოხდება არსებითად ძლიერი უკვე ჩამოყალიბებული ფინანსურად ძლიერი ერების მიერ კულტურული ექსპანსია უფრო ნაკლებად განვითარებული ევროპელი ერებისა, არამედ როგორც გარკვეული რეგიონების გაერთიანება, რომელშიც ამ თითოელ რეგიონში ეს ცალკეული ერები, ცალკეული კულტურები ინარჩუნებენ თავს, თავის თვითმყოფადობას და არა მხოლოდ ინარჩუნებენ, არამედ ავითარებენ, მაგრამ ეს პრობლემა რა თქმა უნდა კულტურული თვითმყოფადობის, ეროვნული თვითმყოფადობის შენარჩუნებისა, ალბათ ერთ-ერთ პირველ ადგილზე დგას თანამედროვე მსოფლიოში. ჩვენ დღეს იმდენად ვართ ჩართული არსებითად ხელჩართულ ბრძოლაში ფიზიკური გადარჩენისთვის, რომ ამ ასპექტებს ჯერჯერობით ყურადღებას არ ვაქცევთ, მაგრამ ეს არის ძალიან სახიფათო მდგომარეობა ჩვენთვის იმიტომ, რომ სწორედ დღეს, როდესაც ხდება ახალი კანონზომიერების შემოსვლა ჩვენს ცხოვრებაში, უნდა დავუშვათ დასავლეთის სამყაროსთან ეკონომიკური ურთიერთობის ახალი მექანიზმების შექმნა საერთოდ, როდესაც ჩვენი საზოგადოება სულ უფრო და უფრო გახსნილი გახდება, ჩვენ უნდა გავითვალისწინოთ, რომ ის რაც აწუხებს დავუშვათ ისეთ ძლიერ და მრავალრიცხოვან ერს, როგორც ფრანგები არიან, რაც იგულისხმება დავუშვათ ფრანგული კულტურის ამერიკანიზაციაში, მით უფრო იქნება სახიფათო ჩვენთვის, ჩვენ 200 წლის განმავლობაში შევეგუეთ და გამოგვიმუშავდა გარკვეული იმუნიტეტი.**

**რუსეთთან, აი, ამ უზარმაზარ სახელმწიფოსთან ურთიერთობისას ამან გარკვეულწილად მოგვცა იმის საშუალება, რომ ბოლოს შეგვენარჩუნებინა, თუნდაც რაღაც დონეზე ჩვენი თვითმყოფადობა, მაგრამ როდესაც შემოვა უძლიერესი ნაკადი დასავლური კულტურისა, დასავლური ცივილიზაციისა, მაშინ, როდესაც მთელი ჩვენი საზოგადოება, სამწუხაროდ, არის ორიენტირებული ისეთ მომხმარებლურ ფასეულობებზე, რასაც ეწოდება ტექნოკრატიული ცივილიზაციის სიკეთე, აი, მაშინ წარმოვიდგენთ რა მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდებით ჩვენ და სწორედ აქ, ამ ისტორიულ მომენტში კავკასიური ორიენტაცია, კავკასიური ერთობის იდეები, ეს უნდა იყოს ის ერთადერთი ფარი, რომელმაც შეიძლება გადაარჩინოს ქართველი ერი, არა მხოლოდ ფიზიკურად, არამედ უნდა გადაარჩინოს ერთიანი ფენომენი ქართველობისა.**

**ამდენად, ჩვენ საქართველოს შესაძლო მომავალს ვხედავთ იმაში, რომ საქართველო თავისთავად უნდა შევიდეს მსოფლიო თანამეგობრობაში, მხოლოდ როგორც განუყოფელი ნაწილი კავკასიისა, ის უნდა შევიდეს არა მხოლოდ, როგორც ქართული სახელმწიფო, არამედ როგორც მატარებელი ამ საერთო კავკასიური ცივილიზაციისა, ამდენად, ჩვენ კავკასიური ერთობის იდეები, კავკასიური ხალხთა კონსოლიდაციის იდეები, პოლიტიკურ იმპერატივად უნდა გაგვაჩნდეს“.**

**აი, ასე იყო და ასე დაისვარა ერთ დროს გამორჩეული ახალგაზრდა პოლიტიკოსის გონება და იდეები, ან იქნება თავიდანვე იმას ამბობდა, რაც აწყობდა მას და მის „უბადლო მასწავლებელს“ ადამიანის ქამელეონად ქცევისათვის.**

დღეს გეოპოლიტიკური სტრუქტურა მნიშვნელოვნად შეიცვალა, ამუშავდა სხვა სქემებიც. ჩვენი ქვეყნის პოლიტიკით, მსოფლიო ინტერესებიდან გამომდინარე აუცილებელია ოპტიმალურად გადავწყვიტოთ დღევანდელი პრობლემები.ქართული პოლიტიკის ბრძენთაბრძენ მესვეურებს უხსოვარი დროიდან მიგნებული და აღიარებული აქვთ ის უალტერნატივო ჭეშმარიტება, რომ კავკასია ერთიანი გეოპოლიტიკური ფენომენია და მისი არსებობისა და განვითარების საფუძველთა საფუძველი არის „ყოველი კავკასიელი ერის ეროვნული ღირსება“ და „კავკასიელი ერების ურთიერთპატივისცემაზე დაფუძნებული უფლება-მოვალეობანი“.

სწორედ ეს „ძირითადი არსი“ წარმოადგენს საფუძველთა-საფუძველს საქართველოს რესპუბლიკის პირველი, ჭეშმარიტად ხალხის მიერ არჩეული და ჯერჯერობით ერთადერთი სრული ლეგიტიმაციის მქონე პრეზიდენტის - ზვიად გამსახურდიას პოლიტიკური ხედვისა. ეს არის პირველად ახსნილი სრულყოფილი სურათი მსოფლიოს გეოპოლიტიკური მომავლისა.

კავკასია ხომ დამოუკიდებელი პოლიტიკური კონტინენტი და მსოფლიოს მომავალი ეპიცენტრია, რამაც შეიძლება პლანეტის პოლიტიკური განლაგება შეცვალოს.

ევროკავშირი, როგორც ვიცით, სათავეს იღებს ევროპის ქვანახშირისა და ფოლადის გაერთიანებისგან და ევროპის ეკონომიკური გაერთიანებისგან, რომლებიც 1951 და 1958 წელს ექვსმა სახელმწიფომ შექმნა. ახალი წევრი სახელმწიფოების მიღების შედეგად იგი ტერიტორიულად გაიზარდა, ძალაუფლება კი სხვადასხვა პოლიტიკის დამატების შედეგად გაზარდა. 1993 წელს, მაასტრიხტის ხელშეკრულების შედეგად, შეიქმნა ევროპის კავშირი, რომელმაც ასევე შემოიღო ევროპის მოქალაქეობის ინსტიტუტი. 2009 წელს ძალაში შევიდა ევროკავშირის კონსტიტუციური საფუძვლის ბოლო, ძირითადი შესწორება — ლისაბონის ხელშეკრულება. დიდი გლობალური გავლენის გამო, ევროკავშირს ხშირად უწოდებენ ზესახელმწიფოს, ან პოტენციურ ზესახელმწიფოს.

ევროპის კავშირი აგებულია ევროპული თანამეგობრობის ურთიერთობების მთელი ერთობლიობის, უმეტესად ეკონომიკურ-მიზნობრივ საფუძველზე და ევროკავშირის ძირითადი პოლიტიკის მიზანია ადამიანების, საქონლის, სერვისებისა და კაპიტალის თავისუფალი გადაადგილების უზრუნველყოფა ერთიან, შიდა ბაზარზე, ანუ ძირითადად მისი ეკონომიკური ერთობა, იურისპუდენციული კანონმდებლობისა და საშინაო საქმეების გამოცემა, საერთო პოლიტიკის შენარჩუნება ვაჭრობაში, სოფლის მეურნეობაში, თევზის რეწვასა და რეგიონულ განვითარებაში.

რადიკალურად განსხვავებულია კავკასიის ერთობის, მისი ისტორიულ-ეთნიკური წარმომავლობის ბაზაზე დაფუძვნება და ყოველგვარი მისი მიზნობრივი მოცულობები.

საქართველოს ისტორია ნათლად მეტყველებს, რომ ქართული ფენომენისათვის ყოველთვის დამახასიათებელი იყო ეროვნული, რელიგიური თავსებადობა. ჩვენს ქვეყანაში საუკუნეების მანძილზე ეთნიკური და რელიგიური კონფლიქტების გარეშე გვერდიგვერდ ცხოვრობდნენ სხვადასხვა ეროვნების, განსხვავებული პოლიტიკური შეხედულებებისა და რელიგიური აღმსარებლობის წარმომადგენლები. საქართველო თავისი გეოგრაფიული მდებარეობით, ძველი ერის მტკიცე სახელმწიფოებრივი და კულტურული ტრადიციების გამო ყოველთვის მიზანმიმართულად ახერხებდა მოწინავე აზრის, კულტურის ექსპორტირებას მეზობელ მონათესავე ტომებში. ამ მოვლენას კი, ნოყიერი ნიადაგი ასაზრდოებდა – იბერიულ-კავკასიური სამყაროს არსებობა, რომელიც უძველესი და უნიკალური ცივილიზაციის პოლიეთნიკურ და ამავე დროს ერთიან გეოპოლიტიკურ, კულტურულ, ეკონომიკურ სივრცეს, დასავლეთსა და აღმოსავლეთის, ჩრდილოეთისა და სამხრეთის გზაჯვარედინს წარმოადგენდა. საქართველოს კავკასიელ მეზობლებთან სარწმუნოებრივი სხვადასხვაობის მიუხედავად, ისტორიულად მუდამ ჰქონდა მთლიანი კავკასიური სამყაროსადმი კუთვნილების, საერთო წარმომავლობის, ბიოგენეტიკური ნათესაობის გრძნობა, ეროვნული წიაღიდან აღმოცენებული, ერთმანეთისაგან განსხვავებულ მეზობელ ცივილიზაციებთან შემაჯერებელი საერთო მენტალიტეტი, კულტურული, მორალური და ზნეობრივი ღირებულებები. დღეისათვის კავკასიის, როგორც მსოფლიოს მშვიდობიანი ერთობის განმსაზღვრელი ახალი რეგიონის, შიგა მოწესრიგების პრინციპი კი ისტორიულ-ეთნიკური პროცესების განვითარებამ, მისმა ღრმა ფესვებმა უნდა განსაზღვროს, რაც საქართველოს იბერიულ-კავკასიურ ტომებთან ნათესაობით და ასევე შავი ზღვის ნავსადგურთა გარკვეული ნაწილის კონტროლით განსაზღვრულ უპირატეს მდგომარეობაში

**აყენებს.აღსანიშნავია, რომ კავკასიური ერთობის შესაქმნელად, რომლის საფუძველი იდეაში ყოველთვის არსებობდა, საჭიროა მკაფიო და მკაცრი, თანმიმდევრული მსოფლიო პოლიტიკური კურსის შემუშავება, რაც საჭიროების შემთხვევაში როგორც კავკასიური სახლის, ასევე მსოფლიოს დამცველ მექანიზმად ამოქმედდება. კავკასია აუცილებლად განხილულ უნდა იქნას, როგორც მსოფლიოს მშვიდობიანი ერთობის გარანტი და საქართველოს, როგორც კავკასიური სახლის ქვეყნის, მედიატორული როლი მსოფლიოსათვის. ცხადია, კავკასიური სახლი არ გულისხმობს საქართველოს საგარეო პოლიტიკის ერთი მიმართულებით განვითარებას. ასეთი პოლიტიკა განსაზღვრულია საქართველოს და მსოფლიოს კეთილდღეობის ინტერესებით და ოთხივემხრივ უნდა წარიმართოს, მაგრამ მარტო დასავლეთის პროგრესული დემოკრატიული აღმშენებლობის სურვილი საკმარისი არ არის ჩვენი ქვეყნის ეროვნული აღორძინებისათვის, მას ხელი უნდა შეუწყოს საქართველოს საგარეო და საშინაო პოლიტიკის სწორად წარმართვამაც, რომელიც დამყარებული იქნება სამართლიანობისა და კანონიერების ბაზაზე.**

**სწორედაც, უნდა აღსდგეს ისტორიული სამართლიანობა და ჩამოყალიბდეს მსოფლიოს მშვიდობიანი ერთობის განმსაზღვრელი ახალი კონტინენტალური მნიშვნელობის პოლიტიკური რეგიონი და ერთობა - კავკასია, როგორც გარანტი მსოფლიოში მშვიდობისა, სამართლიანობისა, ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებისათვის დაცვისა, სახელმწიფოთაშორისი პოლიტიკური, სოციალური, ეკონომიკური, კულტურული თანხმობა-ერთობისა და თანასწორობისა. ამავდროულად, საშუროა, თუ კავკასიაში და სწორედ საქართველოში განთავსდება და მოეწყობა სახელმწიფოთა უსაფრთხოებისა, ერთა კულტურათა, უფლებებისა და თავისუფლებების, დაცვისა და უზრუნველყოფის „მსოფლიო ერთა ანსამბლეა", რამდენადაც საქართველოს, როგორც „კავკასიური სახლის" ქვეყანას, სახელმწიფოს ისტორიული, გეოპოლიტიკური მნიშვნელობიდან გამომდინარე და ეროვნული სულის მეოხებით ძალუძს ეზიაროს ჭეშმარიტად საღვრთო საქმეს და განხორციელოს მსოფლიოს სახელმწიფოთა მშვიდობიანი ურთიერთობისა და თანამშრომლობისათვის აუცილებელი გარანტის როლი. იგი უნდა გახდეს მედიატორი სახელმწიფო, აღმოსავლეთსა და დასავლეთს, ქრისტიანულ და მუსულმანურ სამყაროს შორის, რაც მისი ოდინდელი ისტორიული მისიის დაბრუნება იქნება. ეროვნული ღირსების გრძნობის დაბრუნება და ამაღლება კი, შესაძლებელია ქვეყნის სოციალური, პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული მდგომარეობის, ასევე ერის იდეურ-მორალური, ეთიკური, ზნეობრივი და საღმრთო რწმენის დონეთა ამაღლებით. ეროვნული ღირსების გრძნობა თავისთავად ერის ნაყოფიერი ორიენტაციაა და იგი დიდ როლს თამაშობს როგორც პიროვნული ღირსების, ასევე ცხოვრების დონის ამაღლებასა და ქვეყნის განვითარებაზე.**

**მსოფლიო ქვეყნების სახელმწიფოებრიობის დონის ამაღლებისა და აღორძინების მიზნით, ახალი რეალობიდან გამომდინარე სასურველია დაიხვეწოს საერთაშორისო ხელშეკრულებათა აქტები მათი უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა განხრითაც, რათა ახალ საუკუნეში სახელმწიფოებმა და ხალხებმა იცხოვრონ მშვიდობიან, განვითარებად მსოფლიო თანამეგობრობისა და ურთიერთპატივისცემის გარემოში. მსოფლიო პოლიტიკურ ძალებს უნდა ჰქონდეს პოლიტიკურ მოვლენათა შორის მუდმივი და უცილობელი კავშირი და ურთიერთდამოკიდებულება, რომელიც დასტურდება ბუნებასა და საზოგადოების შემეცნების პროცესში. უნდა ჩამოყალიბდეს ჭეშმარიტად შესაბამისი პოლიტიკური წყობა, რომლის დროსაც დამყარებულია და პრაქტიკაში ხორციელდება ერთა ხელისუფლებათა საშუალებები და ფორმები, რომლებიც გამაგრებულია თვითოეული ქვეყნის მოქალაქეთა თავისუფლებებისა და თანასწორობის კანონებში.**

**საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის შინაგანი დინამიკა და მისი ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ვექტორი სწორედაც უნდა იყოს ,,ახალი მსოფლიო წესრიგის" არქიტექტონიკაში კავკასიის გეოპოლიტიკური სივრცისა და მისი ღერძული სახელმწიფოს – საქართველოს რესპუბლიკის სუვერენობის სამართლებრივი საკითხის უცილობელი ჩასმა და აღდგენა და იმ ბარბაროსული კოსმოპოლიტური ოკეანედან გამოსვლა, სადაც პოსტინდუსტრიული ცივილიზაციის გენეზისის ეპოქაში ქართული ეროვნულობა შთაინთქა იმპერიალისტური ძალების დროებითი გარიგებებით.**

უნდა გვახსოვდეს ასევე, რომ მთავარი არგუმენტი და უმოკლესი გზა მთელი კავკასიის რეკოლონიზაციისაკენ, დამოუკიდებელი და თავისუფალი კავკასიის, როგორც მსოფლიო ახალი კონტინენტალური რეგიონის ჩამოყალიბებისაკენ, საქართველოს სამართლებრივ და კანონიერ დამოუკიდებლობასა და თავისუფლებაზე გადის.

ჩვენ ჩვენი უნდა ვიმეცადინოთ, ჩვენი ქვეყნისათვის ვიზრუნოთ, მისი მდგომარეობა ვაუმჯობესოთ, და მაშინ, თუ ვინმე მოინდომებს ჩვენს დახმარებას და ხელის მომართვას, ხომ უკეთესი და თუ არ მოინდომებს, ის ჩვენი ნაშრომი და შენაძენი ხომ ხელიდან მაინც არ წაგვივა და ისევ ჩვენ დაგვრჩება.

უკვე ახალ საუკუნეში, მსოფლიო ისტორიული მისიაა საფუძველი ჩაეყაროს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის (დანიშნულებისა და ფუნქციებიდან გამომდინარე, მისი უფრო ეფექტური გადაწყვეტილებების დაუბლოკავად, გამარტივებულად მიღებისა და ამ გადაწყვეტილებების დროულად შესრულების აუცილებლობა ეჭვს არ იწვევს) თვისობრივად ახალ ინსტიტუტს, რომლის უზენაესი მიზანი ასევე იქნება, ადამიანის უფლებათა დაცვასთან ერთად, მსოფლიოს ერთა კულტურათა და სახელმწიფოთა უსაფრთხოების უზრუნველყოფაც. ახალ სიტუაციაში მკვეთრად გაიზრდება როლი საერთაშორისო ხელშეკრულებათა შესრულების კონტროლის სფეროშიც, ასევე გადაუდებელ ამოცანადაა აღიარებული ეროვნულ ნიადაგზე წარმოქმნილ კონფლიქტთა რეალური მიზეზების ობიექტური შესწავლა, რაც რომელიმე ავზრახვიან ქვეყანას საშუალებას აღარ მისცემს თავიანთი ეგოისტური ინტერესებიდან გამომდინარე პერმანენტული ხასიათი მისცენ ეთნიკურ კონფლიქტებს.

მსოფლიო ქვეყნების სახელმწიფოებრიობის დონის ამაღლებისა და აღორძინების მიზნით, ახალი რეალობიდან გამომდინარე სასურველია დაიხვეწოს საერთაშორისო ხელშეკრულებათა აქტები მათი უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა განხრითაც, რათა ახალ საუკუნეში სახელმწიფოებმა და ხალხებმა იცხოვრონ მშვიდობიან, განვითარებად მსოფლიო თანამეგობრობისა და ურთიერთპატივისცემის გარემოში. მსოფლიო პოლიტიკურ ძალებს უნდა ჰქონდეს პოლიტიკურ მოვლენათა შორის მუდმივი და უცილობელი კავშირი და ურთიერთდამოკიდებულება, რომელიც დასტურდება ბუნებასა და საზოგადოების შემეცნების პროცესში.

კავკასიაში უნდა ჩამოყალიბდეს ჭეშმარიტად შესაბამისი პოლიტიკური წყობა, რომლის დროსაც დამყარებულია და პრაქტიკაში ხორციელდება ერთა ხელისუფლებათა საშუალებები და ფორმები, რომლებიც გამაგრებულია თვითოეული ქვეყნის მოქალაქეთა თავისუფლებებისა და თანასწორობის კანონებში.

ნონა ქევხიშვილი
20. 05. 2020

# წარმართობიდან დღემდის ქრისტიანობამდე კავკასიის ღვთისშვილები ვართ და ვიქნებით მუდამ

როცა შენი გზა თავადვე აირჩიე,
არ სდევ ჟამთა სვლას ...
და შენს სიმართლეს რომ აქვს უფლება,
სწორედ ეს არის თავისუფლება!

თუ დავიწყებთ უძველესი დროიდან - წარმართობიდან – ესაა ჩვენი და ჩვენი წინაპრების ქრისტიანობამდელი რწმენა, მსოფმხედველობა, ფილოსოფია, სამყაროს აღქმის უნარი და ცხოვრების წესი. ესაა სულიერი და ყოფითი ცოდნის უდიდესი სისტემა, რომელსაც ჩვენი წინაპრები ათასწლეულების მანძილზე აგროვებდნენ. იგი აღმოცენდა იბერო-კავკასიური ცივილიზაციის ცენტრში და ყოველთვის მისი თანმსდევი გახლდათ. ესაა სამყაროსა და საკუთარი „მე“-ს ბუნებრივი აღქმის უნარი, რომელიც ახასიათებს ყველა იბერო-კავკასიელს, რამეთუ წარმართული კოდი დევს ყველა მათგანის გენში და ისტორიულ მეხსიერებაში, ადამიანიც ხომ თვით ისტორიული მეხსიერებაა, რომელსაც გაშიფვრა სჭირდება და სწორედ ამაში ეხმარება ადამიანს წარმართობა.

სიტყვა „წარმართობა“ ბევრს შეცდომით დამამცირებელი ჰგონია. „წარმართი“ ქართული წარმომავლობის სიტყვაა და შესდგება ორი ნაწილისგან: 1. წარ(ღ) – წინ; 2. მართი – მავალი (სწორი) – თანამედროვე ქართულით ეს იქნება „ის, ვინც სწორი გზით მოძრაობს“, „ის, ვინც მართალია (სწორია)“, „ის, ვინც წინ მოძრაობს“. ამრიგად, წარმართი – წინ მავალს, ხოლო უკუღმართი – უკან მავალს ნიშნავს. წარმართი ისაა, ვინც იცავს საკუთარ მშობლიურ რწმენას და მისი აღმსარებელია, უკუღმართი – ვინც უღალატა მშობლიურ რწმენას და სხვის რწმენაზე გადავიდა.

წარმართობა – ეს პირველ რიგში სიყვარულია გარესამყაროს მიმართ: სიყვარული საკუთარი თავის მიმართ, წინაპრების მიმართ, გარშემომყოფთა (მოყვასთა) მიმართ, შენი მშობლიური ღმერთებისა და შენი სამშობლოს მიმართ. სამშობლო და წარმართობა განუყოფელია ერთმანეთისგან, რამეთუ წარმართი, რომელიც არ აღიარებს მისი მიწის კანონებსა და წესებს, მეტიც, ამახინჯებს, ან სულაც უარჰყოფს მას, ის წარმართი ვერასდროს ვერ იქნება. წარმართი იცავს და უფრთხილდება ყველაფერს, რაც მისი, როგორც პიროვნების და ერის, როგორც მისი გვარისა და სხვა მონათესავე გვარების ერთიანობის საკუთრებაა. იგი იცავს და უფრთხილდება ისტორიას, კულტურას, ღირებულებებს, რწმენას, ტრადიციებსა და თავად მოდგმას, რამეთუ ვინც ისტორიას ივიწყებს მას მომავალი არ აქვს. ეს უკანასკნელი კი უმნიშვნელოვანესია წარმართისთვის, რამეთუ მოდგმა და წარმომავლობა მისთვის უპირველესია.

წარმართობის საზომად გვევლინება არა ადამიანისვე დაწერილი მცნებები, არამედ სული, გული და სინდისი. წარმართობა, უპირველეს ყოვლისა, ეს იყო, ცხოვრების წესი და შემდეგ უკვე რწმენა და აღმსარებლობა. წარმართისთვის ღმერთი ერთიც იყო და მრავალიც. წარმართები ღმერთს (ღმერთებს) ეძახდნენ არა მხოლოდ როგორც უზენაეს ძალებს, ბუნების კანონებსა და მის გამოვლინებებს, არამედ ხშირად წინაპრებსაც, რამეთუ ისინი იწოდებოდნენ ღვთის შვილებად და არა მონებად. წარმართისთვის მონობა მიუღებელი იყო, რამეთუ ამით, ცხადია, ისინი კარგავდნენ დამოუკიდებლობას, თავის უფლებას და ეს უკანასკნელი უმნიშვნელოვანესია. ღმერთმა გვიბოძა ხელები, ფეხები, ტაძარი (სხეული), თავი და გვიბოძა დამოუკიდებლობა, რასაც ჩვენს ენაზე თავისუფლება ჰქვია. ყოველი ადამიანი თავისუფალია არჩევანში, თუმცა ცხადია მისმა არჩევანმა, მისმა თავისუფლებამ სხვის თავისუფლებას არ უნდა ავნოს. მთელი წარმართობა დაფუძნებული იყო ბუნებაზე და მის კანონებზე, ბუნებრივი სიბრძნე კი მარადიულია.

წარმართობა ეფუძნება სულიერ სიყვარულს ყველა ცოცხალი არსების მიმართ. სიყვარული – არა მხოლოდ საკუთარი თავის დასაკმაყოფილებლად, არამედ ბუნებაში მცხოვრები ყველა ცოცხალი არსების მიმართ. წარმართს ეკრძალებოდა უმიზეზოდ ნებისმიერი ცოცხალი არსების მოკვლა, იქნება ეს ჯიხვი თუ ჭიამაია. წარმართობა ადიდებს სიცოცხლეს, შესაბამისად წარმართი ვერ იქნება სიცოცხლის მომსპობი.

მშობლიური გვარი, მშობლიური ბუნება, მშობლიური მიწა, მშობლიური მოდგმა, მშობლიური სისხლი – მათი სიყვარულით ადამიანი სწავლობს გარესამყაროს სიყვარულს.

სიყვარული წარმართმა უნდა გამოავლინოს არა სიტყვით, არამედ ქმედებით. მისი ყოველი ნამოქმედარი უნდა იყოს კეთილშობილი და ღირსეული.

წარმართობა წარმოუდგენელია წინაპრების დიდების გარეშე. წარმართი პატივს სცემს საკუთარ გვარს, ოჯახს, მოდგმასა და მშობლებს. უფროსების პატივისცემის გარეშე წარმართობა არ არსებობს. მშობლიური ღმერთების (რომელთა შთამომავლებიც ვართ), ბებიების, ბაბუების, დედების, მამების, დების, ძმების, ნათესავებისა და ზოგადად მთლიანი ჯიშის სიყვარული და პატივისცემა უმთავრესია ჩვენთვის, რამეთუ როგორც ჩვენ მოვეპყრობით მათ, ისე მოგვეპყრობიან ჩვენი შთამომავლები ჩვენც - აცხადებდნენ წარმართები. წარმართისთვის აკრძალული იყო სხვისი გვარისა, თუ მოდგმის შეურაცხყოფა, თუ ის არ შეურაცხყოფს შენსას. სიყვარული შენი გვარის მხოლოდ იმიტომ, რომ შენია და სხვისი გვარისადმი სიძულვილი, მხოლოდ იმიტომ რომ ის სხვისია – არასწორია. სხვა გვარებთან და ერებთან წარმართი ნეიტრალურ მდგომარეობაშია. წარმართს შეუძლია სხვისი ერი შეისწავლოს, პატივი სცეს მას, თუმცა ამან არ უნდა გადაფაროს საკუთარი გვარისა და ერის სიყვარული, რამეთუ ეს უკანასკნელი მოღალატეობად ჩაითვლება. წარმართმა უძველეს სიბრძნეს პატივი უნდა სცეს და მოუფრთხილდეს, გადასცეს იგი შთამომავლობას - ასეთი იყო ოდითგან მათი კრედო. წარმართისთვის ოდითგან იკრძალებოდა სხეულის შეურაცხყოფა და მისი დამახინჯება. ძველქართულად სხეულს სასახლე/ტაძარი ჰქვია. ცხადია, ყველა რელიგიასა თუ მოძღვრებაში ტაძარი, როგორც საკრალური ადგილი, უწმინდესია.

წარმართისთვის უმთავრესია ჰქონდეს სრულად გათვითცნობიერებული, თუ ვინაა, რას წარმოადგენს, სადაა მისი ფესვები.

ამრიგად, წარმართისთვის უმნიშვნელოვანესი იყო:

1) ღირსება, სიმართლე და პატიოსნება;
2) მშობლები, წინაპრები და შთამომავლები;
3) ქალი, ოჯახი და კერა;
4) მიზანი, პრინციპები და ღირებულებები;
5) ზომიერი თავმდაბლობა;
6) სიცოცხლე და გარდაცვალებისათვის მზაობა.

ღირსება – ხომ ჩვენი სახე იყო მუდამ. მშობლებისადმი პატივისცემა, განსაკუთრებით კი სიბერეში, ესეც ხომ უდაო იყო და არის. მამისა და ძის ურთიერთობა უნდა იყოს მკაცრი, არ უნდა ვლინდებოდეს მათ შორის სინაზე, რამეთუ მამამ ძეში მეომარი და მებრძოლი უნდა აღზარდოს. ძე მამაში უნდა გრძნობდეს საყრდენსა და მაგალითს, ხოლო მამა ძეში დარწმუნებული უნდა იყოს ყველამხრივ. დედის მიმართ კი სიყვარული ყველამხრივ უნდა გამოავლინო. ქალი – სიცოცხლის საწყისია ყოველთვის. სიცოცხლის შობა და მათში წარმართული სულის აღზრდა – მისი მოვალეობაა. კაცი, რომელიც ქალს პატივს არ სცემს, ის კაცად არ მოიხსენიება, რამეთუ ყოველი მათგანი ქალმა შობა. ქალისადმი ჩხუბი და უპატივცემულობა – ცოდვად ითვლებოდა ყოველთვის. ქალისადმი სისუსტის გამოვლინება – სუსტისთვისაა დამახასიათებელი. ქალის დამცირება – საკუთარი თავის დამცირებაა. ქალმა ყური უნდა უგდოს კაცს, კაცმა კი – ქალს. მათი ურთიერთობა ყოველთვის დაბალანსებული უნდა იყოს. ქალი, რომელიც თავს კაცად გამოაცხადებს, ანდაც გარყვნილობას მიეცემა, ანდაც კაცს უღალატებს პატივისცემის ღირსი არაა. კაცი – ოჯახის თავია, მისი ვალდებულებაა ოჯახის შენახვა და ქალისადმი სიყვარულის გამოვლინება, რათა ქალმა მთელი ცხოვრების მანძილზე არ იგრძნოს სულიერი, თუ ხორციელი ტანჯვა. ოჯახური კერა ყოველთვის უწმინდესი იყო წარმართისთვის, ხოლო კერიის მცველი ქალია. ქალი პატივსაცემია ორი უმთავრესი მიზეზის გამო: პირველი – ის დედაა და მეორე – ქალი ბუნებით სუსტია და მას დაცვა სჭირდება. ქალმა უნდა იგრძნოს, რომ მის გვერდით ნამდვილი მამაკაცი და მეომარია, სულით მტკიცე და ძლიერი. ქალის მოვალეობაა შვილებს ღირებულებები გააცნოს, ტრადიციებსა და წესებზე აღზარდოს, რათა შემდგომში შვილები სამშობლოსა და გვარის სადარაჯოზე იდგნენ. წარმართობა გვასწავლიდა, თუ ამ ქვეყნად მოხვედი სიცოცხლე ფუჭად არ უნდა გაატარო. უპირველეს ყოვლისა, ასევე უნდა დაგეგმო შენი ცხოვრება, უნდა ორიენტირდე მხოლოდ მიზნებზე, გააკეთო ის, რაშიც შენს თავს სრულად ავლენ და გსიამოვნებს მისი კეთება, იცოცხლე სიცოცხლით, ისიამოვნე მისით ყოველ წამს, თუმცა არასდროს დაგავიწყდეს, რომ ჯერ მიწაზე ცხოვრობ გამოსცადე, თავი ტკივილში, სირთულეში და ცრემლში. წარმართისთვის ამაზრზენია წუწუნი და ჩივილი. არასდროს არავისთან არ გამოავლინო სისუსტე, რამეთუ სულით სუსტი ადვილი დასამორჩილებელია. იცოდე, რომ ყოველი სირთულე სულით აგამაღლებს. მოიპოვე სიმდიდრე მხოლოდ პატიოსანი და სამართლიანი შრომით. იცოდე ოქროს ფასი, თუმცა ნუ მისცემ საშუალებას დაგიმონოს მან. აი, ყოველივე ამას გვასწავლიდა წარმართობა.

წარმართობა მიუთითებდა - დასახე ზუსტი მიზნები და ფრთხილად გაჰყევის მას. მიზანი დაფუძნებული უნდა იყოს შენს მსოფმხედველობასა და გატაცებებზე. მიზანი უნდა იყოს ის, რაც მომავალში სიამოვნებას მოგანიჭებს. ადამიანი, რომელიც მიზნის გარეშე ცხოვრობს – დაკარგულია და მას არ აქვს მომავალი. მიზნამდე გზა მუდამ რთულია, ჰქმენი ისე, რომ შენმა მიზანმა და გზამ სხვებს არ ავნოს. ვინც მიზანს მიაღწია – ისწავლე მისგან, რამეთუ სწავლა არაა სირცხვილი. ეცადე, რომ არ იყო ღარიბი, შეგძლებოდეს შენი თავისა და ოჯახის დაცვა და მატერიალურად უზრუნველყოფა, ასევე სხვების დახმარება. თუ ასკეტი ხარ, მცირედი გჭირდება და ოჯახი გყავს, ოჯახზე უნდა დაფიქრდე და მასზე იზრუნო. შენი ძალა, შენი შრომა, შენი მიზანი და შენი სუფთა სურვილი – შენი ცხოვრების შეფასების კრიტერიუმებია. არ დაგავიწყდეს, რომ ოქრო და ფული – უზრუნველყოფილი ცხოვრების ინსტრუმენტია, რათა რაც შეიძლება მეტი სიკეთე ჩაიდინო. მაგრამ თუ არ გაქვს სული და წარმართობის პრინციპებს არ იცავ, ფული და ოქრო კარგს არაფერს მოგიტანს. არ უნდა იამაყო საკუთარი თავით, არ იამაყო საკუთარი შესაძლებლობებით. ნუ იღწვი დიდებისთვის, რამეთუ, თუ ღირსეული ხარ დიდება თვითონ გიპოვის. სრულყოფილებას მიღწეულმა და საკუთარ თავში დარწმუნებულმა არასდროს წამოწიო წინ საკუთარი „მე“. ისაუბრე იქ, სადაც საჭიროა. იყავი თავმდაბალი, თუმცა არ მისცე თავმდაბლობას იმის შესაძლებლობა რომ შენი ნიჭი და შესაძლებლობები შებოჭოს. დაეხმარე მას, ვისაც ეს ნამდვილად სჭირდება.

წარმართვა ყოველთვის მიუთითებდა - იცოდე, რომ ყველაფერს აქვს დასაწყისი და დასასრული. არ ეძიებდე და ჰპოვებდე სიკვდილს და აქციე მას ზურგი. იფიქრე შენს შთამომავლობაზე და შენს გვარზე და არ დაივიწყო წინაპართა სახელი, არამედ ადიდე ისინი მარადიულად. წადი მამათა და პაპათა სამყაროში ღირსეულად, როგორც მეომარს შეეფერება. ლამაზი და ღირსეული ცხოვრების დასასრული ლამაზი და ღირსეული გარდაცვალება უნდა იყოს. არ უნდა გეშინოდეს გარდაცვალების, თუმც მოგვდევს სიკვდილისადმი შიში. კაცი – ის არაა, ვისაც არ ეშინია, კაცი ისაა, ვინც შიშს იმორჩილებს. გარდაცვალება ჩვენი სიცოცხლის ციკლის დაგვირგვინებაა და მას ჩვენ ჩვეულებრივად უნდა შევხვდეთ. იყავი მშვიდი და იცხოვრე ბედნიერად. იცოდე სიცოცხლის ფასი, სიცოცხლეს თავის ფასი აქვს სანამ მისი დროა, თუმცა გარდაცვალებასაც აქვს საკუთარი ფასი. გარდაცვალება არ ნიშნავს სიკვდილს, რამეთუ სიკვდილი გაქრობაა, გარდაცვალება კი ერთი ფორმიდან მეორე ფორმაში გადასვლას, სახეცვლილებას ნიშნავს. ღირსეულმა გარდაცვალებამ შეიძლება შთამომავლების ცხოვრება მეტად ღირსეული და ბედნიერებით სავსე გახადოს.

ქართული წარმართობა სინამდვილეში არ ქადაგებდა არც მრავალღმერთიანობას და არც ერთღმერთიანობას – არც მონოთეიზმსა და არც პოლითეიზმს. ქართული წარმართობა ქადაგებდა ღმერთის ერთიანობას, ყველაში და ყველაფერში. ქართველი წარმართები, იყვნენ და არიან ღვთის შვილები, მისი ყმები, ძენი და ასულნი. ჩვენ ჩვენს ღვთაებებთან და ღმერთთან ისეთი დამოკიდებულება გვაქვს, როგორც შვილსა და მამას. ჩვენ არ ვებრძვით არცერთ რელიგიას, თუმც გვებრძოდნენ და გვებრძვიან ახლაც.

როგორც ვიცით, კერპი სპარსული სიტყვაა და სხეულს, გამოსახულებას ნიშნავს. თუმცა რაში გვჭირდება სპარსული სიტყვა, როცა გამოსახულების ქართული სახელწოდებაც გვაქვს?! ღმერთის გამოსახულებას, იქნება ეს ტილოზე დახატული, ქანდაკება, ანდაც რაიმე სხვა გამოსახულება, ქართულად ჰქვია ხატი. ხატი ნიშნავს სახეს, გამოსახულებას. სწორედ ამიტომაც ეძახდნენ ძველი ქრისტიანებიც თავიანთ გამოსახულებებს ხატებს.

ქართული წარმართობა წარმოიშვა ჩვენს მშობლიურ მიწაზე ჩვენი მშობლიური წინაპრების მიერ და სწორედ ეს მსოფმხედველობა, რწმენა შერწყმული იყო ჩვენს ბუნებასთან, ხასიათთან, ყოფასთან და სულიერებასთან.

როგორც ადამიანი ვითარდებოდა, ისე ვითარდება წარმართობაც. ასე მოვედით წარმართობიდან ქრისტიანობამდე ქართველებიც, თუმცა მას დღესაც არ დაუკარგავს თავისი პირვანდელობა და მისი არსი ხელუხლებელი რჩება. დღესაც, გვერდიგვერდ ამშვენებენ ქართული წარმართული და ქრისტიანული ხელთუქმნელი, მართლაც ღვთიური ისტორიული ძეგლები. ქრისტიანობა ჩვენ კი არ გვიბოძეს, ჩვენ ის დავიმსახურეთ.

ცივილიზაციათა გასაყარზე, ეთნოსოციალური მეხსიერების ფორმირების საკითხისათვის, წარმართულ ცივილიზაციაში ქრისტიანობის გავრცელებამ ძირეული გადატრიალება მოახდინა კაცობრიობის მსოფლმხედველობაში, კულტურაში, ეთიკაში, პოლიტიკაში, ამ ყველაფერს კი, წინ უძღოდა კაცობრიობის ცნობიერების შემოტრიალება ახალი სარწმუნოებრივი იდეალებისკენ.

წარმართული ცივილიზაციის ქრისტიანობასთან ურთიერთმიმართება, თავის თავში მოიცავს უდიდეს ძვრებს, რომლებმაც კაცობრიობის განვითარების ისტორია რადიკალურად შეცვალა და ეს ტრანსფორმაცია დღემდე გრძელდება.

ეთნოსოციალური მეხსიერების მთავარი ფუნქციონალური მახასიათებელია ეროვნული თვითმყოფადობის, თვითიდენტობის შენახვა და გადაცემა. ერის სულიერი ხატების სისტემაში ეთნოსოციალური მეხსიერება წარმოადგენს ერთერთ ყველაზე რთულ სოციალურ-ფსიქოლოგიურ წარმონაქმნს, რომელიც ფენა-ფენა ილექება ენაში, კულტურაში, ჩვეულებებში, რიტუალებში, ფსიქოლოგიაში. ეთნოსოციალური მეხსიერება თავის თავს წარმოაჩენს მშობლიურ მიწაზე წარმოდგენებში, ეროვნული ინტერესების გააზრებაში, ერის დამოკიდებულებაში მატერიალურ და სულიერ ფასეულობებზე. ეთნოსოციალურ მეხსიერებაში ასახვას ჰპოვებენ როგორც გმირული, ასევე ისტორიის დრამატული მოვლენები, როგორც ეროვნული სიამაყე, ასევე ეროვნული წყენა. ხალხის სოციალური მეხსიერება ხშირ შემთხვევაში სხვადასხვა თაობათა პირადი გამოცდილების ჩარჩოთია შემოფარგლული, მაგრამ ეთნოსოციალური მეხსიერების ცენტრში ეთნიკური კომპონენტის წინ წამოწევა მეტყველებს არა მის მეთაურობაზე, პირობითად რომ ვთქვათ, ამ ფენომენში ეთნიკური მეხსიერების სოციალურ მეხსიერებაზე, არამედ იმაზე, რომ გაცილებით უფრო მდგრადად და მტკიცედ გვევლინება ეროვნული მეხსიერების ეთნიკური მხარე. ჩვენი ღვთის ძეობა, სარწმუნეობის აღსარება, ეკლესიურობა არის კულტურა, რომლისგანაც ჩვენ დავალებული ვართ იმ ცხოვრების წესით, რომლის ჩარჩოებში ჩვენ ვიმედოვნებთ არა მარტო გადარჩენას, არამედ სრულფასოვან ცხოვრებას. ამავე დროს იგი არის ჩვენი კუთვნილება საკუთარ ხალხთან, რომელსაც თავისი ისტორიული გზა აქვს, რომლის შენარჩუნებაში, თუ შეცვლაში, ჩვენ ასე თუ ისე ვმონაწილეობთ.

საქართველოს სახელმწიფოებრივი აღორძინება, მისი დამოუკიდებლობის აღდგენა ვერ მოხერხდება ეროვნულ-სარწმუნოებრივი, ზნეობრივი აღორძინების გარეშე და ყოველივე ამას ადასტურებს საქართველოს წარსულიცა და აწმყოც. საქართველოში, როგორც მართლმადიდებელ ქრისტიანულ ქვეყანაში, ტრადიციული იყო კავშირი ეკლესიასა და სახელმწიფოს შორის. ქართველთა ცხოველი მორწმუნეობა განსაზღვრავდა მტრულ გარემოცვაში საქართველოს სახელმწიფოს მრავალსაუკუნოვან არსებობას. სახელმწიფო კი, თავის მხრივ, ხელს უწყობდა ეკლესიის სამოციქულო მოღვაწეობას.

სწორედ ამიტომაც, ქართველი ერი მჭიდროდ იყო და არის დაკავშირებული რელიგიურ ცნობიერებასთან, ეკლესიის წიაღთან.

სამართლებრივი ეროვნული სახელმწიფოს დამოკიდებულება ეკლესიისადმი უნდა დაეფუძნოს ეროვნული ეკლესიის რელიგიურ-ზნეობრივი ავტორიტეტის უზენაესობისა და განსაკუთრებული სოციალური ფუნქციის აღიარებას.

ეკლესიის სამოციქულო მოღვაწეობის სულიერი ბუნება თავისთავად გამორიცხავს მის უშუალო მონაწილეობას ქვეყნის პოლიტიკურ სისტემაში, მაგრამ პოლიტიკური სისტემიდან ეკლესიის გამოყოფა არ უნდა ნიშნავდეს სახელმწიფოსა და ეკლესიის ურთიერთგათიშვას. სახელმწიფო და ეკლესია არ უნდა ერეოდნენ ურთიერთის საქმიანობაში, მათ ერთობლივად უნდა უზრუნველყონ საერო და საეკლესიო ცხოვრების მთლიანობა, რომელიც იმავდროულად პოლიტიკური სისტემისა და ეკლესიის ურთიერთდამოკიდებულებას დაემყარება.

ჩვენი ისტორია, ცხოვრების წესი, ბრძოლა სარწმუნოებისათვის, ეროვნული დამოუკიდებლობისა და თავისუფლებისათვის, არის მოწამოებრივი გზა, ქრისტემიერი გზა სიკეთისა, სიქველისა და სიყვარულისა.

დიადი მიზნები კი მხოლოდ ღვთაებრივი სიყვარულით აღსრულდებიან.

საყოველთაოა, რომ ეროვნულ-სარწმუნოებრივი ხასიათის, ტრადიციული ანუ რელიგიაზე, სარწმუნოებაზე და შესაბამისად ზნეობასა და სულიერებზე დაფუძნებული სახელმწიფოები უპირატესად იმართებოდა სიტყვის ავტორიტეტზე, თაყვანისცემაზე, სიტყვაზე, მორალურ, ზნეობრივ და სულიერ ავტორიტეტზე და სიტყვისმიერ თაყვანისცემაზე დაყრდნობით, რაც თავის მხრივ ღმერთის, უფლის, ღვთაებების ავტორიტეტისა და თაყვანისცემიდან იღებდა სათავეს. ათასწლეულების განმავლობაში, ხალხში ღვთიური ძალით დათესილი სიტყვის მოლოდინი სიტყვად მოევლინა, რის შემდგომაც, კაცობრიობისთვის, სიტყვის მთავარი მნიშვნელობა, სიყვარული, ამ სიყვარულის ავტორიტეტი და თაყვანისცემა შეიქნა.

სამწუხაროდ, ეკონომიკური განვითარებისა და მატერიალური სიმდიდრის დაგროვების კვალდაკვალ, სიმდიდრის, მატერიალურის კერპი თანდათანობით სულ უფრო და უფრო ძლიერი გახდა და ძლიერად დაუპირისპირდა ღვთიური სიყვარულის სიტყვას. სიმდიდრის კერპმა დაიწყო გავლენის მოპოვება მანამდე ასკეტიზმით გამორჩეულ ეკლესიაშიც და ეკლესიის საჭეთმპყრობელთა შორის. იმისათვის, რომ შეესუსტებინათ და შემდეგ მოესპოთ სიტყვის ავტორიტეტსა და თაყვანისცემაზე დაფუძნებული სისტემები, ფულად-სასაქონლო სისტემაზე დაფუძნებულ, აგებულ სისტემებს და მათ შორის სახელმწიფოებრივებს, პირველ რიგში უნდა მოესპოთ ზოგადად სიტყვის, ანუ საერთოდ ავტორიტეტისა და თაყვანისცემის

გავლენა, დაესუსტებინათ შესაბამისი ინსტიტუტიები, წეს-ჩეულებები, ტრადიციები და სახელი გაეტეხათ სიტყვის მცველი ეკლესიისთვის, სანაცვლოდ კი დაენერგათ სიტყვისგარეშე, სიტყვისმგმობელი ამორფული აზროვნება, რომელსაც არ გააჩნია და არც შეიძლება გააჩნდეს ფუნდამენტური, საყოველაო ავტორიტეტები და მათდამი თაყვანისცემა, ანუ უნივერსალურ და საყოველთაო ღვთაებრივ სიტყვაზე დაფუძნებული რამე.

ნიშანდობლივია, რომ ფულის, მატერიალურის ზეგავლენა სულ უფრო მეტად იგრძნობა ეკლესიაშიც, იმ ადამიანთა უკანასკნელ თავშესაფარში, რომელთაც კიდევ შემორჩათ სულიერება, სადაც ღვთისმსახურების პროცესშიც და წამომადგენლურ, საზოგადოებრივი თვალთახედვის არეში მყოფ წრეებში, ფრიად იშვიათი გახდა ასკეტიზმი, თავმდაბლობა და ზოგადი, ყოველდღიური მარხულობა, რომელიც საუკუნეების განმავლობაში სწორ გზას უგებდა ეკლესიის ავტორიტეტს.

არადა, სწორედ საქართველოში, ეკლესია, რომელსაც ყველაზე მეტად ჰქონდა და უნდა ჰქონდეს კიდეც მოსახლეობის ნდობა, ყოველთვის იყო და უნდა იყოს კიდეც ძირითადი ეროვნულ-სარწმუნოებრივი მასაზრდოებელი ქვეყნის სამოქალაქო ეროვნული საზოგადოებისა.

ეკლესია საზოგადოებაზე გავლენის მოხდენას მხოლოდ კულტურული, რელიგიური და ეროვნული სიბრტყიდან ცდილობს. მხოლოდ ამ ფასეულობების დასაცავად და ისიც ხშირად ზერელედ იწყებს მოსახლეობის გააქტიურებას, მათთვის არასასურველი იდეების გამავრცელებლებთან საბრძოლველად.

საქართველოში, სამწუხაროდ, ეკლესიის პოზიცია მიუხედავად რთული პოლიტიკური დაპირისპირებების ფონისა, ყოველთვის როდია მოზომილი და კონკრეტულ შედეგებზე გათვლილი, იგი ხშირად მმართველი პოლიტიკური რეჟიმის მიმართ დამთმობი და უუნაროა, არადა, ამ დროს, ეკლესია აუცილებელია იყოს ეროვნულ-სარწმუნოებრივი იდეოლოგიის ყველაზე მნიშვნელოვანი ქვაკუთხედი.

საქართველოს ეკლესია ხომ დაარსებისთანავე თავისთავადია, ქართველ ერზე კი ნათქვამია: ,,ერი იგი საზეპურო”, რაც უფლის სიტყვებით ნიშნავს, რომ ქართველი ერი არისტოკრატიულია. არისტოკრატიული კი გაგებულ უნდა იქნეს, როგორც დახვეწილი, კეთილშობილი, განსაკუთრებული, რჩეული და თავისუფალი.

როგორც ვიცით, ეგზეგეტების, ბიბლიის განმმარტებლების ახსნით, ზეციური ეკლესია მონაწილეობს ღვთის განგებულებაში მსოფლიოს ხალხებზე. ყოველ ქვეყანას, ხალხსა და ტომს მიეცა მფარველი ანგელოზი და ანგელოზების სიმბოლური ბრძოლა არის მათი ლოცვა მსოფლიოს ხალხებისათვის.

საქართველოს მფარველი ანგელოზი კი თვით ზეციერი დედოფალია. ეს უდიდესი წყალობაა, მაგრამ მიწიერ სიბრტყეზე, ეს არის საღმრთო მოწოდება ღვაწლისა და თავდადებისაკენ.

ამიტომაც, ვითარცა დიდგორის ომის წინ, ჩვენ, ყველამ, ხელთა ცისადმი აღპყრობით, ძლიერ ღმერთს აღთქმა უნდა მივცეთ, რომ ამ ბრძოლის ველზე სიყვარულისათვის უფრო მოვკვდებით, ვიდრე გავიქცევით. არც უნდა შეგვეძლოს გაქცევა, რომც მოვინდომოთ, „ხეობის გასასვლელ-გასაქცევი” ეროვნულ-სარწმუნოებრივი, ზნეობრივი „მოღაღადე ქვათა კედელი” შევკრათ-გადავღობოთ და სარწმუნოებრივი, მტკიცე გულით შევებრძოლოთ მტერსა და განსაცდელს, არ დავდუმდეთ, როდესაც სამშობლო და სარწმუნოება საფრთხეშია.

ჩვენი ერი ვერასოდეს გახდება დამოუკიდებელი და თავისუფალი, თუ ის ზნეობრივად, რელიგიურად და სარწმუნოებრივად არ ამაღლდა. თუ ღვთის სჯულის დასაცავად ზნეობრივად და წესიერად ვიბრძოლებთ, არამც თუ ეშმაკის ურიცხვ მიმდევართა, არამედ თვით ეშმაკებსაც ადვილად დავამარცხებთ.

ასეთ ვითარებაში, აუცილებელია, კიდევ ერთხელ გამახვილდეს მამულიშვილთა ყურადღება, ქართული ეროვნული იდეოლოგიისა და მოძრაობის, ეროვნული ცნობიერების დაცვის, აპოლოგიის აუცილებლობაზე. ერისა და ბერის ურთიერთთანადგომა ხომ ყოველთვის საქართველოს ძლიერების ქვაკუთხედია. ჩვენც, ამდაგვარად, წმიდა კანონთა დაცვით ჩვენს დიდ წინაპართა იმ გზას უნდა გავყვეთ, რომელმაც საქართველო სულიერ და მატერიალურ აღორძინებამდე მიიყვანა. ქართველმა ერმა, ასევე უნდა შესძლოს თავისი ენა და კულტურა განავრცოს მთელ სახელმწიფოში, მის სახღვრებში მცხოვრებ სხვადასხვა ეთნოსებს მისცეს თავისი კულტურული იერსახე, საბოლოოდ კი ჩამოაყალიბოს ისინი ქვეყნის ერთგულ მოქალაქეებად.

საქართველოში მცხოვრები სხვადასხვა ხალხების ინტეგრაცია არ გულისხმობს იმას, რომ არაქართველური ეთნიკური ჯგუფები ქართველ ეთნიკურ ჯგუფად გადაიქცევიან, არამედ იმას, რომ ისინი შეინარჩუნებენ შიდა ეთნიკურ თავისთავადობას, მაგრამ საქართველოს თანამედროვე ერის ნაწილად იქცევიან ქართული ენის ცოდნით, საქართველოს საკუთარ სახელმწიფოდ აღიარებით, მისი კულტურის მატარებლობით, მის სრულფასოვან მოქალაქეებად გადაქცევით. კულტურა კი ხალხთა გამაერთიანებელი უდიდესი ძალაა, საფუძველია ერთობისა და ცხადია, სახელმწიფოებრიობასთან, საერთო მოქალაქეობასა და სამართალთან ერთად საერთო ქართულმა კულტურამ უნდა შექმნას სამომავლოდ საქართველოს ერის იერსახე და მისი მთლიანობის ნიშნად იქცეს.

საქართველოს წმიდა ეკლესია ისტორიულად, ათასწლეულთა მანძილზე, იყო ქართული კულტურის შემოქმედი და მისი გამავრცელებელი მთელს კავკასიასა და ახლო აღმოსავლეთში. როგორც ითქვა, საქართველოდ იწოდებოდა ვრცელი ქვეყანა, სადაც ქართული ენით იდიდებოდა უფალი ღმერთი და ყოველგვარი საზოგადოებრივი საქმე აღესრულებოდა. უფალმა ჩვენ მოგვცა სახელმწიფო, ეროვნული ეკლესია, უძველესი კულტურა, ენა, ჩვენ კი მხოლოდ ერთი მოვალეობა დაგვაკისრა - მათი დაცვა, განმტკიცება და განვრცობა. ამიტომაც, დიდი კაბადოკიელი მამების თანახმად, ჩვენ მიზნად უნდა დავისახოთ ცოდნისა და რწმენის არა დაპირისპირება, არამედ მათ სიმფონიურ თანაარსებობა საზოგადოებრივ პრობლემათა გადაჭრის საქმეში. დროა კვლავ დავეპატრონოთ, მაღლა ავსწიოთ, ავიტაცოთ ეროვნულ-სარწმუნოებრივი ცნობიერების მამულიშვილთა სისხლით შეღებილი კეთილშობილი დროშა და ეროვნულ-სარწმუნოებრივი ცნობიერებით გავაგრძელოთ „მამულისა ჩვეულებისამებრ სლვაჲ” ერის ხსნის გზაზე. ჭეშმარიტად მორწმუნე სულისა და სიკეთის მსახურთ კი, მუდამ გვფარავდეს სიკეთითა და სათნოებით სავსე უფალი ჩვენი.

ყოველივე ზემოთთქმულიდან გამომდინარე, საქართველოს ისტორია ნათლად მეტყველებს, რომ ქართული ფენომენისათვის ყოველთვის დამახასიათებელი იყო ეროვნული, რელიგიური თავსებადობა. ჩვენს ქვეყანაში ათასწლეულების მანძილზე ეთნიკური და რელიგიური კონფლიქტების გარეშე გვერდიგვერდ ცხოვრობდნენ სხვადასხვა ეროვნების, განსხვავებული პოლიტიკური შეხედულებებისა და რელიგიური აღმსარებლობის წარმომადგენლები. საქართველო თავისი გეოგრაფიული მდებარეობით, ძველი ერის მტკიცე სახელმწიფოებრივი და კულტურული ტრადიციების გამო ყოველთვის მიზანმიმართულად ახერხებდა მოწინავე აზრის, კულტურის ექსპორტირებას მეზობელ მონათესავე ტომებში. ამ მოვლენას ნოყიერი ნიადაგი ასაზრდოებდა – იბერიულ-კავკასიური სამყაროს არსებობა, რომელიც უძველესი და უნიკალური ცივილიზაციის პოლიეთნიკურ და ამავე დროს ერთიან გეოპოლიტიკურ, კულტურულ, ეკონომიკურ სივრცეს, დასავლეთსა და აღმოსავლეთის, ჩრდილოეთისა და სამხრეთის გზაჯვარედინს წარმოადგენდა. საქართველოს კავკასიელ მეზობლებთან სარწმუნოებრივი სხვადასხვაობის მიუხედავად, ისტორიულად მუდამ ჰქონდა მთლიანი კავკასიური სამყაროსადმი კუთვნილების, საერთო წარმომავლობის, ბიოგენეტიკური ნათესაობის გრძნობა, ეროვნული წიაღიდან აღმოცენებული, ერთმანეთისაგან განსხვავებულ მეზობელ ცივილიზაციებთან შემაჯერებელი საერთო მენტალიტეტი, კულტურული, მორალური და ზნეობრივი ღირებულებები.

ევროპის კავშირი კი, როგორც ცნობილია, აგებულია ევროპული თანამეგობრობის ურთიერთობების მთელი ერთობლიობის, უმეტესად ეკონომიკურ-მიზნობრივ საფუძველზე და მისი ძირითადი პოლიტიკის მიზანია ადამიანების, საქონლის, სერვისებისა და კაპიტალის თავისუფალი გადაადგილების უზრუნველყოფა ერთიან, შიდა ბაზარზე, ანუ ძირითადად მისი ეკონომიკური ერთობა, იურისპუდენციული კანონმდებლობისა და საშინაო საქმეების გამოცემა, საერთო პოლიტიკის შენარჩუნება ვაჭრობაში, სოფლის მეურნეობაში და რეგიონულ განვითარებაში. გეოგრაფიიდან ვიცით, რომ ევროპა და აზია ერთი კონტინენტის - ევრაზიის ნაწილებია, მაგრამ ისინი დამოუკიდებელ კონტინენტებად განიხილებიან, რადგან ევროპისა და აზიის მოსახლეობა, მათი ისტორია მნიშვნელოვნად განსხვავდება ერთმანეთისაგან.

სრულიად სხვაა კავკასია. კავკასიის კონტინენტის საზღვრები, გაჰყვება წყალგამყოფ და წყლის გამყოფ ზოლებს. პირველი უფრო საიმედოა, არ იცვლის მიმართულებას, მეორე კი რთულად განსასაზღვრია მთაგორების რთული რელიეფის გამო.

ამრიგად, კავკასიის კონტინენტს აღმოსავლეთიდან აკრავს კასპიის ზღვა, დასავლეთიდან შავი და აზოვის ზღვა. ჩრდილოეთიდან ესაზღვრება კუმა-მანიჩის ღრმული — ტექტონიკური ღარისებრი დადაბლება, რომელიც გამოჰყოფს იმიერკავკასიის

აღმოსავლეთ ევროპის ვაკის სამხრეთ ნაწილის სტეპებს ნახევარუდაბნოებისაგან და აკავშირებს ყუბან-აზოვისპირა და კასპიისპირა დაბლობებს. სიგანე 20-30 კმ, ცენტრალურ ნაწილში ვიწროვდება 1-2 კმ-მდე. ანთროპოგენურ პერიოდში იგი წარმოადგენდა ზღვის სრუტეს, რომელიც აკავშირებდა კასპიისა და შავი ზღვის აუზებს. ამჟამად კუმა-მანიჩის ღრმულის ქვაბულში მდებარეობს ტბები და წყალსაცავები. ჩრდილოეთიდან დაწყებული კუმა–მანიჩის ღრმული, რომლის სიგრძე 800 კმ–ია და სამხრეთამდე მდინარეების არაქსისა და ეშილ–ირმაკამდე სულ 1522 კილომეტრია. აღმოსავლეთით კი, სადაც აღმოსავლეთ მანიჩის მშრალი კალაპოტი იყო, შექმნილია კუმა-მანიჩის არხი.

ზემოთაღნიშნულმა ღრმულმა, როდესაც დაკარგა სრუტის ფუნქცია კასპიის ზღვამ 27 მეტრით დაბლა დაიწია, შესაბამისად გაჩნდა ყარა–ყუმისა და ყიზილ–ყუმის უდაბნოები, ასევე გაქრობის პირასაა მისული არალის ზღვა, სრუტე ხმელეთის ორ მასივს შორის არსებული წყლის სივრცე, რომელიც აკავშირებს წყლის აუზებს (ზღვებს, ოკეანეებს და ა.შ.).

ამრიგად, კუმა–მანიჩის ღრმული დროებით შეფერხებით მომუშავე სრუტეა და წარმოადგენს საზღვარს ევროპასა და კავკასიას შორის წყალგამყოფ ზოლს, რომელიც ბუნებრივი და სრულყოფილი ზღვარია ორ კონტინენტს შორის.

სამხრეთით თითქმის კავკასიის მთავარი ქედის და ასევე კუმა მანიჩის პარალელურად მიედინება მდინარე არაქსი, მდინარე ამიერკავკასიაში, მტკვრის უდიდესი შენაკადი. იგი მიედინება თურქეთის, სომხეთის და აზერბეიჯანის ტერიტორიაზე. მისი სიგრძე 1072 კილომეტრია. სათავე აქვს ბენგოლის ქედზე (თურქეთი). დაახლოებით 600 კილომეტრზე მიედინება სასომხეთსა, თურქეთის, ირანისა და აზებეიჯანის საზღვრებზე. იგი ზემო დინებაში მთის მდინარეა. მისი შენაკადებია: მარცხნიდან ახურიანი, რაზდანი არფა, ვოროტინი. მარჯვნიდან გოთური და ყარასუ. მდინარე არაქსის დასავლეთით (თურქეთის ჩრდილოეთი) არც თუ ისე მოშორებით სათავეს იღებს მდინარე ეშილ-ირმაკი. მისი სიგრძე 450 კილომეტრია. ზემო და შუა წელზე მიედინება ჩრდილო-დასავლეთის მიმართულებით ხეობებში პონტოს ქედის პარალელურად, შემდგომ უხვევს ჩრდილოეთისკენ, გადაკვეთს ჯანიკის ქედს და ჩაედინება შავ ზღვაში ქალაქ სამსუნგის აღმოსავლეთით, სადაც წარმოქმნის დელტას. მისი მთავარი შენაკადებია მარცხნიდან ჩეკერეკი და მარჯვნიდან კელკიტი.

ამრიგად: გეოგრაფიულად კავკასიის კონტინენტს ორი მხრიდან (აღმოსავლეთით და დასავლეთით) ზღვა აკრავს, ჩრდილოეთით სრუტე, სამხრეთით (წყალგამყოფი) მდინარეები და მხოლოდ 1–2% შეიძლება საღვრად წარმოჩინებული იყვეს ხმელეთი, რაც კონტინენტის საერთაშორისო განმარტებებს შეესაბამება.

სამყაროს გამგებელმა ყველას და ყველაფერს თავისი ადგილი მიუჩინა. რადგანაც ადამიანია დედამიწის მთავარი შემადგენელი არსება ყველა ხალხთა ჯგუფს თავიანთი ტერიტერიული ფართი გამოუყო. ცნობილია, რომ ნეგროიდული რასა აფრიკის კონტინენტზეა განსახლებული. წითელი რასა ამერკის კონტინენტზე სახლობს. ყვითელი კანის ფერის ხალხებს კი აზიის აღმოსავლეთ და სამხრეთ – აღმოსავლეთ ნაწილი უკავია. თეთრი რასა განსახლებულია ინდოეთიდან ევროპამდე და ჩრდილოეთ აფრიკაში.

მეცხრამეტე საუკუნიდან ენათმეცნიერებმა დაიწყეს რა ენების შესწავლა, გამოვლინდა, რომ თეთრი რასა სამი ოჯახისაგან შედგება. იმდენად, რამდენადაც არსებულ აპოკალიფსურ პროცესში თეთრი რასა მონაწილეობს და მათი საწყისი პროცესი ძველ აღთქმაში (თავი „დაბადება") ნოეს კიდობანთანაა დაკავშირებული და შესაბამისად ნოეს შვილების სახელები, სემი, ქამი და იაფეტი ეწოდათ თითოეულ ოჯახს. ქანის შთამომავალნი დიდ ტერიტორაზე ინდოეთიდან ევროპამდე არიან განსახლებული და ამიტომ ქანის სახელი შეიცვალა და დაერქვათ ინდო-ევროპელები.

ამრიგად, თეთრი რასა შედგება სემიტებისაგან, ინდოევროპელებისაგან და იაფეტებისაგან. სემიტები უმეტეს წილად ჩრდილოეთ აფრიკაში სახლობენ, იაფეტის შთამომავალნი კი უმეტესწილად კავკასიაში, აპენინის ნახევარკუნძულზე და ირლანდიაში.

როგორც ვიცით, ენათმეცნიერებაში იაფეტოლოგიის ფუძემდებელი ნიკო მარი გახლავთ, მანამდე კი სპეციალურ ლიტერატურაში სხვადასხვა ტერმინით აღინიშნებოდა: იბერიულ–კავკასიური ენები, კავკასიური ენები, პალეო–კავკასიური ენები, ალაროიდული ენები. ნიკო მარის ასევე უზარმაზარი დამსახურებაა ის, რომ მან იაფეტურ ენებს, რომელთაგანაც მხოლოდ ქართულია სამწერლო ენა მსოფლიო ენათა „პრაენა" უწოდა.

ცნობილია, რომ სამხრეთ კავკასიაში უმთავრესი სამწერლო ენის მქონე ქართველები სახლობენ, მათ გვერდით ასევე იაფეტები: აფხაზები, მეგრელები, სვანები, ლეკები, ალბანელები სახლობენ. ასევე სამხრეთ კავკასიაში სახლობენ ინდოევროპული მოდგმის ერები: სომხები და აზერბაიჯანელები. სომხები თუ ნოეს კიდობანის შემდგომ დასახლდნენ კავკასიაში, აზერბეიჯანელები 1941–1946 წლებში ირანთან წარმოებული საიდუმლო ომის

დროს (ამ ომის შესახებ არცერთ ისტორიულ წყაროში არ არის მოთხრობილი) ჩამოასახლეს კავკასიაში და საქართველოში.

ჩრდილოეთ კავკასიაში ნიკო მარის, ივანე ჯავახიშვილისა და არნოლდ ჩიქობავას მონაცემებით იაფეტებს - იბერიულ-კავკასიურ ხალხებს, მიეკუთვნება: ადიღეელები, ჩერქეზები, ყაბარდოელები, ინგუშები, ჩეჩნები, დაღესტნელები. ჩრდილოეთ კავკასიაში ისტორიული ქარტეხილების შედეგად შემოსახლებულები არიან ყარაჩაეველები, ბალყარელები - ეს ის ერებია, რომლებიც დავით აღმაშენებელმა ყივჩაღების სახით საქართველოში ჩამოასახლა, აქ ფეხი ვერ მოიკიდეს და შემდგომში ქართველებმა ჩრდილოეთ კავკასიაში, ქართველთა სავანეში, ჯიქეთში დაასახლეს. ყარაჩაეველები და ბალყარელები არიან თურქული მოდგმის ერები. თუ გადავინაცვლებთ აღმოსავლეთით სახლობენ ოსები, რომელნიც ირანული მოდგმის ერია. მათ აღმოსავლეთით სახლობენ ინგუშები და ჩეჩნები, რომლებსაც მოუწყეს გენოციდი და გადაასახლეს ყაზახეთის სტეპებში. დაღესტნელები უფრო მრავალრიცხოვანიკი არიან მაგრამ მათი ტერიტორიის ჩრდილოეთ ნაწილში ყუმიკებია შესახლებული და ა. შ.

ასე და ამგვარად იბერიულ კავკასიურ ერებს აქვთ საკუთარი ენა და დამწერლობა, განსხვავებული ისტორია და სახლობენ მკვეთრად შემოსაზღვრულ ტერიტორიაზე, რაც დამატებით საფუძველს გვაძლევს ვთქვათ, რომ კ ა ვ კ ა ს ი ა კ ო ნ ტ ი ნ ე ნ ტ ი ა.

უდიდესი როლი იბერიულ-კავკასიური საკითხების კვლევაში მიუძღვის საქართველოს რესპუბლიკის კანონიერ პრეზიდენტსა და უდიდეს მკვლევარ-მეცნიერს ბატონ ზვიად გამსახურდიას.

ცნობილია, რომ სამხრეთ ევროპის: პირინეების, იტალიის, ხმელთაშუა ზღვის კუნძულების პირველადი ავტოქტონური მოსახლეობა იყო იბერიული მოსახლეობა. ამ მოსახლეობას უწოდებენ პროტოიბერებს, მათგან მომდინარეობს გვიანდელი ევროპული მოსახლეობა. მეცნიერებაში მიღებულია აგრეთვე ტერმინი-ხმელთაშუა ზღვის რასა, მედიტერანული რასა, ანუ მედიტერანული მოდგმა. იმ მოდგმის აღსანიშნავად, რომელიც იდენტურია ტერმინისა კავკასიური რასა, არის აგრეთვე ტერმინები: პალეოკავკასიური რასა, ანუ უძველესი კავკასიური რასა, უძველესი მედიტერიანული რასა, რაც ურთიერთის იდენტურია. საუბარია იმ მოსახლეობაზე, იმ მოდგმაზე, რომელიც სახლობდა პირინეების ნახევარკუნძულიდან ხმელთაშუა ზღვის აუზში, ბალკანებზე, თანამედროვე საბერძნეთში, კავკასიაში და ინდოეთის თანამედროვე ტერიტორიაზე, აგრეთვე, მცირე აზიაში და პალესტინაში. ეს არის გავრცელების არეალი იმ პროტოიბერიული მოდგმისა, რომელსაც ჰქონდა მრავალი განშტოება. ენა ამ მოდგმისა, ამ რასისა იყო ერთი ძირითადი, რომელსაც ჰქონდა მრავალი დიალექტური განშტოება და თუ ეს ენაკავები ღებულობდნენ ცალკე ენების ხასიათს, ისინი იყვნენ მონათესავენი და ვითარდებოდნენ როგორც ურთიერთმონათესავე ენები. ეს არის სხვადასხვა განშტოებები ერთი და იმავე მოდგმისა, რომელსაც მეცნიერებაში ქართველური, ან პროტოიბერიული მოდგმა ეწოდება, ხოლო საკუთრივ ქართველი ერი, ლოკალიზებული კავკასიის მასშტაბით, დაკავშირებულია იბერიულ-კავკასიურ განშტოებასთან. იბერიულს აქვს მრავალი განშტოება და დღესდღეობით შემორჩენილია პირინეულ-იბერიული, ანუ ბასკური და კავკასიურ-იბერიული, ანუ ქართული და მისი მონათესავე ტომები ჩრდილოეთ კავკასიაში. დანარჩენი კი ამჟამად ასიმილირებულია ინდოევროპული კაცობრიობის მიერ, რომელიც არის გვიან მოსული ევროპის კონტინენტზე, კერძოდ მეორე ათასწლეულის შემდეგ, ხოლო პროტოიბერიული კაცობრიობის, ანუ პალეომედიტერანული, პალეოკავკასიური კაცობრიობის მოღვაწეობის, მისი ზნეობის ხანად მიჩნეულია ეპოქა უძველესი დროიდან ძველი წელთაღრიცხვის მესამე ათასწლეულამდე. მესამე ათასწლეულში იწყება დაკნინება ამ რასისა, მისი რიცხობრივი შემცირება, მისი ასიმილირება მოსული ინდოევროპელების მიერ. ამ დროიდან და უფრო გვიან წამოიწევს წინ ხეთური და ძველბერძნული, ელინური სამყაროები. მაგრამ აქ ხდება კულტურათა სინთეზირება: პალიომედიტერანულ, ანუ პროტოიბერიულ მოდგმასთან დაკავშირებულია პირველადი კულტურები მინოსისა, ეგეოსური კულტურები, კოლხური (ძველკოლხური), რომელიც უაღრესად მჭიდროდ არის მინოსურთან დაკავშირებული. ხოლო შემდგომ, უკვე მეორე ათასწლეულიდან იწყება წამოწევა ხეთური სამყაროსი, რომელიც უკვე ინდოევროპული სამყაროა, აგრეთვე ძველბერძნული სამყაროსი, რომელიც ვედური ტომიდან მომდინარეობს და მოსულია იმ ტერიტორიაზე, რომელზედაც შემდგომ აღმოცენდა ძველბერძნული კულტურა და ძველბერძნული სამყარო, ხოლო პირველადი მოსახლეობა ძველი საბერძნეთისა, ძველბერძენი ისტორიკოსების მონაცემებზე დაყრდნობით, განასზღვრულია როგორც პელაზგური, ანუ პროტოიბერიული. პელაზგები არიან ერთ-ერთი განშტოება პროტოიბერებისა, ისევე როგორც ეტრუსკები და სხვა ხალხები, ისევე როგორც კოლხები. კოლხური, პელაზგური, ტროული, მინოსური სამყაროები მონათესავე

სამყაროებია, უფრო სწორად, ერთ სამყაროს წარმოადგენენ.

მართალია, არსობრივად არა, მაგრამ არის ნიუანსური განსხვავება ქართულსა და ქართველურს შორის. ქართული და ქართველური მაინც უნდა განვასხვავოთ იმიტომ, რომ ქართული აღნიშნავს უშუალოდ საქართველოს, ყოველივეს ისტორიულ საქართველოსთან, ქართულ ენასთან დაკავშირებულს, რომელსაც ჩვენ ვიცნობთ ჩვენი ისტორიიდან და რომელიც სწორედ ამ გეოგრაფიულ არეალში მდებარეობს. ქართველური კი, გაცილებით უფრო ფართო და ყოვლისმომცველი ცნებაა. ქართველურნი არიან ტომები, რომლებიც „ქართები" არ არიან და არც, უშუალოდ ქართველები, მაგრამ ისინი ქართველური წარმოშობისანი არიან. ქართველური არის რასიული გაგება, უფრო ყოვლისმომცველი ვიდრე ეროვნული. როგორც არსებობს სემიტური რასა, ასევე არსებობს იაფეტური რასაც. ეს იაფეტური რასა არის ქართველური რასა. ქართველური ენები მომდინარეობენ სწორედ ამ პირველადი იაფეტური ენიდან, რომელსაც ჩვენ პროტოქართულ ენას ვუწოდებთ. ქრისტიანობის განვითარებაში ქართველური მოდგმის ხალხები ძირითად როლს ასრულებენ („საქართველოს სულიერ მისია", ზ. გამსახურდია).

ერები ერთმანეთისაგან განსხვავდებიან არა მარტო ცხოვრების პირობებით, არამედ სულიერი სახითაც. რა თქმა უნდა, თავისთავად ფსიქიკური წყობა ანუ, როგორც მას სხვანაირად უწოდებენ – „ეროვნული ხასიათი“, დამკვირვებლისათვის რაღაც მიუწვდომელი რამაა, მაგრამ რამდენადაც ის ერისათვის საერთო კულტურის თავისებურებებით გამოიხატება, იმდენად ის მისაწვდომია და არც შეიძლება უგულვებელყოფილი იქნას. „ეროვნული ხასიათი“ რაღაც ერთხელ და სამუდამოდ მოცემული როდია, არამედ იცვლება ცხოვრების პირობებთან ერთად, მაგრამ, რამდენადაც ყოველ განსაზღვრულ მომენტში არსებობს, იგი თავის დაღს ასვამს ერის სახეს.

სულაც არ არის ნონსენსი ასეთი ცნება - ერის ფსიქოლოგია, ერის ფსიქიკა. ფსიქიკა სულიერი არსების მახასიათებელია, მაგალითად, ადამიანისა და აქედან გამომდინარე, თუ ვამტკიცებთ, რომ ერსაც აქვს ფსიქიკა, ხასიათი, გონი, დადებითი და უარყოფითი თვისებები, ე. ი. ერიც სულიერი არსებაა! ფიზიკური არსება მხოლოდ გარემოებებზეა დამოკიდებული, ანუ დეტერმინირებულია. მას „საკუთარი ინიციატივით" არაფრის შეცვლა არ ძალუძს. ადამიანს კი - სულიერ არსებას, არა მხოლოდ აწმყოში ცხოვრების და წარსულის ხსოვნის თვისება აქვს, არამედ მომავლის ამოცანის, გეგმის დასახვაც შეუძლია. ეს ყოველივე ერსაც ახასიათებს, მას აქვს ცნობიერება! ცნობიერება კი ისეთ არსებას აქვს, რომელიც აყალიბებს სისტემას, თუ რა უნდა გააკეთოს გარკვეული ხნის განმავლობაში და თუ ეს არა აქვს, ე. ი. აღარ ცოცხლობს არც ერი და არც ადამიანი, ის, უბრალოდ, სულდგმულობს. ერთი სიტყვით - ერი არის სულიერი არსება, ინდივიდი, ყველასგან განსხვავებული, რომელსაც სჭირდება გეგმა თავისი შემდგომი განვითარებისათვის. სწორედ ეს „გეგმა" არის იდეოლოგია და თუ იგი სხვებისაგან გამორჩეულია (და ასეც უნდა იყოს), ეს უკვე ეროვნული იდეოლოგიაა. ერი ვეღარ გახდება კაცობრიობის წევრი, თუ იქ თავისი ინდივიდუალიზმი, თავისი განსაკუთრებული კულტურული „წილი" არ შეიტანა. ერი არ არის მარტო ადამიანების, პიროვნებების უბრალო გაერთიანება, რადგან პიროვნება უკვე ის არის, ვის ჩამოყალიბებაშიც ეროვნულმა ნიშანმა გადამწყვეტი როლი ითამაშა და ის სხვა ერს ვეღარ შექმნის.

თავისუფლება უფლებებისა და მოვალეობების გონივრული გაწონასწორებაა და ერიც და პიროვნებაც, ასევე მათ შორის ურთიერთობა, ამის საფუძველზე უნდა ყალიბდებოდეს.

დამოუკიდებლობა და თავისუფლება ერთი და იგივე არ არის. დამოუკიდებლობა მხოლოდ პირველი ნაბიჯია თავისუფლებისაკენ, მას საქართველომ ჯერ კიდევ ეროვნული ხელისუფლების - 1990-1991 წლების დროს მიაღწია, მაგრამ შემდეგ ჩვენმა ერმა, სახელმწიფომ - ფაქტობრივი, უკანონო ხელისუფლებების სახით, სამწუხაროდ, გეზი არ აიღო თავისუფლებისაკენ. დამოუკიდებლობა უძნელესი პროცესია. ამავდროულად, ცნობილია ფსიქოლოგიასა და ფილოსოფიაში ტერმინი - შიში დამოუკიდებლობისადმი. 1991-1993 წლების სახელმწიფო გადატრიალებიდან მოყოლებულ ფაქტობრივ ხელისუფალთ სწორედ ეს შიში სჭირდა და სჭირს: ხან „ძველ პატრონთან" დაბრუნებას ცდილობს, ხან „ახალ პატრონს" ეძებს, ხანაც ვითომ „დამოუკიდებლად ფუსფუსებს" - ვითომ საქმეს აკეთებს... ამით კი, თანდათან გვაცილებს თავისუფლებას.

ამით კი, დღეს საფრთხე ჩვენს თავისუფლებასთან ერთად ემუქრება დამოუკიდებლობასაც, რომელიც თავისუფლების გარეშე დიდი ვერაფერი ღირებულებაა.

სწორედ, სახელმწიფო გადატრიალების შედეგად მოსული ხელისუფლებებია დამნაშავე, რომ ჩვენ არ გვაქვს ეროვნული მრეწველობა, ეროვნული სოფლის მეურნეობა, ეროვნული განათლება, ეროვნული კულტურა... ამიტომ გვიწოდებენ „განვითარებად ქვეყანას", „ქვეყანას, რომელიც სახელმწიფოდ ვერ ჩამოყალიბდა", „მესამე კატეგორიის

ქვეყანას" და ა.შ. ერი სრულყოფილი ხდება, როდესაც იგი „ეროვნულ-სარწმუნოებრივ სახელმწიფოებრიობას" აყალიბებს. დღეს კი, ეროვნულობამ დაკარგა (დააკარგვინეს) ფასი და სწორედ ეს გადაგვარება, ეს არაეროვნული ორიენტაცია არის ხუნტისა და მათი მემკვიდრეთა ხელისუფლების „დამსახურება".

ზემოთაღნიშნულიდან, საქართველოში მნიშვნელოვანია რელიგიის - ეროვნულ-სარწმუნოებრივი საკითხი, რომელიც ყოველთვის იყო ეროვნულობის შემადგენელი ნაწილი. დღეს-დღეისობით კი, ბევრისთვის რელიგია მხოლოდ „გარე მანიპულაციები" - პირჯვრის გამოსახვა და სანთლების დანთებაა.

დამოუკიდებლობასა და თავისუფლებას შორის არსებული დიდი განსხვავების არცოდნამ მიიყვანა ხელისუფლება აქამდე. განა შეიძლება ქვეყნის პარლამენტის, მთავრობის ცხოვრების მიზანი საკუთარი ოჯახისა და მეგობრების წრეს ვერ სცილდებოდეს?! სამწუხაროდ, დღეს ეს ასეა! თუნდაც პატრიოტიზმის დეფიციტი, ან ეროვნულობისადმი „საერთო-სახალხო ნიჰილიზმი" ყოველთვის ხელისუფლების „დამსახურებაა" და იგი ანტიეროვნულია, ე. ი. ეროვნულობის წინააღმდეგ მოღვაწე, თუნდაც თავისი უმოქმედობით. მათივე წარმდგენით „ეროვნული" ხალხი, მათ ხელს უშლით! მაგრამ ისტორიაში ყოფილა შემთხვევები, როდესაც არაეროვნული მთავრობის გაფუჭებული საქმე თვითონ ერს გამოუსწორებია.

წამალიც სწორედ ეს არის - ჩვენ კვლავ ერად უნდა ვიქცეთ და ერს პიროვნებებმა უნდა უხელმძღვანელონ. ამაში მთავარი როლი, ვფიქრობ, სამართლებრივმა, ლეგიტიმურმა, კანონიერმა მთავრობამ და მისმა ლეგიტიმურმა პოლიტიკურმა პარტიებმა უნდა იკისრონ, მათ ზუსტად უნდა იცოდნენ და იციან კიდეც, რა სჭირდება ერს და როგორ მიაღწიონ ამას.

ამრიგად, მსოფლიოს ახლებურად მართვის ეტაპზე დიდად მნიშვნელოვანია პოლიტიკური მოვლენების ახლებურად განსჭვრეტა და წარმართვა. საქართველომ მიზანმიმართულად უნდა გამოიყენოს გეოპოლიტიკური უპირატესობანი და შესძლოს დამოუკიდებელი პოლიტიკურ-დიპლომატიური აქტიურობა.

უნდა აღსდგეს ისტორიული სამართლიანობა და უნდა მომზადდეს საფუძველი, რათა ჩამოყალიბდეს მსოფლიოს მშვიდობიანი ერთობის განმსაზღვრელი ახალი რეგიონი და ერთობა - კავკასია, როგორც გარანტი მსოფლიოში მშვიდობისა, სამართლიანობისა, ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებისათვის დაცვისა, სახელმწიფოთაშორისი პოლიტიკური, სოციალური, ეკონომიკური, კულტურული თანხმობა-ერთობისა და თანასწორობისა. ამასთან, უკვე ახალ საუკუნეში, მსოფლიო ისტორიული მისიაა საფუძველი ჩაეყაროს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის (დანიშნულებისა და ფუნქციებიდან გამომდინარე, მისი უფრო ეფექტური გადაწყვეტილებების დაუბლოკავად, გამარტივებულად მიღებისა და ამ გადაწყვეტილებების დროულად შესრულების აუცილებლობა ეჭვს არ იწვევს) თვისობრივად ახალ ინსტიტუტს - მსოფლიოს ერთა ანსამბლეას, რომლის უზენაესი მიზანი ასევე იქნება, ადამიანის უფლებათა დაცვასთან ერთად, მსოფლიოს ერთა კულტურათა და სახელმწიფოთა უსაფრთხოების უზრუნველყოფაც. ამდაგვარ ახალ სიტუაციაში მკვეთრად გაიზრდება როლი საერთაშორისო ხელშეკრულებათა შესრულების კონტროლის სფეროშიც, ასევე გადაუდებელ ამოცანადაა აღიარებული ეროვნულ ნიადაგზე წარმოქმნილ კონფლიქტთა რეალური მიზეზების ობიექტური შესწავლა, რაც რომელიმე ავზრახვიან ქვეყანას საშუალებას აღარ მისცემს თავიანთი ეგოისტური ინტერესებიდან გამომდინარე პერმანენტული ხასიათი მისცენ ეთნიკურ კონფლიქტებს.

საშუროა, თუ კავკასიაში და სწორედ საქართველოში განთავსდება და მოეწყობა სახელმწიფოთა უსაფრთხოებისა, ერთა კულტურათა, უფლებებისა და თავისუფლებების, დაცვისა და უზრუნველყოფის „მსოფლიო ერთა ანსამბლეა", რამდენადაც საქართველოს, როგორც „კავკასიური სახლის" ქვეყანას, სახელმწიფოს ისტორიული, გეოპოლიტიკური მნიშვნელობიდან გამომდინარე და ეროვნული სულის მეოხებით ძალუძს ეზიაროს ჭეშმარიტად საღვრთო საქმეს და განხორციელოს მსოფლიოს სახელმწიფოთა მშვიდობიანი ურთიერთობისა და თანამშრომლობისათვის აუცილებელი გარანტის როლი. იგი უნდა გახდეს მედიატორი სახელმწიფო, აღმოსავლეთსა და დასავლეთს, ქრისტიანულ და მუსულმანურ სამყაროს შორის, რაც მისი ოდინდელი ისტორიული მისიის დაბრუნება იქნება.

მსოფლიო ქვეყნების სახელმწიფოებრიობის დონის ამაღლებისა და აღორძინების მიზნით, ახალი რეალობიდან გამომდინარე სასურველია დაიხვეწოს საერთაშორისო ხელშეკრულებათა აქტები მათი უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა განხრითაც, რათა ახალ საუკუნეში სახელმწიფოებმა და ხალხებმა იცხოვრონ მშვიდობიან, განვითარებად მსოფლიო თანამეგობრობისა და ურთიერთპატივისცემის გარემოში. მსოფლიო პოლიტიკურ ძალებს უნდა ჰქონდეს პოლიტიკურ მოვლენათა შორის მუდმივი და უცილობელი

კავშირი და ურთიერთდამოკიდებულება, რომელიც დასტურდება ბუნებასა და საზოგადოების შემეცნების პროცესში. უნდა ჩამოყალიბდეს ჭეშმარიტად შესაბამისი პოლიტიკური წყობა, რომლის დროსაც დამყარებულია და პრაქტიკაში ხორციელდება ერთა ხელისუფლებათა საშუალებები და ფორმები, რომლებიც გამაგრებულია თვითოეული ქვეყნის მოქალაქეთა თავისუფლებებისა და თანასწორობის კანონებში.

მოწინვე ქვეყნები უნდა ადასტურებდნენ ერთა თანასწორუფლებიანობის, საკუთარი ბედის განმგებლობის უფლების პატივისცემისა და მათი ეფექტური განხორციელების საყოველთაო მნიშვნელობას, რასაც დიდი მნიშვნელობა აქვს ყველა სახელმწიფოთა შორის მეგობრული ურთიერთდამოკიდებულების განვითარებისათვის.

მათ უნდა შეახსენონ ურთიერთს აგრეთვე იმის მნიშვნელობა, რომ უნდა გამოირიცხოს ამ პრინციპის დარღვევა ნებისმიერი ფორმით. მართალია ისტორიულ ეტაპებზე ხდება ღირებულებათა გადაფასება, მაგრამ მისი მუდმივობის ცვალებადობა ფაქტობრივად არ ხდება, რამეთუ ცვალებადობას მხოლოდ სუბიექტივიზმი განსაზღვრავს მნიშვნელოვნად. ასე, რომ იდეალიზმთან მიახლოებული რეალობა ობიექტურ, თეორიულ და ემპირიულ განსაზღვრებაში შეიძლება ისტორიულად განსაზღვრულ მუდმივად მივიჩნიოთ. მორალური პრინციპების განხორციელება კი შესაძლებელია არა მხოლოდ სახელმწიფოში და თავად ერში, არამედ საყოველთაოდ და ყველგან.

კავკასიის, როგორც მსოფლიოს მშვიდობიანი ერთობის განმსაზღვრელი ახალი რეგიონის, შიგა მოწესრიგების პრინციპი კი ისტორიულ-ეთნიკური პროცესების განვითარებამ, მისმა ღრმა ფესვებმა უნდა განსაზღვროს, რაც საქართველოს იბერიულ-კავკასიურ ტომებთან ნათესაობით და ასევე შავი ზღვის ნავსადგურთა გარკვეული ნაწილის კონტროლით განსაზღვრულ უპირატეს მდგომარეობაში აყენებს.

ცხადია, კავკასიური სახლი არ გულისხმობს საქართველოს საგარეო პოლიტიკის ერთი მიმართულებით განვითარებას. ასეთი პოლიტიკა განსაზღვრულია საქართველოს და მსოფლიოს კეთილდღეობის ინტერესებით და ოთხივემხრივ უნდა წარიმართოს.

მართალია ისტორიულ ეტაპებზე ხდება ღირებულებათა გადაფასება, მაგრამ მისი მუდმივობის ცვალებადობა ფაქტობრივად არ იცვლება, რამეთუ ცვალებადობას მხოლოდ სუბიექტივიზმი განსაზღვრავს მნიშვნელოვნად. ასე, რომ იდეალიზმთან მიახლოებული რეალობა ობიექტურ, თეორიულ და ემპირიულ განსაზღვრებაში შეიძლება ისტორიულად განსაზღვრულ მუდმივად მივიჩნიოთ. მორალური პრინციპების განხორციელება კი შესაძლებელია არა მხოლოდ სახელმწიფოში და თავად ერში, არამედ საყოველთაოდ და ყველგან.

სახელმწიფოს დანიშნულება ერის პოლიტიკური და სულიერი დამკვიდრებაა. თვითდამკვიდრების ურთულეს გზაზე ყოველი ერი ესწრაფვის თავისი სულიერი და სოციალურ-პოლიტიკური ველის გაფართოვებას. სწორედ ამაში ვლინდება ერის სიძლიერე და სიცოცხლის უნარიანობა. დემოკრატიის გარეშე კი შეუძლებელია რაიმე სახის სულიერების გავრცელება.

ერთა თანაარსებობის ზემოთ მითითებულ ტრადიციებზე დაყრდნობით სახელმწიფოს მიერ ხელი უნდა შეეწყოს რელიგიური თვითმყოფადობის დაცვას. თავსებადობის ამ პრინციპთა ცხოვრებაში გატარება ქართული სახელმწიფოებრიობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მახასიათებელი უნდა გახდეს (მით უფრო, რომ ეროვნულ უმცირესობათა ეთნიკურ, კულტურულ, ენობრივ და რელიგიურ თვითმყოფადობის დაცვის პრინციპებს კონსტიტუციური კანონის ძალა აქვს), რაც მისი საერთაშორისო ავტორიტეტის გარანტადაც იქცევა. ამ პრობლემის გადაწყვეტა ძალზე საშური შეიქმნება, რადგან უაღრესად გამძაფრებული პოლიტიკური, ეთნიკური ურთიერთობების კიდევ უფრო გამწვავებამ შესაძლოა კატასტროფა მოაახლოოს. ჩვენ აუცილებლად უნდა ავიცილოთ იგი.

მთავარი ამოცანაა ყველა სფეროში ერის პოტენციალის მაქსიმალური გამოვლენა, ეროვნული ინტერესების დაცვა, ერის თვითმყოფადობის, მეცნიერებისა და კულტურის აღორძინება, ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების დამკვიდრება, საკუთარი იერსახის შენარჩუნება-განვითარებით მსოფლიო ცივილიზაციაში ქართველი ერისათვის ღირსეული ადგილის დამკვიდრება.

არსებული კრიზისული მდგომარეობიდან საქართველოს გამოსახსნელად ერთადერთი გზაა მშვიდობიანი და სამართლებრივი გზით საქართველოს დამოუკიდებელი ეროვნულ-სახელმწიფოებრივი აღდგენა-აღორძინება და განვითარება.

დროებითია ჩვენი ასეთი ყოფა. ქართული გენი ცოცხალია და კვლავ იარსებებს მარად.

ამრიგად, საქართველოს და მისი ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის" მთავარი მიზანია დაანახოს და გააცნოს საქართველოსა და მთელ მსოფლიოს მისი ხედვა კავკასიისა და ქვეყნის მოწყობის, მისი სრული პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური

**სტაბილურობის მიღწევის ერთიანობის უზრუნველყოფის, განათლებული სამოქალაქო და სოციალური სოლიდარული საზოგადოების ჩამოყალიბების გზით ჭეშმარიტი ეროვნულ-სახელმწიფოებრივი აღორძინების, რეალურად დამოუკიდებელი, თავისუფალი, დემოკრატიული სახელმწიფო წყობილების შექმნა-განმტკიცებისა და მისი კანონიერი რეალიზაციის, მსოფლიოში თავისუფლების, სამართლიანობისა და მშვიდობის, დემოკრატიული და სამართლებრივ სახელმწიფოთა მშენებლობის, მათი მშვიდობიანი თანამშრომლობის ფუძემდებლური, ყოველმხრივი აღორძინების რეალური გეგმა და გზები, რომლითაც მოხდება საქართველოსა და კავკასიის სახელმწიფოთა მიერ ადამიანის პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური, კულტურული, რელიგიური, ეროვნული, სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების ცხოვრებაში გატარება, ადამიანის ღირსებების უზრუნველყოფა და რომელიც დაფუძვნებული იქნება სახელმწიფოებრიობის, სამოქალაქო საზოგადოებისა და სოციალური ჰარმონიის პრინციპებზე, ზნეობის პრიმატისა და პასუხისმგებლობის გაცნობიერებით დაიცავს და დაამკვიდრებს ეროვნული თვითმყოფადობის, დემოკრატიისა და თვითმმართველობის იდეალებს, პატივს სცემს ხალხთა თანასწორუფლებიანობას, საკუთარი ბედის გამგებლობას, მხარს დაუჭერს საომარი კონფლიქტების, გათიშულობისა და კონფრონტაციის თავიდან აცილების სამშვიდობო ცივილიზებულ პოლიტიკას. საქართველოსა და კავკასიის სახელმწიფოთა ერთობის ამოცანაა ყველა სფეროში ჩვენი ერისა და მსოფლიოს ახალი რეგიონის პოტენციალის მაქსიმალური გამოვლენა, ეროვნული ინტერესების დაცვა, ერთა თვითმყოფადობის, ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების დამკვიდრება, საკუთარი იერსახის შენარჩუნება-განვითარებით მსოფლიო ცივილიზაციაში ქართველი ერისა და სრულიად კავკასიისათვის ღირსეული ადგილის დამკვიდრება. ამ ფუძემდებლურ პრინციპებს კი აშკარად მივყევართ მომავლისაკენ, სადაც წარმატების კრიტერიუმი შრომა, ნიჭი და მსახურება იქნება, სადაც მთავარია: შესაძლებლობა, პასუხისმგებლობა და სოციალური სოლიდარობა.**

**სწორედ ეს იქნება ბურჯი, რომელსაც ქართული სახელმწიფოც დაეფუძვნება. ქართული სახელმწიფო კი უნდა იყოს ენის, მამულის, სარწმუნოების დაცვის გარანტი, ქართული ცხოვრების არსის განმსაზღვრელი. საქართველომ პირუთვნელად უნდა აღასრულოს თავისი სულიერი მისია კაცობრიობის წინაშე.**

**ნუკრი ბაღდავაძე**
**საქართველო, დედაქალაქი თბილისი,**
**01. 10. 2020**



# საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის საკოორდინაციო საბჭოს განმარტებითი მიმართვა საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ეროვნულ ინსტიტუციებს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს, მინისტრთა კაბინეტსა და ზოგადად საქართველოს რესპუბლიკის მთავრობას

ისტორიულად, დამპყრობლებისა და მტრების შემოსევების ყველა ეტაპს, საქართველოში თან ახლდა ტერიტორიების დაკარგვა, ეროვნული ცნობიერებისა და სარწმუნოების დევნა, გარეშე თუ შიგა მტრების მიერ ყოველთვის გააფთრებული თავდასხმები და აგრესია ხორციელდებოდა ქართული ეროვნული იდეოლოგიის, ეროვნული მოძრაობისა და ეროვნული ცნობიერების წინააღმდეგ. ეს აგრესია განსაკუთრებით გამძაფრდა და გაძლიერდა ჯერ ანტიეროვნული, სამხედრო-კრიმინალური, სახელმწიფო გადატრიალებისა და შემდგომ ანტიეროვნულ-გლობალისტურ-კომპრადორული რეჟიმის ზეობისას.

ამას ქართველი ხალხი, სამშობლოსა და ქართველი ერის გადასარჩენად, ქვეყანაში ეროვნულ-განმანთავისუფლებელ მოძრაობის დაწყებით პასუხობდა და იმარჯვებდა. ქართული ეროვნული იდეოლოგიისა და ეროვნული ცნობიერების, ქართველთა მოდგმის დასაცავად - მისი აპოლოგიისათვის ყოველთვის იბრძოდა და იბრძვის საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ძალები, რომელთაც არსებითად ხელეწიფებათ იდეოლოგიური შებრძოლება.

ასეა დღესაც. ქვეყანაში შექმნილი ვითარება კრიტიკულ ზღვარს გადასცდა. საქართველოსთვის ამ ავბედით ეტაპზე ეროვნულ-განმანთავისუფლებელი მოძრაობის საყოველთაოდ დაწყება ქვეყანას ისე სჭირდება, როგორც არასდროს.

საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მოღვაწეობის ისტორიულობა და მისი ეგზისტენციალური დრო არ შეწყვეტილა. იგი გაგრძელდება მანამდე, სანამ საქართველო არ განმტკიცდება თავის თავისუფლებაში ყველა — პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და გეოპოლიტიკური ასპექტით. შესაბამისად უწყვეტია მისი ისტორიულ-თემატური დრო და ამ დროში მის მიერ დატოვებული კვალიც, რომელიც მომავალშიც გაგრძელდება.

აი, სწორედ ამისთვის აღსდგა და ჩამოყალიბდა საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა, მიღებულ იქნა და გამოქვეყნდა მისი მანიფესტი, მემორანდუმი, ქარტია, დეკლარაცია, მიმართვები და განცხადებები, რომელთა საშუალებით არაერთხელ განცხადებულა, რომ უმნიშვნელოვანესია საქართველოში ლეგიტიმურობის აღდგენის, ეროვნული ხელისუფლებისა და საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ურთიერთდამოკიდებულების შესახებ საკითხები. აქედან გამომდინარე კი, საქართველოს ეროვნულ-განმანთავისუფლებელი მოძრაობის დღევანდელ ერთ-ერთ მიზანს, ეროვნულად მოაზროვნე ძალების გადარჩენა, კონსოლიდაცია და საქართველოს გადარსაჩენად დარაზმვა წარმოადგენს.

ზვიად გამსახურდიას და მერაბ კოსტავას სიცოცხლეში და დღესაც, საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის საბრძოლო იარაღია ორლესული მახვილი მხილებისა, რამეთუ ლეგიტიმურობის აღდგენისათვის ბრძოლას გამუდმებით თან უნდა ახლდეს დღემდე არსებული ფაქტობრივი რეჟიმებისა და მათი ანტიეროვნული, გლობალისტური, კომპრადორული პოლიტიკის მხილება. ასევე, უნდა გვახსოვდეს, რომ `ლეგიტიმაციის აღდგენის გარეშე ქართული სახელმწიფოს გადარჩენა და აღორძინება შეუძლებელია, რამეთუ, „ხელისუფლება ნიშნავს ლეგიტიმურ ხელისუფლებას, კანონიერ ხელისუფლებას და არა უკანონო, ყაჩაღურ, უზურპატორულ ხელისუფლებას, რომელიც ეშმაკისაგან არის და არა ღვთისაგან“ (ზვიად გამსახურდია).

ასევე, საქართველოს ეროვნულ-განმანთავისულებელი მოძრაობის მიზანია დაამკვიდროს ქვეყანაში მშვიდობა, ურთიერთგაგება, მონანიებისა და მიტევების გზით ხელი შევუწყოთ ეროვნული თანხმობისა და შერიგების რეალურ პროცესს. მხოლოდ სახელმწიფოებრივი აღდგენა-აღორძინებისა და განვითარების ძირითად პრინციპებზე დაყრდნობით მიღწეული სრული, ჭეშმარიტი ეროვნული თანხმობა და შერიგება წარმოადგენდეს ერთადერთ სავალდებულო პოზიციას სახელმწიფოს ყველა მოქალაქისათვის, პოლიტიკური, თუ არაპოლიტიკური ორგანიზაციებისათვის და ეს ბრძოლა გავაგრძელოთ მანამ, სანამ ქართველ ხალხს არ ეყოლება ერის ნების გამომხატველი სამართლებრივი, კანონიერი, ეროვნული, ლეგიტიმური ხელისუფლება და მიგვაჩნია, რომ სხვა გზა არის გათიშულობის, დაპირისპირების და კონფრონტაციის გზა.

აუცილებელია სახელმწიფოებრიობის სამართლებრივი წყვეტის აღმოფხვრა და მომავალი ლეგიტიმირებული, სამართლებრივი საყოველთაო არჩევნების დანიშვნა, რამეთუ სწორედ ასეთ არჩევნებში მონაწილეობის მიღებასა და გამარჯვებას აქვს აზრი. მხოლოდ მას შემდეგაა რეალური და უცილობელი საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა, ემიგრანტთა, ლტოლვილთა და დევნილთა მშობლიურ კერაზე დასაბრუნებლად ხელსაყრელი პირობების შექმნა.

საქართველოს ნამდვილ მამულიშვილს გაცნობიერებული უნდა ჰქონდეს და სჯეროდეს, რომ უნდა ემსახუროს ქართველი ხალხის უზენაესობას, მარადიული ჭეშმარიტების მოთხოვნებს. დიდი მიზნების მიღწევას შესაძლოა ხანგრძლივი ბრძოლა დასჭირდეს, გამარჯვების გარანტი კი საქართველოს ჭეშმარიტი თავისუფლებისაკენ დაუოკებელი სწრაფვაა.

ასეთ ვითარებაში, საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის საკოორდინაციო საბჭო კიდევ ერთხელ ამახვილებს მამულიშვილთა ყურადღებას ქართული ეროვნული იდეოლოგიისა და ეროვნული მოძრაობის, ეროვნული ცნობიერების დაცვის, აპოლოგიის აუცილებლობაზე და მოუწოდებს მათ მჭიდროდ ითანამშრომლონ ამ მიმართულებით საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის საკოორდინაციო საბჭოსთან.

ჩვენთვის მიუღებელია ფაქტობრივ არაკანონიერ საარჩევნო გარემოში რაიმე სახით მონაწილეობა და არალეგიტიმური ხელისუფლების კმაყოფაზე ცხოვრება, რადგან საქართველოს ეროვნულ-განმანთავისულებელი მოძრაობა მის ინსტიტუციებთან ერთად არის პოლიტიკური საფუძველი ლეგიტიმური ხელისუფლებისა.

ამდენად ჩვენ ვერ ვიბრძოლებთ დამპყრობელთა კარგი ხელისუფლებისათვის. ჩვენი მიზანია ქართველი ერის ნების გამომხატველი ხელისუფლება, რომლის მოსვლაც შესაძლებელი გახდება ეროვნული თანხმობის პირობებში.

შეიძლება დღეს ფანტასტიკურად სჩანდეს, მაგრამ როცა ჩვენ მთელი ერის ძალას შევკრებთ და ფაქტობრივ ხელისუფლებას ვაიძულებთ თავიანთი უცხოელი „უფროსების" ნებართვის გარეშე, ან თუნდაც ნებართვით დასხდნენ მოლაპარაკებაზე ლეგიტიმურ ხელისუფლებასთან საქართველოს საკეთილდღეოდ, ეს ყოველივე რეალობად იქცევა. სწორედ ამ მხრივ წარვმართავთ ჩვენს ძალისხმევას და სხვასაც იმავეს მოვუწოდებთ.

სამართლიანობის, თანასწორუფლებიანობის, ქვეყნის საკუთარი განმგებლობის უფლებიდან, სახელმწიფოთა უფლებებისა და თავისუფლებების, როგორც მსოფლიოს ერთა კულტურათა და კოლექტიური უსაფრთხოების, მასთან ერთად ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების დაცვის ფუძემდებლური პრინციპიდან გამომდინარე, დადგა გადარჩენის უკანასკნელ შესაძლებლობათა გამონახვა-გატარების აუცილებლობის გარდაუვალობა.

გვსურს, აგრეთვე ყველას ვამცნოთ, რომ ჩვენი მიზანი არ არის თანამდებობის დაბრუნება, არამედ ჩვენს ქვეყანაში კანონიერებისა და სამართლიანობის, კანონიერი ხელისუფლების აღდგენაა. ეს ყოველივე კი გამომდინარეობს კანონიერების აღდგენის სტრატეგიიდან და ეთანხმება საქართველოს რესპუბლიკის ლეგიტიმური პრეზიდენტის - ზვიად გამსახურდიას მოსაზრებებს კანონიერი ხელისუფლების მოქმედების პრინციპების შესახებ.

ამავე დროს, საჯაროდ უნდა ვაღიაროთ, რომ იმათი შესაძლო უმეტესობა, ვინც 1990-იან წლებში ქართველმა ერმა ეროვნულობის დაცვის მიზნით სახელმწიფოს სამართლებრივი სადავეებისა და ორგანიზაციული სისტემით სამართავად აირჩია და დანიშნა (საკანონმდებლო, აღმასრულებელსა, თუ სასამართლო სფეროებში), საკუთარ

მოვალეობებს გაემიჯნენ, ხალხის არჩევანს უღალატეს, თითს თითზე არ აკარებენ, რათა ეროვნულობის წინააღმდეგ ქართველი ერის მტრის გააფთრებული თავდასხმებს შეეპასუხონ, დაიცვან ეროვნული იდეალები, მეტიც, ძალზე ხშირ შემთხვევაში, ეს „ხალხის რჩეულები“ შეერწყენ, შეეთვისენ ანტიეროვნულ-გლობალისტურ-კომპრადორულ რეჟიმს და მასთან აქტიურად თანამშრომლობენ - კოლაბორანტობენ.

მიგვაჩნია, რომ მათი ყველანაირი გაერთიანებები, პოლიტიკური პარტიები და სხვა მსგავსი ერთობები, რომლებიც საქართველოს პოლიტიკურ ნაწილს ეხებიან და კანონიერ ეროვნულ ხელისუფლებას არ ცნობენ, თავისთავად ამითი თავად ამტკიცებენ უკანონობას, ხოლო თუ სცნობენ, მაშინ მასთან უნდა შეათანხმონ საქართველოს რესპუბლიკის საშინაო და საგარეო პოლიტიკური გეზი.

ჯერ კიდევ წინა ფაქტობრივი რეჟიმიდან დაწყებული და ხელშეწყობით, როგორც ანტიეროვნული, ლეგიტიმური ხელისუფლების წინააღმდეგ მომუშავე, ძირგამომთხრელი და მადისკრედიტებელი პარალელური ინსტიტუციების შექმნით, აქტიურად იყო და ეხლაც არის მცდელობები საქართველოს ეროვნულ–განმათავისუფლებელი მოძრაობის ინსტიტუციების მსხვრევისა და განადგურებისა.

ისინი საქართველოს ანტიეროვნულ-გლობალისტურ-კომპრადორულ რეჟიმთან ბრძოლის ნაცვლად პირადი ამბიციების, საჭიროებებისა და პირადი ეკონომიკურ-სამეურნეო ინტერესების მოგვარებით არიან უპირატესად დასაქმებულები.

იმათ შორის კი დიდი უმეტესობაც, ვინც თვალთმაქცურად ვითომ იცავს ეროვნულ იდეალებს, შეფარული მტრები, შემრყვნელები და გამყალბებლებია. ისინი ცდილობენ დააშორონ ერთმანეთს, გამიჯნონ ეროვნულობის შემადგენელი ცნებები, ეროვნულობას ჩამოაშორონ სარწმუნოებრივი შემადგენელი, სავსებით უგულველყონ მოდგმითი, გენეტიკური შემადგენელი და ეროვნულობა მხოლოდ კულტურის თვისებად წარმოაჩინონ.

ზოგ მათგანს შესაძლოა თავი ბედნიერიც კი ჰგონია ფაქტობრივი ხელისუფლებაის წყალობით მატერიალური კეთილდღეობის ფონზე და კმაყოფილებასაც ვერ მალავს. დღენიადაგ ზრუნავენ ფაქტობრივი ხელისუფლების გაკეთილშობილებაზე და სამართალს დამპყრობელთა სამეფო კარზე ეძიებენ, ქართველი ერი კი დავიწყებიათ, თუმცა სიტყვებით კანონიერებასა და სამართალს ახსენებენ ხოლმე.

ამჟამად ხომ, საქართველოში განმსაზღვრელია კომპრადორიატის უცხოურზეორიენ-ტირებული,მომართული ინტერესები და არა საქართველოს შინაგანი, ღვიძლი ინტერესები გამომდინარე შედეგებით.

გარკვეული, თუ გაურკვეველი მიზეზებით, კანონიერ ხელისუფლებას ჩამოშორებული წევრები, რომელთაც ცხოვრების მიზნად აირჩიეს მედროვეობა და კოლაბორაციონიზმი, არ არიან ღირსნი თავიანთი ყოფილი სტატუსებისა და საქართველოს ეროვნულ–განმათავისუფლებელ მოძრაობაში ყოფნისა.

გამოდის, რომ საქართველოს ეროვნულ–განმათავისუფლებელი მოძრაობის ის წარმომადგენლები, რომლებიც კანონიერების აღდგენას არ მოითხოვენ, თავის თავს ამ მოძრაობის გარეთ აყენებენ!

თუ ვინმეს ნამდვილი მონანიება სურს კეთილი ინებოს და უწინარეს ყოვლისა საჯაროდ, საქმით დაამტკიცონ ეს ყოველივე. მხოლოდ ამის შემდგომ გახდება შესაძლებელი მათ სანდოობაზე საუბარი და თუ ვინმეს მართლა გააჩნია პრეტენზია ეროვნულობაზე და სამშობლოს სიყვარულზე, დიდი სიამოვნებით დავიყენებთ გვერდით.

მივმართავთ საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ეროვნულ ინსტიტუციებს - საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს, მინისტრთა კაბინეტსა და უზენაეს სასამართლოს, ასევე კანონიერი ხელისუფლების ყველა განშტოებებს, პრესისა და მასმედიის საშუალებებს, ა/წ წლის ბოლომდე ორგანიზაციულად, შესაბამისი დადგენილებებითა და გადაწყვეტილებებით გამოხატონ თავიანთი ნება და მზადყოფნა თავიანთი უფლება–მოსილებისა და საქმიანობის გაგრძელების შესახებ, რომელიც სხვა მნიშვნელოვან პრობლემათა შორის განსაზღვრავს უპირველესი პრობლემის გადაჭრას: საქართველოს სახელმწიფოებრივი კანონიერების, სამართალმემკვიდრეობის, ლეგიტიმურობის, ტერიტორიული მთლიანობის სამართლებრივი, კანონიერი და რეალური საფუძველის აღდგენა–მოწესრიგება.

მოვუხმოთ ყველა ჭეშმარიტ მამულიშვილს, რათა მოხდეს ყველა ადამიანური, ორგანიზაციული, საინფორმაციო, ფინანსური და სხვა რესურსების გაერთიანება, არჩეულ იქნეს მიზანმიმართული, შეურიგებელი და თავგანწირული პოლიტიკური ბრძოლის ფორმები და მექანიზმები, რათა ერთად ვიხსნათ სამშობლო.

საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა მამულიშვილთა ნებითა და დასტურით, მომავალი სამართლებრივი, ლეგიტიმური და საყოველთაო არჩევნებით ეროვნული ძალების ხელისუფლებაში კვლავ მოსვლამდე, მზადაა, ისევ წარუძღვეს ერსა და ქვეყანას თავის მიერვე გამარჯვებით დაწყებული, სამართლებრივად, ლეგიტიმურად და კანონიერად მიღებული, კონსტიტუციურად გამართლებულ-გამყარებული საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მეორე გარდამავალ-გარდამსახველი ეტაპის საბოლოოდ გამარჯვებით დასრულებისათვის.

**საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის**
**საკოორდინაციო საბჭო**

საქართველო, ქ. თბილისი
**31. 10. 2020**



# ი ნ ტ ე რ ვ ი უ
# ქალთა N5 პენიტენციურ დაწესებულების დირექტორთან -
# - ქალბატონ ნესტან ვერულაშვილთან

## ინტერვიუს უძღვება ჟურნალ „მატიანეს“ კორესპონდენტი ქალბატონი ნინო რაზმაძე



მოგესალმებით ქალბატონო ნესტან!
თუ შეიძლება, რომ ჟურნალ „მატიანესათვის“ გვიპასუხოთ რამდენიმე კითხვაზე



**1) შეესაბამება თუ არა ქალთა №5 პენიტენციურ დაწესებულებაში არსებული შესაბამისი პირობები საერთაშორისო ნორმებს?**

**№5 პენიტენციური დაწესებულებაში ბრალდებულთა/მსჯავრდებულთათვის არსებული პირობები რათქმაუნდა შეესაბამება საერთაშორისო სტანდარტებს;**

**2) როგორ ხდება პენიტენციურ დაწესებულებაში ქალ ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა სრული და არასრული შემოწმება და რა ტექნიკურ საშუალებებს იყენებთ ამ ტიპის შემოწმებისას?**

**საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2015 წლის 27 აგვისტოს №116 ბრძანების პირველ მუხლით დამტკიცებული „საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს №5 პენიტენციური დაწესებულების დებულების 22-ე მუხლი არეგულირებს ბრალდებულის/მსჯავრდებულის პირად არასრულ და სრულ შემოწმებას. შემოწმების პროცესში დასაშვებია მხოლოდ იმავე სქესის პირთა მონაწილეობა, რა სქესსაც მიეკუთვნება შესამოწმებელი პირი. შემოწმების ჩატარებისას შეიძლება გამოყენებულ იქნეს ტექნიკური საშუალებები, მათ შორის, ხელის მეტალოდეტექტორი. შემოწმების საშუალებას ირჩევს ბრალდებული/მსჯავ-რდებული. შემოწმების ჩატარების წინ, დაწესებულების სამართლებრივი რეჟიმის განყოფილების ან/და უსაფრთხოების განყოფილების უფლებამოსილი მოსამსახურე ბრალდებულს/მსჯავრდებულს შესთავაზებს აირჩიოს შემოწმების მისაღები**

საშუალება. ბრალდებულის/მსჯავრდებულის პირადი სრული შემოწმება სკანერის გამოყენებით ხორციელდება ამისთვის სპეციალურად გამოყოფილ ადგილას.

პირადი არასრული შემოწმებისას ხდება ბრალდებულის/მსჯავრდებულის ტანსაცმლისა და ფეხსაცმლის შემოწმება/დათვალიერება მისი გახდის გარეშე.

ბრალდებულის/მსჯავრდებულის პირადი სრული შემოწმება ტარდება სკანერის გამოყენებით, ან ხდება ბრალდებულის/მსჯავრდებულის სხეულის, ტანსაცმლის, ფეხსაცმლისა და პროთეზის (მისი არსებობის შემთხვევაში) დათვალიერება. პირადი სრული შემოწმებისას ბრალდებული/მსჯავრდებული ვალდებულია უფლებამოსილი პირის მითითების შემდეგ, გაიხადოს, ან გაიშიშვლოს სხეულის შესაბამისი ნაწილები. პლასტირი, თაბაშირის და სხვა ნახვევები მოწმდება საექიმო-სამედიცინო პუნქტის სამედიცინო მუშაკთან ერთად. ტანსაცმელში ჩაკერებული ნივთიერების აღმოჩენისას ქსოვილი იჭრება. ფეხსაცმლიდან ამოიღება სუპინატორები და მეტალის დეტალები. პირადი სრული შემოწმების დროს შესაძლებელია მოწვეულ იქნეს ექიმ-სპეციალიტი. ბრალდებულის/მსჯავრდებულის სხეულში გამოყენებისათვის და შენახვისათვის აკრძალული ნივთის/ნივთიერების არსებობის შესახებ საფუძვლიანი ეჭვის წარმოშობის შემთხვევაში, სამედიცინო მუშაკის მიერ ტარდება სრული შინაგანი შემოწმება, იმავე სქესის დაწესებულების სამართლებრივი რეჟიმის განყოფილების ან/და უსაფრთხოების განყოფილების მოსამსახურის თანდასწრებით. სამედიცინო მუშაკის მიერ სრული შინაგანი შემოწმება ტარდება სამედიცინო ეთიკის ნორმების დაცვით;

**3) დაცულია თუ არა სრულად თქვენდამი დაქვემდებარებულ დაწესებულებაში ქალ ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა ღირსების საკითხები?**

№5 პენიტენციური დაწესებულება პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის აღსრულებისას, მასზე დაკისრებულ ამოცანებს კანონიერების, ჰუმანიზმის, დემოკრატიულობის, კანონის წინაშე თანასწორობისა და სასჯელის ინდივიდუალიზაციის პრინციპებზე დაყრდნობით, მიუკერძოებლად, ეთნიკური, რელიგიური, სექსობრივი თუ სხვა ნიშნით დისკრიმინაციის გარეშე;

**4) აქვთ თუ არა ქალ ბრალდებულებს/მსჯავრდებულებს მოკლე, ან ხანგრძლივი დროით პაემანის სარგებლობის საშუალება და რა შუალედური პერიოდით?**

№5 პენიტენციური დაწესებულებაში განთავსებული მსჯავრდებულები სარგებლობენ ხანმოკლე, ხანგრძლივი და საჯარო პაემნის უფლებით, ხოლო ბრალდებულები სარგებლობენ ხანმოკლე პაემნის უფლებით.

საქართველოს კანონის „პატიმრობის“ კოდექსის შესაბამისად:

ქალ მსჯავრდებულს უფლება აქვს, 1 თვის განმავლობაში ჰქონდეს 3 ხანმოკლე პაემანი, ხოლო წახალისების ფორმით – თვეში 1 დამატებითი ხანმოკლე პაემანი. ხანმოკლე პაემანი ეწოდება ერთიდან ორ საათამდე ვადით.

ქალ მსჯავრდებულს უფლება აქვს, 1 თვის განმავლობაში ჰქონდეს 1 საოჯახო პაემანი, ხოლოწახალისების ფორმით – თვეში 1 დამატებითი საოჯახო პაემანი. საოჯახო პაემანი გრძელდება არაუმეტეს 3 საათისა.

ქალ მსჯავრდებულს უფლება აქვს, 1 წლის განმავლობაში ჰქონდეს 3 ხანგრძლივი პაემანი, ხოლო წახალისების ფორმით – წელიწადში 2 დამატებითი ხანგრძლივი პაემანი. ხანგრძლივი პაემანი გრძელდება არაუმეტეს 23 საათისა. მსჯავრდებულს მისი წერილობითი თხოვნის საფუძველზე, დაწესებულების დირექტორის შუამდგომლობითა და სამსახურის გენერალური დირექტორის თანხმობით კუთვნილი ხანგრძლივი პაემანი წელიწადში ერთხელ შეიძლება გაუგრძელდეს არაუმეტეს 47 საათამდე.

ხოლო ქალი ბრალდებული სარგებლობს 1 თვის განმავლობაში არა უმეტეს 4 ხანმოკლე პაემნის უფლებით;

**5) როგორია დედათა და ბავშვთა ერთად ყოფნის ასაკობრივი ხანგრძლივობა პენიტენციურ დაწესებულებაში?**

პატიმარი დედის შუამდგომლობით, მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს ნებართვით და დაწესებულების დირექტორის თანხმობით შესაძლებელია დედისა და 3 წლამდე ბავშვის ერთად ცხოვრება;

**6) რა ინფრასტრუქტურული პირობები არსებობს ქალთა ბრალდებულების/მსჯავრდებულების დაწესებულებაში?**

№5 პენიტენციური დაწესებულებაში განთავსებული ქალბატონებისათვის არსებული ინფრასტრუქტურული პირობები შემდეგია: დაწესებულებაში მოწყობილია ბიბლიოთეკა, სილამაზის სალონი, სამკერვალო საამქრო, სავარჯიშო დარბაზები, სასეირნო ეზოები, სასათბურე მეურნეობა. ასევე დედათა და ბავშვთა სახლში მოწყობილია ბავშვების გასართობი სივრცე ეზოში და შენობაში, შესაბამისი სათამაშო ინვენტარით;

**7) ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენცია წარმოადგნეს ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს საერთაშორისო აქტს. ხდება თუ არა ამ აქტის საფუძველზე დაწესებულებაში პატიმარ ქალთა უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ეფექტური გამოყენება და უზრუნველყოფა?**

№5 პენიტენციური დაწესებულებაში განთავსებულ პატიმართა უფლებები და ძირითადი თავისუფლებები დაცულია მოქმედი კანონმდებლობით და იგი სრულ თანხვედრაშია ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის საერთაშორისო აქტთან. ბრალდებულს პატიმრობის, ხოლო მსჯავრდებულს თავისუფლების აღკვეთის აღსრულებისას გარანტირებული აქვს საქართველოს კონსტიტუციით, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებითა და შეტანხმებებით, ამ კოდექსით, სხვა საკანონმდებლო და კაონონქვემდებარე ნორმატიული აქტებით აღარებული უფლებები და თავისუფლებები;

**8) როგორ არის მოწესრიგებული ქალთა N5 დაწესებულებაში პატიმარ ქალთა აზრის, სინდისის, რწმენის, რელიგიური შეხედულებებისა და აღმასრულებ-ლობითი საკითხები ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა მიმართულებით?**

№5 პენიტენციური დაწესებულებაში დაცულია პატიმარ ქალთა აზრის, სინდისის, რწმენის, რელიგიური შეხედულებებისა და აღმსარებლობითი საკითხები ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა მიმართულებებით. დაწესებულებაში მოწყობილია სამლოცველო ოთახები, როგორც ქრისტიანი, ასევე მუსლიმი პატიმრებისათვის. რელიგიურ დღესასწაულებზე ამანათის სახით მიეწოდებათ სადღესასწაულო საკვები, ასევე შეუძლიათ ამანათის სახით მიიღონ და ისარგელბონ საკულტო წიგნებით და ნივთებით;

**9) როგორ ხდება პატიმრის რესოციალიზაცია?**

**რესოციალიზაციის მიზნის მიღწევა კომპლექსური პროცესია, რომელიც გულისხმობს საერთაშორისო სტანდარტებითა და ადგილობრივი კანონმდებლობით ბრალდებულისათვის/მსჯავრდებულისათვის მინიჭებული უფლებების ხელმისაწვდომობასა და განხორციელებას. მნიშვნელოვანი კომპონენტია გარე სამყაროსთან კომუნიკაცია, რაც მოიაზრებს პაემნის უფლებას (ხანმოკლე, საოჯახო და ხანგრძლივი პაემნები), სატელეფონო საუბრის უფლებასა და მიმოწერას, რაც საშუალებას აძლევს ბრალდებულს/მსჯავრდებულს იქონიოს მჭიდრო კავშირი ოჯახთან და ახლობლებთან. რესოციალიზაციის პროცესი წარმოუდგენელია ზოგადი და პროფესიული განათლების გარეშე. სურვილისა და საჭიროების შემთხვევაში ბრალდებულს/მსჯავრდებულს აქვს უფლება და შესაძლებლობა მიიღოს როგორც საშუალო, ისე უმაღლესი განათლება ჩაერთოს პროფესიულ საგანმანათლებლო კურსებში, რომელიც გათავისუფლების შემდეგ დაეხმარება საზოგადოებაში ინტეგრაციაში, სამსახურის პოვნასა და შემოსავლის მოძიებაში. მსჯავრდებულს აქვს შესაძლებლობა მონაწილეობა მიიღოს რელიგიურ რიტუალებში, სპორტულ, კულტურულ, აღმზრდელობით ღონისძიებებში, ყოველდღიურად იმოფებოდეს სუფთა ჰაერზე, ყოველივე ზემოაღნიშნული, მნიშვნელოვანია რესოციალიზაციის მიზნის მიღწევაში. ხდება მსჯავრდებულთა რისკებისა და საჭიროებების შეფასება მულტიდისციპლინარული გუნდის მიერ, რომლის მიზანია მსჯავრდებულთა მრავალმხრივი რისკების მართვა, რესოციალიზაციისა და რეაბილიტაციის ხელშეწყობა, მულტიდისციპლინური მიდგომის გამოყენებით და მსჯავრდებულის ჩართულობით. აგრეთვე, რისკისა და საჭიროების შეფასების, ინდივიდუალური გეგმის მომზადების, განხორციელებისა და მონიტორინგის (შემთხვევის მართვის) პროცესში ჩართულ სპეციალისტთა ერთგვაროვანი პრაქტიკით უზრუნველყოფა. დანაშაულის განმეორებითი ჩადენის ალბათობის დონისა და მნიშვნელოვანი ზიანის რისკის დადგენა, ასევე კრიმინოგენური ფაქტორიების შეფასება ინდივიდუალური გეგმის შედგენა, ბენეფიციარის საჭიროებების შესაბამისად, რესოციალიზაცია/რაბილიტაციის მიზნით. ინდივიდუალური გეგმის განხორციელება და მონიტორინგი, შემდგომ შემთხვევის მართვის საქმის გადახედვა და დახურვა. ინდივიდუალური შეფასებსი საფუ-ძველზე, გამოვკეთილი საჭიროებების მიხედვით ხდება მსჯავრდებულის ჩართვა შესაბამის სარეაბილიტაციო პროგრამაში;**

**10) რა კომუნიკაციური საშუალებებითა და პერიოდით სარგებლობენ ქალი პატიმრები?**

**პატიმარი ქალები სარგებლობენ სატელეფონო საუბრებით, ვიდეოპაემნებით, ხანმოკლე, ხანგრძლივი და საოჯახო პაემნის უფლებით. ქალ მსჯავრდებულს უფლება აქვს, 1 თვის განმავლობაში საკუთარი ხარჯით ჰქონდეს 5 სატელეფონო საუბარი, თითოეული - არაუმეტეს 15 წუთისა, ხოლო წახალისების ფორმით, საკუთარი ხარჯით ულიმიტო საუბარი, თითოეული - არაუმეტეს 15 წუთისა. ქალ მსჯავრდადებულს უფლება აქვს, 10 კალენდარული დღის განმავლობაში ჰქონდეს 1 ვიდეოპაემანი, ხოლო წახალისების ფორმით – თვეში 1 დამატებითი ვიდეოპაემანი.**

**ხანმოკლე, ხანგრძლივი და საოჯახო პაემნის უფლებით სარგებლობის შესახებ, გავიმეორებ, რომ პატიმარი დედის შუამდგომლობით, მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს ნებართვით და დაწესებულების დირექტორის თანხმობით შესაძლებელია დედისა და 3 წლამდე ბავშვის ერთად ცხოვრება.**

**ქალი ბრადლებულები/მსჯავრდებულები სარგებლობენ ასევე მიმოწერის უფლებით, მათ შეუძლიათ შეუზღუდავი რაოდენობით გაგზავნონ და მიიღონ წერილები საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევისა;**

**11) როგორ არის მოწესრიგებული დაწესებულებაში პატიმართა საგანმანათლებლო საკითხები და დაწესებულების დატოვების შემდგომ მათი დასაქმების პერსპექტივა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩაბმა?**

დაწესებულებაში უზრუნველყოფილია ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა ზოგადი განათლების მიღების საკითხი, ხოლო სურვილის შემთხვევაში აქვთ ზოგადი განათლების მიღების საკითხი, ხოლო სურვილის შემთხვევაში აქვთ შესძლებლობა გაარძელონ სწავლა უმაღლესი განათლების მისაღებად. პერიოდულად ხდება მსჯავრდებულთა გამოკითხვა სასურველი პროფესიული, თუ საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ, რომელიც სამომავლოდ გათვალისწინებულია პრფესიული და საგანმანათლებლო პროგამების დაგეგმვასა და განხორციელებაში.

მსჯავრდებულთათვის აღნიშნული პროგრამებში განხორციელება და მიწოდება ხდება, როგოც სურვილის შემთხვევაში ასევე გამოვკეთილი საჭიროებების საფუძველზე.

ასევე, მსჯავრდებულის გათავისუფლებამდე ერთი-სამი თვით ადრე, დაწესებულებაში შემოდის დანაშაულის პრევენციის ცენტრის თანამშრომელი, რომელიც მსჯავრდებულს აცნობს გარე სერვისების შესახებ ინფორმაციას და გათავისუფლების შემდეგ, სურვილის შემთხვევაში ეხმარება მას რეინტეგრაციაში;

**12) სარგებლობენ თუ არა პატიმარი მსჯავრდებული ქალები სარეაბილიტაციო პროგრამების თანახმად პენიტენციური დაწესებულების გარეთ ხანმოკლე გასვლის უფლებით?**

მსჯავრდებული ქალები მონაწილეობას იღებენ სარეაბილიტაციო პროგრამებში და სარგებლობენ დროებითი დატოვების უფლებით. მაგალითისათვის, 2015 წლის 4 დეკემბერს მსჯავრდებულებმა დროებით დატოვეს დაწესებულება შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო დრამატულ თეატრში სპექტაკლის რეპეტიციაში მონაწილეობის მიღებასთან დაკავშირებით, ხოლო 2017 წლის 8 მაისს მაჯავრდებულებმა დროებით დატოვეს დაწესებულება თბილისის შოთა რუსთაველის სახელობის პროფესიულ სახემწიფო დრამატულ თეატრში მსჯავრდებულების მიერ გამართულ სპექტაკლზე დასასწრებად;

**13) როგორი ურთიერთდამოკიდებულება არსებობს ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა და დაწესებულების თანამშრომელთა შორის?**

ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა და დაწესებულების პერსონალის ურთიერთობა რეგულირდება მოქმედი კაანონმდებლობით. ბრალდებულე-ბი/მსჯავრდებულები დაწესებულების მომსახურეებს მიმართავენ „თქვენობით“, დაწესებულების მოსამსახურეები ბრალდებულებს/მსჯავრდებულებს მიმართავენ და ეპყრობიან ჰუმანურად, თავაზიანად, ეთიკის ნორმების დაცვით. მომსახურეებმა უნდა დაიცვან ბრალდებულის/მსჯავრდებულის უსაფრთხოება;

**14) როგორ ნაწილდება დაწესებულებაში სხვადასხვა ორიენტაციის პატიმარ ქალთა შესახლების საკითხი?**

დაწესებულებაში პატიმართა შესახლების საკითხი წყდება მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე, უსაფრთხოების ინტერესების გათვალისწინებით;

**15) არსებობს თუ არა დაწესებულებაში ბულინგის შემთხვევები და როგორ ხდება მათი აღკვეთა?**

პატიმართა მხრიდან ისეთი ქმედება, რომელიც არღვევს დაწესებულების დებულებას, ზიანს აყენებს წესრიგსა და უსაფრთხოებას და არ შეიცავს დანაშაულის ნიშნებს, მიიჩნევა დისციპლინურ დარღვევად და დისციპლინური სამართალწარმოების საფუძველზე ხდება ბრალდებულის/მსჯავრდებულის დისციპლინური პასუხისმგებლობა – სახდელის დაკისრება.

ასევე, მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე შესაძლებელია ბრალდებულის/მსჯავრდებულის მიმართ შეიძლება გამოყენებულ იქნეს უსაფრთხოების ღონისძიებები;

**16) რა მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით სარგებლობენ პატიმარი ქალები დაწესებულებაში?**

ქალი ბრალდებულ/მსჯავრდებულებს უფლება აქვთ მიიღონ ინფორმაცია პრესითა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებებით, ისარგებლოს მხატვრული და სხვა ლიტერატურით, სარგებლობენ რადიოტრანსლაციის მოსმენისა და ტელეტრანსლაციის ნახვის უფლებით, შეუძლიათ საკუთარი სახსრებით, გონივრული ოდენობით გამოიწერონ და მიიღონ სამეცნიერო, სამეცნიერო-პოპულარული, რელიგიური და მხატვრული ლიტერატურა, ჟურნალ-გაზეთები;

**17) დაწესებულების რა შიდა წესების დარღვევისათვის ეკუთვნით დამატებითი სასჯელი პატიმარ ქალებს და როგორ ხდება მათი აღსრულება?**

თუ მსჯავრდებულმა დისციპლინური სახდელის მოქმედების ვადაში განმეორებით ჩაიდინა პატიმრობის კოდექსით გათვალისწინებული დისციპლინური დარღვევა, მას შესაძლებელია შეეფარდოს დისციპლინური პატიმრობა. დისციპლინური პატიმრობა არ შეეფარდება ქალ მსჯავრდებულს, რომელიც არის ორსულად, ან ქალთა სპეციალურ დაწესებულებაში ჰყავს 3 წლამდე ბავშვი, აგრეთვე 65 წელს გადაცილებულ მსჯავრდებულს.

დისციპლინურ პატიმრობასთან დაკავშირებულ სასამართლო გადაწყვე-ტილებას (განჩინებას) აღსასრულებლად მიაქცევს გადაწყვეტილების (განჩინების) გამომტანი სასამართლო. დისიციპლინური პატიმრობის კონკრეტული ვადა პატიმრობის კოდექსის 90-ე მუხლით დადგენილ ფარგლებში განისაზღვრება სასამართლოს გადაწყვეტილებით (განჩინებით). დისციპლინური პატიმრობის მოხდისათვის მსჯავრდებული თავსდება სპეციალურად გამოყოფილ სადღეღამისოდ ჩაკეტილ სპეციალურ საკანში. დისციპლინური პატიმრობის მოხდის ვადა არ ითვლება მჯავრდებულის სასჯელის მოხდის საერთო ვადაში.

ასევე, დაწესებულებაში მომხდარი დანაშაულის გამოძიება ხდება საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით. თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში მომხდარი დანაშაულის ჩადენაში ბრალდებულად ცნობილი პირი გადაჰყავთ პატიმრობის დაწესებულებაში. პატიმრობის დაწესებულებაში გადაყვანილ მსჯავრდებულზე ამ დაწესებულების ინფრასტრუქტურის გათვალისწინებით ვრცელდება ის უფლებები და პირობები, რომლებიც დადგენილია შესაბამისი რისკის მსჯავრდებულისთვის. გამომძიებლის/პროკურორის მოტივირებული გადაწყვეტილებით შეიძლება მსჯავრდებულს შეეზღუდოს პაემნის, სატელეფონო საუბრისა და მიმწერის უფლებები;

**18) მიეწოდებათ თუ არა სათანადო რაოდენობით და ხარისხით ჰიგიენური საშუალებები პენიტენციური დაწესებულებაში ბრალდებულებს/მსჯავრდებულებს?**

**პირადი ჰიგიენის დაცვისათვის აუცილებელი ჰიგიენური საშუალებებით უსასყიდლოდ უზრუნველყოფილია ყველა პატიმარი. მათ შორის ხელის საპონით, სამეურნეო საპონით, სარეცხის ფხვნილით, ტუალეტის ქაღალდით, საპარსი საშუალებით, ჰიგინეური პაკეტებით, კბილის პასტით, კბილის ჯაგრისით, თეთრეულით და სხვა, ხოლო ჰიგიენისთვის საჭირო სხვა დამატებითი საშუალებები შეუძლიათ შეიძინონ დაწესებულებისმაღაზიაში, ან/და მიიღონ ამანათის სახით და ფოსტის მეშვეობით;**

**19) როგორია ბრალდებულთათვის/მსჯავრდებულთათვის მიწოდებული საკვების რაოდენობა და ხარისხი?**

**ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა კვების რაციონის ნორმები, რაოდენობა, სახეობა, სეზონურობა განისაზღვრება საქართველოს იუსტიციის მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2019 წლის 6 მარტის ერთობლივი ბრაძანებით №388-№01-18/ნ. აღნიშნული ბრძანებით, სეზონის მიხედვით განსაზღვრულია ყოველკვირეული მენიუ-განრიგი. დაწესებულებაში განთავსებული ყველა პატიმარისათვის დღირუად გათვალისწინებულია სამჯერადი კვების რაციონი. დღიურ რაციონში გათვალისწინებულია საკვებით მიღებულ ენერგიასა და მის ხარჯვას შორის პროპორციის გათვალისწინებით დასაშვები საკვების საერთო ენერგეტიკული მაჩვენებელი. განსაკუთრებული კვების რეჟიმის საჭიროების მქონე ბრალდებულები/მსჯავრდებულები უზრუნველყოფილნი არიან ექიმის მიერ სამეცნიერო ჩვენების შესაბამისად დადგენილი სამკურნალო კვებისათვის აუცილებელი პროდუქციებით. დაწესებულებაში მყოფ პირთა კვების ორგანიზება შეესაბამება ჯანსაღ კვებასა და ორგანიზმის საკვებ ნივთიერებებს და ენერგიაზე ფიზიოლოგიური მოთხოვნილების ადეკვატურად დაკმაყოფიელბის პრინციპს.**

**ასევე დაწესებულებაში ფუნქციონირებს მაღაზია, რომელიც უზრუნველყოფს ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა სხვადასხვა დასახელების პროდუქტებით მომარაგებას, რაც აძლევს მათ შესაძლებლობას შეიძინონ მათთვის სასურველი პროდუქტი, ასევე აქვთ შესაძლებლობა ამანათისა და ფოსტის მეშვეობით მიიღონ პროდუქტი;**

**20) როგორ ხდება, როცა ბრალდებულებს/მსჯავრდებულებს არა აქვს საშუალება ისარგებლოს დაწესებულების მაღაზიით?**

**დაწესებულება უსასყიდლოდ უზრუნველყოფს ყველა პატიმარს დღიური სამჯერადი კვებით, პირადი ჰიგიენის დაცვისათვის აუცილებელი საშუალებებით. ასევე მათ უფლება აქვს მიიღონ ამანათის და ფოსტის მეშვეობით დამატებითი კვების პროდუქტები და პირველადი მოხმარების საგნები. დაწესებულებაში გარკვეული რაოდენობა მსჯავრდებულებისა დასაქმებულნი არიან როგორც სამეურნეო მომსახურებაში, ასევე კერძო კომპანიების მიერ ხელშეკრულების საფუძველზე, რაზედაც მათ ეძლევათ ფულადი ანაზღაურება. დაწესებულებაში განთავსებულ მსჯავრდებულბს, მათი სურვილის შემთხვევაში, ინდივიდუალური საქმიანობის განხორციელების მიზნით, შესაძლებლობა აქვთ დარეგისტრირდნენ მიკრობიზნესის სტატუსის მქონე ფიზიკურ პირებად. როგორც დაწესებულებაში, ასევე დაწესებულების გარეთ პერიოდულად ჩატარებულ გამოფენაზე მათ აქვთ შესაძლებლობა მათი ნამუშევრების რეალიზების/გაყიდვის. გაყიდული ნაკეთობის თანხა მსჯავრდებულს ერიცხება მის პირად ანგარიშზე.**

**ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე პატიმარს, რომელსაც არ აქვს შესაძლებლობა ისარგებლოს დაწესებულების მაღაზიით, აქვს სხვა ხელშემწყობი პირობები.**

# საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის - ბატონ ზვიად გამსახურდიას საგარეო პოლიტიკა და დასავლეთი



მე-20 საუკუნის ბოლო ათწლეულში, კონკრეტულად 1991 წელს, ევროპასა და აზიაში შეიქმნა 23 ახალი სახელმწიფო, რომელთა ნაწილი, ან ძალიან დიდი ხნის წინ არსებობდა მსოფლიო პოლიტიკურ რუკაზე, ან არასდროს ყოფილა წარმოდგენილი.

ეს პროცესი დაკავში-რებული იყო საბჭოთა კავშირის დაშლასთან.

1991 წლისათვის ჩვენ მივიღეთ თითქმის დამოუკი-დებელი ლიტვა, ლატვია, ესტონეთი. ის რესპუბლიკები კი, რომლებმაც დამოუკიდებლობა 1918-20/21 წლებში მოიპოვეს და შემდეგ სსრკ-მ მოახდინა მათი ანექსირება, კვლავ გამოჩნდნენ მსოფლიო ასპარეზზე. ასეთთა რიცხვში შედიოდა საქართველო და მათ შორის აზერბაიჯანი, უკრაინა, სომხეთი და ბელორუსია. შუა საუკუნეებში ფეოდალური სამთავროს სახით არსებული მოლდოვაც (მაშინდელი ბესარაბია) რესპუბლიკად მოგვევლინა.

ასევე გაჩნდნენ საბჭოთა კავშირში აღმოცენებული სახელმწიფოები: ყაზახეთი, უზბეკეთი, ტაჯიკეთი, თურქმენეთი, ყირგიზეთი, რომელთა საზღვრები სწორედ ტოტალიტარული იმპერიის წიაღში მოიხაზა.

1990 წელს ევროპაში გაქრა პოლიტიკური ერთეული - გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა. ის საკუთარი ხალხის ნებით შეუერთდა ძირითად გერმანულ სახელმწიფოს - გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკას. ამ მოვლენამ გააერთიანა ორად გაყოფილი ბერლინი და მას გერმანიის დედაქალაქის სტატუსიც დაუბრუნა.

ჯერ კიდევ 80-იანი წლების შუა პერიოდში ნავთობის ფასების მასშტაბური ვარდნის დროს შესამჩნევი იყო საბჭოთა იმპერიის რღვევის პროცესი. იგი არსებობის უკანასკნელ დღეებს ითვლიდა და შესაბამისად, კიდევ უფრო აგრესიულ პოლიტიკას ატარებდა შიდა საქმეებში, რომლებიც გადაიდგა დაქვემდებარებულ რესპუბლიკებში ეროვნული მოძრაობების ჩასახშობად (თბილისის 1989 წლის 9აპრილი, ბაქო 1990წ 20 იანვარი).

დიპლომატიური მოქნილობა და ალღო იყო საჭირო, რომ ეროვნული დამოუკიდებლობის გზაზე მყოფი ქვეყნები იმპერიის ნანგრევებში არ აღმოჩენილიყვნენ, რაც თამამად შეიძლება ითქვას, რომ მხოლოდ ბალტიისპირეთის რესპუბლიკებმა მოახერხეს. ყველა ეს რესპუბლიკა, რომელიც მზად იყო აღდგომოდა სსრკ-ს იმპერიალისტურ მიზნებს, ხვდებოდა, რომ დახმარების იმედი მხოლოდ დასავლეთიდან უნდა ჰქონოდა. თანაც, როგორც ვიცით, ცივი ომის შედეგად მსოფლიოში ძალთა გადანაწილებისათვის იბრძოდა აშშ და სსრკ.

ძნელი მისახვედრი არ უნდა ყოფილიყო, რომ სოციალური ბანაკის დაშლა ამერიკის შეერთებული შტატებისათვის მთავარ, უპირველეს ინტერესს წარმოადგენდა და, რა თქმა უნდა, მთლიანად დასავლეთი, მათ შორის ცენტრალური ევროპის მოწინავე ქვეყნებიც, ახლად წარმოქმნილი რესპუბლიკების გვერდით

დადგებოდნენ. ამ მოვლენებს ადეკვატურად, თუ არაადეკვატურად აკვირდებოდნენ საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში და იმას ხვდებოდნენ, რომ დასავლეთი სერიოზულ პოლიტიკურ ინტერესს დამოუკიდებლობისათვის მებრძოლი რესპუბლიკებისადმი ოფიციალურად არ ამჟღავნებდა. სახელმწიფო ხელისუფლების წარმომადგენლები თავს იკავებდნენ პირდაპირი მხარდაჭერისგან. ამ აზრს ამყარებს თუნდაც 1989 წლის 9 აპრილს თბილისში დატრიალებული ტრაგედიისადმი მათი დამოკიდებულება. არცერთი დასავლური სახელმწიფოს მეთაური არ გამოსულა და ოფიციალურად არ დაუგმია სსრკ-ს ხელისუფლების ქმედება, არ გაუკეთებია არანაირი კომენტარი.

სამაგიეროდ 9 აპრილის მოვლენებს სენატორმა ჰელსმა, აშშ-ს სენატის საგარეო საქმეთა კომისიის წევრმა, არა მარტო პოლიტიკური შეფასება მისცა, არამედ მოითხოვა საბჭოთა კავშირის იზოლაცია, რათა ამით ხელი შეეწყოთ საქართველოს ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობისათვის.

ეს იყო აშშ-ს რეზოლუცია N:110. იგი გამოხატავდა საქართველოსადმი ინტერესს და ეროვნული მოძრაობის მხარდაჭერის ხარისხს. რეზოლუცია 19 აპრილს გამოქვეყნდა აშშ-ს მთავრობის ბიულეტენში „Congressman Record“, საიდანაც ქართულ პრესაში გადმოიბეჭდა.

რეზოლუცია ოფიციალური დოკუმენტი გახლდათ, რომელიც მაშინდელ საერთაშორისო რეალობის გათვალისწინებით თავს იკავებდა მკვეთრი მხარდაჭერისგან.

უფრო კერძოდ კი, რეზოლუცია ადგენდა, რომ სენატი:

1) მხარს უჭერდა ქართველი ხალხის ბრძოლას, მის მოთხოვნებსა და დემოსტრაციებს, საკუთარ მიწა-წყალზე ეროვნული დამოუკიდებლობის მოსაპოვებლად;

2) მხარს უჭერდა ქართველი ხალხის ბრძოლას თვითგამორკვევისათვის, შესაბამისად ევროპაში უშიშროებისა და თანამშრომლობის ჰელსინკის კონფერენციის დასკვნითი აქტისა, რომელზეც ხელი მოწერილი აქვს საბჭოთა კავშირსაც;

3) მხარს უჭერდა ქართველი ხალხის ბრძოლას ადამიანის უფლებებისთვის, რომელიც გარანტირებულია ვენის 1950 წლის ადამიანთა უფლებათა და თავისუფლებათა საყოველთაო დეკლარაციით, რაზეც ხელი მოწერილი აქვს საბჭოთა კავშირსაც;

4) მოუწოდებს საბჭოთა მთავრობას ყურად იღოს ქართველი ხალხის ხმა დააკმაყოფილოს ქართველი ხალხის მიერ თვითგამორკვევისა და ადამიანის უფლებათა კანონიერი მოთხოვნები.

რეზოლუციის პროექტი სენატს წარუდგინა სენატორმა ჰელსმა 9 აპრილიდან რამდენიმე დღის შემდეგ. სამწუხაროდ, ამ ფაქტს გამოხმაურება არ მოჰყოლია. მას მხოლოდ მორალური მხარდაჭერის მნიშვნელობა თუ ჰქონდა, რადგან არ ასახავდა შეერთებული შტატების ოფიციალურ კურსს.

ფაქტიურად ანალოგიური მდგომარეობა გრძელდებოდა 1990 წლის მეორე ნახევარშიც, როცა საქართველოში ეროვნული ხელისუფლება მოვიდა. ამგვარ ფონზე კი განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა თვით ახალი ხელისუფლების პოზიციას, მის საგარეო ორიენტაციას და საგარეო კურსს. ამის გამორკვევა კიდევ უფრო საინტერესო იმიტომაა, რომ ხელისუფლების ოპონენტები ბრალს სდებდნენ მას არასწორი საგარეო პოლიტიკური კურსის წარმოებასა და ქვეყნის იზოლაციაში მოქცევაში.

იმისთვის, რომ გავარკვიოთ, თუ რა საგარეო პოლიტიკურ ორიენტაციას იზიარებდა ქვეყნის ახალი ხელისუფლება, საჭიროა გადავხედოთ მათ მიერ მიღებულ ოფიციალურ დოკუმენტებს. ასეთი დოკუმენტი, რომელიც ეხებოდა სახელმწიფოს განვითარების გეგმას, იყო საარჩევნო ბლოკი „მრგვალი მაგიდა - თავისუფალი საქართველოს“ პოლიტიკური და ეკონომიკური პლატფორმა.

აი, ერთ-ერთი ამონარიდი პლატფორმიდან: „ამიტომ, დღეს საქართველოს თუკი ამოუდგება ვინმე გვერდში აღმოსავლეთის ქვეყნებთან კონფლიქტის

შემთხვევაში, ისევე როგორც რუსეთან კონფლიქტის შემთხვევაში, ეს გვერდში მდგომი იქნება მხოლოდ მსოფლიო საზოგადოება და დასავლეთის სამყარო, რომელსაც საქართველო შავი ზღვით ბულგარეთისა და რუმინეთის გავლით დაუკავშირდება“.

ოპონენტებს შეეძლოთ გაეკრიტიკებინათ „მრგვალი მაგიდა - თავისუფალი საქართველოს“ ბლოკი იმის გამო, რომ ხელისუფლების პლატფორმაში ისე ღიად და გარკვევით არ იყო საუბარი დასავლურ ორიენტაციაზე, როგორც მაგალითად, სახალხო ფრონტის საარჩევნო პლატფორმაში. თუმცა, საკითხავია, ეს კრიტიკა რამდენად ჯანსაღი იქნებოდა?! რომელი პარტიის ხედვა უფრო სწორი იყო ქვეყნის საგარეო პოლიტიკის მხრივ, ან რომლის პლატფორმა უფრო რეალისტური გახლდათ იმდროისათვის, 1990 წლის შემოდგომისთვის? იმისთვის, რომ ამ კითხვებს გავცეთ პასუხები მოვლენები მსოფლიო ასპექტში უნდა განვიხილოთ.

მიუხედავად იმისა, რომ მალტაში გამართული უმაღლესი დონის შეხვედრა ბუშსა და გორბაჩოვს შორის წარმატებით დასრულდა, ვერავინ იწინასწარმეტყველებდა იმ არაჩვეულებრივ მიღწევას, რომელიც მოხდა აშშ-სა და სსრკ-ს შორის ურთიერთობაში 1990 წელს. იანვარში წარმოთქმულ სიტყვაში, რომელიც ქვეყნის მდგომარეობას ეხებოდა, პრეზიდენტმა ბუშმა განაცხადა თავისი გადაწყვეტილების შესახებ, შეემცირებინა ევროპაში განლაგებული აშშ-ს ჯარები 19000-მდე. თებერვალში ბუშის ადმინისტრაციამ ჩაატარა საბჭოთა კავშირთან დისკუსიები შეიარაღების კონტროლის თაობაზე, ასევე აღმოსავლეთ და დასავლეთ გერმანიის გაერთიანებაზე. შვიდი თვის შემდეგ მრავალი ორმხრივი დისკუსიის შედეგად საბჭოთა კავშირმა უარი თქვა თავის ომისდროინდელ უფლებებზე და აღიარა გაერთიანებული გერმანია NATO-ს სრულუფლებიანი წევრის სტატუსით. საბოლოო ხელშეკრულებას გერმანიის საკითხთან დაკავშირებით ხელი მოეწერა მოსკოვში, 12 სექტემბერს. 19 ნოემბერს ბუშმა და სხვა 21 ქვეყნის სახელმწიფოს მეთაურმა ხელი მოაწერეს ყველაზე ამბიციურ და რთულ შეთანხმებას განიარაღების საკითხზე. იგი შეეხებოდა ათასობით ტანკის, თვითმფრინავის და საარტილერიო დანადგარის შემცირებას, რომელიც განალაგებულნი იყო NATO-სა და ვარშავის ხელშეკრულების ყოფილი ქვეყნებს მიერ.

აი, ამგვარ პირობებში, როდესაც ორი დაპირისპირებული ზესახელმწიფოს ურთიერთობის დათმობა მსოფლიო პოლიტიკის განმსაზღვრელ ფაქტორად ქცეულიყო, „მრგვალი მაგიდა - თავისუფალი საქართველოს“ საგარეო პოლიტიკური კურსი, სავსებით რეალისტურად ჩანდა. საქართველოს ხელისუფლებას ესმოდა, რომ დამოუკიდებლობისთვის ბრძოლაში ანგარიში უნდა გაეწია დასავლეთისა და აღმოსავლეთის პოლიტიკური სისტემათა დაახლოებისთვის. „მრგვალი მაგიდა - თავისუფალი საქართველოს“ წევრები გეოპოლიტიკური მოვლენების საღ ანალიზზე დაყრდნობით მოქმედებდნენ. ისინი სახალხო ფრონტელებისგან განსხვავებით ლამაზ, თუმცა არაობიექტურ დაპირებებს არ იძლეოდნენ და ხალხს ცრუ იმედებს არ უსახავდნენ.

დასავლეთის დამოკიდებულება ფაქტიურად ანალოგიური დარჩა 1990 წლის ოქტომბრის არჩევნების შემდეგაც და არაა გასაკვირი, რომ საქართველოს ხელისუფლების პოზიციაც ფრთხილ ნოტაზე შენარჩუნდა. სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლეს წარმომადგენელთა ოფიციალურ ტექსტებში, გამოსვლებსა თუ დოკუმენტებში ხშირი იყო ტერმინი „მსოფლიოს მოწინავე ქვეყნები“. ასეთი ფორმის მიმართვის დროს ისინი, რა თქმა უნდა, დასავლეთს გულისხმობდნენ, მაგრამ არ გამოყოფდნენ და მოიხსენიებდნენ უშუალოდ აშშ-ს. ამის ერთადერთი ახსნა ისაა, რომ არ სურდათ ორ სამყაროს შორის დაპირისპირებისთვის შეეწყოთ ხელი. ხელისუფლების წარმომადგენლები ერიდებოდნენ დასავლეთის ქვეყნებისთვის მხარდამჭერები, ან მოკავშირე სახელმწიფოები ეწოდებინათ. ეს კი საგარეო პოლიტიკის საკმაოდ რეალისტური შეფასება იყო.

საქართველოთი აშშ პირველად 1991 წლის 31 მარტის რეფერენდუმის დროს დაინტერესდა. ჯორჯ ბუშმა არაოფიციალური ვიზიტით, ჩვენს ქვეყანაში მოავლინა

აშშ-ს ყოფილი პრეზიდენტი რიჩარდ ნიქსონი. ვინაიდან ვიზიტი არ იყო ოფიციალური, იგი ვერ განიხილება სახელმწიფოთა ურთიერთობის დონეზე, თუმცა თვითონ ვიზიტი კი ამერიკის გაზრდილ ინტერესს მოწმობდა და შეიძლებოდა ურთიერთობის გარკვეული საფუძვლის მომზადებად განხილულიყო. ამასთანავე მას სხვა დატვირთვაც ჰქონდა. კერძოდ, მოსკოვში გამგზავრების წინ ნიქსონმა თბილისში რამდენიმე საარჩევნო უბანი დაათვალიერა და რეფერენდუმის პროცესებს გაეცნო. ამით აშშ მოსკოვს აგრძნობინებდა, რომ იგი პატივს სცემდა საქართველოს მოსახლეობის გადაწყვეტილებას დამოუკიდებლობის შესახებ. ამასთანავე ნიქსონის საარჩევნო უბნების შემოვლა, თვალყურისდევნება სსრკ-ს ლიდერებს არ მისცემდათ შესაძლებლობას, რომ ამ რეფერენდუმზე ყალბი ცნობები გაევრცელებინათ. ეს თუ მაინც ასე მოხდებოდა, ფაქტობრივად, აშშ-ს კომპეტენციურობაში ეჭვის შეტანის და მისი უგულებელყოფის ნიშანი იქნებოდა.

როგორც ვხედავთ, ამ არაოფიციალურ ვიზიტს საკმაოდ დიდი დატვირთვა ჰქონდა. თანაც აღსანიშნავია ისიც, რომ პირველი სერიოზული ნაბიჯი ამერიკამ გადმოდგა და საქართველო თავის ინტერესთა არეალში მოაქცია. ამან კი თავის მხრივ შეაგულიანა ქართველი ხელისუფლების წევრები, თვით ზვიად გამსახურდიაც და უფრო ხშირად იწყებენ დასავლეთის ხსენებას თავიანთ გამოსვლებში, თუ ოფიციალურ დოკუმენტებში.

ამერიკის ჩვენს მიმართ დადებით განწყობაზე მიუთითებს ის ფაქტიც, რომ ყოფილი პრეზიდენტის ვიზიტის დროს გამსახურდიასა და აშშ-ს პრეზიდენტის შესაძლო შეხვედრის დეტალები იქნა განხილული. რაზეც ხშირად საუბრობდა საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი ინტერვიუების დროს. ამით, რა თქმა უნდა, თვითონაც გამოხატავდა ამერიკისა და დასავლეთისადმი ურთიერთობის რეალურ სურვილებს, იმედებს. ამას მოწმობს ისიც, რომ ერთ-ერთ თურქ სტუმარს ყურადღება მიუქცევია თბილისის ქუჩებში მომრავლებული ამერიკის დროშებისთვის. ზვიად გამსახურდიას კი თურქი კორესპონდენტისათვის უთქვამს, სწორედ იმ დღეებში მიმდინარეობდა მოლაპარაკება საქართველოს პრეზიდენტის ვაშინგტონში ჯორჯ ბუშთან შეხვედრის შესახებ. ეს კიდევ ერთი ნათელი მაგალითია იმისა, რომ ქართველი ხელისუფლების ლიდერები აშშ-სთან ურთიერთობის აშკარა მზადყოფნას აცხადებდნენ. ალბათ, საინტერესოა, თუ როგორ ესმოდა თავად ზვიად გამსახურდიას „დასავლური ორიენტაცია“. იმისათვის, რომ ჩვენ ეს გავიგოთ უნდა მოვიხმოთ „ღია წერილი საქართველოს ტელევიზიისადმი“, რომელიც მან 1992 წლის მაისში უკვე დევნილობის პერიოდში ჩამოაყალიბა. ამონარიდი ამ წერილიდან: „ზოგიერთს დასავლური ორიენტაცია ჰგონია სადისტური ფილმების კულტი, ან თუნდაც დასავლეთის წინაშე ხელგაშვერილი დგომა უცხოური კრედიტების მოლოდინში, საეჭვო გარიგებები პოლიტიკურ ავანტიურისტებთან, მათი მოწვევა ჩვენს სამშობლოში, საქართველოს ბუნებრივ წიაღისეულ სიმდიდრეთა, კურორტების, საწარმო ობიექტების მიყიდვა დასავლეთისთვის და სხვა. „აი ასეთ „დასავლურ“ ორიენტაციას ვგმობ“, დაასკვნიდა დევნილობაში მყოფი ზვიად გამსახურდია. დასავლეთის ცივილიზაცია, ხელოვნება, ფილოსოფია, პოლიტიკური ნააზრევი, სოციალური და სამართლებლივი სისტემები უაღრესად ახლოა ჩვენთვის. ჩვენი თვალსაზრისით, ამის ათვისება და გათავისება, დემოკრატიული საზოგადოების აშენება არის დასავლური ორიენტაცია და არა სხვა რამ“.

ეს გახლდათ ზვიად გამსახურდიას ზოგადი ხედვა და მისი ორიენტაცია დასავლეთის ღირებულებებისადმი. უფრო მკვეთრი პოზიციის დაფიქსირება, როგორც საქართველოს ოფიციალურ პრეზიდენტს, არ შეეძლო.

ეს ყოველივე, პირველ რიგში, ისევ და ისევ იმდროინდელი გეოპოლიტიკური კონტექსტის გათვალისწინებით და მეორე, რომ არ გაეღიზიანებინა მოსკოვი. ერთი სიტყვით, სსრკ-ს არ გაღიზიანებისგან თავს იკავებდა როგორც დასავლეთი, ასევე ყველა ურჩი რესპუბლიკა. იმიტომ, რომ მაშინდელ შექმნილ ვითარებას ასეთი ფრთხილი პოლიტიკა ესაჭიროებოდა. იმის თქმა კი, რა თქმა უნდა, აბსურდული იქნება, რომ საქართველოს დამოუკიდებლობისმოყვარე ხელისუფლება ნაკლებად იყო დაპირისპირებული რუსეთთან და გარკვევით არ გამოხატავდა თავის პოზიციას

სსრკ-ს ლიდერებთან საუბრისას, თუ თავიანთ გამოსვლებში. ამას მოწმობს საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას მიმართვა რუსეთის პრეზიდენტ ბატონ ბორის ელცინთან 1991 წლის 14 სექტემბერს - „საქართველოს რესპუბლიკა სუვერენული სახელმწიფოა და გთხოვთ თქვენი კომპეტენციის ფარგლებსა და შესაძლებლობების კვალობაზე გავლენა მოახდინოთ ანტიქართულ ძალებზე, რომლებიც ცდილობენ განხეთქილება ჩამოაგდონ ჩვენსა და დემოკრატიულ რუსეთს შორის...

ბატონო პრეზიდენტო! თქვენ იცნობთ ჩვენს პოზიციას, ჩვენ ერთმორწმუნე რუსეთთან ნამდვილად კეთილმეზობლური ურთირთობის დამყარების მომხრენი ვართ. ხელშეკრულება ჩვენს ქვეყნებს შორის სახელმწიფოთაშორისი ურთიერთობის საფუძვლების შესახებ ხელმოსაწერად მზად არის,მოხარული ვიქნები მივიღოთ რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრი უახლოეს დღეებში. ნება მიბოძეთ დაგარწმუნოთ,რომ პატივს გცემთ პირადად თქვენ და რუსეთის ხელმძღვანელობას".

ამ მიმართვაში კარგად ჩანს, თუ როგორ ფრთხილად ცდილობს სათქმელის გამოხატვას ზვიად გამსახურდია, ისე რომ ხაზი გაესვას საქართველოს დამოუკიდებლობას და რუსეთიც კიდევ უფრო მეტად არ გააღიზიანოს. თანაც ნათლად ჩანს, რომ სწორი საგარეო პოლიტიკის წარმართვას, კეთილმეზობლურ ურთიერთობის პერსპექტივას უსვამს ხაზს, თან ამ ორი სახელმწიფოს სსრკ-სა და საქართველოს ერთმორწმუნეობის აზრს გამოხატავს.

ამაზე უფრო მკვეთი განცხადებები, რა თქმა უნდა, კრემლს გამოიყვანდა მდგომარეობიდან და არ იქნებოდა გამორიცხული ღია რეპრესიებისთვის მიემართა საქართველოს მიმართ. სწორედ ეს ესმოდათ კარგად საქართველოს ხელისუფლებაში, რომ საჭირო იყო ლოდინი, დაცდა და ყველა მიზანი განხორციელდებოდა. ასეთ შინაარსის სიტყვებს ისმენდნენ ისინი დასავლეთის ლიდერებისგანაც. მაგალითად, როდესაც ზვიად გამსახურდია მოსკოვში იმყოფებოდა, ჯეიმს ბეიკერს, შეერთებული შტატების სახემწიფო მდივანს, უთქვამს, რომ „დაგეხმარებით, საბჭოთა კავშირი დაშლის პირასაა, ოღონდ ნუ იჩქარებთ".

იგივეს მოწმობს 1991 წლის აპრილში, საფრანგეთში სამდღიანი ვიზიტიდან დაბრუნებული საქართველოს საგარეო მინისტრის განცხადებაც: „არავისთვის საიდუმლო არ არის, რომ დასავლეთი, თავისი პოლიტიკური ინტერესებიდან გამომდინარე, უფრთხის საბჭოთა კავშირში მიმდინარე პროცესების დაჩქარებას. მას აშინებს იმ ძვრების მასშტაბი, რომელიც შეიძლება გამოიწვიოს ამხელა სახელმწიფოს დაშლამ. ამიტომ არიდებს თავს საბჭოთა კავშირის შინაგან საქმეებში ჩარევას და იმ საბაბით, რომ უპირატესობას რეფორმატულ გზას ანიჭებს, მხარს უჭერს გორბაჩოვის ოფიციალურ პოლიტიკას. ასეთია ევროპის ოფიციალური კურსი".

მაშინდელი ოპოზიცია და ოპონენტები ირწმუნებოდნენ და, ალბათ, არც დღეს შეუცვლიათ აზრი, რომ გამსახურდიას ხელისუფლება ატარებდა მცდარ კურსს დასავლეთის მიმართ, რომ იგი შეგნებულად ახორციელებ- და იზოლაციანისტურ პოლიტიკას. ფიქრობდნენ, რომ საქართველოს პრეზიდენტი გარემომცველმა ძალებმა აიძულეს დაპირისპირებოდა დასავლეთსაც და რუსეთსაც.

სხვა უამრავი ასეთი უსაფძვლო ბრალდებები არსებობდა და, ალბათ, კიდევ არსებობს, მაგრამ ეს ასე არ იყო! ეს ბრალდებები არ შეეფერება სიმართლეს!

არც ისაა მართალი, თითქოს გამსახურდიას ხელისუფლების წარმომადგენლები დასავლეთის ლიდერებს ლანძღავდნენ. ამგვარი ფაქტები ქართულ პოლიტიკურ რეალობაში 1991 წლის ივლისის ბოლომდე არ დასტურდება სათანადო ოფიციალურ და სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის მასალებში, ხოლო რაც შეეხება ამერიკის და საქართველოს დამოკიდებულებას, იგი მართლაც შეიცვალა, გაუარესდა და უიმედო გახდა, თუმცა ეს არანაირად არ უკავშირდება ზვიად გამსხახურდიას პოლიტიკურ იმიჯს, ეს ცვლილება უფრო გამოწვეულია აშშ-სა და სსრკ-ს კიდევ ერთი შეთანხმებით.

1991 წლის 31 ივლისს შეერთებულმა შტატებმა მიაღწია შეიარაღების თაობაზე ყველაზე მნიშვნელოვან ხელშეკრულებას საბჭოთა კავშირთან, როდესაც ბუშმა და

გორბაჩოვმა მოსკოვში ხელი მოაწერეს დიდი ხნის მოლაპარაკების შედეგად „სტრატეგიული შეიარაღების შემცირების ხელშეკრულებას“. ამ შეთანხმების მიხედვით ორივე მხარის ბირთვული არსენალი მცირდებოდა 30-დან 40 პროცენტამდე, მაგრამ ეს შემცირებაც კი უმნიშვნელო გამოჩნდა პრეზიდენტ ბუშისა და ბორის ელცინის, რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის, მიერ დადებული ხელშეკრულების შემდეგ, რომლის მიხედვითაც 2003 წლისთვის მთლიანად უნდა განადგურებულიყო „ქობინებიანი რაკეტები“. ორივე შეთანხმება ევროპაში დაახლოებით ორი მესამედით ამცირებდა ბირთვული იარაღის რაოდენობას 21000-დან 6000-7000 ცალამდე. ბირთვული იარაღის განადგურებამ და მუდმივმა შიშმა ატომური საფრთხის წინაშე შეაჩერა ვაშინგტონსა და მოსკოვს შორის ატომური კონფლიქტის საშიშროება.

ბუნებრივია, პირველი ხელშეკრულების ხელმოსაწერად, ასევე მეორე ხელშეკრულების სისრულეში მოსაყვანად, აუცილებელი იყო ამერიკის პრეზიდენტს კარგი ურთიერთობა ჰქონოდა საბჭოთა კავშირის ცენტრალურ ხელისუფლებასთან. თუ ჯორჯ ბუში ოფიციალურად დააფიქსირებდა თავის დადებით დამოკიდებულებას ურჩი რესპუბლიკებისადმი, რა თქმა უნდა, აზრი დაეკარგებოდა ხელშეკრულების სისრულეში მოყვანაზე ფიქრს და ყველა შეთანხმება ჩაიშლებოდა. ამიტომ ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი, სავსებით გასაგებია, პირიქით რატომ მოიქცა და მხარი რატომ დაუჭირა რუსეთის ახალი ფედერაციის შექმნის ინიციატივას, რასაც მოსკოვის ცენტრალური ხელისუფლება აპირებდა.

აი, ყოველივე ამას მოჰყვა ის ცნობილი ეპიზოდი, როცა 1991 წლის ივლის-აგვისტოს მიჯნაზე ჯერ მოსკოში და მერე უკრაინაში ყოფნის დროს ამერიკის პრეზიდენტმა ჯორჯ ბუშმა, პირველმა გამოხატა უარყოფითი დამოკიდებულება დამოუკიდებლობისთვის მებრძოლი საქართველოს ეროვნული ხელისუფლების მიმართ. მან განაცხადა, რომ აშშ მხარს არ დაუჭერდა რესპუბლიკებს, რადგან ეს საბჭოთა კავშირის საშინაო საქმედ მიაჩნდა.

ამერიკის პრეზიდენტის ეს პოზიცია შემაშფოთებელი იყო საქართველოსათვის, მისი ხელისუფლებისა და პრეზიდენტისთვის. ის, რომ აქამდე საქართველო განმარტოვებული იყო მსოფლიო თანამეგობრობისგან, ეს გასაგები გახლდათ. მარტოობის გარკვეული პერიოდი ყველა ქვეყნისთვის დამახასიათებელია, რომელმაც ეს-ესაა დამოუკიდებლობა გამოაცხადა და აღიარებას გარესამყაროსგან ელოდება. მაგრამ ამჯერად სულ სხვა საქმესთან გვქონდა საქმე, აშშ და მასთან ერთად დასავლეთი ოფიციალურად აცხადებდა, რომ იგი დამოუკიდებელ საქართველოს მხარს არ დაუჭერდა.

რით უნდა ეპასუხა ზვიად გამსახურდიას ხელისუფლებას მოულოდნელად შექმნილი ვითარებისათვის? ფაქტი ერთია, რომ საქართველოს და მისი მმართველობის საერთაშორისო იზოლირების პირველი პრეცენდენტი მომდინარეობდა აშშ-სგან და განპირობებული იყო იმჟამინდელი საერთაშორისო და გეოპოლიტიკური კონტექსტით.

ამ შემთხვევაში საქართველოს ხელისუფლების ნებისმიერ პოზიტიურ, თუ ნეგატიურ პოზიციას მეორადი მნიშვნელობა ჰქონდა. ამიტომ მცდარია პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას დადანაშაულება საქართველოს საერთაშორისო იზოლაციაში, ეს პროცესები მისგან დამოუკიდებლად მიმდინარეობდა და ასეთი პატარა ქვეყნის ვერცერთი ლიდერი მსოფლიო სახელმწიფოს ინტერესებს წინ ვერ აღუდგებოდა.

აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ამერიკის შეერთებული შტატები 1990 წლიდან მოყოლებული ერაყის კუეიტში შეჭრით იყო დაინტერესებული, იმ შესაძლო საფრთხით, რომელიც მოელოდათ საუდის არაბეთსა და ყურეს სხვა პატარა სახელმწიფოებს. ინტერესი როგორც აშშ-სი, ასევე დასავლეთის გამოწვეული იყო იმიტომ, რომ ერაყი საფრთხეს უქმნიდა ნავთობის ძირითად მომწოდებელს. ეს კონფლიქტი გამწვავდა. 1991 წლის 12 იანვარს გაეროს მიერ მიღებულ ვადაზე სამი დღით ადრე, კონგრესმა მიანიჭა პრეზიდენტ ბუშს ომის წარმოების უფლება. საბრძოლო მოქმედებები გაგრძელდა 1991 წლის ნოემბრამდე. იწვოდა უამრავი ნავთობის ჭაბურღილი.

ყურეს ომმა, თუმცა არაპირდაპირ, მაგრამ მაინც მისცა ამერიკის შეერთებულ შტატებს საშუალება დაეყოლიებინა არაბული სახელმწიფოები, კერძოდ კი, ისრაელისა და პალესტინის დელეგატები, დაეწყოთ ერთმანეთთან პირდაპირი მოლაპარაკება რეგიონში მშვიდობის დასამყარებლად. მოლაპარაკება დაიწყო მადრიდში, ესპანეთში, 1991 წლის 30 ოქტომბერს. ამ მოლაპარაკებებმა, თავის მხრივ, დასაბამი მისცეს საიდუმლო მოლაპარაკებებს ნორვეგიაში, რომელსაც მოჰყვა ისტორიული შეთანხმება ისრაელსა და პალესტინას შორის.

როგორც ვხედავთ, 1991 წლის აგვისტოსა და სექტემბერში ამერიკა უფრო სერიოზული პრობლემების წინაშე დგას, ვიდრე საქართველოს რესპუბლიკის დამოუკიდებლობის მოპოვებაა. მას საკუთარი მიზნები, ინტერესები აქვს, უფრო მნიშვნელოვანი, და ამიტომ ზვიად გამსახურდიას პოლიტიკურ კურსი, თუ მისი მცდელობა დასავლეთთან კარგი ურთიერთობის დამყარების, უყურადღებოდ რჩება, ან უფრო სწორი იქნება თუ ვიტყვით, რომ განზრახ ტოვებს. ჯორჯ ბუშისთვის მთავარი ნავთობ მომწოდებლის მხარეში უსაფრთხოებაა. მისთვის ეს საკითხი უფრო მეტად პრიორიტეტულია, და ჩემი აზრით, ეს არცაა გასაკვირი. ამიტომ მცდარი შეხედულება იქნება თუ ამერიკის ჩვენს მიმართ უყურადღებობას და გულგრილობას ზვიად გამსახურიდას იმიჯს, ან საერთოდ მის პოლიტიკურ კურს დავაბრალებთ. აშშ-ს ასეთი დამოკიდებულება კო, საერთაშორისო მდგომარეობის შედეგი იყო.

როდესაც ზვიად გამსახურდიას საგარეო პოლიტიკაზე ვმსჯელობთ გასათვალისწინებელია ის მდგომარეობა, რომ მესამე რესპუბლიკამ 1990-1992 წლებში პრაქტიკულად საბჭოთა წიაღში იარსება. როგორც აღვნიშნეთ სწორედ ამით აიხსნება ის ფაქტი, რომ დასავლეთის ლიდერები ვერ ახერხებდნენ საკუთარი პოზიციის მკაფიოდ დაფიქსირებას.

თუ საერთაშორისო სამართლის კონსტიტუციურ თეორიას დავეყრდნობით, ახლად წარმოშობილი სახელმწიფო, მხოლოდ მაშინ ხდება საერთაშორისო სამართლის სუბიექტი, როდესაც მას სცნობენ სხვა სახელმწიფოები. საქართველოს რესპუბლიკა 1990 წლის ოქტომბრიდან 1991 წლის დეკემბრამდე, ანუ საბჭოთა კავშირის ფორმალურ დაშლამდე, საერთაშორისო არენაზე არ უცვნიათ, თუ არ ჩავთვლით იმ დროს ჯერაც საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში მყოფ სომხეთის, აზერბაიჯნის, მოლდავეთისა ( ესენი თვითონ არ იყვნენ საერთაშორისო სამართლის სუბიექტები) და, აგრეთვე, რუმინეთის მიერ საქართველოს რესპუბლიკის აღიარებებას. (რუმინეთმა ეს გააკეთა, რადგან პარალელურად მოლდავეთის დამოუკიდებლობასაც სცნობდა.) 1990-1991 წლებში საქართველო არ მიუღიათ არცერთ საერთაშორისო ორგანიზაციაში.

ამ არგუმენტებიდან კარგად ჩანს, რომ მხოლოდ ზვიად გამსახურდიას, ან მისი მმართველი გუნდის სურვილი, ჰქონოდათ დასავლეთთან მეგობრული ურთიერთობა, სხვადასხვა ქვეყნის ლიდერებისგან მხარდაჭერა მიეღოთ, არ იყო საკმარისი. მეტიც ეროვნული მოძრაობის ძალებს აღემატებოდა საერთაშორისო ასპარეზზე საქართველოს დამოუკიდებელ რესპუბლიკად ცნობა. საერთაშორისო თანამეგობრობის ფარგლებს გარეთ ყოფნა, საქართველოს დამოუკიდებლობის არ ცნობა, ზვიად გამსახურდიას სუსტი ან ძლიერი, ან ნებისმიერი ხარისხის საგარეო პოლიტიკის შედეგი კი არაა, არამედ საერთაშორისო ურთიერთობისა და მაშინდელი მდგომარეობის შედეგია.

# ალტერნატივო არჩევანი

**ერი, რომელიც გამუდმებით არ იბრძვის**
**თავისუფლებისათვის,**
**გასაქრობადაა განწირული.**
**ნ. კ.**



ყოველი მცირერიცხოვანი ერის, მათ შორის ქართველი ერის ისტორია, ეს არის მუდმივი პროცესი ბრძოლისა თვითგადარჩენისა და დამოუკიდებლობისთვის. ორივე ეს მიმართულება არის ვიწრო ზღვარზე გამავალი გზა, პირველ შემთხვევაში სიბრძნესა და სილაჩრეს, ხოლო მეორე შემთხვევაში - თავგანწირვასა და სიშლეგეს შორის, ვინაიდან ნებისმიერი ბრძოლა შეიცავს დიდ საფრთხეს მწარე დამარცხებისა. შესაბამის ისტორიულ მომენტში, ამ დილემის წინაშე დგება როგორც მთელი ერი, ასევე თითოეული ერისკაცი. გვახსენდება არაერთი მაგალითი ამგვარი ღირსეული მამულიშვილების თავგანწირვისა, მათი მცდელობისა როგორღაც გამოეხატათ პროტესტი დამპყრობლის მიმართ, თუნდაც არცთუ შორეულ წარსულში:

1832 წლის შეთქმულების მონაწილე, მეფე ერეკლეს შთამომავალი, ვახტანგ ორბელიანი გადასახლების შემდეგ სახლში გამოიკეტა და მთელი დარჩენილი ცხოვრება, ვიდრე გარდაცვალებამდე, რუსი დამპყრობლის მიმართ პროტესტის ნიშნად, ოთხ კედელს შუა გაატარა;

კონსტანტინე გამსახურდია 1924 წლის 25 თებერვალს, მაშინ, როცა ქართველ ინტელიგენტთა ერთი ნაწილი თაიგულებით ხელში შეეგება თბილისში შემოსულ რუსულ ჯარს, შავი ჩოხით შეიმოსა და ის ღამე ბეთანიის მონასტერში ქვეყნის გადარჩენისათვის უფლისადმი ვედრებაში გაატარა;

კოლაუ ნადირაძემ ამ დღის ტრაგიკულობა ბრწყინვალე ლექსში ასახა;

ქაქუცა ჩოლოყაშვილი მცირერიცხოვანი რაზმით ებრძოდა მტერს, ვიდრე უშანსოდ დარჩენილმა უცხოეთს არ მიაშურა და იქ, ცოტა ხანში, მძიმე ჭრილობებისა და უსაშველო დარდისაგან გარდაიცვალა, ხოლო მისი თანამებრძოლი, მიხა ხელაშვილი, სამშობლოში წინააღმდეგობის ნაპერწკლად შემორჩენილი, ეულად აწიოკებდა მტერს;

როგორ არ გაგაჟრჟოლებს ტანში, ჭეშმარიტად, ქვეყნის ისტორიაში უდიდესი კათოლიკოს-პატრიარქის, ამბროსი ხელაიას მიერ წარმოთქმული სიტყვების გახსენებაზე: „სული ჩემი ეკუთვნის ღმერთს, გული ჩემი - სამშობლოს, მძორი, ჯალათებო, - თქვენ და რაც გინდათ, უყავით მას!";

დიდმა გალაკტიონმა, რამდენიმე თვის მეტეხის ციხეში პატიმრობის შემდეგ ხმა შეიცვალა, ხოლო ერთი ნაცნობის შეკითხვაზე: - რატომ შენი ბუნებრივი ხმით არ საუბრობო? ასე უპასუხა: - თქვენ რა ხმასაც იმსახურებთ, იმ ხმაზე გესუბრებითო;

გურამ რჩეულიშვილმა მიძინებული ერის გაღვიძება ლენინის ძეგლის მიმართულებით გასროლილი თოფის დაქუხებით სცადა, ხოლო მამა გაბრიელმა მთავრობის სასახლის ფასადზე გადმოფენილი იმავე ბელადის პორტრეტი ცეცხლის ალში გახვია;

„გაუმარჯოს საქართველოს მოთმინების ფიალას!" - დაიგრგვინებს მუხრან მაჭავარიანი ... და ვინ იცის, კიდევ რამდენი ცნობილი და უფრო მეტი, უცნობი მაგალითი ღირსეულ ქართველთა მცდელობისა, არ მიეცათ საშუალება თანამემამულეთათვის მათი უპირველესი მოვალეობის მივიწყებისა.

თუმცა, მასშტაბური, საქვეყნო, ეფექტური გადაწყვეტილების მიღებაში უმთავრესი როლი ენიჭება ერთ, გამორჩეულ ადამიანს: ლიდერს, ანუ, წინამძღოლს. სწორედ ასეთ პიროვნებას აწვება უმძიმესი ტვირთი: მოცემულ დროის მონაკვეთში ქვეყნის მდგომარეობის სწორი შეფასების და შესაბამისი მიმართულების დასახვისა. გარდა გამორჩეული პირადი თვისებებისა, ასეთ ადამიანს ზურგს უნდა უმაგრებდეს უდიდესი ავტორიტეტი და მხარდაჭერა მოსახლეობის მხრიდან, რათა გინდ პირველ (ბრძოლა თვითგადარჩენისათვის), გინდ მეორე (ბრძოლა დამოუკიდებლობისთვის) შემთხვევაში შეფასება იყოს ადეკვატური და ერი უყოყმანოდ ენდოს წინამძღოლის მიერ გაკეთებულ არჩევანს.

მე-20 საუკუნემ მოგვცა თვალსაჩინო მაგალითი ზემოთ თქმულისა, ილია ჭავჭავაძისა და ზვიად გამსახურდიას ცხოვრებისა და მოღვაწეობის სახით.

პირველმა, იცოდა რა, რომ ქვეყნის სრული დამოუკიდებლობისათვის ბრძოლა არარეალური იყო, მთელი ძალისხმევა მიმართა ერის გამოღვიძების, მისი გამთლიანების და თვითშეგნების ამაღლებისთვის, ხოლო მეორემ - სამშობლო დამოუკიდებლობამდე მიიყვანა!

ცხადია, ერთსაც და მეორესაც გვერდში ედგა არაერთი ღირსეული მამულიშვილი (იაკობ გოგებაშვილი, ანტონ ფურცელაძე, მერაბ კოსტავა...); ორივემ თავი დადო ქვეყნის სამსხვერპლოზე, ორივემ საუკუნოდ დაიკავა ადგილი უდიდეს ქართველთა ბრწყინვალე თანავარსკვლავედში.

ეს ბრძოლა გრძელდება დღესაც, რათა ქვეყანამ მიაღწიოს არა მოჩვენებით, არამედ ჭეშმარიტ თავისუფლებას. ეს არის ვალდებულება თითოეული ქართველისა, ვისაც როგორ შეუძლია, თუნდაც, თავისი ცხოვრების წესით, პატრიოტული სულისკვეთებით გამსჭვალული ახალი თაობის აღზრდით, ქართულ კულტურაზე ზრუნვით... მოიხადოს თავისი ვალი სამშობლოს წინაშე.

სწორედ ამ ბრძოლაშია ჩაბმული „საქართველოს ჰელსინკის კავშირი - ეროვნული აღორძინება" პირველ რიგში, მისი უპირობო ლიდერის, ნუკრი ბაღდავაძის და ასევე მის თანამებრძოლთა სახით.

**ნოდარ კიკნაძე**
**22 ოქტომბერი, 2020წ.**



# ხალხური დღესასწაულების ისტორიიდან (ბერიკაობა საქართველოში)

ქართულ ტრადიციულ საზოგადოებაში გვიანობამდე შემორჩა თეატრალიზებული გართობა-სანახაობის, წარმოდგენების, ხალხური დღესასწაულების გამართვის ჩვეულება, რაც საშუალებას გვაძლევს კიდევ ერთხელ გავიაზროთ ქართველთა საკარნავალო მისტერიის საწესო-არქაული და სანახაობითი ბუნება, რომელიც უხვად შეიცავს უძველეს სარწმუნოებრივ ელემენტებს. ამგვარ თეატრალიზებულ წარმოდგენებში ერთ-ერთი გამოკვეთილი ადგილი უკავია ბერიკაობას. დღესასწაული თავიდანვე მოექცა დაინტერესებულ მკვლევართა თვალსაწიერში.

პირველი ცნობები ბერიკაობის შესახებ ქართულ პერიოდულ პრესაში XIX ს. გაჩნდა (რუხაძე ჯ. თბ., 1999, გვ. 14). სამეცნიერო ლიტერატურაში განსაკუთრებული მნიშვნელობა მიენიჭა თამაშობათა წარმომავლობის, ცალკეულ ნიღაბთა გენეზისის პრობლემას, ტერმინოლოგიის, თამაშობებში დაცულ საერთო რელიგიური კონცეფციის შესწავლას, თამაშობათა სანახაობით მხარეს (ივ. ჯავახიშვილი, დ. ჯანელიძე, ჯ. რუხაძე, ჯ. ონიანი და სხვა).

ცნობილი ეთნოლოგი ი. სურგულაძე შენიშნავს, საერთოდ აღიარებულია ამგვარ დღესასწაულთა აგრარული ბუნება, ცალკეულ პერსონაჟთა კავშირი აღდგენად და მოკვდავ ღვთაებებთან. ეს თამაშობანი, ისევე როგორც სხვა ქართული დღესასწაულები, მიწისმოქმედთა საზოგადოებაში აღმოცენებული და ჩამოყალიბებული და ამდენად მათი კავშირი არქაულ სამიწათმოქმედო კოსმოგონიასა და რელიგიასთან უდავოა, რადგან მათ საფუძველში ყველგან გამოსჭვივის ბუნების ძალთა ნაყოფიერების, მისი მუდმივი განახლების იდეა. ამავე მკვლევრის აზრით, დღესასწაულები ყოველთვის მჭიდროდ იყო დაკავშირებული სამეურნეო წლის, ბუნებრივი დროის აღრიცხვასთან, ბუნებაში მიმდინარე პროცესების კრიზისულ, გარდატეხის მომენტთან, რაც უფრო ხელმისაწვდომს ხდის მათი რელიგიურ-კოსმოგონიური ასპექტის შესწავლას (სურგულაძე ი. თბ., 2003, გვ. 105; Бахтин М. М. № 4, СЭ, 1975, с. 73; ბრეგაძე ნ. თბ., 1976, გვ. 397).

ბერიკაობის, როგორც ხალხური დღესასწაულის შესწავლაში, ჩამოთვლილ მკვლევართა შორის სერიოზული დაინტერესება გამოხატა ჯ. რუხაძემ ცნობილ მონოგრაფიაში „ბუნების ძალთა აღორძინების ხალხური დღესასწაული საქართველოში“. მან შეისწავლა ამ დღესასწაულის მნიშვნელოვანი ასპექტები, მიიჩნია ბუნების აღორძინების შემადგენელ მნიშვნელოვან რიტუალად და ცალკე პრობლემებად გამოყო დღესასწაულის გამართვის დრო, სამზადისი, სანახაობა - ქორწილი და საფინალო მითოლოგემა მოქმედ პირთა გარდაცვალებისა და აღდგენის სცენა; ამავე დროს ყურადღება გაამახვილა დღესასწაულის მოქმედ პერსონაჟთა ჩაცმულობაზე, საკულტო ნიღბებსა და ატრიბუტიკაზე (რუხაძე ჯ. თბ., 1959).

წარმოდგენილ წერილში შევეცდებით თვალნათელი გავხადოთ თეატრალიზებული სანახაობის ძირითადი ასპექტები, აღვწეროთ ბერიკაობა ქართული ტრადიციული მასალის მიხედვით და გამოვაცალკევოთ დღესასწაულის არქაული - საწესო და საკარნავალო ბუნება.

ზოგადქართული მონაცემების მიხედვით ბერიკაობა საყველიერო წეს-თამაშობათა რიცხვს განეკუთვნებოდა. იგი ხშირად მთელი ყველიერის მანძილზე მიმდინარეობდა (იმერეთი, ქართლი). ზოგან ყველიერის ხუთშაბათს მართავდნენ, კახეთში ყველიერის შაბათსა და კვირას. იმერეთში დღესასწაული თებერვლის დამლევიდან აპრილის დამლევამდე მიმდინარეობდა, კასპის რაიონში იგი აღდგომის წინ სცოდნიათ (სურგულაძე ი. იქვე, გვ. 105-114), როგორც ტრადიციული ყოფის მასალიდან ჩანს, აღმოსავლეთ საქართველოს მთაში: ხევსურეთში, ფშავსა და თუშეთში ზამთრობით, ახალ წელს, ხოლო საქართველოს ბარსა და სვანეთში _ გაზაფხულზე იმართებოდა (რუხაძე ჯ. იქვე; ჯანელიძე დ. თბ., 1948, გვ. 396).

შესაბამისად, მოძრავი დღესასწაულის ყველიერის დროს გამართულ სანახაობასა და დროის ამ პერიოდს „ყველიერის კვირა“ ეწოდება, იმერეთში „ბერიკაობის კვირა“, აღმოსავლეთ საქართველოში კი - უშუალოდ „ბერიკაობას“ უწოდებენ (იქვე).



ჯ. რუხაძის მიერ მოპოვებული საკვლევი მასალის ზოგადქართული მასალის ანალიზიდან ჩანს, რომ „ყველიერის ორშაბათს“ (ანუ ბერიკაობას) მთელი სოფელი საზეიმო განწყობილებას გამოხატავს. სოფლის ცენტრში თავშეყრილი ბავშვები და ახალგაზრდები გაზაფხულის სადიდებელი დღის აღსანიშნავად ემზადებიან.

დღესასწაულში ძირითადად ახალგაზრდები მონაწილეობენ, რომელთა რიცხვი 20-30 კაცს აღემატება. ხალხი სანახაობის ძირითად პირებს: ბერიკებს, თავბერიკას, დედოფალს, მაყრებს და სხვა ნიღბოსან პირებს ირჩევს. ამ შემთხვევაში ითვალისწინებენ ინდივიდის უნარსა და წინა წლების გამოცდილებას (დასახ. ნაშრომი).

სადღესასწაულო სამზადისის დროს მონაწილეებს მოაქვთ თხის, ცხვრის, ხარის ტყავები, ტყავკაბები, საქონლის კუდები, გოგრის, ნაბდის, მუყაოსა და ქაღალდის ნიღბები, ღორისა და თხის გამხმარი თავები, სხვადასხვა ცხოველთა რქები, ფრინველის ბუმბული, სადედოფლო კაბა, თავსაბურავები, ნაჭრის თოჯინები, ზარები,კრიალოსანი, ხის ხმლები, ხანჯლები, ფარები, შურდულები და სხვ. იქვე კეთდება სხვადასხვა ფერის ალმები _ დროშები და ჩირაღდნები.

აღნიშნულ სამზადისს სახელდახელო ლხინით, სიმღერითა და ცეკვა-თამაშით ამთავრებენ. მესტვირე, რომელიც ბერიკაობის წინამძღოლად ითვლება, დღესასწაულისთვის საგანგებოდ შექმნილ, მაღალ ხმაზე შესასრულებელ „ბერიკულს“ (მესტვირულს) უკრავს. (რუხაძე ჯ. იქვე, გვ. 21-40).

დღესასწაული იმართება მეორე დილით, ბუკისა და ნაღარის ხმა სოფელს ბერიკაობის დაწყებას ამცნობს და მონაწილენიც შესაფერისად ირთვებიან - სახლში, თავლაში და იმ ადგილებში, სადაც ჩვეულებისამებრ საწესო ქმედებები სრულდება.

დღესასწაულის მთავარი მოქმედი ბერიკა ახალგაზრდა, მკვირცხლი ვაჟია, იგი სადღესასწაულო ამალის მესვეურია, მის გარეშე არცერთი რიტუალი არ სრულდება. თავბერიკა, ანუ მთავარი ბერიკა ნიღბით არის შემოსილი. საქართველოს სხვადასხვა კუთხეში დამოწმებული მასალის მიხედვით მისი ნიღაბი სხვადასხვაგვარია. უფრო ხშირად გამოიყენებოდა შავი ნაბდის (თექის) ნიღაბი, (იგივე ორმაგად შეკერილი `ქუდნიღაბი~; ცალმაგი ანდა ნახევარ ნიღაბი). ტრადიციული ყოფის ამსახველი მასალიდან ცნობილია, რომ სცოდნიათ სახის შემურვა და ნიღაბზე რქების, ზარის, ფრინველის ბუმბულის დამაგრება (დასახ. ნაშრომი, გვ. 22-23).

ბერიკაობის სანახაობაში ყურადღებას იპყრობს დედოფლის პერსონა. მას განასახიერებს უწვერულვაშო ახალგაზრდა, ლამაზი პირისახის ვაჟი, რომლის მორთულობაც პატარძლის ჩაცმულობას ჩამოჰგავს, რასაკვირველია, თეატრალიზებული ნიღბის (ანდა მკვეთრი ფერის საღებავით სახის შეღებვის) დამატებით.

სანახაობის ამალას შეადგენენ: მაყრები, ბერიკები, ნათლია, რომლებიც ამავდროულად ნეფე-დედოფლის, ნეფე/ბერიკას მხლებლები და დედოფლის მცველებსაც წარმოადგენენ. დღესასწაულში მონაწილეობენ ზოომორფული ნიღბით შემოსილი პირები, მაგ. ტახ ბერიკა (კახეთში), რომელსაც მთავარ ბერიკას უწოდებენ და ღორის ნიღაბს ატარებს; მღვდელი, დიაკვანი, რომელთა მონაწილეობა საკარნავალო მისტერიის ხასიათის შემცვლელია და

ღორის ნიღბიან ბერიკასთან ერთად დედოფლის მიმართ ლტოლვის გამომხატველი (დასახ. ნაშრომი. გვ. 7-41).ცალკე უნდა აღინიშნოს დღესასწაულის მოქმედებაში არაბის, თათრის და ლეკის მონაწილეობა, რომელიც `სოფლის დამრბეველნი და ამწიოკებელნი~და დედოფლის მოტაცების ინიციატორნი არიან (იქვე).

ბერიკაობის მონაწილენი მოივლიან სოფლებს, ხშირად შორეულსაც ესტუმრებიან, როგორც წესი, შეძლებულ ოჯახებს ესტუმრებიან. მსვლელობა მიმდინარეობს დღის განმავლობაში (საღამოს ანდა ზოგჯერ ღამით). ოჯახში შესულნი მართავენ სანახაობას ცეკვა-სიმღერის თანხლებით, ითხოვენ სანოვაგეს და ზოგჯერ ფულსაც. მასპინძლები აღფრთოვანებულნი ხვდებიან დღესასწაულის მონაწილეებს, უმართავენ ნადიმს, ასაჩუქრებენ მსვლელობის წევრებს. თუ წინამძღოლი ძღვენით უკმაყოფილოა, მაშინ არაბი, თათარი ან ლეკი ეზოში გაგორდება, რაც მოსახლეობის აზრით მოუსავლიანობასა და სიკვდილიანობას მოასწავებს, ამიტომაც მას სასწრაფოდ აყენებენ და ასაჩუქრებენ. ბერიკაობის, როგორც რიტუალის ძირითადი არსი მდგომარეობს სურსათის ანდა ფრინველის გატაცებაში, რომელსაც ახორციელებს არაბი, თათარი ან ლეკი. მიუხედავად იმისა, რომ მასპინძლები არაფერს იშურებენ მონაწილეთათვის, ეს წესი, როგორც ტრადიცია მოქმედებს და მასპინძლებიც უკმაყოფილებას არ გამოხატავენ. ამავე დროს ოჯახის წევრები ცდილობენ ბერიკებისთვის ცხოველის ბეწვის, ან ფრინველის ბუმბულის მოცილებას, ამის განხორციელებაში მათ ხელს უშლიან მცველები, თუმცა ხშირად თავბერიკა /ბერიკა/ ნეფე თავად აძლევს ბეწვს, ან ბუმბულს, როგორც ნაყოფიერების სიმბოლოს, რომელსაც დიასახლისი ფრინველის, ან საქონლის სადგომში ათავსებს. ამავდროულად მიმდინარეობს ოჯახის დალოცვა.

დღესასწაულის კულმინაციას წარმოადგენს ნეფე/ბერიკას დედოფალზე დაქორწინების სცენა. იგი მიმდინარეობს სასიყვარულო დაპირებების ფონზე, რის შემდეგაც დედოფალი თანხმდება. მას ჯვრისწერის რიტუალიც მოსდევს, რომლის დროსაც ეწყობა დედოფალზე თავდასხმა. მას იტაცებს თათარი, ლეკი, ან არაბი. სანახაობის ბოლოს მცველები წარმატებით იგერიებენ იერიშს. წყვილი საყდარში მიჰყავთ. მოქმედების ყველა ეტაპი მუსიკალური ინსტრუმენტის თანხლებით მიმდინარეობს. ამავე დროს თამაშდება სასიყვარულო სცენები, შაირობა, კაფიაობა, საქანელაზე ქანაობა, რომლის დროსაც გასათხოვარი ქალები აქტიურობენ (ქანაობა-საქორწინო რიტუალის შემადგენელი ნაწილია და ნაყოფიერების გამოვლინებას ემსახურება).

ბერიკაობის საფინალო მითოლოგემას წარმოადგენს ბერიკას სიკვდილი და დედოფლის დატირება. ამ სიუჟეტში მონაწილეობენ მღვდელი, ბერიკები, რომელთაც „მიცვალებული“ მიჰყავთ სასაფლაოზე. მოტირალ დედოფალს თათარი, არაბი ან ლეკი „ამშვიდებს“, უკეთეს ქმარსა და მომავალს ჰპირდება, რის შემდეგაც იტაცებს მას. მცველები ვერაფერს ხდებიან და „მიცვალებულს“ ჩასძახებენ დედოფლის გატაცების ამბავს. ბერიკაც მაშინვე ცოცხლდება და იბრუნებს დედოფალს. ამის შემდეგ „გარდაცვალებისა“ და „აღდგენის“ რიტუალი თამაშდება დედოფალთან მიმართებასიც (იქვე. 7-41).

გარდაცვალება-აღდგენის რიტუალს მოსდევს საბრძოლო შერკინება, ხელჩართული ბრძოლა, ჭიდაობა და ლხინი.

ტრადიციული ყოფის ამსახველი და პერიოდული პრესის მასალები ასევე თვალნათლივ გადმოგვცემს თბილისური ბერიკაობის სურათს. მასშიც ფიგურირებს მთავარი მოქმედი გმირები და ამავდროულად დამპყრობლები (შაჰ-აბასი, თემურ-ლენგი, რუსი გენერლები და სხვ). საყურადღებოა ის ფაქტიც, რომ თეატრალიზებულ სანახაობა ქართულ ქარგაში თანაბრად აქტივიზირებულთა დარბევა-დაწიოკების, კვდომა-აღდგენის სცენები, რომლის ბოლოსაც საბრძოლო შერკინება იმართება, რაც სრულდება გამარჯვებულთა მხრიდან დროშისა და სურსათის ნაწილის წაღებით. როგორც ცნობილია ბერიკაობის თეატრალიზებული სანახაობა თბილისის თითქმის ყველა უბანში სრულდებოდა (ავლაბარი, კუკია, ჩუღურეთი, ხარფუხი, აბანოს უბანი და სხვ.) (გრიშაშვილი ი. თბ., 1927, გვ. 25-28).

მოხმობილი მასალის გაანალიზებასა და ბერიკაობის თავდაპირველი ბუნების გარკვევაში განსაკუთრებით გვეხმარება არა ძლიერ თეატრალიზებული წარმოდგენები, არამედ ზოომორფული, ან ანთროპომორფულ ნიღბოსანთა მარტივი სცენები, რომელბიც ხორციელი სიყვარულისა და ბუნების სადიდებელი რიტუალისადმია მიმართული.

ცნობილი ეთნოლოგი ი. სურგულაძე შენიშნავს, რომ ასეთი სცენებიდან საინტერესოა თბილისში, ქართლში, ალგეთის ხეობაში, ხევში გავრცელებული დათვობია, სადაც დათვის ნიღბიანი ბერიკა სხვადასხვა სცენებს თამაშობს: ქალებს ეარშიყება, ცოლს თხოულობს. კახეთისა და იმერეთის ბერიკაობაში განსაკუთრებით პოპულარული ყოფილა ტახის ნიღბიანი ბერიკა, რომლის მიერ შესრულებულ სცენებში დიდი ადგილი ეჭირა ქალისა და ბერიკას ურთიერთობას. ამგვარი სცენები ფიქსირებულია აჭარაში, ზემო იმერეთში, ქართლში, კახეთში, მესხეთსა და ჯავახეთში. მონაწილე ქალს „დედოფალს“, „პატარძალს“ „კეკელას“ ეძახდნენ. მეფეს, (ნეფეს) ბერიკას დამსწრე საზოგადოება ეცილებოდა სიყვარულში, იმართებოდა სხვადასხვა კომიკური სცენები, ბერიკა კვდებოდა, დედოფალი მას დაიტირებდა, მაგრამ სხვაგვარი სიუჟეტური გართულების შემდეგ ცოცხლდებოდა (სურგულაძე ი. თბ., 2001, გვ. 107; ჯანელიძე დ. თბ., 1984, გვ. 287).

ბერიკაობის, როგორც სანახაობითი კულტურის ერთ-ერთი მთავარი მოტივი, რომლის წარმომავლობა ხაზგასმით არქაულია, არის ნაყოფიერების სიმბოლიკის უხვად წარმოჩენა, რაც თავისთავად ქართული ხალხური დღესასწაულების ერთ-ერთი უძველესი შტრიხია. აღბეჭდილი სცენები, ატრიბუტიკა, სიმღერები და ცეკვები, ხაზს უსვამს მსოფლიოს უძველეს მიწათმოქმედ ხალხთა აზროვნების პრიორიტეტებს. ამგვარი სცენებისა და სიუჟეტური კვანძების არსებობა მიგვანიშნებს სამყაროს განახლების, ნაყოფიერების დაფარულ სიმბოლოებზე, რომლის გამომსახველი წარმოდგენილი სცენები და მათი შემსრულებელი პირები გახლავთ. საქორწინო სიუჟეტებში მიწისფრად (მიწა-სამყაროს სიმბოლო) შეღებილი, ნიღბიანი ბერიკები, ყოველთვის დედოფლის თანხლებით მოქმედებენ, რაც ამ სანახაობის რიტუალური, საწესო ბუნების დასტურია. ცნობილია, რომ დედოფლის როლის შემსრულებლები ყოველთვის მამაკაცები არიან, რაც ასევე, მსოფლიოს თეატრალიზებული სამყაროს გაზიარებული პრაქტიკაა.

ბერიკაობის თეატრალიზებული სანახაობის ანალიზისას ცალსახად იკვეთება სანახაობის - რიტუალური, საწესო ბუნება, ხოლო საკარნავალო, მისტერიულ არსს და გროტესკულ სტილზე მოგვიანებით შევჩერდებით, როგორც აღინიშნა, საქორწინო სცენები, დედოფლის მიმართ დამსწრე საზოგადოების, დათვის, თუ ტახის ნიღბიანი ბერიკების ლტოლვა ბუნების ძალთა ნაყოფიერებისა და გამოღვიძების სიმბოლო-გასაღებია. რადგან ზოომორფული სახით წარმოდგენილი ბერიკათა ნიღბები (მაგ. დათვი, ტახი - ღორი) მითოსსა და რელიგიურ წარმოდგენებში ნაყოფიერების და სამყაროს ცვალებადობის ნიშნების მატარებელნი არიან. ამავდროულად, გასათვალისწინებელია დღესასწაულის გამართვის პერიოდი (გაზაფხული, ანდა ზამთარი - ახალი წელი), რაც წელიწადის ციკლური მონაცვლეობის, ბუნერივი პროცესების გარდატეხის, მიძინებული სამყაროს გამოღვიძების ერთგვარი დასტურია.

დღესასწაულის განხილვისას ყურადღებას იპყრობს ისტორიული ეპოქის ნაკვალევის ნაშთები, რომელიც დამპყრობელთა სახით იქნა რეალიზებული წარმოდგენებში. ფაქტობრივად, თათარი, არაბი, ლეკი, შაჰ-აბასი, თემურ-ლენგი, რუსი გენერლები და სხვა. ისტორიული სურათის რეკონსტრუქციის ერთგვარი საშუალებაა, რომელიც ხალხის ცნობიერებამ დღესასწაულში - როგორც ყოფით სანახაობაში უცვლელად გადმოიტანა.

დღესასწაული ხშირ შემთხევაში სხვადასხვა ფორმით გამოიხატებოდა და სხვადასხვა ისტორიულ მოვლენას უკავშირდებოდა. ამიტომაც ბევრი მკვლევარი სანახაობაში მტერთან ბრძოლის გამარჯვების სიმბოლოს ხედავდა (ალ. ხახანაშვილი, მ. აბრამიშვილი). „ქართველების სპარსელებზე გამარჯვებას“ (რ. ერისთავი), მურვან ყრუს შემოსევას (VIII ს) და მისი ჯარის დაღუპვას (გ. წერეთელი), „ომის მისტიფიკაციას“ (ი. გრიშაშვილი). „ქართველი ხალხის ბრძოლას უცხოელ დამპყრობლებთან“ (შ. ამირანაშვილი) „ომის მისტიფიკაციას და პატრიოტულ პროპაგანდას“ (შ. ჩხეტია), „ქართველი ხალხის ბრძოლას ცარიზმის წინააღმდეგ“ (დ. ჯანელიძე) და სხვა (მელიქიშვილი ლ. თბ., 2004, გვ. 78-81).

ბერიკაობის განხილვისას, ცალკე დგას ისტორიული პრობლემატიკა, `მოთარეშე დამპყრობლები~, საბრძოლო სცენები და შერკინება, რაც ძლიერ თეატრალიზებულ სახეს ატარებს, ხოლო ცალკე პრობლემატიკას მოიცავს სადღესასწაულო მისტერია,საკარნავალო სანახაობა, რომელიც კომიკურ, ხშირად გროტესკულ სტილშია წარმოდგენილი.

დღესასწაულის არქაული პასაჟების გვერდით ვხვდებით ქრისტიანული სარწმუნოების წარმომადგენლებს მღვდელს, დიაკვანს, როგორც საზოგადოების ქრისტიანიზაციის ეტაპს. საკარნავალო მისტერია და წარმოდგენები, რომელიც ზედმეტი მხიარულებით გამოირჩევა და მთელს ევროპაშია დამოწმებული, უცვლელად ინარჩუნებს გროტესკულ სახეს, სადაც ინვერსირებული (გაუკუღმართებული), ანდა ზედმეტად მხიარული სცენები მიმდინარეობს. ქრისტიანული სარწმუნოების წარმომადგენელთა მონაწილეობა, საკარნავალო მისტერიის არა საწესო-რიტუალური, არამედ გართობა _ სანახაობა - მხიარულების ერთგვარი რგილია, რომელიც სიმბოლურად წარმოსახავს დამსწრე საზოგადოების მისწრაფებასა და სურვილს.

ასევე საყურადღებო მომენტს წარმოადგენს სადღესასწაულო კარნავალის სივრცეში განფენის პრინციპი, რიტუალური მსვლელობა, სოფლების გარშემოვლა, ანუ იმ ტერიტორიის შემოვლა, რომელიც დამსწრე საზოგადოების სოციალურ-საცხოვრებელ ადგილს წარმოადგენს. წრეს, ეთნოლოგიური მასალის მიხედვით რელიგიური დატვირთვაც გააჩნია. იგი სამყაროს ცენტრია, ასახავს დროის აღრიცხვის წრიულ წესს, რომელსაც ვხვდებით არქეოლოგიურ ნიმუშებზე (მაგ. ბრინჯაოს ბალთებზე ფალიურ მონადირეთა და ცხოველთა რიტმული ჯგუფები, ყანჩაეთის შტანდარტი და სხვა (ხიდაშელი მ. თბ., 1982, გვ. 123; სურგულაძე ი. გვ. 111). ფაქტობრივად, ბერიკაობის დროს სოფლების შემოვლა, ათვისებული, ორგანიზებული სივრცის კეთილდღეობისა და ნაყოფიერების გამოვლინებას ემსახურება.

დღესასწაულის მთავარი მოქმედი პერსონა - ბერიკაა. დღესასწაულის ახსნისას თვალსაწიერში ექცევა ტერმინი „ბერიკას“ წარმომავლობის საკითხი. ამ მხრივ საინტერესო მოსაზრებაა გამოთქმული ი. სურგულაძეს, რომელიც ტერმინ „ბერიკას“ უკავშირებს ბერს; მიმოიხილავს „ბერის“, „უფლის“, „ხევისბერის“, „ქალაქის ბერის“ უფლებრივ და სოციალურ მდგომარეობას და ამავდროულად ტერმინ ბერს - განიხილავს წინაპართა ან ასაკოვანი კაცის სოციალური სტატუსით, რაც რეალიაში რელიგიური და უფლებრივი უზენაესობის, მესვეურობის მანიშნებელი სიმბოლოა. ქრისტიანულ სარწმუნოებაში „ბერმა“ ასაკობრივი უპირატესობა ჩამოიტოვა და რელიგიური სიმბოლო გახდა (მაგ. ქრისტიანული სარწმუნოების „ბერი“, „მონაზონი“). (სურგულაძე ი. იქვე). აქვე შევნიშნავთ, რომ ბერიკაობის მთავარი პერსონაჟი „ბერიკა“ - ახალგაზრდა ვაჟი, „ხანსიშესულ კაცს“ განასახიერებს,რომელიც ამალის მესვეური და წინამძღოლია.

დღესასწაულის მსვლელობაში აღინიშნება სახედარზე, აქლემზე, ცხენზე ამხედრების წესი. მხედრობაც ამავდროულად სოციალური სტატუსის მიმანიშნებელი სიმბოლოა, რომელსაც დღესასწაულში ინვერსიული, საკარნავალო ელემენტები ერთვის და კომიკურ ხასიათს ატარებს. (გართობა-სანახაობაში მოქმედი პირები ცხოველებზე უკუღმა არიან ამხედრებულნი).

ბერიკაობის თეატრალიზებული სანახაობის მთავარი არსი, მითოლოგემა არის ნეფე/ბერიკას (ანდა დედოფლის) „სიკვდილის“ და „აღორძინების“ სცენა. მოკვდავი და აღდგენილი ღვთაების უნივერსალური კონცეფცია მსოფლიოს ცივილიზებული მითოსისათვის დამახასიათებელი ელემენტია (მაგ. შუმურ-ბაბილონური ინანა-იშთარის, თამუზი-დუმუზის მისტერიები და სხვ.) (Фрэзер Д. 1986, გვ. 85; Kრამერ შ. 1952). მას ერწყმის სამყაროს კვდომა-აღორძინების იდეა, ხოლო ღვთაებათა სიკვდილი თავისთავშივე შეიცავს აღდგომა-განახლების პერსპექტივებს (ზურაშვილი მ. თბ., 2006, გვ. 87-89). აქედან გამომდინარე ბერიკას (დედოფლის) გარდაცვალება, დატირება, აღდგომა ქართული სანახაობითი კულტურის უძველესი პლასტია, რომელსაც ეთნოგენეტიკური კავშირი გააჩნია მსოფლიო აზროვნების და პრაქტიკის გამოვლინებასთან. მოცემულ შემთხვევაში მითოსი გადმოგვცემს, ხოლო რიტუალი დღესასწაული კომიკურ-სანახაობითი სახით აფიქსირებს იმ ტრადიციას, რომელიც სიმბოლურად სამყაროს განახლებას ემსახურება.

წერილის დასასრულს, შეუძლებელია ყურადღების მიღმა დავტოვოთ ბერიკაობის პანკისის ხეობაში დამოწმებული, მოდიფიცირებული, ფაქტობრივად სრულიად სახეცვლილი და აგრესიული ჩვეულება. როგორც ლ. მელიქიშვილი აღნიშნავს, პანკისის ხეობაში, ბერიკაობას მხოლოდ სახელი შერჩენია, იგი სანახაობისგან შორს დგას, „ნება-ყოფლობითი“ „დატაცება-დაწიოკება“, მკაფიოდ გამოხატულ „რეკეტის“ ხასიათს ატარებს,

რაც საბრძოლო ქმედებებშია გამოხატული. (მელიქიშვილი ლ. თბ., 2004, 78-81).

აქედან გამომდინარე დღესასწაულის, რიტუალის არსი, საზოგადოებრივი ცნობიერების გარდასახვის ხარჯზე სრულიად სახეცვლილი და შესაბამისად სცილდება სანახაობითი კულტურის ფარგლებს.

მოხმობილი მასალის ანალიზის დასასრულს, თვალსაჩინო ხდება ბერიკაობის თეატრალიზებული წარმოდგენის არქაულ-საწესო და საკარნავალო ბუნება, რომელიც ცალკე პრობლემის სახით წარმოვადგინეთ. დღესასწაული უდავოდ გამოხატავს ბუნების კვდომა-აღორძინების, ნაყოფიერების ფუნქციებს, რომელიც ხალხურ პრაქტიკაში სანახაობითი, საკარნავალო, კომიკური ფორმით გამოისახა.

**მაია ზურაშვილი**

**ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი**





,, - სწორედ თავისუფლებაა ღვთაებამდე აღმზრდელი კაცთ ბუნებისა"

სიკვდილმა , ჰკითხა სიცოცხლეს..
მე გჯობივარ თუ შენაო...
სიცოცხლემ ასე მიუგო,
არცერთი არ ვართ ლხენაო..
ზოგს სიცოცხლე აქვს ისეთი,
არ მიბრუნდება ენაო..
გნატრობს ნეტავი სადა ხარ,
ისმინოს შენი ღრენაო..
თუ კაცი ცოცხლობს ხალხისთვის,
მაშინ გჯობივარ მენაო...
და თუ კი თავის თავისთვის,
რაღათქმა უნდა შენაო...

ი ლ ი ა

## საყურადღებო ბუნებრივი ალეგორიული სახეა თავისთავის წინააღმდეგ დაყოფილი ერისა და უფსკრულში გადასაჩეხად გამზადებული ქვეყნისა



ISSN 1987-7986

helsinkiunion@gmail.com

**სარედაქციო კოლეგია:** ნუკრი ბაღდავაძე - კოლეგიის თავმჯდომარე; მალხაზ მუსერიძე - კოლეგიის თავმჯდომარის მოადგილე; ნოდარ კიკნაძე - მთავარი რედაქტორი; ნონა ქევხიშვილი - პასუხისმგებელი საგამომცემლო რედაქტორი და სარედაქციო წარმომადგენელი საზღვარგარეთ.